

გაზეთის ამ ნომრის
მეცხენატივე რესტორანი
„თამადა“

„არდადეგებზე“ წასაკითხი

მამული

№8-9
2006
ივნისი
ივლისი

რონი ნუცყაძე სხვაგან არ მეძიო!

მე თუ დავიკარგო, გელათში მეძიეთ,
ვიქნები ლოცვად დავარდნილი,
სასთუმლად მექნება ღვთისმშობლის კალთა
და ცა მეხურება საბანივით.

მე თუ დავიკარგო, ალავერდში ვიქნები,
მზესთან გადასული ალავერდს
და ყელზე მექნება გამობმული
შვიდფერი ცისარტყელის სადავე;

იქნებ ანანურთან დამეწიოთ,
ვიდრე არაგვის წყალს გავცურავდე,
ვიდრე ორთავ მუხლზე დავეცემი
და გულს მტევანივით დავწურავდე.

მე თუ დავიკარგო, მცხეთაში ვიქნები,
არსაკიძის ტკივილით გათანგული,
ან გრემში ვიქნები, ანდა ვარძიაში, -
მთის გულში წყაროსავით დაკარგული.

მინდა ცის ლაგვარდი მხრებზე დამეფინოს,
დავიწვე მიწის აღმურში,
მე თუ დავიკარგო
სხვაგან არ მეძიოთ, -
მხოლოდ ჩემს სალოცავ მამულში!

მზესა და გენიოსებს ორი საერთო თვისება აქვთ: ორთავე საოცრად ნათელია და ორთავე სიცოცხლის შემოქმედი. ახლა მე მზეზე კი არა, აკაკიზე მოგახსენებთ.

ალბათ 7 თუ 8 წლის ვიქნებოდი, კარგად არც კი მახსოვს, აკაკის „განთიადი“ რომ მასწავლეს. ვისწავლე და გავვოცდი, გავვოცდი იმიტომ კი არა, რომ აკაკის გენიოსობა შევიგრძენი, არა - ავხედე ცას და ფირუზის ფერი იყო, დავხედე ხმელეთს და ზურმუხტის ფერი იყო. სამშობლოსათვის რომ უნდა მოვკვდიარეყავი, ეს დედისაგან ვიცი და გამიკვირდა: ასე თავისუფლად, ასე უბრალოდ, ასე გასაგებად ამას ხომ მეც ვიტყვი მეთქი... და აი, უკვე 40 წელია ვეჯიბრები აკაკი წერეთელს, რომ „განთიადის“ მსგავსი ერთი ლექსი მაინც დაეწერო და ბოლოს მივხვდი, რომ მთელი ჩემი შემოქმედება ამ ლექსის ერთი სტრიქონის ფასადაც არ ღირს.

და მე კიდევ მეტს მივხვდი, კერძოდ იმას, რომ „განთიადი“ კაცის დაწერილი არ არის. ასეთ ლექსებს ადამიანები არ წერენ. ეს მათ ძალ-ღონეს აღემატება, ღიას, ეს ლექსი ღვთის ბაგიდან არის გამოსული და ნაკარნახევი.

ერი და ერისკაცი ზიარ ჭურჭელსა ჰგვანან, ისინი ერთმანეთს ავსებენ და აცოცხლებენ. ვინ იცის, იარსებებდა თუ არა დღეს ქართული ენა და საქართველო, მეცხრამეტე საუკუნეში ილია, აკაკი, ვაჟა და იაკობი, ეს ოთხი მესია რომ არ მოვლენოდნენ მას.

როგორც დღე მისდევს დღეს, ისე მოდიან თაობები და ცვლიან ერთმანეთს, მაგრამ აკაკი, ბუღბუღი საქართველოსი, შუამავალი ცისა და მიწისა, უცვლელია. იგი ყოველ დღით ამოდის საქართველოს ცაზე ბრდღვიალა მზესავით, რომ ნათელი მოჰფინოს სულ ახალ და ახალ თაობებს.

რამდენიმე წლის წინ თურქეთის საზღვარზე ვმსახურობდი მესაზღვრედ. იქ, აჭარის მთებში ერთი სოფელია - მარადილი. ამ სოფელს მდინარე ჭოროხი ჰყოფს შუაში, ერთი ნახევარი სოფლისა ჩვენია, მეორე ნახევარი - თურქეთისა. სწორედ იქ გახლდით საზღვრის ინსპექციამზე. ერთ დღეს ორი ჯარისკაცის თანხლებით საზღვრის წინაზაზზე გავედით. ზედ ჭოროხის პირას თურქებს სკოლა აქვთ, სადაც ქართველი ყმაწვილებიც სწავლობენ. ნაპირს რომ მივადექით, შესვენება ჰქონდათ ბავშვებსა და დაგვინახეს თუ არა, თავის ნაპირს მოაწყდნენ. როგორც შავგვრემანი, ალბათ, ქართველად შემიცნეს. მერე ბავშვებს ერთი თეთრსაყელიანი პატარა ბიჭი გამოეყო, მდინარეში ნავივით შემოცურებულ ვეებერთელა ლოდზე შედგა, ორთავე ხელი ცაში ააპყრო და ხმის კანკალით თავანკარა ქართულით დაიწყო:

„ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო.

შენი ვარ, შენთვის მოვკვდები.

შენზედვე მგლოვიარეო...”

ასკერმა ლექსის თქმა ბოლომდე არ აცალა, გარეკა ბავშვები. იმ წუთში გული თუ არ გამისკდებოდა, არ მეგონა. ვიდექი და უსირცხვილოდ ვტიროდი გაკვირებული ჯარისკაცების წინაშე.

დიდი ილიას ნეშტს აკაკი ასეთი სიტყვებით გამოეთხოვა:

- თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია, მაშინ იმასთან ერთად შენც უკვდავი იქნები და თუ სასიკვდილოა, როგორც ზოგიერთებს სურთ და გონიათ, მაშინ ნეტავი შენ, რომ მაგ შენი სიკვდილით წინაუწარ მის სიკვდილს და თვალით ვეღარა ნახავ!

დღეს მე მინდა მისივე სიტყვები ასე დავუბრუნო აკაკი წერეთელს:

- შენ, ჩვენი ერის სინათლე და სიამაყე, საქართველოს სიკვდილი არ უწერია თუნდაც იმიტომ, რომ ერს შენისთანა კაცი გაუზარდა და დაუტოვა, როგორც სიმბოლო უკვდავებისა და მარადისობისა!



**იზაჩდუბა ჰირვილად
ნოდარ დუმბაძის
დღეადე დაკარგული გამოსვლის
ტიქსტი აკაკის იუზილეზა**


სახარება მარტოზე

დასაწყისი იხ. „გაიოზი“ № 14-17, 22-29
თავი 4

- მერმე კვლავ დაიწყო ზღვის პირზე სწავლება და შეიკრიბა იმდენი ხალხი, რომ ნავში ჩაჯდა და ზღვაში შევიდა. და იმოღვრა ხალხი ზღვის ნაპირზე, ხმელეთზე იდგა.
- და ასწავლიდა მათ იგავით მრავალს და უყვებოდა სწავლებასა მას თვისსა:
- ისმინეთ! აჰა, გამოვიდა მთესველი დასათესად.
- და თვისისასა, ზოგი დავარდა გზისა პირსა და მოფრინდნენ ფრინველი და აქნაკეს იგი.
- და სხვა დავარდა კლდოვანსა ზედა, სადაც არ იყო ბევრი მიწა და მალე აღმოცენდა, რამეთუ არ ჰქონდა სიღრმე მიწასა.
- და ვითარცა მზე ამოვიდა, დასცხა და, რამეთუ ძირი არ ჰქონდა ღრმად გადგმული — განხმბა.
- და სხვა დავარდა ეკალთა შორის. და აღმოჩნდნენ ეკალი და მოახრჩვეს იგი და ველარ გამოიღო ნაყოფი.
- და სხვა დავარდა მიწასა კეთილსა და გამოიღო ნაყოფი და ამოდიოდა და იზრდებოდა და იძლოდა ზოგი ოცდაათმაგად, ზოგი სამოცმაგად და ზოგი ასმაგად.
- და თქვა: ვისაც აქვს ყურნი სასმენელად, ისმინოს!
- და ოდეს მარტო იყო იგი, ჰკითხეს მისმა მოწაფეებმა: რას ნიშნავს იგავი ესე?
- და უთხრა მათ: თქვენდა მოცემულ არს ცოდნა საიდუმლოსა სასუფეველისა ღმრთისაი, ხოლო გარეშეთათვის ყოველივე იგავით ითქმის.
- რამეთუ ხედვით ხედვდნენ და ვერ იხილონ, და სმენით ესმოდე და ვერ გაიგონ, რომ არ მოეცენ და მიეტყუონ ცოდვანი მათნი.
- და უთხრა მათ: ვერ ხედვით ამ იგავს? და დანარჩენ იგავებს როგორდა გაიგებთ?
- რომელიც სთესავს, სიტყვასა სთესავს.
- ხოლო გზისა პირსა ეს არის, სადაც დაითესა სიტყვა და როგორც კი ისმენენ, მეყვსეულად მოვა ეშმაკი და წარიღებს სიტყვას მათი გულებიდან.
- და კლდოვანსა ზედა დათესილი ეს არის, რომელიც რაჟამს გაიგებენ სიტყვასა, მეყვსეულად სიხარულით მიიღებენ.
- და რამეთუ ძირი არა აქვს გადგმული, წუთიერი არიან. და რაჟამს მოიწევა გასაჭირი ან დევნილება სიტყვისა გამო, წუთიერადვე ცდებიან.
- და რომელიც ეკალთა შორის დაითესა, ეს არის რომელიც სიტყვა იგი ისმინეს,
- მაგრამ ზრუნვამან ამა სოფლისამან და საცდურმან სიმდიდრისამან შესულმან მათში, მოაშთოს სიტყვა იგი და უნაყოფო ჰყოს.
- და რომელიც კეთილსა მიწასა ზედა დაეთესა ეს არის, რომელთა ისმინონ სიტყვა იგი და შეიწყნარონ და ნაყოფი გამოიღონ: ოცდაათმაგად, სამოცმაგად და ასმაგად.
- და უთხრა მათ: განა იმისთვის მოაქვთ სანთელი, რომ ხვიმრის ან საწოლ ქვეშ დადგან? და განა სასანთელსა ზედა არა დგამენ?
- რამეთუ არა არს დაფარული, რომელიც არა განცხადდეს, და არცა რამ საიდუმლო, რომელიც არა გამჟღავნდეს.
- ვისაც აქვს ყურნი სასმენელად, ისმინოს!
- და უთხრა მათ: დაუკვირდით, რასაც ახლა ისმენთ: რომლითა საწყაულითა მიუწყით, მოგეწყით თქვენ და ზედაც დაგემატათ რომელნიც გაიგონებთ.
- რამეთუ ვისაცა აქვს მიეცეს მას, და ვისაც არა აქვს და რაცა ჰქონდეს წაერთვას მას.
- და უთხრა მათ: სასუფეველი ღმრთისაი ესრეთ არს, ვითარცა კაცმან დათესოს თესლი მიწაში
- და დაიძინოს. და დგებოდეს ღამით თუ დღისით, თესლი კი ამოდიოდეს და იზრდებოდეს, ხოლო მან არ იცოდეს.
- რამეთუ მიწა თავის თავად ნაყოფს გამოიღებს: ჯერ ღეროს, მერმე თავთავს და შემდეგ — საესე მარცვალს თავთავში.
- და რაჟამს დაიწყო ნაყოფი, მაშინვე გაავზავნის მომკელს, რამეთუ მოიწია მკამ.
- და უთხრა მათ: რას შევადაროთ სასუფეველი ღმრთისაი? ან რომელი იგავი მოვიყვანოთ მასზე?
- ისა ვითარცა მარცვალი რომელიც მიწაში ჩათესვისას უმცირესი არს ყოველთა თესლთა, რაც კია ქვეყანაზე.
- და ოდეს დაითესება და აღმოცენდება, ყოველთა მწვანითა უმეტესი ხდება და გამო-

- ტანს დიდ-დიდა რტოებსა, რომელთა ჩრდილსა ქვეშ შესაძლებელ არს ფრინველთა ცისათა დაბუღება.
- და ასეთნაირი იგავებით უქადაგებდა სიტყვასა, რათა შესძლებოდათ გაგება.
- და გარეშე იგავისა არარას ეუბნებოდა მათ. ხოლო მოწაფეთა თვისთა ცალკე უხსნიდა ყოველივეს.
- მას დღესა შინა, ვითარცა შემწუხრდა, უთხრა მათ: გავიდეთო იქითა მხარეს.
- და დატოვეს ხალხი და წარიყვანეს თავისმა მოწაფეებმა იმ ნავით, რომელშიაც იჯდა. და სხვა ნავებიც მიყვებოდა მას?

- რომელსაც სამყოფელად საფლავები ჰქონდა და ვლარე ჯაჭვით ვერ აკავებდა მას ვინმე.
- რამეთუ მრავალ ზის ჯაჭვითა და ბორკილითა ჰყავდათ შეკრული, მაგრამ წყვეტდა და ამტვრევდა და არავის შეეძლო შეჩერება მისი.
- და დღითა და ღამით გარე-გარე, მუდამ მთებსა და სამარხებში დაეხეტებოდა და ღრიალებდა და ლოდებზე ურტყამდა საკუთარ თავს.
- და ვითარცა თვალი მოჰკრა შორიდან იესოს, გამოიქცა და თავიანთსა.
- და დადგა ხმითა დიდითა და უთხრა: რა გინდა ჩემგან იესო, ძეო მალისა ღმრთისაო?



იესო ქრისტეს მიერ სოფელი ქალის შეწყობა

- და მეყვსეულად ატყავს ქარიშხალი დიდი და ტალღები ეცემოდა ნავში, ვითარმედ ნავი იცვებოდა წყლით.
- ხოლო თვითონ ნავის წინა მხარეს იყო და ეძინა. და გააღვიძეს და უთხრეს: მოძღვარო, არ გადარდებს, რამეთუ ვიღუპებით?
- და აღდგა და შეჰრისხა ქარსა და ზღვასა და თქვა: დასცხერ და ჩაწყნარდი! და დასცხრა ქარი იგი და ჩამოვარდა სიწყნარე დიდი.
- და უთხრა მათ: რატომ ხართ ასეთი შიშორები? როგორ არა გაქვთ რწმენა?
- და შეეშინდათ შიშითა დიდითა და ერთმანეთში იძახდნენ: ვინ არის ასეთი, რამეთუ ქარნიცა და ზღვიცა ემორჩილებიანო მას?

- გაფიცებ ღმერთსა ნუ მტანჯავ მე.
- რამეთუ ეუბნებოდა მას იესო: სულს ეგე არაწმიდავ, განვედ კაცისა მაგისაგან!
- და ჰკითხა მას: რაი არს სახელი შენი? და უთხრა მას: ლევონი არს სახელი ჩემი, რამეთუ მრავალნი ვართ.
- და ევედრებოდა ძლიერ, რათა არ განაძევოს იგინი იმ არემარედან.
- და იქვე, მთის ძირში ბალახობდა დიდძალი კოლტი ღორებისა.
- ხოლო ეშმაკნი ევედრებოდნენ და ეუბნებოდნენ: მიგვიშვი იმ ღორებთან, რომ მათში შევიდეთო.
- და უბრძანა იესომ და განვიდნენ სულნი იგი არაწმიდანი კაცისა მისგან და შევიდნენ ღორებში. და კოლტი იგი ღორებისა რომელიც იქნებოდა ორი ათასამდე მიაწყდა კბოლესა მას ზღვისასა და ჩაიხრჩვეს ზღვაში.

- ხოლო მწყემსები გაიქცნენ და შეატყობინეს ქალაქისა და სოფლების მცხოვრებთ. და გამოვიდნენ სანახავად თუ რაი არს, რაც იგი მოხდა.
- და მოვიდნენ იესოსთან და იხილეს ეშმაკეული იგი მჭრელობა, შემოსილი და გონიერი, რომელსაც ჰყავდა ლევონი და შეშინდნენ.
- და მოუყვენ მათ რომლებმაც იხილეს, თუ რა დამართათ ეშმაკეულსა და ღორებს.
- და შეხვეწნენ, რათა წასულიყო იგი მათი საზღვრებიდან.
- და აღვიდოდა რა იესო ნავსა, სთხოვა რომელიც იყო ეშმაკეული, რომ გაყოლოდა თან.
- და არ მისცა ნება და უთხრა: წადი სახლსა შენსა შენთან და უამბე მათ, რა ჰქმნა უფალმან და როგორ შეგიწყალა შენ.
- და წარვიდა იგი და იწყო ქადაგება ათქალაქში, რაც გაუტყუა მას იესომ. და უკვირდა ყველას.
- და რაჟამს იესო ისევ გამოდდა გამოვიდა იქიდან, მოგროვდა მასთან დიდძალი ხალხი. და იყო იგი ნაპირსა ზღვისასა.
- და აჰა, მოვიდა მასთან სინაგოგის ვინმე მთავარი სახელად იაროსი და ნახა იგი და ჩაუვარდა ფეხებში.
- და ევედრებოდა ფრიად და ეუბნებოდა რამეთუ: ასული ჩემი სიკვდილის პირასაა. წამო და დაადე ხელნი შენი რათა გადარჩეს და იცოცხლოს.
- და წარვიდა იესო მასთან და მიყვებოდა ხალხი მრავალი და ზედ აწყვდებოდნენ მას.
- იყო იქ დედაკაცი ვინმე, რომელსაც სისხლდენა სტანჯავდა თორმეტი წელიწადი.
- და მრავალი ტანჯვა გადაეტანა მრავალი მკურნალის ხელში, და დაეხარჯა ყოველივე რაც ჰქონდა, მაგრამ არაფერს ეშველა და უფრო უარესად გამხდარიყო.
- და ვითარცა გაიგონა იესოს შესახებ, მივიდა მასთან ზურგითა მხრიდან ხალხში და შეეხო სამოსელსა მისსა.
- რამეთუ ამბობდა გულსა შინა თვისსა: თუნდაც მარტო მის სამოსს რომ შეეხო, მოვრჩები.
- და ვითარცა შეეხო, მეყვსეულად შეუწყდა სისხლდენა და ტანმა უგრძობა, რამეთუ განიკურნა სენისაგან.
- ხოლო იესომ მეყვსეულად, თავის თავად იგრძნო თავისი ძალის გასვლა და მობრუნდა ხალხისკენ და იკითხა: ვინ შეეხო სამოსელს ჩემსა?
- ხოლო მოწაფეებმა უთხრეს: ჰხედავ, რამეთუ ხალხი ზედ გაწყვდებოდა, ხოლო შენ ამბობ: ვინ შეეხო მე?
- და მიმოიხედა, რომ ენახა ვინ გააკეთა ეს.
- ხოლო დედაკაცი იგი, შემინებულნი და აკანკალბულნი, იცოდა რა რაც დაემართა, მივიდა და დაემხო წინაშე მისსა და უთხრა ყველაფერი სიმართლევ.
- ხოლო იესომ უთხრა: ასული! სარწმუნოებამან შენმან გაცხონა შენ, წადი შინ მშვიდობით და იყავ მორჩენილი შენი სენისაგან.
- და ვითარცა იგი ამას ეუბნებოდა, მოვიდნენ სინაგოგისა მთავრისანი და უთხრეს: ასული შენი აღესრულა, რატომდა აწუხებო მოძღვარს?
- ხოლო იესომ ვითარცა გაიგონა სიტყვანი ესე, რომელსაც ეუბნებოდნენ, უთხრა სინაგოგისა მთავარსა: ნუ გეშინია, არამედ გწამდეს მხოლოდ!
- და არავინ გაიყოლია თან გარდა პეტრესი და იაკობისა და იოანესი — იაკობის ძმისა.
- და მოვიდა სახლსა მას სინაგოგისა მთავრისასა და ნახა შფოთი და ტირილი და დაღლისი დიდი.
- და შევიდა და უთხრა მათ: პატარა ეგე არა მომკვდარ არს, არამედ სძინავს.
- ისინი კი დასცინდნენ მას. ხოლო მან გამოყარა ყველანი, და მიიყვანა დედა და მამა ბავშვისა და მოწაფენი თვისნი, სადაც ეცხვრა მკვდარი ბავშვი.
- და აიღო ბავშვის ხელი და უთხრა მას: ტალითა კუმ! რომელიც ითარგმნება: შენ გეუბნები გოგონავ, აღდექი!
- და მეყვსეულად აღდგა გოგო და დაიწყო სიარული, რამეთუ იქნებოდა თორმეტი წლისა. ხოლო მნახველინი ამისა განკვირდნენ ფრიად.
- და ამცნო მათ რათა არავის გაეგო ამბავი ესე და უბრძანა, რათა მიეტათ საშუალო მისთვის.

გამრძელები იქნება

- რუსულ და ახალ ქართულ თარგმანებში აქ ემატება „და სხვა გულისთქმანი“.
- ბოლო ეს წინადადება ადიშის ოთხთავში არაა.

თავი 5

- და მოვიდნენ მეორე ნაპირსა ზღვისასა — დადარინელთა ქვეყანაში.
- და ვითარცა გადმოვიდა იგი ნავიდან, მეყვსეულად შემოეგება საფლავებიდან გამოსული კაცი, რომლისა თანა იყო სული არაწმიდა;

იყო და არა იყო რა (ზღაპრად გაუგონარი ზღაპრებიც თავიდან ზღაპრებით იწყებოდნენ), იყო ერთი მეწისქვილე. ჰყავდა ცოლი. სოფლიდან მოშორებით, წისქვილში, ცხოვრობდნენ. არ ჰყავდათ შვილი და, რაღა თქმა უნდა, ჯავრით აღარ იყვნენ. ევედრებოდნენ ღმერთს და ხატს, ერთადერთი შვილი მაინც მოგვეციო. როგორც ზღაპრებშია, უსმინა ღმერთმა. მაგრამ ეს როგორ მოხდა: როცა დასაფქვავე დაფქვეს და მეწისქვილე გავიდა ღამით მიშვებული წყლის ჩასაკეტად, ხედავს, რას ხედავს... აგერ მოტივტივეებს წითელი, წითელი ვაშლი. ვაშლი კი უნახავს მეწისქვილეს, მაგრამ ამნაირი - არაფერი. მეწისქვილე რომ ღორმუცელა ყოფილიყო და მარტო შეეჭამა, არ ვიცი, რა მოხდებოდა, ან - ფულის მოყვარული და გაეყიდა, რა თქმა უნდა, ვინც შეიძინდა, უფლისწული, ალბათ, იმას შეეძინებოდა. გაუყო ცოლს (შუაზე გაჭრილი ვაშლი, მოგეხსენებათ, ერთმანეთს ჰგავს). მით უმეტეს, ვაშლი მთლიანად ცეცხლივით წითელი იყო და ხელისგულზე დადებული ცოლს მიუტანა - აირჩიეთ. ცოლი ეცადა უფრო მოძვრო აელო, მაგრამ ვაშლი ზუსტად ტოლად იყო გარწყული.

გავიდა ცხრა თვე და სწორედ აქ მოხდა ზღაპარში გაუგონარი ამბავი - მეწისქვილის ცოლს უფლისწული შეეძინა. ახლა, საიდან მიხვდნენ ამას. მეწისქვილე შავგერმანი კაცი იყო, წარბებგაფანჩული, კიბრით ცხვირი ჰქონდა, ჯაგარივით წვერ-ულვაში, ჯამბივით ყურები, ნიჩაბივით ხელები...

ცოლს: ხეში შავი თმა, ბადრიჯანივით ცხვირი, დამაშრული ხელები და ამ სიკეთესთან ერთად, კოჭლიც იყო.

უფლისწული დაიბადა... რა დაიბადა!..

ცისფერი, ცისფერი ფირუზი თვალები, ხუჭუჭა ბაჯაღლო ოქროს თმა, მარწყვივით აღუბული სახე, იდიმბა - მზე იცინის... ზღაპრად გაუგონარი უფლისწულია.

მეწისქვილეს მამამისის სახელი უნდოდა დაერქმია, მაგრამ რაღა ექნა და ისევე მზეჭაბუკი დაარქვა. დაბადებისთანავე რაღაც ძონძებში და ჯვარლოებში შეახვიეს. შეახვიეს და ეს კონკები და ძველმანები დიბა-აბლასად იქცა! ტომარა, დაკერებულ-დაბუჯული ტომარა - სირმით ნაქსოვად. ჩასვამ დატყევილი, დაჟანგულ ტაშტში და ოქროდ იქცევა. მაგრამ ზღაპარში გაუგონარი რამ ხდება: როგორც კი მოაცილებს, ძონძი ძონძია. დაბან, ჩაწვენი აკვანში, აკვანი იქცევა ოქროდ. მოიხედავ და ტაშტი ის ოხერი და მუდრეგია, რაც იყო.

მეწისქვილე საგონებელში ჩავარდა. ის ტომარა და ტაშტი მოსირმულად და ოქრომკვდად რომ რჩებოდეს, კიდევ ჰო, მაგრამ ბავშვს სულ ხელში ხომ არ ეჭირება ტომრები და ტაშტები, ხვიმირები და დოლაბებიო. არადა, ოქროს ტაშტი კიდევ ჯანდაბას, მაგრამ ოქროს დოლაბი ვერაფერი შვლია. დასაფქვა-ვად არ ვარგა და დოლაბი სხვა რისი მაქნისია. არადა, ოქროდ რომ დარჩეს, ათი ათას დოლაბს იყიდის, მაგრამ აი-ლებს ხელს და ქვაა.

წამოიზარდა, სახეზე სამოთხის ვარდი უყვავის. იცინის - მზე იბადრება - იცინის. ტირის - მარგალიტები სცივია, მაგრამ მოსწყდება თვალთავან და ცრემლია. ჩაეხუტება დედას ეს ცხვირბუკა, მეწისქვილის კოჭლი ცოლი დედოფალია. გადმოხედავს ზვიადად მეწისქვილეს - მიწაში უპირებს ჩამგრენას. მამას ჩაუჯდება კალთაში, მამა აღზევდება მეფედ - ქვეყნის მპყრობელია, მეწისქვილის ჯოჯო ცოლს გაუყადრებს თავს?! არადა, ბავშვი, სანამ პატარაა, ან დედასთანაა და ან მამასთან. ხან ერთია მეფე და ხან მეორე - დედოფალი, ერთმანეთი თვალთ არ დაენახვებათ. კიდევ კარგი, წისქვილი სოფლიდან შორს

იყო, სოფლის ბავშვები ახლომანლო არ ჩანდნენ, თორემ ეს მზეთუნახავი უფლისწული რომ ტიტლიკანა, მურიან გოგობიჭებში გაერეოდა, არ ვიცი, რა მოხდებოდა. რაკი მეწისქვილეს ამ ძელური წისქვილის მეტი არაფერი ებადა, ცალ მხარეს, კედელზე, პატარა ოთახი ჰქონდა მიხუზულავებული და ბიჭი ხშირად იქ ან მარტოდმარტო თამაშობდა, ან ეძინა. დედ-მამა კი წისქვილის გრუტუნში ცეცხლისპირას ისხდა და დანაკბილს არ უხსნიდათ: რა ვუყოთ, რომ წამოიზარდა, ან ჩვენ რომ აღარ ვიქნებით, რა ეშველებაო. არადა, როგორ გინდა სოფელ-ქვეყანას დაუმალო კაცის შვილი. არ დაუმალავ და ასე უზღაბრულესი უფლისწული რომ გაუშვა, მეწისქვილეს ვინ დაგიყენებს, წამოავლებენ ხელს და მეფესთან გააქანებენ. მე-



რაკებოდა და როგორ ექნა, რომ ისარი ესროლა! არადა, მამის სიტყვასაც ვერ გადავიდოდა. შვლებიც ხედავდნენ, რომ მათ ეს უმშვენიერესი არსება არ ერჩოდა და როცა ის ტყეში მიდიოდა, ბუჩქებიდან და ხის ძირებიდან უცქეროდნენ, უხაროდნენ...

დაინახა მზეჭაბუკმა შველი, გადმოიწვილა ისარი, მოზიდა, მაგრამ შველი დგას ორად გაყოფილი ხის ძირში და უქცერის, არც უფროსის და არც არაფერის, თვალეში შემოსცქერის ალტაცებული. როგორ გინდა, რომ ესროლო და ჩაუქრო ნათელი! არადა, მამასაც რა უთხრას, ისედაც ვერაფერს ეხმარება, რასაც ხელს მოკიდებს, ოქროდ იქცევა და წისქვილში ოქრო ვის რა ჯანდაბად უნდა!

დახუჭა უფლისწულმა თვალები და



მეწისქვილის შვილი - უფლისწული

ფეს ისედაც თორმეტი უფლისწული ჰყავს, ერთმანეთს ხოცავენ - ტახტი არა მე და არა მეო. ეს რომ იქ დაინახონ, მაშინვე თავს მოჰკვეთენ, ეს მეცამეტე გოჭი ვილააო. ამის გარდა, მეწისქვილეს მეწისქვილე შვილი, წისქვილის მემკვიდრე უნდა და არა ტახტის.

ეხვეწებან ღმერთს და ხატს, კი, დიდი მადლობლები ვართ, რომ შვილი გვარგუნე, მაგრამ გვიქენი სიკეთე და ბარემ გაგვიმეწისქვილეო. ღმერთს გაჩენადეთუ შეუძლია რაიმე, თორემ რომ გაჩნდება, მერე იმ დალოცვილსაც უჭირს თავისი გაჩენილის გადაკეთება. მაგალითად, რაღაცა შეეშლება იმ კურთხეულს, გააჩენს კუზიანს და მერე სამარის მეტი ვერაფერი გაასწორებს.

არადა, იზრდება და იზრდება უფლისწული, ცისკრის ვარსკვლავს აბნელებს, ალიონზე წისქვილის გვერდზე მიხუზულავებულიდან რომ გამოიხედავს. მეწისქვილეს ცისკრის ვარსკვლავი საათის მაგივრობას უწევს და სულაც არ უნდა მისი შვილი აბნელებდეს. არც ის უნდა, მისი ცოლი დედოფლობდეს და თვალები აბრიალოს. არც თვითონ მეფის გულზე დადობა სჭირდეს და წისქვილზე და საქმეზე გული აიყაროს ან ცოლს ოქროს კვერთხით თავი გაუხეთქოს. ნანატრ შვილს როგორ მოიძულე, თორემ უსაშველო აქვს გაჩენილი. აგერ, თექვსმეტი წლის კაცისშვილს დამწყვედულს როგორ იყოლიებს და ახლოს არავის წააქარებ?

იცოცხლე, მაშინ უღრანი ტყეები ბე-

რი იყო და იფიქრეს, იქნებ უსიერში ინადიროს, მეფეებს და უფლისწულებს ნადირობა უყვართ, ნანადირევის შეჭამანი მაინც გვექნებაო. გაუკეთა მამამ მშვილდ-ისარი. ცხენი არ ჰყავდა, მაგრამ რა ეჩქარება, ფეხით იაროს, დღე აქ არავინ დაინახოს, გვიან ღამით დაბრუნდესო და გაუშვა. ასწავლა, საით უნდა წასულიყო და ენადირა. აქეთ, სოფლებისკენ არამც და არამც არ უნდა გაევილო.

პირველ დღეს ვერაფერი, ხელცარიელი დაბრუნდა. მეორე დღეს კურდღელი მოეკლა და მეწისქვილეს და მის ცოლს მშვენიერი ვახშამი ერგოთ. მესამე დღეს არჩვის მწვედები შეამიშხინეს, მეოთხე დღეს - ირმის, მერე და მერე გარეული ღორის სუკები და ჯიხვის ბეჭი...

არა უშავს, აეწყო საქმე, მოდის ნანადირევი, მინდის პური და მჭადი აქვს, მოითქვა სული დედ-მამამ.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ მეწისქვილეს აკვირვებს, რომ მის შვილს არც ერთხელ ნანადირევი შველი არ მოუტანია. არადა, შვილის მწვადი მოენატრა. შველი ზოგჯერ წისქვილიდანაც კი დაუნახავს ტყისპირზე. ჯიხვი სადღაც მწვერვალებში იყო, მის შვილს ისიც კი მოჰქონდა და შველი - არა და არა. ერთ დღეს დაბარა - დღეს შვილის ნანადირევი თუ არ ვჭამე, პირს არაფერს დავაკარებო. მზეჭაბუკი ისეთი ბიჭი არ იყო, მამისთვის ეთქვა, თუ არ შეჭამ, ღმერთმა ნურაფერი გაჭამოსო.

წავიდა, მაგრამ გულშემოყრილი.

შველებს იგი ყოველდღე ნახულობდა, მაშინ მის მეტი რა იყო, მაგრამ ისე მოხიბლული იყო, დაიას ებახნა, ელაპა-

ხელაკანკალებულმა ესროლა. ესროლა და ისეთი კენესა მოესმა, კაკალი გული ჩავარდა. გაახილა თვალი: დაჭრილი შველი სამ ფეხზე მიხტის და მიდის. გამოეკიდა, მაგრამ ისევ ისრის სასროლად ვედარ გაიმეტა და იფიქრა - იქნება სისხლისგან დაიცალოს და მოკვდეს, მერე დალაპებულში წავილებ, რომ მაგის ღია თვალები არ დავინახო. მაგრამ შველი მიკვნის და მიდის...

იარეს, იარეს, მზეჭაბუკმა არც კი იცის, საით მიდის და აგერ, ტყე გათავდა, მინდორია. მინდორის თავში ძველი, ჩათელილი ღობეა და ღობის შიგნით - ისეთი დახურული ფაცხა. მიაშურა საბრალო შველმა, ღობეს გადაევიდა, ერთი კიდევ ამოიგინა და დაეცა. მაშინვე გაიღო ფაცხის კარი და გოგონა გამოვარდა. ღობის ძირში ჩაკეცილი შველი რომ დაინახა, ლოყებზე ხელი შემოიკრა და აქეთაც დაჩნდა ოთხი თითი, იქითაცა. მივარდა ატირებული, ჩაიკრა გულში, ჩამოიფხინა ისედაც საკერებელ-დადებულ კაბაზე ოთხი თითის სიფართე ნახვევ და ჭრილობა შეუხვია.

- რატომ ხელები არ გაუხმება, ვინც ეს ჩაიდინაო! - გადაიარა საწყალი.

ვერ ვიტყვი, გოგო ზღაპრული სილაპაჯის იყო თუ არა, მაგრამ უფლისწულს გოგო თვალთ არ ენახა და ქალი ხომ ყველა თავისთავად ღამაზია. მოინდა თვალცრემლიანმა გოგონამ, რას ხედავს: აგერ, ღობეს უფლისწული არ მოსდგომია! იცოცხლე, დაფრთხა საწყალი და გაქცევა დააპირა, მაგრამ ვერც შველი მიატოვა, - დაკლავენ და შეჭამენო. დავარდა საბრალო მუხლებზე და უნდოდა ჭვინტიან, მოვარაყებულ წა-

ღებზე მოხვეოდა მზეჭაბუკს, მაგრამ მათ შორის ღობე იყო და შეევედრა:

- ობოლი ვარ, უღელმძღო, ეული, შვლე-ბი არიან ჩემი და-ძმები, ჩემი სიხარული და თვალისჩინი, ნუ წამართმევ ნათელს, ისედაც უიმედოს ნუ გამაპარტახებო.

- არაო, - ატირდა მზეჭაბუკი, - მამაც რომ გავანაწყენო, უბატონოდ ხმის გამცემი არა ვარო.

ხედავს გოგონა, უფლისწულის თვალთაგან მარგალიტები მოგორავს. უფლისწული რომ იყო, ეჭვი არ ეპარებოდა, მაგრამ თუ თვალთაგან მარგალიტებს აფრქვევდა, ეს არ იცოდა და შიშით უკან დაიხია.

- ნუ წახვალ, ერთხანს შენთვის მაყურებინეო, - შეეხვეწა უფლისწული.

გოგოს შერცხვა და ლოყაზე ხელის შემონაკრავი ისევ აუწითლდა. არადა, ისე ფერმკრთალი და გალუული იყო.

უყურა, უყურა უფლისწულმა და თვალი რომ ვერაფრით მოაშორა, თვითონაც არ იცოდა, რა სთხოვა. რაღაცა ამოილულულა და მერე, გოგონამ რომ ლოყაზე ისევ ხელი შემოიკრა და იუარა - უფლისწულის ცოლობა კი არა, ჩემისთანა გაჭირვებულს მეწიქვილის და მელორის შვილიც არ მითხოვსო, - მაშინ მიხვდა, ცოლად გამოემყვო, შეხვეწნია.

- მეწიქვილის შვილი ვარ, რა უფლისწული, რის უფლისწული... - უფიცა და უმტკიცა, მაგრამ გოგონა მთლად გადაიარა:

- ტყუილს და ფლიდობას, უფლისწული რომ უფლისწულია, იმასაც არ ვაპატიებ და თუ გინდა, ახლავე ჩამომახრჩონ, შენი ხმის გამცემი არა ვარო! - დაავლო ხელი დაჭრილ შველს, აიხუტა გულზე, შევიდა ფაცხაში და კარი მიიხურა.

დარჩა უფლისწული თვალატირებული. დაბრუნდა შუალამეზე წისქვილში. არც ნანადირევი, აღარც კაცი... ადამიანისფერი არ ადევს, სახეზე რომ სამოთხის ვარდი ეფინა. თქვენი მტერია, დაიხაფრა დედ-მამა! რა გინდა რომ ქნა, ურტყი თავი კედელს, პირზე მზე რომ უცინოდა, შავი მარგალიტის ცრემლები ჩამოსტირინა.

აბა, დღეს, აბა, ხვალ, ამ კვირაში, იმ კვირაში... გამოულოცეს, უწამლეს, ევერნენ, ებოდიშნენ; არაფერი გეტკინათ, მიდის კაცისშვილი ხელიდან. დედამ კი ამოიკვნესა, იქნება მკურნალი მოგვეყვანაო, მაგრამ მამამ: ჯერ ერთი, მაგათი მორჩენილი ავადმყოფი სად გინახავს და, ამის ვარდა, რომ გაიგებენ, უფლისწულია, დავილუბებთ, წავგვართმევენ და თავს მოჭრიანო.

ატირდნენ საწყლები, წისქვილის ქვეშ გამდინარ წყალს ერთვის მათი ცრემლები.

მზეჭაბუკმა დიდი ხვეწნა-შუდარის შემდეგ, როგორც იქნა, ამოიკვნესა: ასე და ასე, დაჭრილი შვლის კვალს რომ გავყვი, ტყისპირა ქოხთან გოგო დავინახე და მისი სიყვარულით ვკვდებითო.

- მაინცდამაინც შვლის მწვადი რომ მოინდომე, შენ დავგულუბეო! - ეცა ცოლი ქმარს.

- ვა, შე კაციო! - ამოითქვა სული

მეწიქვილემ, - ის გოგო ვიცი, მამამისიც ჩემი კარგი მეგობარი იყო და დედამისიც მასხოვს, ახლავე მოგვკრი, არაფერი იდარდო.

მაშინვე გაიქცა სოფელში, მიადგა იმ ობლის ქონს. აგერ, შველს შესორცე-ბია ჭრილობა და ისეთს დაკუნტრუ-შებს, შენი მოწონებული. გოგონაც გამოეგება მამის მეგობარს. ისე გაუხარდა, თითქოს მშობლები გაცოცხლებოდეს. მიკითხვა-მოკითხვა, აქეთურ-იქითური და, ბოლოს, სტუმარი გამოუტყდა: რძლად უნდა წაგიყვანო. ატირდა გოგო სიხარულით, შენ მამაჩემს ძმასავით უყვარდი, რძლად კი არა, მოსამსახურედ წამოგყვები, შენი შვილი, ჯოჯოცო რომ იყოს, თავზე უფრო მიყვარებაო.

- ახლავე უნდა წამომყვი, ნანატრი ვაჟი ხელში გვაკვდებო.

- კი ბატონო, მაგრამ მე რომელი მკურნალი ვარ? - გაუკვირდა ობოლს.

გოგო ქონებით იყო ღარიბი, თორემ ჭკუით კი არა. წაყოლით მაინც წაჰყვა; აბა, მამისტოლა კაცს როგორ გააწბილებდა.

მივიდნენ, გადაირია სიხარულით მეწიქვილის ცოლი, ფეხებში ჩაუვარდა - შვილი გადაიჩინეო. შეიყვანეს ხუხულაში. ხედავს გოგო, რას ხედავს: დიბა-ატლასში წევს ჩამომდინარი უფლისწული და მისი დანახვისთანავე ფერი დაუბრუნდა, გაეღიმა - მზე იცინის. რა თქმა უნდა, იცნო მზეჭაბუკი. მაშინვე დაფრთხა და უკან გაეკარდა. თქვენი შვილი მაჩვენეთ, რომელი მეფის ქალიშვილი მე ვარ, ზღაპრულ მეფისწულს რომ წარმიდგინეთო.

- ესაა ჩვენი შვილიო, - ეგონათ გაახარებდნენ: რა ბედნიერებას გაღირსეთ, ამისთანა საქმრო გვყავს შენთვისო.

- მამაჩემის და დედაჩემის ტოლი ხართ, მაგრამ ტყუილს და ფლიდობას ვერც თქვენ ვაპატიებთო, - დაჰკრა ფეხი და სახლში გაიქცა.

რალას შვრები ახლა! იმ დამესვესაიდუმლოდ ეახლა დედ-მამა. უფიცეს, უმტკიცეს, ჩვენი შვილია, მეტი არავინ გაგვარჩნია, შენ იქნები ჩვენი მსხველი, ჩვენი გადამრჩენელი, შენს ჭირს მიწაზე არ დავაგდებთო. მაგრამ გოგონამ არც კი მოუსმინა. მეწიქვილის შვილი მეწიქვილის შვილი უნდა იყოს, თქვენ ვილაც უფლისწული შემოიხიზნეთ, მაგ არამზადას ქალი მონდომებია და უნდა ხასად დამისვასო! - ქვა აავლო და თავი შეუშვია, - წავიდეს და ხასები და მეძაგები სასახლეში მოიკითხოსო. მე პატიოსანი მეწიქვილის, მელორის და მეჯოგის ცოლობა მირჩენია გათახსირებული მეფისწულების ნაცნობობასო.


- კი, მაგრამ ზღაპარში მაინც არ გაგიგონია, აბესალომმა რომ ეთერი შეირთო? - ჰკითხეს მზეჭაბუკის გამწარებულმა მშობლებმა.

- რომ გამოგონია და ვიცი, ამიტომ ვამბობ. ის აბესალომი იყო: ვის გინდათ ქალი ეთერიო, რომ გამოაცხადა და მურმანს მიუგდო. მე მეფის კარზე სათამაშო ბურთი არა ვარ! - გაასავსავა ხელები ობოლმა.

წამოვიდნენ მეწიქვილე და მისი ცოლი დამამათებლები და შვილს ულოცეს და უჩინინეს: რად გინდა მართლაც ეს ობოლი და პარტახი, შენ თვით მეფის ქალიშვილიც წამოგყვება, შენც ბედნიერი იქნები და ჩვენც სულს მოვითქვამთო. მაგრამ მზეჭაბუკს უყვარს ის გოგო და უკითხე მეგვს სახარება, აყარე კედელს ცერცვი. მიდის ისევ უარ და უარ... ეცლებათ მშობლებს ხელიდან ერთადერთი თვალისჩინი.

პირდაპირ ზღაპრად გაუგონარი ამბავი ხდება - უფლისწული ობოლი გლეხის გოგოსთვის სულს ლეგს და გოგოს დაუქინია: მეწიქვილე, მელორე და მეჯოგე მირჩენიაო.

არადა, მზეჭაბუკი დადნა და დაილია, სულ გაუშრა ის კეთილშობილური ცისფერი სისხლი, დღეს-ხვალ სულს დალევს. მოთქვამს დედ-მამა, გოდებს, მალა ღმერთს არ აყენებს, მიწაზე - სუ-



ლიერს და უსულოს.

იმ დამეს უფლისწული ვერ გააღწევდა, წყალ-წყალ საეშმაკოდ და სამამაძლოდ ეშმაკი რომ არ ატენილიყო. რაღაცა ეშმაკად წისქვილის ქვეშაც შეიხედა, გასართობს და სამადვალაკოს ეძებდა (თუმცა, ეშმაკი საეშმაკოს და სათვალსეიროს როდის არ ეძებს). ბორბალზე მიშვებული წყალი რომ დაინახა, გაუხარდა და გადაიხარხარა: მოდი, ამ ღარზე ჩამოვსრიალდები, მერე ფირფიტებზე შევხტები და კარუსელივით მატრიალებსო. ასეც ქნა, რა თქმა უნდა.

მოსრიალებს ღარში, შეხტება ფირფიტებზე, ტრიალებს, ტრიალებს, ხითხითებს, კვდება სიცლით. თავბრუ დევს, იმდენი იზრიალა და იცეკვა. ის იყო, წასვლას აპირებდა, რომ ისეთი საბრალო კენესა მოესმა, ეშმაკსაც კი გული ჩასწყვიტა. მიჰყვა კენესა-გოდების ხმას და შემდგარ წისქვილში.

დამხობილან მეწიქვილე და მის ცოლი, თავს ერთმანეთს ახლიან. ეშმაკს ცოლ-ქმრის ერთმანეთზე თავის რტყმისა და ვაების მეტი რა უნახავს, მაგრამ კენესა, სადღაც, კედლის იქიდან ისმის. პირდაპირ კედელში გაძვრა, სახურავზე რომ არ ამძვრალიყო და დრო არ დაეკარგა. ხედავს, რას ხედავს - მომაკვდავი უფლისწულია, ჩონჩხად ქცეული, მოსირბულ ბუმბულში გამდინარი. ეშმაკსაც კი ძმასავით შეებრალა.

- ვაი, შე უბედურო! - ატირდა.

- მიშველე, ვკვდებიო! - ამოიგმინა მზეჭაბუკმა. ეშმაკი იყო თუ ანგელოზი, ამის გარჩევის თავი სად ჰქონდა.

- მე ეშმაკი ვარ, შე შავდღიანო, რომ რაიმე გიშველო, სული უნდა მომცეო, - შეწუხდა საწყალი.

- გქონდეს, რა ჯანდაბად მინდა, ხომ ხედავ, მაინც მხდებო.

- მითხარი, რას ითხოვ, მალე ქენი, თორემ საცაა ალიონიც დაჰკრავს და სული გაგძვრებაო.

- მეწიქვილე... მეწიქვილე მამცეი, მეტი შენი არაფერი მინდა.

გადირია ეშმაკი, ადამ და ევადან იცნობდა ადამიანს, იცოდა, რა კრული და გაუმაძღარია კაცის გული და უფლისწულს რომ მეწიქვილეობა მოენდომებინოს და ამაში სულიც არ დაეშურებინოს, ეშმაკის მასხოვრობის პატრონს მსგავსი რამ ზღაპარშიც არ გაეგონა.

- შე კაცი, მაგას რა უნდა, მე მეგონა, მამაშენის და დედაშენის გამეფებას და გადედოფლებას მთხოვდი... - ერთი გადასახა უკულმა პირჯვარი და ძონძებად არ იქცა ეს შენი ბუმბულ-დიბა-ატლასი?! და არ გაახილა თვალები ამ შენმა სულთმობრძავმა უფლისწულმა?! მაგრამ სადღა უფლისწული! ცხვირი აქვს ბებერი ბადრიჯანივით, ყურები თეფშებივით გაუხდა, თმა - ჯავარივით, კანი დაეშაშრა და დაუსკდა, აუტყდა ქექვა, აფურთხებს და ღრიალებს წისქვილივით. წამოხტა ლოგინიდან. დახტის და დაძუნძულდება, ბუქნავს სიხარულით, მთლად აამტუტა იქაურობა. გადაეხვია ეშმაკს, კოცნის, მთლად დალორბლა საწყალი: უნდა მიშველო, ამ შაბათს ქორწილში უნდა მეწვიო. წისქვილიდან მშობლები გამოცვივდნენ. დამფრთხალმა სატანამ ცვითა თავი კედელში და

წყალში გადაეშვა.

ხედავს დედ-მამა, რას ხედავს! აგერ, ვილაცა დათვივით დაძუნძულდება, გახარებული ღრიალებს, აღარც მათი უფლისწული შეილია და აღარ მისი სამეფო ლოგინი.

- ვინა ხარ, კაცი, შენ! - შეჰკვივლეს ერთხმად.

- მე ვარ თქვენი შვილი მზეჭაბუკი!

- მზეჭაბუკი კი არა, ვილაც ოხერი ხარ, ამისთანა გონჯი არც გვინახავსო.

- რაც თქვენ ხართ, ისა ვარო!

- იდახის გახარებული, ცას ხელი უწვდება, - აბა, დედაჩემო, მამაჩემს შეხედე და მერე მე შემომხედეო!

შეხედა დედამ პირწავარდნილი ახალგაზრდა მეწიქვილე.

- აბა, მამა, დედას შეხედე და მერე მე შემომხედე!

შეხედა მამამ - ქალი რომ იყოს, პირწავარდნილი მეწიქვილის ქალიშვილი იქნებოდა.

ერთი დაწყევლა კი დასწყდათ გული, რაც უნდა იყოს, უფლისწული შვილის მაგივრად ხრონი მეწიქვილე შერჩათ ხელში.

ის-ის იყო, ინათა კიდევ. გაეკარდნენ ცოლი და ქმარი და ობოლ გოგოს ახარეს: უფლისწული გავისტუმრეთ, ახლა ჩვენს შვილს უნდა შევართოთო.

- კი მაგრამ, მაშინ რომ თვალთ არ მაჩვენეთ და არ ვიცნობ, ასე, ვინც ხელს დამიქნევს, ყველას რომ გავყოლოდი, თქვენი რძლობა არ მომიხერხდებოდა. რა ვიცი, ჩემზე ლამაზი რომ იყოს, ზვიდან ცქერას ვერ ავიტან, ჯერ უნდა მანახოთო.

- რა ნახვა უნდა, ჩვენ შეგვხედე, გაჭრილი ვაშლივით ჩვენი ალი და კვალაო.

- თუ ასეა, კი ბატონო, თქვენ დედ-მამა და მე შვილიო.

წამოიყვანეს. თუ რაიმე გააჩნდათ, გაიძვრეს ტყავი და ქორწილში მთელი სოფელი დააბატიყეს, ვისაც მათთან საფქვავე დაჰქონდა. ხელცარიელი არავინ მოსულა, ვისაც რა გააჩნდა, მოულოცეს: შინაქსოვი ხამი და დარაია, ძუძუნაწყვეტი ბატკანი, მეცამეტე გოჭი, ფეხმოტეხილი წიწილა... ერთ ღარბ ნათესავს, ბუქნა ძაღლის მეტი რომ არაფერი გააჩნდა, უნიშნო, ურწყვი შავი ბრმა ლეკვი მოუყვანა.

ქორწილს ეშმაკიც არ დაჰკვლია. რომ დაინახა, ყველა გაჭირვებულს რაღაცა მოჰქონდა და უძღვნიდა, შერცხვა. გოჭი და ქათამი იმ მუდრეგს არ ჰყავდა და ხამსა და დარაიას ის არ ქსოვდა. რაღა ექნა, მზეჭაბუკის სული ჰქონდა, აილო და მიულოცა: მეწიქვილე რომ ყოფილიყო და მეფისწულობა ეთხოვა, კიდევ ჰო, უფლისწული იყო, მეწიქვილეობა მივეცი და სინდისის ქვეშ რა სასყიდელი მეკუთვნოდაო.

ახლა, ერთკვირიანი და ერთთვიანი ქორწილი არ ჰქონიათ, მაგრამ დილაძდე გვარიანად მოილხინეს. ეშმაკიც კი დათვრა და მღეროდა:

ქალი მოგვყავს ნათელიო, მოგვინათეთ სანთელიო!

არადა, სიფხილეში სანთლის და ცეცხლის თოფივით ეშინოდა, მაგრამ გადაჭინჭყლებული მაყარი რას იტყვის და რას იმღერებს, შენ გაიგებ?

იყვნენ და ცხოვრობდნენ ბედნიერად.



ძალი და მეგობარი



ტინა
იოსელიანი

ზღაპრად გაუგონარი რამ მოხდა - ძალი და მეგობარი დაშორდნენ. დამეგობრდნენ და ისე შეიყვარეს ერთმანეთი, ძალი მეგობრის ჭირს მიწაზე არ აგდებდა. მეგობრს ძალი თვალში რომ ჩავარდნოდა, თათს არ ამოისვამდა.

მეგობრის სიამოვნება, მოგვსენება, მსუქანი, ღუმინი ცხვარია, ძალისა - პატრონის ერთგულება და ფარის მწყემსვა-დარაჯობა.

ახლა, რა გამოვიდა: თუ მეგობარი ხარ, ფარას რომ მოადგება, უკეთესი ცხვარი უნდა აურჩიო. თუ პატრონთან არ გინდა პირშავად დარჩე, თვალმოუხუჭავად უნდა იდარაჯო, რომ ფარას უდღეური, კოჭლი პატკანიც არ დააკლდეს.

რას აპირებ?

პატრონი პატრონია, ვინც გაზარდა და ვინც თავზე ხელს უსვამს, აჭმევს, ასმევს და სიბერეში უნდა შეინახოს. მაგრამ მეგობარიც ხომ მეგობარია, მისთვის უჩინარი უნდა გააჩინო. აგერ კი ამოდენა ფარა დაგიდის და მადააშლილი მეგობრის ვერაფერს იმეტებ?..

თქვენი მტერია, ძალი საგონებელში ჩავარდა! ყვეს, ღმუის, ყმუის, დამეძილი არა აქვს და დღე მოსვენება, მაგრამ რამდენიც გინდა, იმდენი ითავცემე. ჭეშმარიტება ერთია: მეგობრს ცხვარი უნდა, პატრონს - ერთგულება და ფარა.

ბოლოს და ბოლოს, ძალიმა ესლა იღონა: მოდი, ნახევრად ვიშმშილებ, მეგობრს ლუკმას გაუყოფი, იქნებ ცხვრის ჭამას თავი დაანებოს და ისე ვიმეგობროთ, პატრონს არ მაღალატებიინოსო.

ასეც ქნა. თავისი წილი პურის ნატენი და გაზრული ძვლები გაყო და ნახევარი ბუნავში მიურბენინა (რალა თქმა უნდა, მეგობრის ადვილსამყოფელი იცოდა).

მეგობრმა თავი სევდიანად გადააქნია: შენგან ამას მოველოდი?! რა სათქმელია, ძღვენს პირი არ დააკარა.

შეწუხდა ძალი, აწყკვეწკავდა:

- ვიცი, რასაც მოელოდი, მაგრამ პატრონს რა ვუთხრა? ცხვარი დათვლილი ჰყავს და ერთიც რომ დააკლდეს, მიხვდება. ამის გარდა, რალა ძალი ვიქნები, თუ ვიორგულეო!

- დათვლილი რომ ჰყავს, ამიტომ მინდა მეგობარი, თორემ ცხვარი და თხა ტყეში რომ უმწყემსური ეყაროს, უმაღობა კი არ მჭირს. ან, გგონია, მუხლი არ მერჩის, ან კბილი არ მიჭრის?

- ჰო, ვიცი... როგორ არ ვიცი, მაგრამ ღალატით რომ არ შემიძლია...

- უღალატო რომ ხარ და ერთგულეობა იცი, ამიტომ ვართ მეგობრები, ორპირი და ორგული მეგობარი გავიგონა!

- ჰოდა, რა ვქნა, რა წყალში ჩავვარდე? ა, ამის მეტი არაფერი გამაჩნია, ეს პურის ნატენი და გაზრული ძვლებია, თუ გინდა, ხვალ პირს არ დავაკარებ და მთლად შენი იყოს.

- რას ამბობ! მე შენ ლუკმას წავართმევ და ყელში გადამივა?! თუ მეგობრები ვართ, მეგობრები ვიყო!

- მეტი რომ არაფერი შემიძლია, რა

ვქნა, თავში რა ქვა ვიცი, რით გიერთგულო?..

- საქმით, ჩემო ძმაო კეთილო, საქმით. ღალატით ამოვსებული სტომაქი ვის გაუგია!

- ესეც ვიცი, მაგრამ ვერაფერი მოვიფიქრე ისე გაგაძლო, პატრონს არაფერი დაეკლო.

- შენ ყველასთან ერთგული გინდა, რომ დარჩე...

- ამქვეყნად ამის მეტი არაფერი მინდა! მეგობრს დაფიქრდა, დაფიქრდა და თქვა:

- მაშინ... ცხვარს მე მოვიტაცებ...

- მაგრამ, მე რომ მოვიყრუო და თვალი მოვხუჭო, ეს ხომ პატრონის ორგულობაა!

- არა, შენ ნურც მოიყრუებ და ნურც თვალს დახუჭავ.

- მაშინ, რა გამოვა. ნადავლს ვერ გამოგატან და ერთმანეთს დავერიოთ?

- შენი მოვალეობა ხომ სიფხიზლეა?

- თვალზე რულწაუკარებელი.

- ჰოდა, ვინ გუებნება, იძინე და იხვრინეო. იყეფე, იღრინე, იგნაისე, აქეთ ეცი, იქით ეცი და პატრონი დაინახავს, რომ ერთგული ხარ. თუმცა, ეს ხომ ასეცაა. მაგრამ სისხლს ნურც მე გამადენ... ასე რომ, ორივე ჩვენ-ჩვენ საქმეს გავაკეთებთ.

- მაგრამ ცხვარი!.. - დაიბნა ძალი.

- ახლა, ჩემო კეთილო, თუ ცხვრისა და თხის ერთგულებასაც აპირებ, მაშინ რა მოგახსენო...

- არა, ცხვარსა და თხას რას დავეძებ, მაგრამ მეგობრისა და პატრონის ერთგული რომ ვარ...

- ჰოდა, ასეთიც დარჩი.

- კი, მაგრამ ასე არ მოხერხდება...

- მაშინ უკეთესი შენ მითხარი და მოვისმენ, სიბრძნე მხოლოდ ის კი არ მგონია, რასაც მე ვლაპარაკობ...

- მე... ეს იყო... ლუკმა გაგიყავი, რაც გამაჩნია, შენიც იყოს-მეთქი.

- კი, მაგრამ მეც ხომ ვიცი მეგობრობის ფასი და ლუკმა წავართვა?! ამიტომაცაა, შენგან არც პატრონის ორგულობას მოვითხოვ... არც იმას, არ იყეფო, დაყრუვდე და დაბრმავდე-მეთქი...

- მაგრამ, ცხვარი?..

- პატრონს, შენ ამბობ, რომ ცხვარი და თხა დათვლილი ჰყავს?

- კაკალ-კაკალ...

- მაშინ, სათვალავში რომ არ დააკლდეს... რალას იზამს?..

- უბატონოდ ხმას არ გამცემს.

- ჯანი გავარდეს, შენთვის ცხვარზეც უარს ვიტყვი.

- რას მეუბნები! - გაუხარდა ძალი.

- სათვალავი სათვალავად დარჩეს... შენც რამდენიც გინდა, იმდენი იყეფე და იგნაისე... მე ფარაში შემოვიპარები, ცხვარს ღუმას მოვაჭამ და ჩემს გზაზე წავალ.

- უღუმო ცხვარი?!

- ახლა, ჩემო კეთილო, პატრონის ერთგულება კი, მაგრამ თუ ჩემს ღალატს ფიქრობ, ბარემ ისიც მითხარი!

- არა, ღმერთმა დამიფაროს!.. - აყმუეღდა ძალი.

- ჰოდა, „ზოგი ცხვრისკენ, ზოგი მეგობრისკენ“-ო, არ გაგიგონია?

- როგორ არა.

- აბა, ჩემზეც იფიქრე, ბოლოს და ბოლოს, მეგობრები ვართ თუ მტრები?

- მეგობრები... ძმები...

- არა აქვს თხას ღუმა, მაგრამ შენი ორგულობის ბრალია? ნურც ცხვარს ექნება, დაიქცა ქვეყანა?

- ჰო, ღუმა, თითქოს... არც ძროხასა აქვს და არც სახედარს...

- ჰოდა, ახლა, მაგიც თუ შენ დაიბრალე და პატრონის ღალატად ჩათვალე...

- ალბათ... ცხვრის მთლად შეჭმას ასე ჯობს...

- რა თქმა უნდა, ჯობს.

- ცხვარი უღუმოდაც ცხვარი იქნება?..

- ცხვარი ცხვარი იქნება და როცა სათვალავში არ დააკლდება, მეტი მართლა და მართლა, რა ჯანდაბა უნდა!..

გადაწყდა. ამის შემდეგ მეგობრის ფარაში ლუსკუმ ბნელში შემოძვრებოდა და დარაჯი ატეხდა ყეფა-გნაისს. ხან აღმა გარბოდა, ხან დაღმა. მეგობრის მოაგლეჯდა ცხვარს ღუმას და გასწევდა. იღვიძებდა

პატრონი, დაუქსევდა ძალს, მაგრამ რა დაქსევა უნდოდა, ისედაც ცოფს ყრიდა პირიდან. გადათვლიდა ბნელში თეთრ ცხვრებს და პატკანიც რომ არ აკლდა, ერთგულ მეგობარს შეაქეზებდა, თავზე ხელს გადაუსვამდა და ისეც დასაძინებლად მიწვევოდა.

დილით ფარების კარს გაუღებდა ფარას, მინდორში გაუშვებდა და უკან ძალი აეღებოდა. ღუმამოჭმული, დაშინებული ცხვრები - მეგობრები თავს არ დაგვესხასო - ფარის შუაგულში იმალებოდნენ.

ღუმე ღუმეს მისდევდა, ღუმე - ღუმეს. ძალი მართლაც დიდი გულმოდგინებით უღდა ფარას. მაგრამ, ერთ მშვენიერ დღეს, სათვალავში კი, მაგრამ ფარაში ერთი ღუმინი ცხვარიც აღარ დარჩა.

დაიწყო სისხლისგან დაკლილმა პირუტყვმა ცვენა. გაკეთდა მეგობრის საქმე, ხევში გადაყრილ მძორს გემოზე დააძღა.

მაგრამ მწყემსი გადარია და დაუშინა დარაჯს კომბალი. დაუშინა და დაუშინა, ტვინი ამოუღო. ცოცხალ-მკვდარმა ძალიმა ძლივს გაასწრო.

რა ექნა უბედურს, სად წასულიყო და მძანაფიც მეგობრს მიაღდა: ასე და ასეა ჩემი საქმეო.

მეგობრმა ძალიან იწუხა: რა ვქნა, მეგობრის მოღალატეს ღმერთმა უღალატოს, მე რაც შემეძლო, შენი გულისთვის პირში მჭლე ხორცი არ ჩამიდევს, მომკლა, გული მომიმსუყა ქონიანი ღუმის ჭამამ... შენს პატრონს დააბრალე, რომ ამდენი ერთგულება წყალში ჩავყარაო.

გამობრუნდა ძალი, მიხვდა, მეგობრის რომ ზედმეტი იყო. პატრონის თვალსაწიერზე ხომ ვერ გაიჭაჭანებდა და ვერ გაიჭაჭანებდა. იწანწალა საწყალმა, იძუძულა, ხან აღმა აუყვია, ხან დაღმა, არც საჭმელი, არც სასმელი, არც ბინა-თავშესაფარი. წახდა, გაძვალტყავდა, დაქეციანდა და მოკვდა.

არადა, სიმართლე უნდა ითქვას, ღალატი გულში არასოდეს დებია და მუდამ თავდადებული იყო. ზღაპრად გაუგონარი ამბავია, ერთგულება კაცს არ დაფასებოდეს და ორგულით უთვისტომოდ ჩამაღლებულიყოს.

მაშინ...

მაგრამ... იმდენი ხომ არა, რომ ძალისა და მეგობრის მეგობრობა არ ხერხდება?

თუ მეგობრისა და ძალის მეგობრობა ღალატს უდრის?

თუ შენი პატრონის მტერი შენი მტერიცაა?



ყმაწვილებო, ნუ გეჩქარებთ, გახდეთ დიდები. ნუ იმატებთ ხელოვნურად წლებს და ნუ ისწრაფვით, მალე ჩაებათ ამ ქვეყნის ორომტრიალში. ისედაც სწრაფად გარბიან წლები და მიაქვთ ჩვენი აწმყო; სადღაც, თავის უკიდევანო კიდობანში მალავენ წარსულის განძად. მალე ჩავითრევთ ცხოვრება მის ფერხულში, შემოგახვევთ მისთვის ჩვეულ წესს და დაგაკარგვინებთ მთელ თქვენ სამყაროს. ოცნებით სავსე თვლებს ფაქტთა და მოვლენათა ეკლებიანი ქაოსი შეუცვლის მზერას, სიყვარულით სავსე გულები ცხოვრებისეული ჭირ-ვარაძით დაინსლება და თქვენც მიჰყვებით, ვინც როგორ შესძლებთ, ცხოვრებისეულ დინებას.

ამბავი, რომელსაც ახლა მოგიტოვებთ, მხოლოდ თქვენ გეკუთვნით და კიდევ იმათ, ვინც რაღაცა სასწაულებით არ დაკარგა თავისი ბავშვობა; ვისაც ცხოვრებამ ვერ შეუკვცია ოცნების ფრთები და ვერ დაუბინდა ნათელი მზერა. ასეთები კი, მერწმუნეთ, ჩემო კარგებო, ერთობ ცოტაა. მხოლოდ ისინი და თქვენ გაიგებთ ჩემ მონათხრობს, რადგანაც ეს ამბავი თქვენ სამყაროში მოხდა. მაშ, მისძინეთ და დაინახეთ, ოცნებით შეავსეთ და ფიქრით განამტკიცეთ. მე ვიწყებ თხრობას.

ქალაქი, რომელშიც მოხდა ეს ყოველივე, გაშლილიყო ოცნების ერთ-ერთ პატარა კუნძულზე. იგი დიდად არაფრით განსხვავდებოდა სხვა ქალაქებისგან. აქ, როგორც ყველგან, ცხოვრობდა ჩვეულებრივი ხალხი. ფუსფუსებდნენ, ჭიანჭველებივით ირეოდნენ და ცხოვრობდნენ ჩვეული ადათ-წესებით. ჩვეულებრივი ქუჩები, ჩვეულებრივი სახლები, ხეივნები და პარკები, მაგრამ ცხოვრობდა ამ ქალაქში ერთი უჩვეულო ადამიანი. ერთი შეხედვით, იგი არაფრით განსხვავდებოდა სხვა მოქალაქეთაგან. ისევე, როგორც სხვები, დადიოდა ქუჩებში, ისვენებდა პარკებში. მისი სახელიც არაფრით განსხვავდებოდა სხვებისგან - ჩვეულებრივ სახლს ჰგავდა, მაგრამ იყო აქ ერთი ოთახი, უჩვეულო და არნახული. თუმცა რა, ამ ოთახში მისი მფლობელის გარდა ვერავინ მოხვდებოდა და ამიტომაც იგი სხვათათვის არ არსებობდა. ოთახის კედლებსა და ჭერზე იდუმალი ნიშნები იყო გამოხატული, რომელთა მნიშვნელობა მხოლოდ სახლის პატრონმა იცოდა. კუთხეში დიდი მუხის მაგიდაზე ალქიმიისთვის განკუთვნილი ხელსაწყოები ეწყო, მის გვერდით მდგომი მასიური კარადა უძველესი მანუსკრიპტებით იყო გამოტენილი. დიან, ალბათ, როგორც მიხვდით, სახლის პატრონი მაგის დიდოსტატი გახლდათ. მთელ ქალაქში არავინ იცოდა მისი ასავალ-დასავალი. მეზობელთათვის იგი შუაზნის სანდომიანი მამაკაცი იყო, რომლისთვისაც მძიმე ვითარების ჟამს ყოველთვის შეიძლებოდა დახმარება ეთხოვა. ისიც არასოდეს იშურებდა გონიერულ რჩევას. ამიტომაც რიდით და პატივისცემით ეპყრობოდნენ.

რადგანაც მის იდუმალ ოთახში შევიხედეთ, მოდით, გავიცნოთ იგი. უკვე გითხარით, ის დაუფლებული იყო მაგის მწვერვალებს, იცნობდა ძველი ეგვიპტისა და საბერძნეთის ქურუმთა ცოდნას, ინდუს იოგინთა სწავლებებს, სრულად უფლობდა მატერიაზე და ამჟამად სულის იდუმალებას სწავლებდა. დიდი იყო მისი ცოდნის ძალა. ვერც ერთი სულიერი ვერ აღუდგებოდა მის ძლიერებას. საბედნიეროდ, იგი თავისუფალი იყო სურვილებისგან, დიდი ხანია, დაქმლია ამპარტაუნება და მხოლოდ ჭეშმარიტების სიღრმეებისკენ მიიღვებოდა.

ამაჟ ქალაქში, მეზობელ უბანში, ცხოვრობდა ახალგაზრდა, რომელიც სულ არ იცნობდა ჯადოქარს - ასე ვუწოდოთ მას პირობითად, რადგანაც მისი სახელის წარმოთქმა, მით უმეტეს კი დაწერა, დიდ საფრთხესთანაა დაკავშირებული. ან კი რა საჭიროა - მოვიხსენიოთ იგი, როგორც ჯადოქარი.

ჰოდა, იმას მოგახსენებდით, გირშელი - ასე ერქვა ახალგაზრდას, სულ არ იცნობდა ჯადოქარს. იქნებ, ქუჩაში შეხ-



ვედრია კიდევ, მაგრამ ყურადღებას რატომ მიაქცევდა უცნობ გამგელს? იგი ხომ პოეტი გახლდათ და ქუჩაში სიარულის დროსაც კი ერატოს, პოეზიის მუზას ესაუბრებოდა ანდა თვაზე ფიქრობდა, მის უსაზღვრო, უზომო სიყვარულზე. თუ მართლაც ღირსი იყო ამ სიყვარულისა - ყველაზე წუნია ადამიანიც ვერ უპოვოდა ნაკლს. ბუნებას განუმეორებელი სილამაზე და ნათელი გონება ერთად დაენათლებინა მისთვის. ახალგაზრდებს უყვარდათ ერთმანეთი და ხარობდნენ ამ სიყვარულით. სულ მალე მათი ქორწილის დღეც იყო დანიშნული.

აი, ზერელედ უკვე გაგაცანით ჩვენი გმირები, მაგრამ ამბავი ისევე, როგორც მათი გაცნობა, ჯერ წინა და ყველას მოგვლით.

საოცარი რამ არის ადამიანი. დიდად დააბიჯებს დედამიწაზე, რადგან, სადაც უნდა იყოს, იგი სამყაროს გულია, მას აცოცხლებს და ასხივოსნებს. ადამიანი ქარგავს სამყაროს სიდიადეს, აღიქვამს და აღქმულის განცდით სიცოცხლეს ანიჭებს მას. თითოეული ადამიანი ხომ განუმეორებელი სამყაროა და სწორედ ამამა, ალბათ სიცოცხლის იდუმალება. ადამიანთა ურთიერთობა სამყაროთა შეჯახებაა, შეჯახება, რომელიც ყოველთვის თავის კვალს ტოვებს. დადიან ადამიანები, ფუსფუსებენ, ირევიან ჭიანჭველებივით, მაგრამ ამ ქაოსს ჰყავს გამგებელი, უღმობელი და დაუნდობელი, რომელიც ბედად თუ ბედისწერად მოიხსენიება. იგი აჯახებს, ხლართავს სამყაროებს ერთურთში და ქარგავს სიცოცხლის დიად ხალიჩას.

სწორედ ამ ყოვლისშემძლე გამგებელმა მოისურვა ერთ მშვენიერ დღეს, შეყრილიყო სამი სამყარო, სამი ბედი, სამი არსება.

ადრიანი შემოდგომის გრილი საღამო იდგა. რიჟრაჟიდან მოფუსფუსე იდღე ბინდს ელოდა და დაღალული წარსულში გარდასასვენებლად ემზადებოდა. დაუღალავი სიო ხალისიანი თამაშით აცლიდა ხეებს ჩამოყვითლებულ ფოთლებს, ერთხანს ათამაშებდა უხილავ ფრთებზე და ტკებებოდა მათი ფარფატი. ახლოვდებოდა ბინდი, ემზადებოდა სამყაროზე გასამეფებლად.

უყვარდა ჯადოქარს სეირნობა დღის მიწურულში. იმ დღესაც ნელი ნაბიჯით ჩაუყვია ქუჩას. პარკში მისი საყვარელი სკამი, როგორც ყოველთვის, ცარიელი ელოდა. მისი ძალაც რომ არა, პარკში მაინც არავინ დახვდებოდა შემთხვევითი გამგელების გარდა, რადგანაც საგრძნობლად გრილოდა და ხალხიც სახლებში გაკრფილიყო. ჩამოვდა სკამზე, თვალთა ოდნავ მოხუცა და ხეთა შრიალს მიუგოდო ყურში. უეცრად მის ფეხებთან ჰაერის ნაკადი სტყვინით დატრიალდა, ფოთოლი აიტაცა, შეათამაშა, გაიტაცა და გამგელ ახალგაზრდას ააკრა ლოყაზე. ხის კენწეროზე მოკალათებულმა ყვავმა, ალბათ, ჰაერის უცნაური მოძრაობით შეწუხებულმა, ორჯერ დაიხზავლა, ფრთები გაშალა და უკმაყოფილოდ დატოვა იქაურობა. ჯადოქარისთვის ეს ნიშანიც იყო და ნიშნის დამტკიცებაც. ეჭვი აღარ იყო, ბედმა აშკარად მაინც ახალგაზრდაზე, რომელიც უკვე გას-

ცდნოდა მის სკამს და გზას განაგრძობდა. ჯადოქარს არ შეეძლო მისი გაშვება.

როგორც უკვე მიხვდით, ის ახალგაზრდა გირშელი იყო. ნელა მიაბიჯებდა სახლისკენ და, რაღა თქმა უნდა, თვაზე ფიქრობდა. საოცარი რამაა სიყვარული, იგი ატყვევებს ადამიანს და მის მონად აქცევს. არავინ იცის მისი საწყისი. ისიც ძნელი სათქმელია, ღმერთმა შექმნა თუ ეშმაკმა, რადგან ამ გრძნობით აღზნებული ადამიანი ხან სიკეთის დიად ტაძრებს აშენებს, ხანაც უდიდეს ნგრევის ძალად გადაიქცევა. ახალგაზრდა პოეტისთვის სიყვარული შთაგონებისა და ოცნების დაუშრეტელ წყაროდ ქცეულიყო. ახლაც მისი ოცნებით გატაცებული გონება აწყობდა მომავლის კარდისფერ გეგმებს. მან ვერც კი იგრძნო, როგორ აეკრა სახეზე ფოთოლი, მაგრამ შემდეგ ფეხი რაღაც უხერხულად დაადგა, გადაუბრუნდა, ტანი ვეღარ შეიმგრა და მიწას დაეწარცხა. სწრაფად წამოდგა, მაგრამ ადგილიდან ვეღარ დაძრა - არ უშვებდა ნაღრძობი ფეხი. მხოლოდ ახლად შენიშნა დასახმარებლად მისული კაცი. უცნობმა ხელი შეაშველა, უახლოეს სკამამდე მიიყვანა და მასთან ერთად ჩამოვდა.

ექიმად წარუდგა გირშელს უცნობი. ნაღრძობი სახსარი ოსტატურად გაუსწორა და ტაკვილიც უმალ გაეყრდა. ერთხანს ისაუბრეს. მოეწონა ჯადოქარს პოეზიის ცეცხლად აღზნებული ახალგაზრდა, მაგრამ უკვირდა, ვერ გაეგო, რა კავშირი ჰქონდა მასთან, რატომ მიუთითა ბედმა შემთხვევით გამგელზე. გირშელი ალაფროვანა უცნობმა, მისმა ღრმა ცოდნამ პოეზიისა. ჯადოქარი კი მეტყველებდა, მოუთხრობდა ძველ პოეტებზე, მათ ქმნილებებზე. მან აავო სიტყვის ძალით სიტყვად სამყარო, წარიტაცა ამ სამყაროში ყმაწვილი კაცი, დააკარგვინა დროისა და სივრცის შეგრძნება, დანახა ერთიანი სიტყვის ტაძარი, რომლის მიღმაც აღარაფერი არსებობდა. არ უფლობდა დრო ამ ტაძარზე, აქ არ იყოს არც სიკვდილი, არც უკვდავება, რადგანაც იგი წარმოადგენდა ყოველის საწყისს. აქედან გამობრწყინებული ნათება ქმნიდა ყოველს, მასშივე ბრუნდებოდა ისევ ყოველი და მიხვდა გირშელი თუ რატომ მეტყველებდნენ წინასწარმეტყველნი მხოლოდ ლექსებით, რას შეღალატებდნენ ქურუმები ცას ჰიმნებით და ჩასწვდა იგი ბიბლიურ სიბრძნეს სიტყვის შესახებ.

გონს რომ მოვიდა მონუსხული ახალგაზრდა, უკვე ბნელოდა, აქა-იქ ციცინათელებით ანათებდნენ პარკში ფარნები. საგრძნობლად გრილოდა. მის გვერდით უცნობი მკურნალი იჯდა და უდიდოდა. თუმცა უცნობი კი არა, მისთვის ზატაქციული ბრძენი, დიდოსტატი სიტყვის ცოდნისა.

ჯადოქარმა თავისი სახლი მიასწავლა და მეორე დღისთვის მიიპატიჟა. სინარულით დათანხმდა გირშელი - თუ შეიძლება, მეგობარს მოვიყვანო, მორიდებულად შეჰკადრა. წამოდგნენ, თავთავიანთ გზას გაუყვნენ.

დაფიქრებული ბრუნდებოდა ჯადოქარი სახლში, ცდილობდა, ამოეხსნა ბედის გამოცანა. ფრთამესხმული გირშელი კი ოცნებობდა მეორე დღის გათენებას, რათა დროზე მოეთხრო თეასთვის მომხდარი.

უღრუბლო ცაზე თეთრ წერტილად გამოჩნდა მტრედი. წერტილი ახლოვდებოდა და იკვეთებოდა ფრინველად. ეზო-კარს რამდენჯერმე შემოუფრინა, ბოლოს ბროწეულის ხეზე შემოვდა და მოჰყვა ლულუნს. არ ეამა ჯადოქარს ფრინველის ხილვა, იცოდა - მისი სტუმრობა კარგს არაფერს მოასწავებდა. რისხვიანი მზერა სტყორცნა ფრთოსანს და, ის იყო, დაუპატიჟებული სტუმრის დასჯა დააბირა, რომ ჭიშკარს გირშელი და თუა მოადგნენ. ჯადოქარი მიეგება მოსულთ, ფრინველმა კი დრო იხელთა, ფრთები გაშალა და ფათურაკს განერიდა.

სამკუთხედი შეიკრა, პირისპირ იდგა სამი არსება. სამი სამყარო შეეჯახა, გადაიხლართა და ბედისწერამაც შემართა მახვილი. გაოგნებული ბრძენკაცი შეჰყურებდა ასულს. მზერას გრძნობა მიჰყვებოდა, სოლად ესობოდა და აპობდა სალ კლდეს, ალღობდა ყინვადქცეულ გულს. ტანში გააფრთხილა, აპურის ისრით დაკოდილს უეცრივ კიპრიდას ალბური მოედო და მთლიანად შთანთქა. ერთხანს იდგა ელდანაკრავი, ბოლოს თითქოს გონს მოეგო, ბაგენი ამოძრავდნენ და სიყვარულის ჰიმნად აქციეს სიტყვა.

საოცარი ძალა მისცა განგებამ აპურს. მისი ტკბილ-მწარე ისრის შეხება უმალ ანგრევს კაცის სამყაროს, უძლურია მის წინაშე უკვდავთა მოდგმაც, ვით ლეტას წყალშესმული არსება ივიწყებს ყოველს და ხშირად უინაშლილს გრძნობად ქარბუქი ბედისწერის ხალიჩას უქსოვს. არ დაინდო ცელქმა ღვთაებამ ჩვენი ბრძენკაციც, წამიერად დაბანგა მისი არსება, წარუშალა ყოველი და არსებობდა ამ სამყაროში მისთვის მხოლოდ ორი სულდგმული - ის და ასული. ბავთაგან გამოდღვრილი სიტყვები აგებდნენ ტაძარს, ხოტბას ასხადნენ კერპადქცეულ ქალს, ფიანდაზად ეფინებოდნენ ასულს ფერხით.

უეცრად ჯადოქარს შეგრძნებაში ეკლად შეეჭრა რაღაცა ძალა, წინ აეფარა მის ღვთაებას და დაბინდა თითქოს ნათელი. რისხვად აენთო ჯადოქარი და, ის იყო, მის მზერას ფერფლად უნდა ექცია ვაჟი, რომ ღვთაება კვლავ დაესახა, სიყვარულად გადაეფარა განწირულ გირშელს. შეკრთა ბრძენკაცი, მის რისხვას წინ აღუდგა მისივე ღვთაება, ფარად აეკრა მის მოძულეს, გადაარჩინა გარდუვალ სასჯელს, სიცოცხლეც კი არ დაიშურა და შერე ვისთვის, ჩვეულებრივ მოკვდავისთვის. უარყოფილი გრძნობის სიმწარე შეერია ჯადოქარის რისხვას, გადაფარა სიყვარული და, ის იყო, მიუხედავად საკადრის სასჯელის, რომ გირშელი კვლავ დაესახა, გადაეფარა ტურფა ასულს, წინ აღუდგა ჯადოქარის მზერას. რაღაც ძალამ დაუბრუნა გონი ჯადოქარს, დაუწინარა გრძნობით ქარბუქი, დაუბრუნა სამყაროს ალქმა. მის წინ იდგა ორი არსება - წამიერნი და უსუსურნი, მაგრამ დიადნი, რადგან მათგან გამოსჭვივოდა განუზომელი თავდადება და სიყვარული.

კუნძული, რომელზეც ეს ამბავი მოხდა, დღესაც დაეკურავს ოცნების ოკეანეში. მასზე ისევ ცხოვრობენ გირშელი და თუა. მათ შვილთაშვილებს დაძინების წინ უყვართ ზღაპრად ამ ამბის სმენა. მართალია, არ სჯერათ, მაგრამ ზღაპარი აბა რისი ზღაპარია, თუ მასში არ არის სიმართლის მარცვალი. ერთიც არის, ხანდახან ქარიშხალი ააზვირთებს ოკეანეს, ცა შავი ღრუბლებით შეიკვრება, ავისმომასწავებლად დაიგრევიან და ელვები სერავენ ზეცას. მოსახლეობა არ უფრთხის ავდარს, სჯერა, რომ ეს ჯადოქარი ბობოქრობს, ჯერაც ვერ დაიოკა აშლილი ვნება და გულმოკლეული ქოროლაში ჰპოვებს ხანდახან შევას.

გიგამ ნაბიჯით დაასწრო მიქელ-გაბრიელს და ლილაკს ელვის სისწრაფით დააჭირა თითი. ლიფტის ორმაგი კარი ჯახანით დაიხურა და კაბინა რწვევითა და რახრახით წავიდა ზემოთ, მათე სართულისკენ.

- გეგე შენ, გიტირე თუ არა დედა! - ნიშნის მოგებით ჩაიცინა გიგამ. - იწანწალე ახლა ქუჩაში და ეძებე საკბილო! - მათხხხოვარი! კრრრრრრრრრრ... - შეამკო მისებურად და გუნებაში შეაფურთხა კიდევაც: - თფუჰ!

- კრრრრრრრრრრ! - დაგემოვნებით გაიმორა გიგამ საკმაოდ ხმაძაღლა. იცოდა, რომ ბინა ცარიელი იქნებოდა, მისი მეუღლე, ქალბატონი თამარი (ქმრისთვის - თამრიკო, თამთა, თამუნია... ერთხელ „ტომაც“ კი დაუძახა: ახალდაბრუნებული გახლდათ ივანოვო-ვოზნესენსკიდან) ათი საათის მატარებელს ჩამოკვებოდა და შინ თერთმეტამდე ვერ მოვიდოდა. გუშინ გაემგზავრა კახეთში თამარი, იქაურმა მიქელ-გაბრიელმა ერთი შორეული ნათესავი წარსტაცა გიგას

ქალბატონი მისხანხანა. აბა, ასეა ეს! ხნირი არ მქვია, ორმოცდაათისაც არ ვარ ჯერ, მაგრამ თუ წინ წვალე და გაჭინაურებული სულთაბრძოლა მელოდება, მირჩევნია, ახლავე, ამაღამვე გავიპარო ძილში, წყნარად, მშვიდად, დაუკვნესებლად...

*
გიგამ სამინაო ტანსაცმელი გადაიცვა, სამზარეულოში შეფრატუნდა და მაცივარი გამოაღო. შიოდა კაცს...

ლოებით ას ოთხმოცი-ას ათზე ექნებოდა. უჯრა გამოაღო, წამალი მოძებნა, ენაზე ფხვნილი დაიყარა და წყალი მიაცოლა. ერთხანს თვალდახუჭული იჯდა. წნევამ მალე დაუწია. შესვენებამდე ბარაქიანად იმუშავა. ნასადილევს მაგიდიდან საშლელმა ისკუპა, იატაკზე დავარდა, კალიასავით ახტა და თვალსა და ხელს შუა გაუჩინარდა. გიგამ ჩაიმუხლა, ჯერ მაგიდის, მერე კარადის ქვეშ გვერდულად შეიჭვრიტა და უცებ იგრძნო, როგორ გადაეხლართა ნაწლავები. ციკმა

ნუგზარ აფხაზაშვილის ორი მოთხრობა

მეორე მდგომარეობა

*
მიქელ-გაბრიელი გიგამ რვა წლის ასაკში გაიწვია, როცა „მეგობრის“ თამაშის მერე გასაგრილებლად წყალციხნარას მორეკში ჩაყვინთა და იქიდან ფლტკების ანთება ამოიტანა. იმ დამეს ასე თუ ისე არა უშავდა, მეორე დღეს სიცხემ ნელ-ნელა აუწია, მესამე დამეს კი ორმოცდაერთზე აუვარდა. ეს სწორედ მაშინ აიტუზა მის სასთუმალთან თვალმუხრამული და კბილებდახრჩვნილი ლანდი. გიგამომ (ბავშვობაში ეს სახელი ერქვა) ხელად იცნო, ვინც იყო, თუმცა მერე, მოგვიანებით, კი უკვირდა, ნეტა, რანაირად უნდა მეცნო, თუკი იმ დროს, როცა დედაჩემმა ბუცლის მოშლა და, ამრიგად, ჩემი მოკვლა მოინდომა (უპ, ქმარმა მიატოვა საბრალო!), ოთხიოდე თვის ჩანასახი ვიყავი, სხვა არაფერი მახსოვს და რაღა ეს უემური დამამახსოვრდო. მაგრამ, ასე იყო თუ ისე, სასთუმალთან წამოყვებული მიქელ-გაბრიელი, როგორც მოგახსენებ, შეხედვისთანავე იცნო და, არიქა, თავს ვუშველო, წამოხტა და დღე-ღურდას შენთო გორა-არამულის წვეროსკენ (აბა, ამ გაცხარებული ომის დროს მამასისხლად ნაშოვნი ორი აბი სულფიდინის იმედით ხომ არ იქნებოდა!)... სინამდვილეში არსადაც არ გაქცეულა, სად ჰქონდა ამის თავი, საწოლში ბორგავდა, აქეთ-იქით ეხეთქებოდა და ხან ცივსა და ხან ცხელ ოფლში ცურავდა, მაგრამ მიქელ-გაბრიელს მაინც აჯობა, გაასწრო, კარგა მანძილზე ჩამოიტოვა და ბოლოს ენაც კი გამოუყო. მერე, მართალია, ციკაბო ფერდობზე ფეხი აუცდა და ბნელ, უფსკერო ხევში ლიწინ-ლიწინით ჩაიჩხუბა, მაგრამ თვალის რომ გაახილა, სასთუმალთან დაბალსკამზე საცოდავად მოკუნტული, მთლად დალეული დედა დაინახა და - წყალიო, - მიახვედრა როგორღაც...

*
მათე სართულის კბის მოედანი, როგორც ყოველთვის (თითო-ორიოლა გამონაკლისის გარდა), ახლაც უკაცრიელი იყო - ალბათ, მოგეხსენებათ, რაოდენ იშვიათად ხვდებიან ერთმანეთს თანამედროვე რკინა-ბეტონის მრავალუჯრედიან კოლოფთა მობინადრენი. რასაკვირველია, ვერც ის მიხრწნილი მიქელ-გაბრიელი ამოასწრებდა ლიფტს ამსიმაღლეზე ამოსვლას, მაგრამ გიგამ მაინც სიფრთხილე არჩია: გასაღები რომ გადაატრიალა და საკეტის ენის ნაცნობი ჩხაკუნით გაიგონა, ყოველი შემთხვევისთვის, უკან მოიხედა, მერე უცებ შეალო კარი, ტლანში კი არ შევიდა, შეხტა და კარი ისე მიაჯახუნა, მიქელ-გაბრიელი, სადარბაზოდან გასული თუ არ იყო, უთუოდ გაიგონებდა.

ცოლოურებს და თამარის გარეშე ხომ ვერ დაკრძალავდნენ...

გიგამ ფეხები ფლოსტებში წაჭყო და სიამოვნებისგან მსუბუქად ამოიკენესა.

*
ცხრამეტი წლის გოგა (არმიაში სამსახურისას შინაურულად, ესე იგი, ქალებში ეს სახელი ერქვა) სოკოთი მოიწამლა. ვერაფრით ვერ წარმოიდგენდა, ის მისი ნაცნობი მიქელ-გაბრიელი ყაზანშია თუ ჩააკითხავდა და ახალგაზრდა მარტონელა ქვრივის, მადინა ილიასოვას მყუდრო ბინაშიც მიაგნებდა. კიდევ კარგი, თავად მადინას სოკო არ უჭამია (ცოტა იყო და ულუფაში არ ჩაეხიარა მოშიბულ ჯარისკაცს), თან ფხიზელიც გახლდათ და დროზე მოიხსარა, რომ სამხედრო ნაწილის ექიმისთვის მიეწვინა ხმა, თორემ გოგასა და მიქელ-გაბრიელის ცხარე ორთაბრძოლაში უთუოდ ამ უკანასკნელს დარჩებოდა გამარჯვება.

სხვათა შორის, ეტყობა, ნაწილობრივ იმ ავბედითი მოწამულის შედეგად იყო, მოგვიანებით კუჭის წყლული, ქოლესტისტიტი და მარჯვენა თირკმლის კენჭოვანი დაავადება რომ შეიძინა, რომლებიც ხან ერთად, ხანაც ცალ-ცალკე, მორიგეობით ახსენებდნენ ხოლმე თავს. ნაწილობრივ-მეთქი, იმიტომ ვთქვი, რომ ზემოწამოთვლილ სნეულებათა განვითარებას, ავადმყოფობის ისტორიის ერთ თუ ვიტყვით, არარეგულარულმა კვებამ და უძილობამაც შეუწყო ხელი - ბატონ გიგორის ხომ (სამსახურში მას ეს სახელი - ერქვა) ხშირად უხდებოდა მივლინებებში ყოფნა... თუ ამას თამბაქოს თავგამოდებული წვევის ოცწლიან სტაჟს და, მართალია, ზომიერად, მაგრამ მაინც საკმაო სიხშირით (როგორც ქართველ კაცს შეეფერება) მიღებულ ალკოჰოლს დაუმატებთ, აღარც ის გაგაკვირვებთ, ბოლო ხანს ჩვენს გიგას არითმია და ჰიპერტონიაც რომ შემოეჩვია.

- მაგის დედაც ვატირე, - იტყობდა ხოლმე გიგა მეზობლების სადაბადების დღეო, საქვლეხე ან საორმოცე თავყრილობაზე (ამ დროს, რა თქმა უნდა, ხმას დაუწევდა, რომ მისი მოუწმასწურო სიტყვები ქალებს არ გაეგონათ), - ხომ ამდენი რამე მაწუხებს, მაგრამ თქვენ გგონიათ, მიქელ-გაბრიელს ვუფროსნი? წვალეების მეშინია, მეგობრებო, წვალეების! თვარა მე - ამ დროს მისი თამთაქალი ცხრა მთას იქითაც რომ ყოფილიყო, ეშმაკურად თვალბომოწკურული მიხედ-მოიხედავდა და კიდევ უფრო დაუწევდა ხმას, თითქმის ჩურჩულზე გადადიოდა, - ჩემი წილი წუთისოფელი ჩემს გემოზე გავლიე, კაი დრო მიტარებია, კაი მისვამს, კაი მიჭამია და კაი

ამ ათიოდე წლის წინ ექიმებმა ურჩიეს, კუჭის ოპერაცია უნდა გაიკეთო, თორემ ერთ მშვენიერ დღეს გაგებვრიტება და გაგათავებსო. გაეცინა. თითოდან სისხლის ალებისას და შპრიცის დანახვისას გული მისდიოდა ხოლმე და ასეთი კაცი კუჭის ოპერაციის გამკეთებელი იყო? ტომას გამჩენი აცოცხლა ღმერთმა (ეს ის ტომასა, შეცდომით თამუნისა რომ დაუძახა ერთხელ მისი ბალახები გამოუგზავნა, თვენახევარში მოუშუშა ის წყლული და თვალბომოღამებული მიქელ-გაბრიელი კიდევ ერთხელ კულამოძებნული გააბრუნა უკან.

- ნიძლავის გულისთვის ქვას დაველევავ, თუ გინდათ, - შუა პურ-მარილში დაიქანდა ერთხელ გიგამ. - არადა, ექიმებისთვის რომ დამეჯერებინა, ახლა ჩემი ძვალის კი არ იქნებოდა მიწაში. პირდაპირ საოპერაციო მაგიდაზე, გამარმარებული დანის ქვეშ გამძვრებოდა სული. ასეა ეს, აბა!..

*
მინანქრიან ცისფერ ქვაბში მწვანე ლობიოს შეჭამად აღმოაჩინა. მაცივარს თვალის ჩაუკრა, ტუჩები გაილოკა და გახტურა ანთო. გარეთ, კარადაში, კაი ცხარე ტყემლისსაწებელიც ეგულებოდა.

*
სამი... არა, თითქმის ოთხი წლის წინათ საავტომობილო კატასტროფაში მოჰყვა. მაშინაც პირში ჩალაგამოვლებული დატოვა მიქელ-გაბრიელი. შოფერი ავარიის ადგილასვე გარდაიცვალა, ხოლო ორმა მეზავრმა მთელი კვირა იწვალა საავადმყოფოში და ჯოჯოხეთური ტკივილებით დაღია სული... გიგას კი... გიგას განაკაწრიც არ დასჩენია, მხარი დატეხა მომსუბუქოდ, ეს იყო და ეს.

- საწყლები, რამდენი იწვალეს, - იტყობდა ხოლმე და ფრთხილად წაუქცევდა თავს სავსე ჭიქას. - ღმერთმა ნათელში ამყოფოს... ეჰ, არა, ძმაო, ბედნიერია სანდრიკა, მშვიდად, წყნარად წავიდა, არაფერი სტკენია, არაფერი გაუგია... სანდრიკა შოფერს ერქვა.

*
ქვაბს სახურავი ახადა და აშიშხინებულ კერძს კოვზით ამოურიდა. სამზარეულოში საამო უნდოდატრიალდა. ისევ გამოაღო მაცივრის კარი იდუმალი მოლოდინით. გაუმართლა - ოდნავ ნაკლებული ერთი ბოთლი წითელი „შუმხუნა“ არ აღმოაჩინა?

- გვიქვიფია, აბა! - თვალის ჩაუკრა ბოთლს.

*
დღეს დილიდანვე აედევნა თვალბომოღამებული ლანდი. სამსახურში მისვლისთანავე იგრძნო საზიზღარი თავბრუსხვევა, საფეთქლები აუბათქუნდა, მარცხენა ხელის თითები გაუცივდა და დაუბუჟდა. მიხვდა, წნევამ ამოწიაო. დაახ-

ლოლმა დაასხა. საღდაც, კუჭის მიდამოში, მძაფრმა ტკივილმა გაჰკრა და ირგვლივ ყველაფერს ნაცრისფერი დაეფინა. მაშინვე საოპერაციო მაგიდა, თითონილიბიანი ქირურგები და ცივად მოლაპლაპე სკალპელი დაუდგა თვალწინ. მუხლებს ძალა დაატანა, ოდნავ წამოიმართა და, მადლობა ღმერთს, ნელ-ნელა ჩაუყურდა ტკივილი.

- როგორაა შენი წნევის საქმე - ჰკითხა განყოფილების გამგემ დღის ბოლოს.

- არ ვეპუები, ბატონო ტრიფონ! - ცოტა არ იყოს, ამაყად უპასუხა გიგამ. - ამ დილასაც მქონდა, ერთი-ორჯერ შემაქანა, მაგრამ დავაღვე. მაგას თუ ავეყვი... ტრიფონმა ხელები გაასავსავა:

- აჰ, არა ხარ მართალი, ჩემო გიორგი! მაგას დროულად უნდა მიხედვა, თორემ წნევას ხუმრობა არ უყვარს, იცოდებოლოს არ განანოს!

- იჰ, წნევა რა ბედენაა, ბატონო ტრიფონ, მაგისი სულაც არ მეშინია. თქვენ სხვა თქვით, თორემ წნევამ უცხად იცის - „რაზ“ ერთი და გათავდა!

- მაგას არ გეუბნები მეც?

- ჰოდა, წყნარად და უწვალებლად თუ დავლევ სულს, ამას რა ჯობია, ამაზე ვოცნებობ მეც.

- მე ჩემი მითქვამს და დანარჩენი შენ იცი, ჩემო გიორგი...

*
გიგამ ჩაიხიბითხითა და ღვინო დაისხა. ჭიქამ გარედან ნისლის ჰაეროვანი ქსოვილი გადაიკრა, შიგნიდან კი პაწია ვერცხლისფერი ბურთულებით დაიწინწკლა. ენას ისე საამოდ მოეფხვჭუნა, ისე, რომ... იფი...

ცხრას ოცი წუთი აკლდა, როცა ტელევიზორი ჩართო და მის წინ სავარძელში მოეწყო მოხერხებულად. რაღაც უდიდებამო, უფერულ ფილმს უჩვენებდნენ. ვითომ მხატვრული იყო, სინამდვილეში კი უხეირო და „აბა, ჰე, აბა, ჰოს“ ტიპის კოლმუხრნობაზე გადაღებულ დოკუმენტურ ფილმს ჰგავდა. ამიტომ მალე თვლებმა მოერია და, დიდიდი, ათი წუთი იქნებოდა გასული, გემრიელად ჩაეძინა კიდევც...

*
ვიღაც ფრთხილად შეეხო მხარზე. თავი არ აუწვივია, ისედაც მიხვდა, ვინც იქნებოდა, და ტანში უსიამოდ გააფრეოლა. „საიდან შემოვიდა ეს ოხერი!“ - გაიფიქრა და ერთიანად დაიძაგრა, უცაბედი წამოხტომისთვის შეეშხადა, იქნებ, ხელიდან დაუვსხლტეო, მაგრამ გვიანდა იყო. მუხლები უკვე მოკვეთოდა. თვალბომოღამე გაახილა და მოპირდაპირე კედელზე აკრულ დიდ, ოქროსფერჩარჩოვან სარკეში ცოტათი გადღაბნილი ნახატი დაინახა - სავარძელში საცოდავად ჩაკეცილი, მუხლებთან ფეხებწაკვეთილი პატარა კაცი (კი, მაგრამ სისხლი რომ არ სდიოდა?) და მის უკან - თვალბომოღამე და

დაცინებით კბილებდახრჭენილი მიქელ-გაბრიელის ლანდი. „თუ არ ვცდები, რუბენის ნახატი უნდა იყოს“, - მწარედ გაიფიქრა და ამ დროს მიქელ-გაბრიელმა მეორე ხელით ლაპლაპა სკალპელი დაუსვა შიშველ მუცელზე (კი, მაგრამ როდის მოასწრო კვართის გახდა?), მესამე ხელი კი ღია ჭრილობაში შეუყო და დაკლული ქათამით აფართხალეულ გულს ბასრი ფრჩხილებით ჩაეჭიდა. გივამ დაიგმი-ნა და გაიბრძოლა. რომ არაფერი გამოუვიდა, მიშველეთო! - იყვირა მთელი ხმით, მაგრამ რად გინდა, ამ ტრი-ალ მინდორში ვინ იყო მშველელი! მიქელ-გაბრიელმა მეორე ხელი თმაში წააჭანა, მოქანა და კინაღამ თავის ქა-ლა ახადა, მეხუთე კი ყელში წაუჭირა და ხრიალი დააწყებინა. ამ დროს უცებ აცივდა, ქარბორბალა დატრიალდა, და-იგრგვინა, მიწა შეინძრა და ატორ-ტმანდა. გივა უკვე წყალცინარას ჭა-ლაში - თავისი ბავშვობის ჭალაში - მიბრბოდა. ღამდებოდა. კიდევ ცოტაც და, საცაა, მიღწევდა გორა-არამულის წვეროს, მაგრამ უცებ მის მწვერვა-ლი მოირღვა, გადმოიქცა და ფერდობ-ზე დაგორდა. ვეებერთელა კუპრის-ფერმა ლოდმა ცის ნახევარი დაფარა, გუგუნით წამოვიდა, თანდათან უმატა სიჩქარეს, მოზანზარებდა, მოდგანდგა-რებდა და მოჭქონდა ხე და მიწა. იქა-ურობა ჯოჯოხეთურმა გრიალმა და ხათქახუთქმა გააყრუა. „ალბათ, ესაა მეორედ მოსვლა!“ - გაუელვა გივას. ზვავი ელვის სისწრაფით მოახლოვ-და, მერე აიყალყა, ერთიანად ჩამოაბნე-ლა ცა, წამით თავზე წამოადგა შიშით გულგაყინულსა და გარდუეკალ ზვედ-რთან თითქმის უკვე შერიგებულს, გა-მანადგურებელი, ყოვლისდამთრუნავი ძალით დაეჯახა, თან დაიტანა, ათორია, ხერხემალი დაუჩქქვა, თავის ქალა ჩაუნერია და ფილტვები დაუფლითა. გივას თვალწინ უცებ უზარმაზარი ბნე-ლი უფსკრული გადაიხსნა, არაადამი-ანური ტკივილებით გულგახეთქილმა ერთი კი დაიორიალა და, როცა ტვინ-დანთხეულ თავზე ხელებშემოჭერი-ლი იმ ჩამავებულ უფსკრულეთში გა-დაფრინდა, მოულოდნელად სამარისე-ბური სიჩქარე ჩამოწვა... დიდხანს, უსას-რულოდ დიდხანს მიფრინავდა თვალ-შეუდგამ ცივ სიბნელებში...


- * - საწყალი, ქა, სულ წყნარ სიკ-ვილიზე ოცნებობდა და - აპა...
- მაშა, ქა, დღენიადავ წვალეებისა ემინოდა უბედურს...
- ბელნიერი ყოფილა: რასაც ნატ-რობდა, აუნდა კიდევაც...
- ხედავ? ტელევიზორის ყურებაში გაპარულა!..
- რა მშვიდად წასულა, კაცო, ა?..
- * ... ეკ, რა იცოდნენ თამარის ხაფ კივილზე შემოცვენილმა მეზობლებმა, როგორი ჯოჯოხეთური, საუკუნის სიგ-რძე წამება გაიარა სიკვდილისწინა ზმანებაში საბრალო გიორგიმ... გივი-ლომ... გივამ...

ნეგანი აუნაზაპა
ბაღჩა
ბაღჩა

არ ვიცი, დამიჯერებთ თუ არა იმას, რასაც ახლა მოგივებთ, მაგრამ მამალს უთქვამს, მე მიყვილა და თუნდ გათენ-ბულა და თუნდ არაო, ხოლო, ერთ-ერთი სატელევიზიო პროგრამისა არ იყოს, გინდ დაიჯერეთ და გინდ არა. ორთოდოქს ქრისტიანთა ოჯახში არ გაგზრდილვარ, ამიტომაც მიკვირს და დღემდე დანამდვილებით არ ვიცი, საი-დან გამიჩნდა სულის უკვდავების, ერთი არსებიდან მეორეში მისი გადასახლე-ბის, სულთა ნათესაობის რწმენა. ვი-თომ მარტოოდენ წიგნებიდან? ან, იქნებ,

მერე:
- აი, შუქრი ლიფტით ამოდის!.. ახ-ლა კარზე ზარს დარეკავს!
ძალი კარისკენ გარბის და შემო-სულ პატრონს მკერდზე აეტოტება, ცდი-ლობს, როგორმე მისწვდეს და ენით სახე აულოკოს.
მე დავასკენი, რომ წინა ცხოვრება-ში ის ძალი და მისი პატრონი ან ორივენი ძაღლები იყვნენ, ან ადამიანები და მჭიდრო ურთიერთობა აკავშირებ-დათ. ტვინს არაფერი (ან თითქმის არა-ფერი) ახსოვს, სულბმა კი იცნეს ერ-

შემოდგომაზე ბათუმიდან სტუმრები გვეწვიენენ - ბიძაჩემი, ბიცოლაჩემი, უმ-ცროსი ბიძაშვილები. ქათამი დაიჭირე და დაკალიო, დედაჩემმა. სტუმრები ზე-ვით ისვენებდნენ, ოღამი.
ქათმის მეტი რა იყო ეზოში! მოკლე ჯვრი ავიდე და, ფეხებში ვესვრი-მეთქი, მაინცდამაინც ქსენია-ქათამი ამოვიდე მი-ზანში, იმას გამოვინთე ქორივით. სწორედ ამ დროს ქსენია-ქალმა შემოაღო ჭიშკარი.
- რას შობი, ბიჭო? - მკითხა. - დედლებს ეჯობებოდა სირბილში?
მკვახე სიტყვა ენის წვერზე დავიჭ-



სიზმარში შთამავონა ზეციერმა?..
რამდენ ვინმეს შეგხვედრივარ (ქუჩა-ში, მგზავრობისას, სუფრასთან) ისეთს, ვინც ნაცნობი მგონებია, გავსაუბრები-ვარ და გამორკვეულა, რომ თურმე მა-საც ნაცნობად მიუზნევივარ, მაგრამ ვე-რაფრით ვერ დაგვიდგენია, სად შეიძ-ლებოდა ერთმანეთს შეგხვედროდით. და ბოლოს იმ დასკვნამდე მივსულვარ, რომ ერთიმეორეს წინა ცხოვრებაში ვიც-ნობდით, როცა ჩვენ ჩვენ კი არ ვიყავით, არამედ სულ სხვა ვინმე ან სულ სხვა რამე, ვთქვათ, ჩიტი, პეპელა, ძალი, ჭი-ანჭველა, ცაცხვი ან, რა ვიცი, კიდევ რა... ამ ბოლო ხანს პრესაშიც გამოჩნდა სუ-ლის გადასახლების დამადასტურებელი თითქმის უტყუარი ფაქტები.
მეგობარმა მამამო: მის ახლობელს ძალი ჰყოლია თურმე ერთი. მგონი, სეტერიო, თქვა, ოღონდ არა წმინდა სისხლისა, რომელიდაც სხვა ჯიშთან ნარევი. შუქრი (ასე ერქვა პატრონს) კარს რომ შეაღებდა, მისი დანახვისთა-ნავე ძაღლს მოულოდნელი სიხარუ-ლისგან გული მისდიოდა თურმე. დიას, დიას! მეც გამიჭირდა დაჯერება!.. რო-გორი წარმოსადგენია - შედის პატრო-ნი, ძალი ერთს შეხედავს, საცოდავად ამოიწმუტუნებს, წაიქცევა და თვალს გადაქანავს! ატყდება ერთი ალიაქოთი, გაქცევ-გამოქცევა, ნიშადურის სპირტის ძებნა... ბოლოს ერთმა ცნობილმა კი-ნოლოვმა ურჩია თურმე შუქრის, მოუ-ლოდნელად ნულარ შეხვალ ოთახში, ძაღ-ლი წინასწარ შეამზადეთ ხოლმეო. მას შემდეგ სამსახურიდან წამოსვლის წინ შუქრი შინ რეკავს, გამოვიდვარო. და ძაღლს ეუბნებიან:
- აი, შუქრიმ დარეკა, მოვიდვარო!
ძალი კუდს აქიცინებს, თვალბში შეჭყურებს მახარობელს.
მერე:
- აი, შუქრი მოვიდა მანქანით!
ძალი ყურებს ცქცქს და წმუტუნებს.

თურთი და ერთმანეთი ისევე უყვართ, როგორც წინა ცხოვრებაში უყვარდათ. ფანტასტიკას ჰგავს, არა?..
ჩემი ყრობის დროინდელ ერთ ამ-ბავს მოგივებთ, რომელიც, მე მგონია, სულთა ნათესაობის უტყუარი მაგალითია.
სოფელში ვცხოვრობდი. მეათე თუ მეოთხემეტე კლასში ვსწავლობდი. მძიმე ბავშვობა მქონდა გავლილი და თავს უკვე დაკაცებულად ვთვლიდი. მეზობ-ლად (მესერი გვექონდა შუაში) ერთი ქვრივი ცხოვრობდა, ახალგაზრდა, კოჭ-მალალი და შვლისთვალეა ქალი. ჩემ-ზე უფროსი იყო, მაგრამ გულისგულში ჩემ-ჩემად მომწონდა და, ახლა რომ ვუკ-ვორდები, ეტყობა, ამიტომაც მეჯავრებო-და ესე უსაშველოდ მისი დედამთილი, რომელიც უსათუოდ ავად გახდებოდა, დღეში ერთხელ მაინც რომ არ წაჩხუ-ბებოდა რძალს. მორგვევით დედაკაცი იყო, ცხვირისკარტა, მოკლეკისურა, დი-დი მკერდი ჰქონდა, წელი არ ეტყობოდა, ვეება თეძოებს ძლიერძლივობით დაათ-რედა. სამსახურიდან დაბრუნებული აუ-ცილებლად ჩვენს ეზოში გამოვივლიდა, ოდის ქვეშ ძელსკამზე ჩამოვდებოდა, ჭიდან ახალმოტანილ ყინულივით ცივ წყალს პირდაპირ ვედროდან მოსვამდა, რამდენიმე წუთით დედაჩემს გაესაუბ-რებოდა, მერე, წელზე ხელმოჭიდებული, კუთვა-კუთვით წამოდეგებოდა, ბავბავით მივივლიდა ჭიშკართან, თავის ეზოში გა-დავივლიდა და წუთის შემდეგ უკვე მეს-მოდა მისი დავაღვი და ქოთქოთი.
ბევრი ქათამი გვეყავდა. იმათში ერთი ერია - მოკლეკისურა, დიდჩინაზვიანი, ვე-ებაკურტუმიანი. ქსენიასავით ბავბავით დადიოდა, იმასავით კუთავდა; გამოხედ-ვაც ისეთი ჰქონდა, რომ ყოველთვის მეგონა, ქსენიამ შემომხედა თავისი ცივი, მოთავებული მხერით-მეთქი.
ქსენია დავარქვი იმ ქათამს.

რე, არაფერი ვუპასუხე და ფრთხილად მივუახლოვდი ქათამს, რომელსაც უკვე არაქათი გამოსცლოდა და თხილის ბუჩ-ქის ძირას მიყუყულიყო.
- მარინე, სახლში ხარ? - დედაჩემს გასძახა ქსენიამ.
- აგერ ვარ! - დედა სამზადში საქმი-ანობდა. - ჩამოჯექი, ახლავე გამოვალ.
- არა, ცავ, რაცხა ვერ ვარ კარქათ, - უპასუხა ქსენიამ, ვედროდან ცივი წყა-ლი მოსვა, ჩვეული კუთვა-კუთვით გაი-არა ჭიშკარი და თავისი ოდის კიბეზე აბრახუნდა.
ქათამი დავიჭირე. წაღვი მოვძებნე. სისხლს ვერ ვიტან, მის დანახვაზე ცუ-დად ვხდები. ქათამს ფრთების ბოლოე-ბი და ფეხები ცალი ხელით გაუკავე, კისერი კუნძზე დავადებინე, წაღვი და-ვუმიხე, თავი გვერდზე მივაბრუნე და...
“ჩახ!”
ის იყო, უკან გადავხედი, სისხლი არ მომეშეფოს-მეთქი, რომ მეზობელი ოდი-დან ქალის კივილი მოისმა. ვიცანი - ახალგაზრდა ქვრივის ხმა იყო.
დედაჩემი გულგახეთქილი გამოვარ-და სამზადიდან.
- რა იყო, ცავ, ცისანავ?! - გასძახა. - რა დავემართა, გოგო?
- ქსენია... ქსენია მოკვდა, მარინე ბი-ცოლა! - აიენიდან ჩამოჰკივლა ქვრივმა.
საერთოდ, ხელცოცხალი ვარ - ჩემი დაკლული ქათამი ათიოდე წუთის მაინც ფართხალეს და ხტუნვა-ხტუნვით ლა-მის მთელი ეზო შემოიაროს ხოლმე. ახლა კი... ქსენია-ქათამი, სადაც და რო-გორც დავავდე, ისევე და იქვე იწვა კუნძთან, უმოძრაოდ, და წაჭრილი კის-რიდან თქრიალით სდიოდა სისხლი.
როგორც თქვენ არ გიჭამიათ, ისევე მეც არ მიგკარებოდა იმ ქათმის ხორცს. ფანტასტიკას ჰგავს ყველაფერი ეს, არა?..

შარშან, შუა შემოდგომაზე, საღამო-ხანს, ძველი თბილისის ეზოს ფანატურში, დომინოს თამაშის დროს, კარის მეზობლებმა სათევზაოდ წასვლა გადაწყვიტეს და დილაადრიან თავზე ჩამოფხატული თეთრი ქუდებით და ბამბუკის ტარაიანი ანკესებით გზას გაუდგინენ. სამნი იყვნენ, სამოცის მიღწეული, ერთმანეთს შებერებული სკოლის მასწავლებლები - ჯიმშერ მუჯირი, უჩა დვალი და დამიანე გომეშვილი. რა თქმა უნდა, სუფთა ჰაერზე გასასიერებლად უფრო მიდიოდნენ, ვიდრე თევზის დასაჭერად, რადგან ყოველი მათგანი დარწმუნებული იყო, რომ შინ ხელცარიელი დაბრუნდებოდა.

მაღალ, უწყვეტულვანო და პირხმელ ჯიმშერს უკან გადაწვობილი თოვლივით თეთრი თმა ჰქონდა და დაბალი, ბოხი ხმა; კარგი მათემატიკოსის სახელით სარგებლობდა სკოლის პედაგოგებში და, რაც უფრო დასაფასებელია, თავისსავე მოწაფეებში. მუდამ მშვიდსა და ამავე დროს ზედმეტად თავდაჯერებულს, მისგან ხმამაღალი სიტყვა არავის გაუგონია, სანერვიულოც რომ შეხვედროდა წვრილშვილის პატრონს ცხოვრებაში. ოღონდ, თუ წონასწორობას დაკარგავდა, რაც ძალზე იშვიათად ხდებოდა, ტუჩების კნეტას იწყებდა, რომლის წყალობითაც მხოლოდ და მხოლოდ ახლობლები ამჩნევდნენ მის მოულოდნელ აზვირთებას. ნაკითხი კაცის რეპუტაცია ჰქონდა, ფილოსოფიაში ჩახედული რატომღაც პითაგორას აღმერთებდა და თავისი საგნის გარდა ასტრონომიაზე იყო შეყვარებული, განსაკუთრებით იმ დღიდან, როცა ადამიანმა მთვარეზე პირველად დაადგა ფეხი.

წითური სახის უჩა მელოტი, ჭორფლიანი, ტანდაბალი და ბეჭებში ოდნავ მოხრილი, ქიმიას ასწავლიდა. იგი შინ თუ გარეთ ყველაფერზე მუდამ აღრენილი იყო, მაგრამ კეთილი ბუნების და ალბათ ამიტომაც პატიობდნენ მას ერთის შეხედვით აუტანელ ხასიათს. მთელმა სკოლამ იცოდა, რომ ცოლად ქურთის გოგო ჰყავდა, ულამაზესი გარეგნობის ქალი, ბევრად მასზე უმცროსი და ისე დაბერდა, რომ შვილს ვერ ეღირსა, რასაც ავადმყოფურად განიცდიდა. თუ ვინმე გაბედავდა და ურჩევდა, რომ სხვა შეერთო, მაშინ წითური სახის უჩა მართლაც ცეცხლივით აენთებოდა და "კეთილის მსურველს" უკმეხად შეუღრენდა, ეს კი იმაზე მეტყველებდა, რომ მომავალდებული შესახედაობის მეუღლე მეტისმეტად უყვარდა.

დამიანე ბოტანიკის მასწავლებელი იყო, აწოწილი ტანის, სარგადაცლავილივით დაიარებოდა, თხელი წვერ-ულვაში ჰქონდა, მაღალი, დადარული შუბლი, ატარებდა მუდამ გაბზარულ, ულამაზო სათვალეს. მისი წვრილი ხმა კნავილს უფრო წააგავდა და არც თუ იშვიათად, კლასში, ის მოწაფე, რომელიც ორიანს მიიღებდა, პირზე ხელის აფარებით კატასავით წამოიხსავლებდა ხოლმე. მაგრამ, დამიანე ისეთი გულგრილი ადამიანი იყო, რომ მსგავს დაცინვაზედაც არ ბრაზდებოდა. მაშინაც კი, როცა ერთხელ გაცოფებულმა ქოსა დირექტორმა მის თვალწინ ბავშვი ცემით კინაღამ მისიკვილიდა, კბილების ჩიჩქნით უყურებდა ამ ამაზრუნს სცენას. თითქოსდა ბრმა ან ყრუ იყო და ამიტომაც ვერავინ იტყოდა, რა სწყინდა მას, ან - რა ახარებდა. არც იმას ნაღვლობდა სამი გაუთხოვარი ქალიშვილის მამა, სიბერეშიც რომ შვილიშვილს ვერ ეღირსა და ცხოვრობდა ცის ქვეშ ასე უდარდელად ბოტანიკის მასწავლებელი. რაც მის ირგვლივ ჩვენში ამ ბოლო ათი წლის განმავლობაში ხდებოდა, ყველაფერს ხედავდა, იქნებოდა ეს უპატრონოდ მიგდებული დამშეული ხალხი თუ გაზუღუქებული ნაძირალების პარპაში,

მაგრამ იმდენად გულგრილი იყო, რომ არაფერი აღლებდა. შოვინისტური რუსების, მათგან გაბრიყვებული აფსუებისა და ოსების ბარბაროსობასაც მშვიდად უყურებდა. თუმცა, იმასაც ვერავინ იტყოდა გონებალუნგაო, თავისი თვალშისაცემი თავაზიანობის წყალობით კი ბევრი პატივსაც სცემდა.

დიდხანს არ უვლიათ, დიდუბეში, მტკვრის სანაპიროსთან ჩაუხვიეს, კონსერვის კოლოფი ჭიკვლეებით აავსეს, შლამიან ადგილას ერთმანეთისგან მოშორებით დადგნენ და უბრალოდ გაწვობილი ბამბუკის ტარაიანი ანკესები მღორედ მდინარე მღვრიე ტალღებში ისროლეს. კარგი ამინდი იდგა სათევზაოდ, უქარი, წყნარი, თბილი.

დაფენილ სუფრაზე საგზალი დაალაგეს და ისაუბრეს. მოულოდნელად უჩამ უკმაყოფილო და აღრენილი ტონით ხმამაღლა თქვა:

- თევზიც მოსპეს მდინარეში გათახსირებულემა.

- ყველაფერს მთავრობას ნუ დააბრალებ, - მაშინვე უპასუხა თავისი მშვიდი და ბოხი ხმით ჯიმშერმა, - სულწაუსლობა საქმის მტერია.

- შუადღეა უკვე, ვეღარ ხედავ? - ისევ შეუღრინა უჩამ და ანკესი ბრაზმორეულმა ისროლა მტკვარში.

- მე თუ მკითხავთ, ყველაფერი პლანეტებზეა დამოკიდებული, მარცხიც და გამარჯვებაც, - ჩვეული სიმშვიდით ჩაილაპარაკა ჯიმშერმა.

დავან მაღაზონია

კარვე დოია

მთელ საათს უხმოდ ელოდნენ წყლის ზედაპირზე რგოლების გამოჩენას, მერე მოთმინება დაკარგეს, ქვებზე გაზოები დააფინეს, ზედ დასხდნენ, ანკესები ნაპირის ახლოს მდინარეში ჩაყარეს, ბამბუკები ხელში სათამაშო ჯოხებივით დაიჭირეს და მტკვრის ბუებუეს მიუგდეს ყური.

მაღე მზემ დააცხუნა და გასართობად სათევზაოდ წამოსულმა უსაქმურებმა თეთრი ქუდები ცხვირებამდე ჩამოიფხატეს. ანკესები ოდნავდაც არ ირხეოდა წყალში. მერე მუნჯივით ჯლომა ყველაზე მეტად წითურ უჩას მობეზრდა, აწრიალდა, მოუსვენრად წამდაუწუმ მდინარეს აქეთ-იქით ავლებდა თვალს და ბოლოს აღრენილმა ჩაილაპარაკა:

- სისულელეა აქ თევზის დაჭერა, სხვა ადგილი მოვებნოთ. დაუყვეთ დაბლა. ჩემი გუშანით მღორე წყალში უფრო დავიჭერთ ერთ-ორ ღლავს მაინც. ჯიმშერმა თავისი ბოხი ხმით რამდენიმე წუთის შემდეგ გასცა პასუხი:

- რა გვეჩქარება. მე თუ მკითხავ, ასეთ ადგილებშიაც იჭერენ თევზს.

დამიანემ, ჯლომის დროსაც სარგადაცლავულს რომ გკვავდა, გაბზარული სათვალე შეისწორა და დაიკნავდა:

- სულერთია, ქვევით დაუყვევით თუ ზევით. ბედი და იღბალია მთავარი, ხომ გაგიგონიათ.

- თუ, გამოცდილება, - შეუღრინა დამიანეს უჩამ და წამოდგა, - თქვენ არ ვიცით და მე ქვევით დაუყვევით. ნუ შეჯდებით ჯორზე და მომყვეთ ახლა.

ერთი საათის განმავლობაში სამთავემ რამდენჯერმე მონაცვლა ადგილი, მაგრამ ლიფსიტაც ვერ დაიჭირეს. მელოტი და წითური სახის უჩა წამდაუწუმ იღრინებოდა და უიღბლობაში რატომღაც მუდამ მშვიდად მყოფ ბოხი ხმის მქონე ჯიმშერ მუჯირს სდებდა ბრალს, რომელსაც ასტრონომია ძილშიაც არ ავიწყებოდა. ბოლოს, როგორც იქნა, დამიანეს ანკესს მოზრდილი ნაფოტა თევზი წამოეგო, - მურწა, სარგადაცლავილივით მდგომმა კატასავით დაიჩხავლა:

- ხომ გეუბნებოდით, იღბალია მთავარი მეთქი, პოდა, გამომართლა კიდევ. გამოცდილება ზოგიერთებისთვის დამითმია, - მურწა საგანგებოდ წამოღებულ წყლიან კონსერვის დიდ კოლოფში გადაუძახა და გულგრილი თვალებით უჩას გადახედა. თითქოსდა ვეშაპი დაეჭიროს, სამთავე კარგა ხანს ათვალაიერებდა თევზს. მხოლოდ დამიანე დასცქეროდა მურწას გულგრილად. მერე ქვებზე გა-

- თევზობაც? - დაცინვით ჰკითხა უჩამ.

- კი, ყველაფერი ამ ქვეყანაზე. ამას გვასწავლის მტენიერება.

- მოკლა ამისმა ასტრონომიამ, - ისევ აიმრიზა უჩა და ხელი ჩაიქნია, - თურმე დამთქანარებაც ვარსკვლავთმომიციხველობაზე ყოფილა დამოკიდებული.

- რა თქმა უნდა, - მშვიდად უპასუხა ჯიმშერმა.

- შენ იცი რა ვითხრა?, - უფრო აენტო უჩა, - ასეთი ზღაპრები ჩვენს უწიგნურ დეპუტატებს უამბე პარლამენტში.

- ყველაფერი პლანეტებზე და საერთოდ, კოსმოსზეა დამოკიდებული და რა კენა ახლა მე, - თავისას არ იშლიდა ჯიმშერი.

- გვაცალეთ, ბატონო, თევზობა, - ისევ შეუღრინა უჩამ, მისგან მოშორებით დადგა და მდინარეში ანკესი კიდევ უფრო მეტი ბრაზმორევით მოისროლა. დამიანე კი იჯდა ქვაზე გულგრილი გამომეტყველებით, დროდადრო გაბზარულ სათვალეს ისწორებდა ცხვირზე და აინუნშიაც არ ავლებდა მეზობლებს ნალაპარაკებს.

- მზეზე და ვარსკვლავებზე რომ ფიქრობდეს ხშირად ადამიანი, ყველაფერს იოლად აიტანდა მაშინ, საშინელ გაჭირვებასაც და უბედურებასაც, - დამნაშავეს ტონით წამოიწყო ცოტა ხნის შემდეგ თავისი ბოხი ხმით ჯიმშერმა და რატომღაც ცას ახედა.

- მოეშვი ამ შენს ფილოსოფიას, ბოლოს და ბოლოს და დამაყენე აქ! - ახლა თითქმის მუქარით უთხრა უჩამ და მისგან კიდევ უფრო მოშორებით დადგა. მერე დამიანეს გულგრილ სახეს რომ მოჰკრა თვალი, ისე გაღიზიანდა, რომ ბამბუკის ჯოხი მიწაზე დაანარცხა, ქვაზე ჩამოჯდა და ბოლმამორეულმა ჩაიბუზღუნა: - თქვენისთანა გენიოსები ანგრევენ ქვეყანას.

შუადღეზე ადგილის მონაცვლება დაეზარათ, რაც იმის მომასწავლებელი იყო, რომ შეეგუენ უიღბლობას და ანკესებს უსულგულოდ ისროდნენ წყალში.

- ეჰ, შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო, მართალია ეს, - უცებ რატომღაც ხმამაღლა დაიბუზუნა ჯიმშერმა და დანანებით თავი გადააქნია, - რას ვამბობ მე იმისთანა უცნაურს, რომ ფილოსოფოსობას მწამებენ. მზეზე, ვარსკვლავებზე, მთვარეზე, სხვა გალაქტიკებზე, უსახლგრო სამყაროზე რომ იფიქროს ხშირად კაცმა, ყოველდღიურ გაჭირვებას და უბედურებას უფრო იოლად აიტანდა, მეთქი; ესაა და ეს. სხვა რა ვთქვი. რამდენ წუთს ანდომებს მზიდან წამოსული სხივი დედამიწამდე, არ გაინტერესებთ? ჰოორო! ისე უნდა მოვ-

კვდეთ, რომ ეს არ ვიცოდეთ? მზიდან წამოსული სხივი ზესტაფონის მინდორში რომ დაეცეს, ანუ დედამიწაზე, ამ გზას იგი ანდომებს რვა წუთს. აბა! ახლა სამყაროს მასშტაბს არ იკითხავთ? თავზარდამცემია, გამაოგნებელია. ჩვენი მზიდან წასულმა სხივმა რომ უახლოეს ანდრომედას გალაქტიკამდე მიადწიოს, ორი მილიონი სინათლის წელი სჭირდება, გესმით? თუმცა, ჯერ სად ხართ! უშორესი გალაქტიკა კი დაშორებულია ჩვენგან რამდენიმე მილიარდი სინათლის წლის მანძილზე! მიდი და უყარე ახლა კაკალი... სინათლის სხივი, მოგეხსენებათ, წამში სამას ათას კილომეტრს გადის, დიას.

ჯიმშერი წამით გაჩუმდა, მაგრამ ივ-

რძნო, რომ უსმენდნენ და გააგრძელა:

- მზე რომ რიგითი ვარსკვლავია, იცით ეს თქვენ, კი, ბატონო, ოღონდ, ისიც ვიცითხოთ, რამდენი მზეა გაბნეული გალაქტიკის სივრცეში დაახლოებით. გიფიქრიათ ამაზე? ასი მილიარდი! ჰო, ასი მილიარდი ვარსკვლავი, ანუ - მზე! მართლ ამის წარმოდგენა გააოგნებს კაცს...

წითური სახის უჩა ახლა აღრენილი აღარ გაჰყურებდა მდინარეს, მაგრამ მაინც თავს უნდოდ აქნევდა აქეთ-იქით და დროდადრო ჯიმშერისკენ გააპარებდა მზერას, რაც იმის მიმანიშნებელი იყო, რომ იგი უსმენდა ახირებულ მეზობელს. დამიანე სარგადაცლავილივით იჯდა ქვაზე და ზოგჯერ კონსერვში მცურავ ნაფოტა თევზს გულგრილი გამომეტყველებით ჩახედავდა. ჯიმშერის ნალაპარაკებს კი იგი აინუნშიაც არ ავლებდა.

მტკვრის გაღმა ორი ხანში შესული მეთევზე გამოჩნდა დახვეული ანკესებით ხელში, თავჩაქინდრულები მდინარეს აღმა მიუყვებოდნენ, წამით შედგებოდნენ, იქაურობას თვალს ავლებდნენ და ისევ აგრძობდნენ გზას.

- ე! ჩვენი ჭკუის ხალხი, - ამრეხით ჩაილაპარაკა იმათ დანახვაზე უჩამ და მერე ჯიმშერს გასძახა, - გაღმა გაიხედე! იმ ორს ახლა აინტერესებთ რა ხდება ოუპიტერზე? ხომ ხედავ, დაზაფრულებივით რომ დადიან. რაზე იფიქრონ, შიმშილით რომ არ დაიხცონ, იმაზე, თუ, ას მილიარდ მზეზე, ანდა, ანდრომედის გალაქტიკაზე, მიპასუხე ერთი.

- შეყარე კვდელს ცერცვი, - ჩაიბუზუნა ჯიმშერმა, - აზრი არა აქვს ჩემს ლაპარაკს.

- ამიხსენი, ბატონო, რაზე იფიქროს იმ ხალხმა, დამშეულ და დაავადმყოფებულ ცოლ-შვილზე თუ ასტრონომიაზე!

- არ ვინდა გაიგო და მე რა კენა, - მშვიდად უპასუხა ჯიმშერმა.

- ამოიღე შენც ხმა! - ახლა, თითქოსდა მოსაშველებლად, მერე მეზობელს მიუბრუნდა უჩა.

დამიანე კი იჯდა ლოდზე სარგადაცლავილივით თავისი განუშორებელი გულგრილი გამომეტყველებით, დროდადრო ასანთის ღერით კბილებს იჩიჩქნიდა და მღვრიე წყალში ჩაკარგულ ანკესს ზედაც აღარ უყურებდა. აშკარად ჩანდა, რომ მობეზრდა თევზობა და შინ დაბრუნება ერჩია. უჩა მისმა გულგრილობამ კიდევ უფრო გააღიზიანა და ჯავრის ამოსაყრელად ისევ ჯიმშერს მიუბრუნდა, იმ იმედით, რომ მოულოდნელი შეკითხვით გააბიაბრუებდა, გააწბილებდა და ხმას ჩააწყვეტინებდა.

- ერთი ეს გვითხარით, ვაჟბატონო, ამ ცას რომ მისწერებხარ დღედაღამ,

დავან მანაქონია კარკე ღია

მოუკიდებლობის დამკვიდრებით გალი-
ზიანებულმა უმისამართოდ შეიკურთხა.
უფრო მეტად კი ის უშლიდა ნერვებს,
თუ როგორ ახერხებდა დღეს მშვიდად
ყოფნას გახრწნილი პოლიტიკანების წყა-
ლობით გაპარტახებულ ქვეყანაში წვრილ-
შვილის პატრონი ჯიმშერ მუჯირი.
მზე უკვე შუბის ტარზე იდგა, ამ გვიან
შემოდგომაზე ისე ცხელიდა, რომ ადგი-
ლის მონაცვლება და ჩრდილის მოძებნა
გადაწყვეტეს, მაგრამ ხეტიალი დაეზარათ.
ჯიმშერმა თავზე ჩამოფხატული ტი-
ლოს თეთრი ქული მოიხადა, უკან გა-
დაწყობილი თოვლივით თეთრი თმა თი-
თებით შეივარცხნა, უწვევრულვამო პირ-
ხმელ სახესა და კისერზე ჭრელი ცხვირ-
სახოცი მოისვა და ცას ახედა. მერე
ბამბუკის ჯოხი ხელში შეათამაშა, ქვა-
ზე უფრო მოხერხებულად დაჯდა და
ღრმად ჩაფიქრდა.
ჭორფლიანი, წითური სახის უჩა უცებ
რატომღაც მოიკუნტა და გაოფლილი
მელოტი თავი დიდი თეთრი ნაჭრით
მოიმშრალა. ტანდაბალი, ბეჭებში ოდ-
ნავ მოხრილი, იგი ახლა ჯუჯას დაემ-
სგავსა და წარბშეჭმუნნილი ჩააცქერდა
ქვა-ლორს. უჩას, როგორც სწვევდა,
როცა სკოლაში ან სადმე ვინმე წონას-
წირობას აკარგებდა, მაშინვე თავისი
უსაყვარლესი მუხლზე დაუდებოდა
თვალწინ, მთელ უბანში სილაპაპით გან-
თქმული ქურთის ქალი, როგორც ყვე-
ლაზე და ყველაფერზე მალა მდგომი
და სიმშვიდის მომგვრელი. ახლაც ან-
გელოზივით ცოლი გაასხენდა, არსად
რომ არ მსახურობდა და მუდამ შინ
ეგულეობდა და იმწამსვე გუნება გამო-
უკეთდა. გარდა ამისა, თითქმის მუდამ
მოქუფრული, მაგრამ ბუნებით კეთილი
ქიმიის მასწავლებლისთვის გულში ბო-
მის ჩადება უცხო იყო. იგი ახლა იმაზე
ფიქრობდა, რომ ასტრონომიით გამოტ-
ვინებულ მეზობელს მალე გასცლოდა
და შინ ულაპაპეს ცოლთან თუგინდ
ხელცარიელი მისულიყო.
ჯდომისგან დაღლილი აწოწილი ტა-
ნის ბოტანიკის მასწავლებელი ფეხზე
წამოდგა, წელში სარგადაყლაპულივით
გაიმართა, გაიზმორა, თხელ წვერ-ულ-
ვაშზე ხელი ჩამოისვა, ულაპაპო, გაბზა-
რული სათვალე შეისწორა და კატასა-
ვით რამდენჯერმე დაიკანკლა. არც ერ-
თი მეზობელი არ გამოპასუხებია, თუმ-
ცა ორთავემ კარგად გაიგონა მისი ხმა.
დამიანეც მოიხადა თავისი თეთრი ტი-
ლოს ქული, მარაოსავით ყელთან მოიქ-
ნია და დინჯი და თავაზიანი შესტით
თავზე დაიხურა - მას ახლაც ასეთი
გულგრილი გამომეტყველება ეხატა სა-
ხეზე, რომ მტკვარში მოულოდნელად
ნიღვარიც რომ მოვარდნილიყო, ნერ-
ვიც არ აუთამამდებოდა. მან წელან ყუ-
რი მოჭკრა უჩას სიტყვებს, როცა იგი
მის სამ გაუთხოვარ ქალიშვილს ასე-
ნებდა, მაგრამ არაფრად ჩაუგდია. ას-
ტრონომიაზე წაკითხული ჯიმშერს ლექ-
ცია კი დამიანეს დროის უაზროდ და
ფუჭად ხარჯვად ეჩვენებოდა და მიქნა-

დედამიწაზე რა ხდება დაგვიწყდა? უფრო
კი ის მინტერესებს, თუ იცი რამხელაა
იგი! ზუსტი ციფრი მჭირდება მე.
- ჩვენი პლანეტის სიდიდე ორი რა-
დიუსით იზომება - პოლარული და
ეკვატორული...
- ლაილაი ამოვივია ყელში.
- პოლარული დედამიწის სიდიდე,
ესე იგი, ჩრდილოეთ პოლუსიდან სამ-
ხრეთ პოლუსამდე, ექვსი ათას სამას
ორმოცდათექვსმეტი კილომეტრი და
რვაას სამოცდასამი მეტრია, ეკვატორუ-
ლით - ექვსი ათას სამას სამოცდათ-
ვრამეტი კილომეტრი და ორას ორ-
მოცდახუთი მეტრი. რადიუსების სხვა-
ობა ოცდაერთი კილომეტრი და სამას
ოთხმოცდაორი მეტრია, - მშვიდად უპა-
სუხა ჯიმშერმა.
- უჩამ პირი დალო და უნებურად
წამოიძახა:
- უფურე შენ!
მაგრამ, მაშინვე, თითქოსდა მთელი დე-
დამიწა ნაბიჯ-ნაბიჯ ჰქონდა გადახომი-
ლი, პატივმოყვარეობამ დასძლია და ჯიმ-
შერს ყალბი ღიმილით გასძახა:
- გამოსაცდელად გკითხე, თვარა, ვი-
ცოდით ეს ჩვენც. ოლონდ, შენგან გან-
სხვავებით, წარამარა ამაზე არ ვფიქრობ,
სხვა მაქვს ბევრი სადარდებელი ცხოვ-
რებაში.
მერე ცოტა ხანს ჩაფიქრდა და რა-
ტომღაც იმაში დარწმუნებული, რომ ჯიმ-
შერი ამჯერად ზუსტ პასუხს ვერ გას-
ცემდა ნიშნისმოგებით ჰკითხა:
- მაშინ, აბა, ისიც გკითხარი, რამდენი
კილომეტრია აქიდან მთვარემდე. ესეც
გაზომილი გექნება შენ.
- სამას ოთხმოცდაოთხი ათასი, -
მშვიდად უპასუხა ჯიმშერმა და ანკესი
შორს მოისროლა.
უჩა აიბნა, თითქოსდა გაწიწმტდა და
ხმამალა წამოიძახა:
- მზემდე!
- ჩვენგან ას ორმოცდათი მილიონი
კილომეტრი.
- თუ გეგვკვება, წადი და შენ თვითონ
გაზომეო, არა? ამასაც გუებნება ეს შენი
ასტრონომია, - ისევ აიმრიზა უჩა.
- ეჰ, - ხელი ჩაიქნია ჯიმშერმა, -
ამაზე ხომ არავინ კამათობს მსოფლიო-
ში. ყველაფერი ეს, რაც მე ვთქვი, იცოდ-
ნენ, ეგერ, ჰე, უბედულეს ეგვიპტეში და
სხვაგანაც. თუმცა, ბევრმა ისიც არ იცის
აქ, რამდენი კილომეტრია მისი სახლი-
დან დეზერტის ბაზრამდე. მაგრამ, სამ-
ყაროში უფრო დიდი საოცრებებიც რომ
არსებობს, იმას აღარ იკითხავ?
- რომელი, მაგალითად, - უცებ დაინ-
ტერესდა უჩა.
- სანამ დამიანე არ დამიგდებს ყურს,
არ ვიტყვი, - ღიმილით თქვა ჯიმშერმა.
უჩამ თვალები მოჭკუტა, სარგადაყლა-
პულივით მჯდომ მეზობელს გახედა და
ბრაზმორეულმა გასძახა:
- შენ, აქ, ვაუბატონო, ყანვივით რომ
გაჭიმულხარ, ვერ ამოიღებ ხმას? უფ-
რო დიდი თევზი დაუჭერია ზოგიერთს,
მარა, თავში არ ავარდნია.
დამიანემ წამით შეწყვიტა კბილების
ჩიჩქა და ისევ განაგრძო. იგი ახლაც
გულგრილი გამომეტყველებით იფურე-
ბოდა სადღაც შორს. უჩამ რაღაც ჩაი-
ბუზუნა და ჯიმშერს გახედა:
- გააგრძელე, თუ ძმა ხარ, გააგრძელე,
ხომ ხედავ, ერთი ლიფსიტის დაჭერამ
რა უყო ამ კაცს.
დამიანეს კი კონსერვში მცურავი მურ-
წა უკვე გადავიწყებული ჰქონდა და
წამლაუწუმ შინ წასვლაზე ფიქრობდა,
მაგრამ წამოვლიდა ეზარებოდა.
- ესე იგი, გაინტერესებს, - ღიმილით
უთხრა უჩას ჯიმშერმა, - რაც კარგის
მოძასწავებელია.
- თუ არ გადაწყობ, შენ იცი! - თავი-
სუფალი ხელი გაბრაზებით აიქნა უჩამ.
ისევ გამოჩნდნენ გაღმა ნაპირას თავ-
ჩაქინდრულად უკან მომავალი მეთევ-
ზეები.
- კაი, ბატონო, - თქვა ჯიმშერმა, ჰა-
ერში მოფარფატე ცარიელ ანკესს შე-

ავლო თვალი, მერე შორს მოისროლა,
ქვაზე უფრო მოხერხებულად დაჯდა
და მოკრძალებული ტონით განაგრძო:
- დედამიწა მზის ირგვლივ რომ შე-
მოვივლის თავის წლიურ გზაზე, წამში
რამდენ კილომეტრს გადის, რა სისწრა-
ფით მიჰქრის, მიჭენაობს, არ გეწყინოს
და იცი ეს შენ?
- არა! - ჯიბრით უპასუხა უჩამ.
- წამში ოცდაათ კილომეტრამდე სის-
წრაფით მივლივინობს კოსმოსში.
- აუჰ! - უნებურად თავი ვერ შეიკა-
ვა და წამოიძახა მოულოდნელობისგან
გაოგნებულმა უჩამ და მაშინვე, მასში
გაღვიძებულმა პატივმოყვარეობამ, სას-
ხვათაშორისო ტონით ათქმევინა, - კი,
ბატონო, ვიცით ჩვენც კარგად.
ჯიმშერმა სიცილისგან თავი ძლივს
შეიკავა და განაგრძო:
- ესე იგი, თავქუდმოგლეჯილი მიჰ-
ქრის ცაში ტყვიასავით მთებთანად, ზღვე-
ბიანად, სახლებიანად, ბოსტნებიანად, პინ-
გვინებიანად, ტელევიზორებიანად, მაკრატ-
ლებიანად, ტანკებიანად, ჩვენთანად, ყვე-
ლაფერიანად ერთად წამში ოცდაათი კი-
ლომეტრის სისწრაფით და ზოგიერთი
ბუზუნებს, ქარი რომ ამოვარდება, მი-
ბერავსო, ვცივლებიო. რა უნდა უთხრა
ახლა ასეთ კაცს! მთელი პლანეტა მი-
ექანება ცაში ტყვიასავით და ბევრი და-
ბადებას იწყებოდა - ფუი, ჩემს გაჩენას,
მეწყვიერი ჩამოწვავო;
- კიდევ რას მეტყვი ახალს! - თან
აინტერესებდა და თან თითქმის დასცი-
ნოდა უჩა მეზობელს.
- მილიონ სამას ათასჯერ მეტია მო-
ცულობით მზე დედამიწაზე, ეს შენ კი
არა, ბავშვმაც იცის. მაგრამ, ახლა ისიც
ვთქვით, არის თუ არა სამყაროში ჩვენს
მზეზე უფრო დიდი მზე! უთვალავია!
ასეთია მილიარდობით! ხომ უნდა წარ-
მოვიდგინოთ, რა ზღაპრულ ენერჯის აფ-
რქევს უთვალავი მზე სამყაროში! სად
მიდის, რას ხმარდება, ან, სად იკარგება!
- ჰო, აბა!, - მოულოდნელად კვერი
დაუკრა უჩამ, მაგრამ იმწამსვე ყოვლის-
მცოდნის ტონით თქვა, - მაგაზედაც ბევ-
რჯერ მიფიქრია მე.
დამიანე კი ისევ წელგამართული იჯ-
და ქვაზე და დროდადრო უსულგულოდ
თუ მიუგებდა ყურს ასტრონომს.
მტკვრის გაღმა მოსიარულე მეთევ-
ზეები თვალთახედვიდან უკვე მიიმაღ-
ნენ და ახლა მათ ნაცვლად ახლები
გამოჩნდნენ, უფრო ხანშესულები და და-
ჩაჩანაკებულები.
- თუ ჩემი ბუბუტური არ მოგებურდა,
ახლა ისიც ვიკითხოთ, რა უნდა მოს-
ვლოდა მზეს რამდენიმე ათასი წლის
შემდეგ, მისი სითბო განუწყვეტლივ რომ
იღვრება სამყაროში! - თავის სტიქიაში
ისე ჩაიძირა ჯიმშერი, რომ თითქოსდა
საკუთარ თავს ელაპარაკებოდა, - რა-
საკვირველია, უნდა გაციებულიყო, - მე-
რე უჩასკენ შეტრიალდა და თქვა, -
ლაპა მანამ ანათებს, სანამ ნავთია შიგ,
ხომ! რომ გამოილევა, ჩაქრება და თუ
გინდა სინათლე ისევ აფრქვიოს, საწვა-
ვი უნდა ჩაასხა ჰურჭელში. ასე არაა?
მზეს კი, აურაცხელ ენერჯის რომ გა-
მოყოფს, არაფერი აკლდება! საიდან ინაზ-
ლაურებს იმას, რასაც წვავს! მიდი და
ახსენი! იგივე ითქმის სამყაროში მილი-
არდობით მზეზე! ამაზედაც ვიფიქრია
აღბათ შენ.
- ბევრჯერ, - შეიფერა უჩამ და მხრები
უხერხულად შეათამაშა.
- ჰოდა, როგორ ხდება ეს! - უცებ
გამოხალისდა ჯიმშერი, - ციური სხეუ-
ლი აფრქვევს ანთი უთქმელ ენერჯის
და არაფერი აკლდება?
- ვინ იცის, - ჩაიღუღუნა უჩამ.
- დამიანს დღეს რისი დაკვირვების
საშუალებაც გააჩნია თავისი ხელსაწყო-
ებით, იმის მიხედვით მზეს არაფერი აკ-
ლდება! ამან მაინც არ უნდა შეგვმალოს?
იგივე ითქმის მილიარდობით მზეზე.
- ეს არაა კაცის ჭკუის საკითხავი, -
შეიშმუნა და ისე უპასუხა უჩამ.
- ავამენა ღმერთმა! - გულწრფელი,

ბავშვური სისარულით წამოიძახა ჯიმ-
შერმა, - ჰოდა, ჩვენც უნდა გავრუმდეთ,
დავალოთ პირი და სანამ ცოცხლები
ვართ, გაცუბულები გავგებულები ვუ-
ყურებდეთ იმას, რასაც ირგვლივ ვხე-
დავთ, მალა და დაბლა. სხვათაშორის,
იყვნენ მენისთანა ფილოსოფოსები, რომ-
ლებიც ამტკიცებდნენ, რომ ადამიანმა ეს
არც შეიძლება იცოდესო. მერე პასუ-
ხი კი ასეთია - ყველაფერი ღმერთმა
შექმნაო, მესამე არ არსებობს. ხალხი
კი, იმის ნაცვლად, რომ სამყაროს საოც-
რებებით იყოს გაცუბული, ერთმანე-
თის ხოცვა-ჟლეტას ანდომებს დროს.
- კაი, და, ღმერთი რამ შექმნა!, - დუღ-
ღუნით თქვა წითურმა.
- არც ესაა, ჩემო უჩა, კაცის ჭკუის
საკითხავი, შენი არ იყოს, - მაშინვე
უპასუხა ჯიმშერმა, - მე დღემდე თუ
ცოცხალი ვარ, დამიჯერებ ალბათ, იმის
წყალობით, რომ სამყაროს ამოუხსნელ
საოცრებებზე ვფიქრობ. აბა ახლანდელ
ნადირალებზე, წურბელებზე და მთავ-
რობასა თუ პარლამენტში მყოფ გახ-
რწნილ ხროვაზე ფიქრში დაგკარგო დრო?
და, მილიარდობით მზე დაევიწყო?
- ჰოდა, იცხოვრე შენ მაგისთანა სიბ-
რძნით, - უცებ ნიშნისმოგებით მოუჭრა
ჯიმშერს უჩამ.
- ვცხოვრობ, ბატონო. ასტრონომია
რომ არა, აქამდე ათასჯერ გამძვრებოდა
სული.
- ესე იგი, მიუშვით, ხომ, თავის ნება-
ზე, ხროვა! - ისევ აიმრიზა უჩა.
- შემთხვევით არაფერი ხდება სამყა-
როში, ჩემო ბატონო და რა თქმა უნდა,
დედამიწაზედაც, - მშვიდად ჩაილაპარაკა
ჯიმშერმა.
- ჰოდა, უკაცრავად პასუხია და გამო-
უტვინებინარ, გენაცვალე, ასტრონომიას,
- ხმას აუწია უჩამ, ბამბუკის ჯოხი ქებ-
ზე დაავლო, პიჯაკის გულის ჯიბეში
ჩაწყობილი ორი სიგარეტიდან ერთი
ამოიღო, ასანთს გაჭკრა და დღის გან-
მავლობაში პირველად გააბოლა: ჩანდა,
რომ ყოველი ღერი გამოზოგილი ჰქონ-
და, რადგან მთელ კოლოფს კარგა ხანია
ვეღარ ყიდულობდა.
რამდენიმე წუთს სიჩუმე ჩამოვარდა,
ისმონდა მხოლოდ მტკვრის დუღუნი. გაღ-
მა ნაპირას ერთმანეთისგან მოშორებით
მდგომმა სამმა მეთევზემ ანკესები ისრო-
ლა მდინარეში. უჩამ ისევ აიღო ბამბუ-
კის ჯოხი ხელში და დაბოდიშმა ჯიმ-
შერს გასძახა:
- აგერ, სამი გაუთხოვარი და ჩაუც-
მელ-დაუხურავი ქალიშვილი რომ ჰყავს
ყენივით წამოჭიმულს და ყველაფერი
ფეხებზე ჰკიდია, ამასაც ასტრონომიამ
უყო ეს? რაღა გიჭირთ მაშინ, აწყობი-
ლი გქონიათ ყველაფერი სომხის გი-
ტარასავით.
- მე ეს არ მითქვამს, - მშვიდად
გასცა პასუხი ჯიმშერმა, - ვინ ამბობს
ყოველდღიურობა დაევიწყითო.
- აბა რას მისჩერებინარ დღედაღამ
ამ ცას, საფიქრალი გამოგელია მიწაზე?
- ვიქურ გასძახა უჩამ და სიგარეტი
მადიანად გააბოლა.
- ტყუილად ვილაპარაკე ამდენი, -
ხელი ჩაიქნია ჯიმშერმა, - მე ვამბობ,
რომ ათასჯერ ჭირსა და უბედურებას
უფრო იოლად გადაიტანს ადამიანი, თუ
ხშირად სამყაროს საიდუმლოებებზე
იფიქრებს მეთქი. რაა ამაში სასაცილო!
შენც ხომ ფიქრობ, თურქე ამაზე, ასე არ
თქვი? ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ
ჩვენ დღევანდელი ნადირალების ყურ-
მოჭროლ მონებდ ვიქცეთ, ანდა, შეგვეუ-
ოთ წურბელების პარაპას. მათზე ჯან-
მრთელები უნდა ვიყოთ ყოველმხრივ
ჩვენ, დიდხანს რომ ვიცოცხლოთ, ისინი
კი საკუთარ ტყელიპებს გადაყვებიან...
უჩამ ხელი უმიძღოდ ჩაიქნია და სი-
გარეტის ნამწვი წყალში ისროლა. მე-
რე სარგადაყლაპულივით მჯდომ დამი-
ანეს შეავლო თვალი და საუბარში მისი
ჩაურევლობით, განცალკევებულობით, და-

დავან მალაქონია კარკე ლია

რებით წამდაუწუმ მხრებს იჩნავდა. მერე ისევ დაიკანკლა რამდენჯერმე, მეზობლებმა კვლავ არ მიაქციეს ყურადღება და წელში გაწვართულმა ბოტანიკის მასწავლებელმა ანკესი შორს მოისროლა და თვეზაობა გააგრძელა.

უცებ ჯიშმურმა ქული ცხვირამდე ჩამოიფხვრა, უჩასკენ თავი მიატრიალა და მისგან ხმაძალი სიტყვა ცხვირებაში რომ არავის გაუკონია, მოულოდნელად წამოიყვინძრა:

- შენ მე მოცლილი ხომ არ გგონივარ! ერთად დავებრდით და რა უცხო-სავით მელაპარაკებთ. მთავარი სათქმელი ჯერ არ მითქვამს და გვაცალეთ, ბატონო!

უჩამ გაკვირვებით გახედა მოულოდნელად აყვირებულ მუდამ თავზანიან და მოკრძალებულ ჯიშმურს და დიდხანს თვალი არ მოუშორებია მისთვის. თვით გულგრილი დამიანეც კი გააოცა სანიმუშო ზრდილობით გამოჩნეული მეზობლის ხმაძალი ნათქვამმა და იმანაც თავი ნელა მიატრიალა ასტრონომისკენ. ჯიშმური იმწამსვე გამოეხიზლა, იგრძნო, რომ საკუთარ ბუნებას უღალატა, ზედმეტი მოუვიდა, უხერხულად შეიშმუნა, აწრიალდა, სახეზე წამოაწითლა და ნირწამხდარმა დარცხვენით დამნაშავესავით ამოილულულა:

- მაპატიე, ჩემო უჩა, დიდ ბოდის გიხდი... არ ვიცი რა მომივიდა... თუ ხათრი გაქვთ, მაპატიე... დედის სულს გაფიცებ...

- ჰო, კაი, კაი, - უხეშად უპასუხა უქმურმა.

- ათასჯერ ბოდის გიხდი, ჩემო კეთილო ძმაო, მზემ დამკრა თუ რა მომივიდა არ ვიცი... მაპატიე...

- ჰო, კაი, გეყოფა! - შეაწყვეტინა და მთელი ხმით დატუქსა კიდეც უჩამ და მერე შემრიგებლური ტონით გააგრძელა, - უკეთესია ისიც მითხრა, რა ბოლოს და ბოლოს შენი მთავარი სათქმელი, მაღირსე.

ჯიშმურს იმწამსვე სახე გაბაძრა, ესამოვნა, რომ მეზობელი მისგან განაწყენებული არ დარჩა და გახალისებულმა წამოიძახა:

- ცას მე ხშირად იმიტომ ვუყურებ, რომ იქიდან უფრო უკეთ დავინახო დედამიწა და მასზე მცხოვრები ადამიანები.

“აუჰ! ახლა კი სულ აურიან”, - გაიფიქრა უჩამ და თავისუფალი მარცხენა ხელის მტევანი მუხლისთავზე დაირტყა. ჯიშმური თითქოსდა მიუხვდა ამას და დიმილით უპასუხა:

- ჭკუიდან არ გადავსულვარ ჯერ, ახლავე მოგახსენებ ჩემ მთავარ სათქმელს ძალიან მოკლედ, ნუ გეშინია. ჰო... აინშტაინმა, ყველა დროის უდიდესმა მოაზროვნემ და ფიზიკოსმა, ხომ გახსოვს, რა თქვა აგერ ახლა, მეოცე საუკუნეში - ისეთი უსასტიკესი წესრიგია სამყაროში, რომ მასში ვინმეს ხელი რომ არ ერიოს, წარმოუდგენელია. ერთი წამის მეძლიარედით რომ აუჩქაროს ან დაივიანოს ვარსკვლავმა იქ ძალიან თავის სავალ გზაზე, ეს დრო-ჟამის განმავლობაში დაგროვდება, სამოც წამად იქცევა და მერე რაც მოხდებ-

და მზეებს შორის დაჯახების შედეგად ზეცაში, მიხვდები შენ. ჰოდა, მაშასადამე არსებობს მარადიული წესრიგის დამაკვიდრებელი... ერთი სიტყვით, ღმერთი აღიარა უდიდესმა მოაზროვნემ.

უჩამ ხელი ჩაიქნია, მაგრამ არაფერი უთქვამს. ჯიშმურმა დაინახა ეს და რატომღაც დამფრთხალმა აჩქარებულად გააგრძელა:

- სხვათაშორის, დედამიწის ასაკს დღეს თითხმეტ მილიარდამდე წელს ითვლიან... ჰო... ახლავე მოგახსენებ მთავარს, ამ წუთში, - მერე წამით ჩაფიქრდა და თითქოსდა რაღაც აღმოაჩინაო, გახარებულმა წამოიძახა, - სტადიონზე ხომ მჯდარხარ, ჩემო უჩა! მაღლიდან უფრო კარგად მოსჩანს მოედანი და მასზე მოთამაშეები თუ - დაბლიდან! ჰოდა, მეც ცისკენ იმიტომ ვიყურები ხშირად, რომ იქიდან უფრო უკეთ დავინახო მიწა და მასზე მცხოვრები ადამიანები... დიას...

ისევ აიქნია დაუდევრად ხელი უჩამ, ადგილის მონაცვლებაც დააბირა, მაგრამ მერე დარჩენა და ბოლომდე მოსმენა ამჯობინა. ამის დანახვისთანავე ჯიშმურმა სხაპასხუპით დაიწყო ლაპარაკი:

- უთვალავ საოცრებას უყურებს თავის ყოველდღიურ ცხოვრებაში ადამიანი, მაგრამ ისეა ჩადირული წვრილმანებში, რომ ვერაფერს ხედავს! ჰო, ნუ გაგიკვირდება ეს! ერთმანეთს რომ ვუყურებთ, ველაპარაკებთ, ვებრძობთ, ვეფერებით, ეს ხომ სიცოცხლე! მერე! ვიცით რაა სიცოცხლე? დიდ მოაზროვნეებს რომ ჰკითხო - არა! სიცოცხლე ისეთივე ამოუხსნელი იდუმალება თუ საიდუმლოებაა ჩვენთვის, როგორც სიკვდილი! არც მეტი, არც ნაკლები...

უჩამ ისევ დაანარცხა ბამბუკის ჯოხი ქვებზე, პიჯაკის გულის ჯიბიდან მორე და უკანასკნელი სივარეტი ამოიღო და ბრაზმორეულმა ასანთს გაჰკრა.

- თუ არ გამლახავ, დამაცადე, - უცებ მოტყდა ჯიშმური და დამნაშავეს ტონით გააგრძელა, - ადამიანი, შენც კარგად იცი, მიკროკოსმოსია, თავის სიმდაბლითაც და სიმაღლითაც მაინც სამყაროს გვირგვინია, მასზე უფრო დიდი არსება ამ პლანეტაზე არ გაჩენილა... ჰო, ასეა ნამდვილად...

- შენ მე ღლაპი ხომ არ გგონივარ! - თვალები დაუბრიალა უჩამ ასტრონომს.

- გთხოვ, გეხევენები, გვედრები, ბოლომდე მომიხმინო, - მუდარით უთხრა ჯიშმურმა, - ახლავე გეტყვი მთავარ სათქმელს, - მერე ისევ ჩაფიქრდა წამით და ახლა მოულოდნელად კატეგორიული ტონით გააგრძელა, - ადამიანი და მისი გული, ტვინი, ღვიძლი, სისხლი, საერთოდ სხეული და სული, უფრო დიდი და ამოუხსნელი, ამოუცნობი საიდუმლოებაა, ვიდრე მილიარდობით მზე და მთელი სამყარო...

ამ სიტყვების გაგონებაზე უჩამ თვალები მოჭუტა, ჯიშმური ყურადღებით შეათვალა და თავი დანახვით გადააქნია. ასტრონომი კი ისე იყო უკვე ექსტაზში შესული, რომ ველარავის ხედავდა, მთელი მკერდით სუნთქავდა და პათეტიკურად ლაპარაკობდა:

- რახან ერთმანეთს ვხედავთ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ვიცით რაა სიცოცხლე! როგორ მუშაობს დღეღამად ადამიანის გული, არაა სასწაული? ერთი წამითაც არ ისვენებს! როგორ ხდება სისხლის მიმოქცევა ორგანიზმში გიფიქრია ამაზე? ეს უფრო დიდი საიდუმლოებაა, ვიდრე მზის მოძრაობა თავის წლიურ გზაზე... ვიცით რაა სისხლი? ბიბლიაში წერია რომ სისხლი სულაო. ესეც გახსოვს ალბათ შენ.

ამ უკანასკნელ ფრაზას ჯიშმური ხშირად ხმარობდა, რადგან დარწმუნებული იყო - ამით უჩას გულს მოივებდა და მის ყურადღებასაც მიიპყრობდა.

- ჰოდა, - ახლა უკვე ხმაძალია განგრძობდა ასტრონომი, - ერთი ადამიანის

სული, თავისი ავითაც და კარგითაც, უფრო დიდი საიდუმლოებაა, ვიდრე უკიდევანო სამყაროში მიმოფანტული მილიარდობით მზის ტრიალი მეთანხმები?

უჩას ხმა არ ამოუღია. - გარდა ყველაფრისა, ვიცით რაა გამრავლება?

- გაანებე შენ ჩემ ცოლს თავი, - უცებ შეუღრინა უჩამ, რადგან მოეჩვენა, რომ მეზობელმა გადაკვრით უშვილობა მოაგონა.

ჯიშმურს ამ სიტყვებისთვის ყურადღება არ მიუქცევია, ისე იყო გატაცებული საკუთარი მსჯელობით და ამაღლებული ტონით განავრძობდა:

- თუ მხოლოდ ამ პლანეტაზეა სიცოცხლე, მით უფრო არ უნდა გავუფრთხილდეთ ერთმანეთს? ვიცი, ამაშიაც დამეთანხმები. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანი სამყაროს გვირგვინია და მილიარდობით მზეზე უფრო ამოუხსნელი ასრება, ერთმანეთს ვჭამთ, ვებრძობთ, ვხოცავთ... ეჰ, ეს შორს წავგიყვანს... ერთი სიტყვით, აი, მე რას ვამბობ, ჩემო უჩა - ადამიანის სული უფრო მეტად იდუმალი სამყაროა, ვიდრე მთელი კოსმოსი. ეს მასწავლა მე ცაში ყურებამ და ბოლოს, ერთსაც ვიტყვი და დავამთავრებ.

უჩა თვალდაშტერებით მისჩერებოდა მტკვრის ტალღების იმ ადგილს, სადაც ანკესი იყო ჩაკარგული და თან დამაბული ყურადღებით უსმენდა ახირებული მეზობლის ფილოსოფოსობას.

დამიანე კი გაუხმრევლად იჯდა ისევ გაყინულივით ქვაზე, დროდადრო კბილებს ნელა იჩიქინდა და მისი განუყრელი გულგრილი გამომეტყველებით აინუნშიაც არ აგებდა ჯიშმურის სიტყვებს. თავის მხრივ, ასტრონომი, შეჩვეული იყო ბოტანიკის მასწავლებლისგან ყველაფრისადმი უინტერესობას და საკმაოდ ადგნებული განავრძობდა:

- სიცოცხლის განხვრდობა ყოველგვარ პირობებში შეუძლია თითოეულ ჩვენგანს შიმშილი, სიცხე, ათასგვარ უბედურებაში, მაგრამ მხოლოდ ერთი პირობით - თუ ყოველ წუთს გვემასხოვრება მილიარდობით მზე, სამყაროს უთვალავი საიდუმლოება, ვეღარ მოვიცლით ზიზღისთვის, სიმახინჯისთვის, შურისთვის, გაუმადლობისთვის, მკვლელობისთვის, საერთოდ უამრავი ბოროტებისთვის, განვითარებისთვის სიმდაბლისგან, ვისუნთქებთ თავისუფლად და შეგვემატება დეკური ძალა... დიას... ძლიერი არსება კი, ჩემო უჩა, მოგეხსენება, დიდხანს ძლებს ცის ქვეშ. გონიერი ადამიანისთვის უმთავრესი ხომ სიცოცხლეა! ზიზღი, შური, სიხარბე და ათასგვარი სიმახინჯე აგლახებს და ასაცოდავებს კაცს. ზღაპრული სიმდიდრით ვის გაუხანგრძლივებია ამ წუთისოფელში სიცოცხლე! გონებრივად შეზღუდულს კი ჰგონია, რომ სანამ ამქვეყნად ვარ მეფურად ვიცხოვრებ და მერე ჯანდაბას ჩემი თავიო. მაგრამ, ყველაფერი ხომ წარმავალია და რახან ასეა, ის არ სჯობს, რომ შეგნებულმა ადამიანმა წვრილმანებზე ფიქრის გარდა მილიარდ მზეზე იფიქროს და დიდხანს იცოცხლოს? მე სულაც არ მომაქვს თავი დიდ ბრძენად. უბრალოდ ვამბობ, რომ ორჯერ ორი - ოთხია. სიკვდილს ვინ გადაურჩება ამსოფელად! ვერაინ! ჰოდა, ვინ უფრო დიდხანს იცოცხლებს, ის, ვინც სულით დამიმბეჭულია და ყოველდღიურ წვრილმანებში ჩაფლული, თუ, ის, ვინც სულით ამაღლებულია...

- ეჰ! - მოწყვეტით ხელი ჩაიქნია უჩამ, - ცარიელი ბჟუტურია შენი ნალაპარაკევი...

ჯიშმური კი გულანთებული განავრძობდა, - ყოველგვარი გასაკვირი რომ აიტანო, უნდა შეგეძლოს შეხედო დღევანდელობას ან ათასი წლის წინანდელი თვალთ, ანა - ათასი წლის მომავლის თვალთ! კარგად ვიცი, რომ ეს არაა იოლი, მაგრამ თუ გინდა გადარჩე და არ გადაყვე იმის დარდს, რომ დღეს დროებით პარპამებენ, ვიმეორებ - დროებით მეთქი, მთავრობაში მყოფი უწიგნურები, ხიზოები, ნადირალები და წურბელები, სხვა სიტყვებით, ჩემო უჩა, მაპატიე და მათ ვერ მოიხსენიებ, ასე უნდა

მოიქცე, სხვაგვარად ვერ გავძლებთ მზის ქვეშ და მალე წავალთ მოუსავლეოში.

ბოტანიკის უქმური მასწავლებელი ისე გააოცა მუდამ თავზანიანი ჯიშმურის ნახმარმა სალანძღავმა სიტყვებმა, რომ თვალები გაუფართოვდა და უხმოდ მიჩერდა თითქმის უკვე მქუხარე ხმით მოლაპარაკე და პირხმელ სახეზე წამოწითლებულ მათემატიკოსს.

- ერთსაც ვიტყვი, ერთსაც! - უკვე ყვიროდა იგი და ცას მიჩერებული გაიძახოდა, - მგონი უკვე ვიქვი და მაინც გავიმეორებ - ადამიანი თავისი ავით და კარგით უფრო მეტად ამოუხსნელი საიდუმლოებაა, ვიდრე მთელი უკიდევანო სამყარო. ეს იმას ნიშნავს, რომ ერთმანეთს უნდა ვუფრთხილდებოდეთ. სინამდვილეში კი რაც ხდება კარგად მოგეხსენება - ერთმანეთი გვეხიზლება, ერთმანეთს ვებრძობთ, ერთმანეთს ვუყუავთ... ეს მთელ დედამიწაზე ყველა ხალხში ასეა. ჰო, ბოლოს, როგორც იქნა, მიუახლოვდი მთავარ სათქმელს. თუ ყოველწინობაში ან ტრაბახში არ ჩამომართმევ, ჩემისთანა კაცი ადამიანს არ მოკლავს. ხომ გჯერა ეს შენ! აბა ტყუილად კი არ ვიყურები მე ხშირად ცაში, ზოგიერთებს რომ ჰგონიათ... ჰოდა, სიცოცხლეა უმთავრესი ადამიანისათვის, მუდამ, ყველგან და ყოველგვარ პირობებში! დიას! ამაში ვერაინ შემიდავება.

ჰოდა არსებობს ერთი ასეთი ლათინური გამოთქმა - “კარპე დიემ”, რაც სიტყვასიტყვით ამდაგვარად ითარგმნება - გამოიყენე სიცოცხლის ყოველი წუთიო, გესმის? მუდამ, ყოველგვარ სიტუაციაში უნდა გახსოვდეს, რომ ხარ მზის ქვეშ. ბიბლია სხვა უამრავ სიბრძნესთან ერთად იმასაც გვასწავლის, ასე სწერია იქ, რომ ცოცხალი ძალი სჯობს მკვდარ ღმოსო. მეთანხმები ხომ! მაშინ, თუ ასეა, ეს ლათინური გამოთქმა ყოველ ნაბიჯზე უნდა ახსოვდეს და ხელმძღვანელობდეს მისით თითოეული გონიერი ადამიანი. დიდი რომაელი პოეტი ჰორაციუსი ქადაგებდა ამ სიბრძნეს. არ დაუჯეროთ? ამას ვითომ ის სჯობს, რომ ყოველ წამს დღევანდელ ნადირალებზე - ბოდის ვიხდი, სხვა სიტყვა ვერ მიპოვნია - რუს შოვინისტებსა და შინაურ წურბელებზე, - მაპატიე ამ გამოთქმისთვის, - ვიჭორაოთ. საქართველო რამეს დააკლებს პლანეტის უზარმაზარ სივრცეზე გართხმულ ურჩხულს? დასავლეთი მოულებს მალე მას ბოლოს და მერე შინაურ წურბელებსაც მოვეუკლით როგორმე, რუსეთის მოსყიდულ ჯაშუშებს... “კარპე დიემ”! აი, ესაა ჩემი მთავარი სათქმელი, ყოველ წუთს რომ უნდა გვახსოვდეს მეც, შენც, დამიანესაც, საერთოდ ყველას, რომ ავმადლდეთ ყოველგვარ განსაცდელზე, და სიცოცხლე გავიხანგრძლივოთ, სიცოცხლე...

უჩამ რამდენჯერმე ჩაახველა და რაღაც თავისთვის ჩაიბუზღუნა.

- რამდენი ჩვენი ხნის უახლოესი მეგობარი წვეს ახლა საფლაფში! - უცებ ხმაძალია წარმოთქვა ჯიშმურმა, - მშობლებსა და სანათესაოზე აღარაფერს ვამბობ...რა სჯობს, იქ წოლა თუ მზის ქვეშ დგომა! ყოველგვარ პირობებში! ესაა მთავარი!... ჰოდა, ამას ქადაგებს “კარპე დიემ”. ვამბობ რამე სისულელეს? არა მგონია. სხვა უკეთესი ჭკვიანური შენ მითხარი.

ამ სიტყვების წარმოთქმისთანავე ჯიშმურმა ბამბუკის ჯოხი მიწაზე ფრთხილად დადო, ქული მოიხადა, უკან გადაწყობილი თოვლივით თეთრი თმა რამდენჯერმე მითითებით შეივარცხნა და შორეულ სივრცეს მიაჩერდა.

ისმოდა მხოლოდ მტკვრის ტალღების წყნარი დუღუნი.

უჩა გაქვავებულივით იჯდა და მოქუფრული გაღმა ნაპირს გასცქეროდა... მუდამ წელში გაწვართული დამიანე ისევ კეკს ღეჭავდა და დროდადრო გაბზარულ სათვალეს წმენდა.

გაღმა ნაპირიდან მოულოდნელად ჩიჩქოლი და გაურკვევლი წამოძახილები მოიმა.

უჩა და ჯუშმური მაშინვე წამოდგნენ და იქითკენ იწყეს ყურება, საიდანაც ხმაური მოდიოდა.

წელში გაწვართული დამიანე კი ისევ კევს ლეჭავდა და ანკეს ჭიაყელას უცვლიდა.

ჯიმშერმა ის მეთევზეები იცნო, წელიდან აღმა-დაღმა რომ დადიოდნენ მტკვრის ნაპირას, რომლებსაც ახლა მდინარიდან რაღაც მძიმე ამოჰქონდათ. უჩა მიხვდა, რომ ეს იყო დამხრჩვალნი ადამიანის გვაში და თავი აქეთ-იქით გადააქნია.

როგორც ასეთ დროს ხდება ხოლმე, ორი-ოდე წუთში გაღმა ნაპირას ხალხმა მოიფარა თავი. ჯიმშერი და უჩა იქაურობას თვალმოშორებლად გასცქეროდნენ.

დამიანე ისევ ისე იჯდა გაუნძრევლად, ერთი კი გახედა მოპირდაპირე ნაპირს და კევს ლეჭავა განაგრძო.

ჩოჩქოლი რომ მიწნარდა, გვაში რაღაც მონებზე დასვენეს და საღვაც წაიღეს. როგორც შემდეგ გახდა ცნობილი, დამხრჩვალნი აღმოჩნდა ოთხი შვილის დედა, ახალგაზრდა ქალი, რომელსაც ნაქსოვ ბაღურაში ჩაწყობილი მოზრდილი ქვები თოკით წელზე ჰქონდა გამობმული. უბედურის გვაში დამბებში გახილულიყო. ჯიმშერმა უხმოდ ანკესი დაახვია, უჩამაც იგივე გააკეთა და ორივენი ნელი ნაბიჯით გაუყვინნ ნაპირს. დამიანესკენ არც გაუხედავთ, თითქოსდა გადაავიწყდათ მისი არსებობა.

როცა მზე ცის ტატნობის დასალიერს მიუახლოვდა, სათევზაოდან დაბრუნებული ხელცარიელი მეზობლები ეზოში შევიდნენ. იქ, ფანჩატურის ქვეშ, უკვე ღომინო გაეჩაღებინათ. ჯიმშერს და უჩას საიდანდაც კატის კნავილი შემოესმათ, უნებურად უჩან მიხედეს და შედგნენ. ეზოს ნელი ნაბიჯით სარგადაყლაპულივით მომავალი დამიანე უახლოვდებოდა, რომელსაც ხელში მხოლოდ ანკესი ეჭირა, კონსერვის კოლოფი კი, მასში მურწა რომ დგაფუნობდა, აღარ ჩანდა.

- რატომ არ დამიცადეთ, - სასხვათაშორისოდ იკითხა მან, - მოკლე გზით წამოვედი და დაგვივიეთ.

უჩამ, ჩვეულებისამებრ, წარბები შეჭმუნა, დამიანე კუშტად შეათვალიერა და დამცინავად მიახალა:

- გაგიფრინდა შენი ღლაკი?
- დამიანე შედგა და დაიკანკლა:
- რა ვიცი. ერთი ტყაპუნი კი მომესმა და ალბათ მაშინ ისკუპა წყალში.
- მერე! არ გეწყინა? - ბრაზმორეული ტონით ჰკითხა ახლა უჩამ.
- მოგცლია ერთი, - უგულოდ უპასუხა დამიანემ, ეზოში შევიდა და თავის სადარბაზოსკენ გასწია.

სანამ ერთმანეთს გამოემშვიდობებოდნენ, უჩამ უთხრა ჯიმშერს:

- ხომ ხედავ, რა კაცია! არც თევზის დაჭერა გახარებია და არც გაქრობა წყნია.
- ჰო, - დაეთანხმა ასტრონომი.
- გავამ მორი არც გაუხედავს, როცა წყლიდან უბედური ქალის გვაში ამოჰქონდათ.
- დამიანეს, ჩემო უჩა პირველად ხედავ? მის გულს არაფერი ეკარება. რას იხამ, ასეთია მისი ბუნება. ბანდიტს, გარეწარს, უწიფურს, უზრდელს მოაქცევ, ქრისტიანულ გზაზე დააყენებ, გულგრილს - ვერასოდეს... ჯვალათსაც კი შეიძლება რაღაც კაცური ჩააგონო.

- მართალი ხარ, - დაეთანხმა მოულოდნელად უჩა და მერე მოღუშულმა, თითქოსდა მუქარით გააგრძელა, - გულგრილებზე უფრო უარესები არიან დღეს ჩვენს მთავრობაში, პარლამენტში, სამყაროს კი არა, საკუთარი ტყლიპის იქით ვერაფერს ხედავენ. ჰოდა, ეს შენი "კარპე დიქ" მათ ხელში მყოფ ხალხს გამოადგება?
- უსათუოდ! - წამოიძახა თავისი ბოხი ხმით ჯიმშერმა და უჩას მხარზე ხელი დაკრა, - ეს სიბრძნე მუდამ, ყოველგვარ გასაჭირს მიესადაგება... ცოცხალი ძალის სჯობს მკვდარ ღომს...

სრულიად მოულოდნელად უჩამ ჩაიღიძლია, რაც ალბათ მის სამეზობლოში უიშვიათეს მოვლენად ითვლებოდა, მრავალმნიშვნელოვნად თავი გადააქნია და სახლისკენ მძიმედ გაემართა. ჯიმშერმა ანთებული მხერა გააყოლა და ხელები მოიფშვინა.

იმ დღიდან სამეზობლოში, ყველას გასაკვირად, უჩა დვალი აღარავის უღრენდა.

შეიძლება ჩემი მონათხრობი არავინ დაიჯეროს, მაგრამ, ალბათ, ამ ქვეყანაზე დაბიჯებენ ადამიანები, რომლებიც მიხვდებიან, რისი თქმაც მინდა.

თუმცაღა იმ ადამიანებს (ჩემი ჩათვლით) წყნარი ცხოვრება აღარასოდეს ეღირსებათ...

ის დილა წვიმიანი გათენდა. წვიმა ძალიან მიყვარს, ამიტომ ცუდ გუნებაზე არ დავმდგარვარ, პირიქით...

სახლის კარი სტვენა-სტვენით დაგვიკეტე და საშუაოსკენ გავწიე. სასიამოვნოდ ჟინჯლაავდა...

მშვენიერია იმაზე ფიქრი, რომ წვიმის ერთი პატარა, ციციქნა წვეთი საღვაც ცის სიღრმეებიდან მოექანება, გამოივლის ამხელა მანძილს და მინცდამინც შენ ჩამოგედვრება სახეზე...

წვიმამ თანდათან მოუხშირა, მერე კოკისპირულიც დასცხო, უკვე აღარ ხუმრობდა, ამიტომ რომელიღაც სადარბაზოს შევეფარე, სველი თავი ცხვირსახოცით შევიმშრალე და საათზე დავინხედი - არ მაგვიანდებოდა, ესე იგი, შემეძლო წვიმის გადაღებისთვის დამეცადა.

- რაღა ახლა მოუნდა წვიმა?! - მომესმა ქალის ხმა.

მივიხედ-მოვიხედე, სადარბაზოს შესასვლელში ჩემს გარდა არავინ იყო თუ ერთ ფუფუნულა, თეთრ სიამის კატას არ ჩავთვლიდი. ის სველ სახეს თათებით იწმენდა და ყურადღებით მაკვირდებოდა. ალბათ, მომელანდა-მეთქი, გავიფიქრე.

- რომელი საათია? - ამკარა იყო, კატა მელაპარაკებოდა.

პირველი, რაც გავიფიქრე, ის იყო, გავიფიქრე-მეთქი, მერე მეგობრის რჩევაც გამახსენდა: - დაანებე თავი ამ გურჯიევისა და კასტანედას კითხვას, შენ კიდე გავიჟება გაკლიაო.

ეტყობა, ეს შემოთქმება კატამაც შემატყო: - "თუ არ შეგეშინდება, კარგი იქნება".

მინც ენაჩავარდნილი ვიდექი და მას შევეყურებდი. მისმა (ადამიანურმა?) გამომეტყველებამ თანდათან დამამშვიდა.

- ეკ. მუნჯი ყოფილხარ, - ტანი შეიბრტყა და წასასვლელად მოეზადა.
- მოიცა, არ წახვიდე რა, - კი არ ეუთხარი, შევეხვეწე.

კატა ისევ უჩანა თათებზე ჩაჯდა. ტვინი გამაღებელი მუშაობდა და ცდილობდა, ამ ამბისთვის ლოგიკური სახე მიეცა. ხან ბულგაკოვის პერსონაჟი ბეჭემოთი გამახსენდა, ხან ის, რომ ძველ ეგვიპტეში კატა წმინდა ცხოველად ითვლებოდა, ხან...


- არ გინდა ჩემთან ლაპარაკი? - შემეკითხა და თვალები მოწკურა.
- ჩვეულებრივი ქალის ხმა ჰქონდა - ნახი, სასიამოვნო ტემბრის, მაგრამ ჩემი კონსერვატული ხასიათის გამო კატის და ადამიანის ხმას ერთმანეთთან ვერაფრით ვაკავშირებდი.
- კი, როგორ არა, - ამოვიოხრე და ჩუმი ვიჩქმითე, თან გარეთ გავიხედე - წვიმას გადავიღო.

უცბად გონება გამინათდა: - მომისმინე, აქ ხომ არ ვისაუბრებთ, წავიდე ჩემთან, აქვე ვცხოვრობ, - თანდათან ლამაზი მეჩვენებოდა (არადა, მანამდე კატებს დასანახად ვერ ვიტანდი...).

- საღვაც რომ მიდიოდი?!
- არა უშავს, მოიცდის ის ამბავი, - ეუთხარი სასწრაფოდ.
- აღვა, ნელა მომიხლოვდა და მითხრა: - ამიყვანე.

დავისარე და ხელში ავიყვანე, მისმა სიტომ მთელ ტანში დამიარა...

მოვილოდი სახლისკენ და ვგრძობდი, როგორი შურით მიყურებდნენ გამკვლელები (თურმე შეიძლება კაცისა კატაც შეგმურდეს, ამაზე არც არასდროს მიფიქრია).



„კატას ერთი უცნაური თვისება აქვს - რაც არ უნდა იშინაურო, თუ თვითონ არ უნდა, ვერ მოიშინაურებ, და კიდევ - უპატრონო სახლში არ ჩერდება.“

რამაზ ბიგაური ფისო

უცბად ჩემს ფეხებთან უცხოური მანქანა დამუხრუჭდა:

- არ მოგყვით, ჯიგარ, ბლომა ფულს მოგცემთ.
- არც შემხედავს, ვინ იყვნენ, სარკასტულად გავიღიძე და ჩემს სადარბაზოში შევაბიჯე.
- სახლში შევედი, ის დივანზე დავსვი, მე საგარძელში ჩავჯექი.
- „ახლა ამან მთელი ქვეყანაც რომ შეყაროს კნავილ... უკაცრავად, ყვირილით, მინც არსად არ გავუშვებ. გავვიღებ, მოლაპარაკე კატა?! ვინ დამიჯერებს?! ქეთის დავურეკავ, რა „დაიშოკება“.

ავდექი, მაცივრის კარი გამოვადე, ერთი ბოთლი ლუდი გამოვიღე, გავხსენი და მოვიყუდე.

- კარგი მასპინძელი ყოფილხარ. იქნებ, მეც მინდა, არ უნდა შემეკითხო?! - გამომარკვია მისმა ხმამ.
- ეს რძე არ არის, თუ გშია, ჩავალ და ამოვიტან, - ჩავჯექი ისევ საგარძელში.
- ლუდი ძალიან მიყვარს, მომიტანე ერთი ბოთლი! - არ ვიცი, მიბრძანა თუ... „აუჰ, მოლაპარაკე კატას უყვარს ლუდი. ყავაზე მკითხაოთა თუ იცის, ნეტავ?“

- ყავაზე ხომ არ მკითხაოთ? - მივაწოდე ჩემი ბოთლი, თან ხელით ვანიშნე, ლუდი მეტი აღარ არის-მეთქი.
- მან ბოთლს თათები მოხვია, მოიყუდა და ... გამოცალა, მერე ისევ ისე დაწვა და თვალები მინაბა:
- რა მკითხე??
- ყავაში თუ იხედები-მეთქი?! - გულში გავბრაზდი, ლუდი მთლად რომ დამიღია.

- არა... - გააგრძელა: - მაგრამ პიანინოზე ვუკრავ, კიდევ - გიტარაზე. ჰო, ლექსებსაც ვწერ, - დაამატა ბოლოს.
- მერე რა, ლექსებს მეც ვწერ, - ავუბუხე ცხვირი.
- აბა, წამიკითხე, - მოეწყო მოხერხებულად.

მე ის ლექსი წავუკითხე, რომლის გულისთვის ავანგარდული პოეზიის საღამოზე პომიდრები დამიშინეს.

- არა უშავს-რა, - შემაქო გულწრფელად.
- გამიხარდა, ადამიანი ხომ არ მაქებდა, ტყუილად რომ დაეწყო ჩემი ცაში აყვანა, გენიოსი ხარო.
- მოიცა, სახელი რომ არ გითქვამს, - ეუთხარი უცბად.
- ხმამალა გაეცინა:
- როდის შემეკითხე?

მისი სიცილი გულში თბილი წყლის ნაკადივით ჩამელვარა...

- ახლა გეკითხები, რა გქვია?
- უბრალოდ, ფისო დამიძახე.
- ფისო??
- ჰო, ფისო, რა, არ მოგწონს?
- ეგრე ხომ კატას ეძახიან, ფისო იგივე კატაა.

- კატა შენ თვითონ ხარ, მე ფისო ვარ!

- ჰოოო...
- შენ რა გქვია?
- მე? მე... რამაზი.
- არ მოშწონს, გაგაის დავიძახებ.
- გაგაი, გაგაი რაღა არის?!
- შენ გაგაი უნდა გერქვას, გა-გა-ი, შე პაპის ცრემლების შემგროვებლო... მკერდში რაღაც გამიღვავა - პაპა ერთი თვის მკვდარი მყავდა.
- ფისო, პატრონი გყავს? - შევეკითხე და გული ამიფართხალდა.
- აბა, უპატრონო ხომ არ ვიქნები?!
- მომჩვენა, რომ მწარედ გაელიმა.
- აბა, დარჩი ჩემთან, დარჩი რა, გეხვეწები.
- მერე, შეძლებ ჩემს პატრონობას, გაგაი?

- შეეძლებ, შენი გულისთვის მთებს გადავდგამ, ოღონდ დარჩი.

- არა, მთების გადადგამს არ გთხოვ, უბრალოდ, არ შემზღუდო და არ გამძარცვო, შეძლებ?
- შეეძლებ ფისო, შეეძლებ, შენ აბსოლუტურად თავისუფალი იქნები, მძარცველი კი ჩემს სიცოცხლეში არ ვყოფილვარ და რაღა ახლა გავხდები?! - ვღრიალებდი ხმამალა.

ვგრძობდი, რომ მე იგი მიყვარდა, ვგრძობდი, რომ მისი გულისთვის ყველაფერს გავაკეთებდი, ყველაფერს შეეძლებდი.

- ფისო დარჩა...
- საღვაც წამიკითხავს, ცაში თმით ვეკიდე და დაბლა ცეცხლი მქონდა შენთებულო - აი, ასე ვიყავი იმ ხნის მანძილზე, რაც ფისომ ჩემთან იცხოვრა. ეს დრო შეიძლია თუ რვა თვე იყო, მერე... წავიდა, ალბათ, ძველ პატრონს დაუბრუნდა.

მე? მე დიქტატორი და მძარცველი ვყოფილვარ და არ მცოდნია.

ის რვა თვე მეზობლები ჩემზე ჭორობდნენ: - სახლში ალი ჰყავს, ღამ-ღამობით მისი სახლიდან გიტარის დაკვრის და ქალის სიმღერის ხმა ისმისო. ზოგი უფრო შორსაც მიდიოდა და იმასაც იძახდა: - კლეოპატრას სული ცოლად მოიყვანაო.



ეს ყველაფერი მერე გავიგე. სანამ ის ჩემთან ცხოვრობდა, არავისთვის არაფერი მითქვამს (უბრალოდ, ბედნიერი ვიყავი და ამით ვტკბებოდი), მერე კი აზრი დაკარგა ვინმესთვის რაიმეს მოყოლა - ვინ დაიჯერებდა?! შეიძლება, ისიც კი წამოეძახებინათ: - მე, შემლილო, თუ მოლაპარაკე კატა სახლში გყავდა, რა ჩუმიდ დაიარებოდი?

არ ვიცი, ხანდახან ამ ამბავში მეც ეჭვი მეპარება ხოლმე, იქნებ და, ყველაფერი სიზმარი იყო-მეთქი.

თქვენ როგორ გგონიათ?..



ყარამან ფალავა,
დუბუთის მარხის
ყოფილი უფროსი,
ილიას უახლოესი
მეგობარი და დიდი
ღამფასაპელი
სასამართლოს
ჩვენებას აქლავს.
1941 წლის
დეკემბერი



გიორგი
სიზანიშვილი,
გლანი

ააქა ფაქალიშვილი,
ილიას სახლის ყარაული
საგვარამოვი

თედო ლაბაური,
ილიას მეგობარი


გიორგი
მომკვირევილი,
საგვარამოვი გლანი

სერგო
ორჯონიძე

გამბრბინაში ირანში ბა-
 დისიფიკა და იმ სერგო ორ-
 ჯონიკიძისთან ერთად მო-
 ნაწილად ირანის აჯ-
 ანებებში. 1940 წელს, რო-
 ცა სტალინის ბრძანებით
 მითითებით ბიზლა ბარ-
 ბინაში ილიას სახლში მო-
 კრდნის დაიწყო, დარბაზ-
 ში არაერთხელ ბინის ფი-
 ლიამ მასხარაპის სახელი.
 მოსამართლე ისინი მო-
 კრდნის დაიწყო, ისე, რომ ამის
 შესახებ სტალინიც და ბე-
 რინაც სახმის კურსში იყ-
 ნენ, ფილიამ მასხარაპის და-
 კითხვა მოითხოვა. ფილი-
 ამ მასხარაპი მათონ უკვე
 აღარ იყო საბრძანებლო
 მხარეში, იგი, ფილისუ-
 ლი და ყველა სხვა ფილი-
 ამის, ცენტრალურ კო-
 მიტეტში კადრების ბაზრ-
 ფილიამ ხელმძღვანე-
 ლობდა. მან მოსამართლე
 მოკრძინის დაკითხვაზე
 თანხმობა ბანუცხადა და
 უთხრა, ფილიამ იგი მო-
 ცემით ჩვენებას, მასხარა-
 პის მოსაწოდ, ბულის ფი-
 ლამ დაეწყო და ერთ კვი-
 რაში ბარბინისგან კიდევ.
 ასე მოკვდა დიდი ილიას
 მკვლელობის ინსტრუქტო-
 რი - ფილიამ მასხარაპის
 ილიას მკვლელობის სა-
 სამართლო ბაზრამ ბუ-
 ლი! აკაკი ბაქრაძე თავის წიგ-
 ნში „წიგნი“ წერდა: დი-
 დი დრო გაივლის, მაგრამ ვე-
 რაღინ გაივებს, ვინ არის სი-
 ნამდვილში ილია ჭავჭავაძის
 მკვლელები „ვიღაც იმერელი“!
 როდესაც მე ეს საკითხი შევის-
 წავლ და აკაკი ბაქრაძის დო-
 კუმენტები ვაგვიკანი, ის დამე-
 თანხმა, რომ „ვიღაც იმერ-
 ელი“ ტერორისტი მკვლე-
 ლობდა იყო!..

ვინ იყო „ვიღაც იმერელი“, რომელმაც ილიას ესროლა?

ადის და წიგნიწიგნი იხედ-
 ბა, - აინტერესებს გავარდნა
 თუ არა თოფი!.. ილიას მე-
 გუტრემ - **ღანიმელ მას-**
ლომია, ილიას უერთგუ-
 ლესმა კაცმა, რომელსაც
 ბრწყინვალე მოგონებები აქვს
 ილიაზე, **ჯაზს** ხეზე ასახა, -
ღიმიტრი სოფროსი ამბ,
 თერთმეტ საათზე თქვენ წყა-
 როსთან უნდა ყოფილიყავით
 და ბატონს დახვედროდით,
 უკვე თერთმეტი საათია და რას
 აკეთებთ? - როგორც იქნა ჩა-
 მობობდა ხიდან დიმიტრი ჯა-
 ში, გაუარა ვასილი ემეცს და
 დანიშნულ ადგილას მასთან მი-
 ვიდა, როცა თოფები გავარ-
 და...
 - **ბატონო ტარიელ, მანამ-**
დე რა მოხდა, დეტალურად
აღწერეთ მკვლელობის სცე-
ნა!



ფილიამ მასხარაპი

ტარიელ
სართანია:
ფილიამ
მასხარაპი
ჩვენების
მისამართი
მოასწრო,
იგი ერთ
კვირაში
გულის
შეტყუით
ბარდა-
ისვალა!



ილია, რომელმაც მოკლეს ილია

- ერთი საათის შემდეგ, რაკი
ღიმიტრი ჯაში და სტრაჟ-
 ნიკი **მასილი ემეცი** არ გა-
 მოხდნენ, ილია ეტლში ჩაჯ-
 და და **თედო** ლაბაურს უბრ-
 ძანა, - გარეკეო!.. თალიანი ხი-
 დი რომ გადმოიარეს, უეცრად
 ეტლის წინ გზაზე საფანტია-
 ნი თოფით ხელში **ბიზლა**
გამბრბინაში გადმოხტა
 და დაიყვირა, - შეჩერდი!..
გამბრბინაში თოფი ჰაერ-
 ში გაისროლა. ამის შემყურე
 ილიამ მეტლეს უბრძანა, - გა-
 რეკე ცხენები!.. ილიას მეტლე
თედო ლაბაური, რაკი
 მკვლელებთან შეთანხმებული
 იყო, თავადის ბრძანებას არ
 დაემორჩილა და ეტლი გააჩე-
 რა. ეტლი გაჩერდა თუ არა,
 ბატონი გაისმა და ტყვიები ილი-
 ას მოხვდა. დღემდე მისი
 ექიმმა **ნაში**, რომელმაც
 მოკლული ილია გასინჯა, მი-
 ვალბუღს სხეულიდან ხუთი
 ტყვია ამოაცალა. საფანტი იქ
 არ იყო... საფანტიანი თოფი
გამბრბინაში ჰქონდა, ე. ი.
გამბრბინაში ილიასთვის
 არ უსვრია, მაგრამ მან უფრო
 სასიხელი რამ ჩაიდინა, რო-
 მელსაც ქვემოთ მოგახსენებთ.
 ამ ხუთი ტყვიდან მხოლოდ
 ერთი იყო სასიხელი, - ბერ-
 დენის თოფიდან ნასროლი,
 რომელიც „**ვიღაც იმე-**
რელს“, ანუ **მკვლელები**
მას ეჭირა ხელში. **მკვლელები**
დოლიმს ეს ბერდენის თო-
 ფი ანდრო კახაბრიშვილმა
 ათხოვა... ერთი დოლიმის
 ნასროლი ერთადერთი სასი-
 ხელი ტყვია ილიას მარჯვე-
 ნა მხრიდან, მარჯვენა მუცელში
 მოხვდა, ტყვიამ გაიარა მარ-
 გენა ფილტვი, გაიარა გულის
 ზედა მხარე და გამოვიდა მარ-
 ცხენა ილიაში. აი, ამ ერთმა
 ტყვიამ მოკლა ილია, დანარ-
 ჩენი ტყვიები არ იყო სასი-
 ხელი. როდესაც **გამბრბინა-**
ში საფანტიანი თოფი ჰ

აერში გაისროლა, ილიას მე-
 გობარმა და მხლებელმა
ნაკობ ბითარიშვილმა
 საპასუხოდ ესროლა და მიმედ
 დაჭრა იგი. **ბითარიშვილი**
 ტყვიას გაიტყუა... მკვლელები მას
 უკან მიჰყვებოდნენ და ისიც მო-
 ლეს!.. ამის შემდეგ მიმედ დაჭ-
 რილი **ბიზლა გამბრბინაში**
ღი მიფიქვდა მოკლულ ილი-
 ასთან და თოფის კონდახით
 მუბლი ჩაუშვებია. **ყველა**
მხრიდან და გამბრბინაში
ბონია, რომ ილიას უზა-
ლში მოხვდა ტყვია, რაც
სიმატელს არ შეეფერება.
კარგო ჩვენებას ილი-
ას ჩვენებას უზაღა მუ-
ხის ფოთლი ვიწინა. აი,
ასეთი საზიჯრობა ჩაი-

დინა გამბრბინაში.
ბიზლა, ჯაში და სტრაჟ-
ნიკი ემეცი მკვლელობის
აღებრიდან მალე რომ არ
წასულიყვნენ, იმე იო-
გიღვენე მკვლელები
ბიზლა გამბრბინაში.
 - ბატონო ტარიელ, რა ბე-
 დი ეწია „ვიღაც იმერელს“,
 ილიას მკვლელები ვინ იყ-
 ვნენ?
 - სასამართლოს მასალებში
 მკვლელები აღარ ჩანს.
 ილიას მკვლელების ნაწილი,
 როგორც გითხარით, 1909
 წელს ჩამოახრჩვეს, ხოლო მრ-
 გილემ დოლიმს უამრავი და-
 ნაშაულის გამო უფრო ადრე
 შეიპყრეს და არხანგელსკის
 გუბერნიის მთავრობის
 გულში მიჰყვებოდნენ და ისიც მო-
 ლეს!.. ამის შემდეგ მიმედ დაჭ-
 რილი **ბიზლა გამბრბინაში**
ღი მიფიქვდა მოკლულ ილი-
 ასთან და თოფის კონდახით
 მუბლი ჩაუშვებია. **ყველა**
მხრიდან და გამბრბინაში
ბონია, რომ ილიას უზა-
ლში მოხვდა ტყვია, რაც
სიმატელს არ შეეფერება.
კარგო ჩვენებას ილი-
ას ჩვენებას უზაღა მუ-
ხის ფოთლი ვიწინა. აი,
ასეთი საზიჯრობა ჩაი-

მივიდაო!.. დღეს ჯაშის შთა-
 მობრბინაში თამბაქო ფი-
 ნაკის მახარბინაშიც იმე-
 ბინა, რომ ღიმიტრი ჯაშის
 ილიას მკვლელების სახელი
 ჩამოწმდნენ, რაც შემდეგ
 ბილია... ისტორია, ფაქტ-
 ბი, გამბრბინაში დაკი-
 თხმის მასალები სულ სხვა
 რამეს ღვამდნენ!.. ჯარმან
 ფალავა და ილია გამბრბინა-
 ში რომ საუბრობდნენ, ამ
 დროს მოულოდნელად ღი-
 მიტრი ჯაშს კარი შემო-
 ღია და ილიას ჩანაწერი ბა-
 გარდნა თუხმა, ხელიდან.
 სწორედ ღიმიტრი ჯაშმა ჩა-
 მოიყვანა ბუჩიდან მკვლე-
 ლემ დოლიმს... პოლიციამ
 ბუჩიში, ჯაშის და მკვლე-
 ლემ დოლიმის ბინებში
 იმეცა ის ნაპარტი ნიშნე-
 ბი, რომელიც მკვლელებმა
 მოკლულ ილიას და მის
 ბუჩიდან მოკლულ მკვლე-
 ლემ დოლიმს. ილიას მკვლე-
 ლობის შემდეგ ბიზლა




P.S. კარგად გაიხსენებ და გა-
 ისტორიებზე ეს სასიხელი ის-
 ტორია, ქართველო!..
 საინტერესოა, როცა ზვიად
 გამსახურდიას მკვლელების სა-
 სამართლო გაიმართება, რომე-
 ლი შერისხულისა და ჩამოქვე-
 თებულის დაკითხვას მო-
 ითხოვს მოსამართლე და ჩე-
 ნების მიცემამდე ვის გაუჩერ-
 დება გული!..
 მე ამ კაცის გვარი და სახე-
 ლი ვიცი!..
 ალბათ, თქვენც ხელებით,
 ვისაც ვგულისხმობ, ძვირფასო
 მკითხველო!..
ესაუბრა
დიტო ჩუბინიძე

ჯ ა შ უ შ უ შ ი

**- თქვენ დაბავრალხანს
საშობლოს წინააღმდეგ
ჯაშუშობას და
დაბაკავებან!**
**- რა? - ამოიხრიალა
კილავეა.**
**- ხომ გითხარით,
ეს ფორმალური
ბრალდება იქნება.
სინამდვილეში,
თქვენ ანთ ღი
სამსახურს გაუწევთ
საშობლოს.**

**- რომელია ის
ქვეყანა, ვინ
ჯაშუშობას უნდა
დავიბრალო? -
კვლავ კვლ
შეკითხვას
მიუბრუნდა
კილავე.**
**- დავიჯარო,
ვირ ხვდებით?
- რუსეთი, ხომ?
- რა თქმა უნდა,
რუსეთი!**



ერთი უთქმელი და უპრეტენზიო კაცი იყო სოსო კილავე. ჩია და გამხდარ ტანზე ოდნავ მოზრდილი, მელოტი თავი ედგა. თავისი ფერი თვალებით მორიდებულად იმზირებოდა. მუდამ სუფთად გაპარსული ლოყები ჰქონდა და მისი განიერი ულვაშების ქვემოთ, რომლებსაც, ასაკის მიუხედავად, ჰქონდა ჯერ კიდევ არ შერეოდათ, ღიმილი არავის უნახავს.

თუმცა უხასიათო და უქმური სულაც არ გახლდათ, პირიქით, ზომიერ მეთად თავიზიანდაც კი იყო, სახელმწიფო კანცელარიის გრძელ დერეფნებში ისე უხემაურად გაივლიდა და გამოივლიდა, გეგონებოდათ მის ფეხსაცმელებს ქუსლი საერთოდ არა აქვსო...

ზუსტად ვერაფერ ვეტყვოდით, რა მოვალეობა ეკისრა მას ამ ფრიად სერიოზულ დაწესებულებაში. ხან კომპიუტერთან იჯდა და ინტერნეტში იქეჭებოდა, ხან, ქაღალდებით ხელში, ერთი ოთახიდან გამოდიოდა და მეორეში შედიოდა, მაგრამ ფეხებში არავის ებლანდებოდა, თავიზიანდაც გაატარებდა ყველას, ვინც დერეფანში მიმოდიოდა, კარებთანაც აუცილებლად დაელოდებოდა შემსვლელი ან გამოსვლელი თუ ვინმე იყო და, მხოლოდ ამის შემდეგ, მორიდებით გადააბიჯებდა ზღურბლს...

როგორც ყველას, სოსოსაც უჭირდა ეკონომიურად. კანცელარიაში, მართალია, შედარებით მაღალი ხელფასები ჰქონდათ, მაგრამ ე.წ. „ვარდების რევილუციის“ შემდეგ ცხოვრება ისე გაძვირდა, რომ ხუთას ლარამდე ჯამაგირი, რომელსაც სოსოს უხდიდნენ, მის ოჯახს, უმუშევარ მეუღლეს, ასევე უმუშევარ ორ გაუთხოვარ ქალიშვილსა და სტუდენტ ვაჟს ორი კვირაც არ ჰყოფნიდათ. დანარჩენი ორი კვირა, ხან ნასესხები ფულით ცხოვრობდნენ, ხან თითქმის ცარიელა პურზე გადადიოდნენ და ამ ნიდავზე უსიამოვნებაც ხშირად ჰქონდათ, თუმცა მათი ოჯახიდან ხმამაღალი საუბარი არასოდეს გამოსულა.

კილავე ცნობისმოყვარედ მისჩერებოდა ამ უცნაურ ახალგაზრდას, მაგრამ ხმას არ იღებდა. ახალგაზრდა კი კიდევ უფრო ხმადაბლა განაგრძობდა:
- ახლა ისეთი დროა, რომ ყველას გვიჭირს. კაცმა თუ რისკი არ გაწი, ძალიან გაგიჭირდება, თქვენ შემთხვევით არ შეგარჩიეთ... თქვენი კანდიდატურა ზემოთ, ძალიან დიდ პიროვნებასთანაა შეთანხმებული. გთხოვთ, მეტს ნუ დამაზუსტებინებთ.

კილავეს რაღაცამ ისე წაუჭირა ყელში, რომ სუნთქვა გაუძნელდა. ძველმოდური პალატუხის ნასკვი მოასუსტა და პერანგის ზედა დიდი შეიხსნა. თქმით კი არაფერი უთქვამს.
- თანდათანობით ყველა ინფორმაციას მიიღებთ, მაგრამ ახლა მხოლოდ სამ რამეს გეტყვით, - განაგრძობდა უცნობი, - თქვენგან საჭიროა: 1. თანამშრომლობაზე თანხმობა; 2. ფორმალურ რისკზე წასვლა; 3. გასამრჩევლის მიღება.

უცნობი სახეში შეპყრებდა თითქმის დამბლადაცემულ კილავეს, რომელიც ენაჩაყლაპული იყო.
- თქვენ და მრავალმნიშვნელოვნად გაუღიმა. კეთილი ღიმილი ჰქონდა.

ასი თვალი და ყური მოგვიჩერებია, - თქვა და მრავალმნიშვნელოვნად გაუღიმა. კეთილი ღიმილი ჰქონდა.
სოსო მაშინვე წამოდგა, სტუმარი წინ გაატარა, პატარა ოთახის კარი გასაღებით ჩაკეტა და ორივენი გრძელი დერეფნის ბოლოში, ლიფტებისკენ გაემართნენ...
ახალგაზრდამ უცხოური, დაბურთული ნივთიანი მანქანის კარი დისტანციური მართვის პულტით გახსნა და სოსოს ხელის მოძრაობით ანიშნა, დაბრძანდითო. სოსომ წინა კარი გამოაღო და, მძღოლის გვერდით, შავი ტყავით გაწყობილ რბილ სავარძელში მოთავსდა.
- ახლა ყველგან ყველაფერი ისმინება, - ხმადაბლა დაიწყო უცნობმა, - მაგრამ ჩემი მანქანა ამ თვალსაზრისით უსაფრთხოა, - თქვა მან.

კილავე ცნობისმოყვარედ მისჩერებოდა ამ უცნაურ ახალგაზრდას, მაგრამ ხმას არ იღებდა. ახალგაზრდა კი კიდევ უფრო ხმადაბლა განაგრძობდა:
- ახლა ისეთი დროა, რომ ყველას გვიჭირს. კაცმა თუ რისკი არ გაწი, ძალიან გაგიჭირდება, თქვენ შემთხვევით არ შეგარჩიეთ... თქვენი კანდიდატურა ზემოთ, ძალიან დიდ პიროვნებასთანაა შეთანხმებული. გთხოვთ, მეტს ნუ დამაზუსტებინებთ.

კილავეს რაღაცამ ისე წაუჭირა ყელში, რომ სუნთქვა გაუძნელდა. ძველმოდური პალატუხის ნასკვი მოასუსტა და პერანგის ზედა დიდი შეიხსნა. თქმით კი არაფერი უთქვამს.
- თანდათანობით ყველა ინფორმაციას მიიღებთ, მაგრამ ახლა მხოლოდ სამ რამეს გეტყვით, - განაგრძობდა უცნობი, - თქვენგან საჭიროა: 1. თანამშრომლობაზე თანხმობა; 2. ფორმალურ რისკზე წასვლა; 3. გასამრჩევლის მიღება.

უცნობი სახეში შეპყრებდა თითქმის დამბლადაცემულ კილავეს, რომელიც ენაჩაყლაპული იყო.
- თქვენ და მრავალმნიშვნელოვნად გაუღიმა. კეთილი ღიმილი ჰქონდა.

სოსოს ეს ამბავი არ ესიამოვნა, მაგრამ მინც დაეცა უნდა, მაშინვე დათანხმდა.
- მაშინ, თუ თქვენი ნება იქნება, შენობიდან გავიდე, რომ თავისუფლად ვისაუბროთ, - მორიდებულად სთხოვა უცნობმა.
სოსოს ეს ამბავი არ ესიამოვნა, მაგრამ მინც დაეცა უნდა, მაშინვე დათანხმდა.
- ხომ იცით, რა ვითარებაში ვცხოვრობთ. ყველგან

ლიც ენაჩაყლაპული იყო იჯდა და მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, ყელში წაჭერილი სპაზმი როდის მოეხსნებოდა.
- ჯერ ის მითხარით, ზოგადდ თუ ხარტ თანახმა თანამშრომლობაზე? - რატომღაც სიცივე და სისასტიკე ერთდროულად წაიკითხა უცნობის ალმაცერ გამოხედვაში მძიმე დღეში ჩაგარდნილმა კილავემ.
- ვთქვით, თანახმა ვარ, - ძლივს ამოღერდა მან, - ვთქვით... მერე?
- ჩავევთ პუნქტების მიხედვით, - თქვა უცნობმა, - ზოგადი, მაგრამ პრინციპული თანხმობის შემდეგ გასარკვევი ის გვრჩება, შეგიძლიათ თუ არა რისკზე წასვლა?
- ვთქვით, წავედი რისკზე... - კვლავ ამოღერდა კილავემ.
- ჩვენ ზუსტად უნდა ვიცოდეთ, წახვალთ თუ არ წახვალთ...
- გააჩნია რისკს...
- მესმის, მაგრამ საერთოდ წახვალთ? შეგიძლიათ?..
- გააჩნია რისკს, - გაიმეორა კილავემ, - რისკსაც გააჩნია და გასამრჩევლოსაც, - დააზუსტა მან.
- რისკი ფორმალურად დიდი, მაგრამ არც გასამრჩევლოა ცოტა, - გულმოდგინედ დააკვირდა უცნობი, - ათი ათასი დოლარი.

კილავეს სპაზმი იმდენად გაუძლიერდა, რომ თვალეზი გადმოკარკალა.
- ათი ათასი ამერიკული დოლარი, - გაიმეორა უცნობმა.
- რას ნიშნავს რისკის ფორმალურობა? - იკითხა ტანშიყრუანტელდავილი კილავემ.
უცნობი ღუმდა, კილავეს

კილავეს სპაზმი იმდენად გაუძლიერდა, რომ თვალეზი გადმოკარკალა.
- ათი ათასი ამერიკული დოლარი, - გაიმეორა უცნობმა.
- რას ნიშნავს რისკის ფორმალურობა? - იკითხა ტანშიყრუანტელდავილი კილავემ.
უცნობი ღუმდა, კილავეს

კილავეს სპაზმი იმდენად გაუძლიერდა, რომ თვალეზი გადმოკარკალა.
- ათი ათასი ამერიკული დოლარი, - გაიმეორა უცნობმა.
- რას ნიშნავს რისკის ფორმალურობა? - იკითხა ტანშიყრუანტელდავილი კილავემ.
უცნობი ღუმდა, კილავეს

კილავეს სპაზმი იმდენად გაუძლიერდა, რომ თვალეზი გადმოკარკალა.
- ათი ათასი ამერიკული დოლარი, - გაიმეორა უცნობმა.
- რას ნიშნავს რისკის ფორმალურობა? - იკითხა ტანშიყრუანტელდავილი კილავემ.
უცნობი ღუმდა, კილავეს

კილავეს სპაზმი იმდენად გაუძლიერდა, რომ თვალეზი გადმოკარკალა.
- ათი ათასი ამერიკული დოლარი, - გაიმეორა უცნობმა.
- რას ნიშნავს რისკის ფორმალურობა? - იკითხა ტანშიყრუანტელდავილი კილავემ.
უცნობი ღუმდა, კილავეს

კილავეს სპაზმი იმდენად გაუძლიერდა, რომ თვალეზი გადმოკარკალა.
- ათი ათასი ამერიკული დოლარი, - გაიმეორა უცნობმა.
- რას ნიშნავს რისკის ფორმალურობა? - იკითხა ტანშიყრუანტელდავილი კილავემ.
უცნობი ღუმდა, კილავეს

კილავეს სპაზმი იმდენად გაუძლიერდა, რომ თვალეზი გადმოკარკალა.
- ათი ათასი ამერიკული დოლარი, - გაიმეორა უცნობმა.
- რას ნიშნავს რისკის ფორმალურობა? - იკითხა ტანშიყრუანტელდავილი კილავემ.
უცნობი ღუმდა, კილავეს

კილავეს სპაზმი იმდენად გაუძლიერდა, რომ თვალეზი გადმოკარკალა.
- ათი ათასი ამერიკული დოლარი, - გაიმეორა უცნობმა.
- რას ნიშნავს რისკის ფორმალურობა? - იკითხა ტანშიყრუანტელდავილი კილავემ.
უცნობი ღუმდა, კილავეს

კილავეს სპაზმი იმდენად გაუძლიერდა, რომ თვალეზი გადმოკარკალა.
- ათი ათასი ამერიკული დოლარი, - გაიმეორა უცნობმა.
- რას ნიშნავს რისკის ფორმალურობა? - იკითხა ტანშიყრუანტელდავილი კილავემ.
უცნობი ღუმდა, კილავეს

შობთ და არა ჯაშუშებზე. ჯერ ერთი, აქ ჯაშუში არავის სჭირდება, ისედაც ღია გვაქვს ყველაფერი, - მისი სპეციალობის ხალხისთვის შეუფერებელი გულახდილობით ალაპარაკდა უცნობი. „გულახდილობას ნდობის მოსაპოვებლად თამაშობს“, გაუღევა კილავეს, - მეორეც, ჯაშუშის გამქდაგნება არც ისე იოლი საქმეა და მესამე და უმთავრესი კი ისაა, რომ ჯაშუში ისე მონერხებულად არ ითანამშრომლებს ჩვენთან, როგორც ამას ჩვენი კაცი გააკეთებს.

უცნობი გაჩუმდა და კილავეს მიანერდა, მაგრამ იგი ხმას არ იღებდა.
- თანაც, შესაძლებელია გასამრჩევლოს ოცი ათას დოლარამდე გაზრდა, - დაამატა უცნობმა.
- მღუპავთ? - განწირული ხმით იკითხა კილავემ.
- რატომ გღუპავთ? თქვენ ექვსი ან მაქსიმუმ ცხრა თვე მოგიწევთ ციხეში ყოფნა. იქ ყურადღება არ მოგაკლდებათ, სითბო და საკვები გექნებათ, მობილური ტელეფონიც, ოჯახთან კავშირის უფლება. ვე საქმე სასამართლომდე არც მივა. თუ მივა, სასამართლო ჯაშუშობას ვერ დაგიდასტურებთ და გაათავისუფლებთ. სასამართლო მთელი ამ პერიოდის ხელფასს უკლებლივ აგინაზღაურებთ და მორალური ზიანისთვის ცალკე, კომპენსაციის სახით, კიდევ ხუთი ათასი დოლარის გაძღვებასაც წინასწარ გაძღვებთ.

კილავე ღუმდა.
- ამაზე უკეთესი პირობები რა გინდათ? ჩათვალეთ, რომ ექვსი ან ცხრა თვით სანატორიუმში მიბრძანდებით. ხელფასი სრულად გინარჩუნდებათ და ოცდახუთი ათასი დოლარი სამშობლოსთვის გაწეული სამსახურისთვის პონორარის სახით გექვსავთ.

სად არის გარანტია, რომ ეს ყველაფერი ასე მოხდება და არა სხვაგვარად, მართლა რომ გამასამართლონ? - ცრემლი გაერია ხმაში უკიდურესად აფორი-

კილავეს სპაზმი იმდენად გაუძლიერდა, რომ თვალეზი გადმოკარკალა.
- ათი ათასი ამერიკული დოლარი, - გაიმეორა უცნობმა.
- რას ნიშნავს რისკის ფორმალურობა? - იკითხა ტანშიყრუანტელდავილი კილავემ.
უცნობი ღუმდა, კილავეს

აქებულ კილავეს. თან გონებაში ანგარიშობდა თუ რამდენ პრობლემას გადაჭრიდა ოცდახუთი ათასი დოლარით. ასეთი უზარმაზარი თანხის მიღების სხვა ვარიანტი სოსო კილავესთვის ბუნებაში არ არსებობდა. გაახსენდა ქალიშვილები, სტუდენტი ვაჟიშვილი, რომლებიც თავიანთ ტოლამხანაგებში მუდამ დაჩაგრულად გამოიყურებოდნენ. გაახსენდა მეუღლე, რომელიც ამოდ ოცნებობდა, რომ კარგად გარემონტებულ ბინაში ეცხოვრათ...

- სად არის გარანტია? - ამოიკვინესა მან.
- გარანტია საქართველოს უშიშროების სამსახურია, რომელიც საიდუმლო ხელშეკრულებას გააფორმებთ. მთავარი კი მინც ის პიროვნებაა, ვისთან შეთანხმებთაც ამ ნაბიჯს ვდგამთ, მაგრამ ვერ დაგიკონკრეტებთ...

- რომელია ის სახელმწიფო, ვის სასარგებლოდაც ვითომ ჯაშუშობას ვეწეოდი? - იკითხა ნირწამხდარმა კილავემ.
ახალგაზრდას გაეცინა.
- არ მეგონა ასე გულუბრყვილო შეკითხვას თუ დასვამდით, - თქვა მან, - მერე კი იხუმრა, - თქვენ ხომ პროფესიონალი ჯაშუში ბრძანდებით, ასეთი გულუბრყვილობა გეპატიებათ? ჯერ შეთანხმდით, დეტალები მერე გავარკვეთ.

კილავეს მწარედ გაეღიმა, მაგრამ ერთგვარი საზრიალო მანც გამოიჩინა.
- არც თქვენ გეკადრებათ ამგვარი გულუბრყვილობა, - ოდნავ გათამამებულმა ირონია შეუბრუნა უცნობს, - ვინაიდან დეტალების დაზუსტება დავიწყე, ესე იგი, პრინციპული თანხმობა მოგეცით, - თვითონაც გაუკვირდა საიდან მოუყარა თავი ამდენ სითამამეს.
- აი, ეს მომწონს, - თქვა ახალგაზრდამ.

- ფულს სად მივიღებ და როდის? - დაზუსტება ითხოვა კილავემ.
- თუ შევთანხმდებით, ფულს დღესვე მიიღებთ ჩვენთან, როგორც კი საიდუმლო ხელშეკრულებას დაეწერთ და ხელს მოვაწერთ. ხვალ, ნაშუადღევს, სამსახურში მოვლენ და დაგაპატიმრებენ. სამი დღის შემდეგ კი, თქვენ სატელევიზიო აღიარებით წარადგებით ქვეყნის წინაშე.

ახალგაზრდამ ჩამოსართმევად მარჯვენა გაუწოდა, მაგრამ კილავემ არ იჩქარა.
- რომელია ის ქვეყანა, ვინა ჯაშუშობაც უნდა დავიბრალო? - კვლავ ძველ შეკითხვას მიუბრუნდა იგი.
ახალგაზრდა ილიმებოდა.
- დავიჯარო, ვერ ხვდებით?

- რუსეთი, ხომ?
- რა თქმა უნდა, რუსეთი!
კილავემ უცნობის გამოწვედილ ხელს საკუთარი შეაგება.
ახალგაზრდამ ძრავი ჩართო. მანქანა რბილად გასრიალდა ახალდაგებულ, მაგრამ უხარისხო ასფალტზე...

კილავემ უცნობის გამოწვედილ ხელს საკუთარი შეაგება.
ახალგაზრდამ ძრავი ჩართო. მანქანა რბილად გასრიალდა ახალდაგებულ, მაგრამ უხარისხო ასფალტზე...

**ვალერი
კვარაცხელია**

1

მოქმედებს დროის ცვლილებებმა. ყოველი მორიგი ათწლეული ასალი ეპოქაა. თითოეული მათგანი მოულოდნელ ვითარებას ქმნის, რაც ახლებურ მიდგომას ითხოვს, საკუთარი ადგილის განსხვავებულ ძიებას. ვერაფრით ვიპოვე ყოფიერებაში ჩემი ადგილი, ვერ ვიპოვე ჩემი დრო.

მოუწყობლობის სინდრომი გჭირს. როგორ უნდა მოეწყოს ნორმალური ადამიანი მუდამ ცვალებადი ცხოვრების ფორმების ქაოსურ წიაღში.

გეუბნები, მიუსაფრობის სინდრომი გაქვს. წადი, იპყრნალე.

2

ო, ეს სიცოცხლის ენერჯია! განუწყვეტელი ქმედებას ითხოვს. იგი რომ არა, ხმას არ ამოვიღებდი. ხანდახან ვფიქრობ, რომ ადამიანმა ჩემად, მოთხოვნილებების გარეშე, უხმაურად უნდა იცხოვროს; ჩემად, წუწუნის გარეშე უნდა წავიდეს ამ არეულ-დარეული წუთისოფლიდან. მაგრამ სიცოცხლის ენერჯიას რა ვუყო. მასზეა დაფუძნებული ჩემი ყველა თვისება, მოთხოვნილება და საქციელი. იგი ვულკანის ძალით მიბიძგებს ყოფიერების ქაოსის ცენტრისკენ. მიდი, გაერკვიე, რა ხდება და რამე გააკეთეო. მიდი და გააკეთე რამე ამ მახინჯ, მუდამ ცვალებად აბსურდში. ვერაფერს გააკეთებ ისეთს, რაც ხვალაც, ანუ შემდგომ ეპოქაშიც ღირებული და ქმედითი იქნება. მხატვრულ ფორმასაც კი ისტორიულობის, ანუ მოკვდავობის და გაუფერულების ბეჭედი დაასვა ყოფიერების მუდამცვალებადობის ძალამ. გუშინ რაც გენიალური გეგონა, დღეს აღარ გაღვლეხვს. გუშინ რაც საინტერესო იყო, დღეს ისეთი ვერაფერი რამე აღმოჩნდა. მაგიუბენ ცვალებადი განწყობილებები, გაიაფასებული, ოდესღაც ძვირფასი ღირებულებები.

გეუბნები-მოუწყობლობის სინდრომი გჭირს. საერთოდ კონფლიქტური ადამიანი ხარ, თორემ, ყოფიერება რომ არ იცვლებოდეს, პირველი შენ ატეხავდი წუწუნს: ყოფიერება სულ ერთი და იგივე მოსაბეზრებელი რამაა და ამის ატანა შეუძლებელიაო. თვითონ არ იცი, რა გინდა. ფრჩხილის კენჭის წიკვიით ნევროზი გაქვს.

3

უ, როგორ მიშლის ყოფიერება ხელს იმაში, რომ ლაღად და უშფოთველად ვიცხოვრო. საშუალებას არ მაძლევს, რომ კარგ ვინმედ ვიგრძნო თავი. ეჭვებს მიჩენს, ნაკლებოვანებებით აღსავსე არსებად შემაგრძობინებს თავს. რაიმე მიზნისკენ თუ ვისწრაფვი აღფრთოვანებული, ფეხს მიდებს. მწარეა ამ დროს დაცემა. რაიმესადმი კეთილად თუ განვწყობი, ზურგში დანას მირტყამს, თუ არადა, იმ რაიმეს სადაგლობად გადააქცევს. ვინმე თუ შემეყვარდა და საზე გამიბრწყინდა, თავში მითაქებს, თითქოს არაფრის უფლება მქონდეს, თითქოს არსებობის საბუთი არ გამაჩნდეს. აზროვნების მხრივ დიდ სიღრმეებს თუ ჩავწვდი, გაუგებარ ტიპად მაქცევს, უგუნურს და უჭკუოს მეძახის ქარაფშუტა ფანფარონების და ყეყეჩების პირით. როცა ვრწმუნდები, რომ უღმერთოდ ადამიანის არსებობა უაზრობაა, დამცინის, მასხრად მიგდებს. რწმუნას უსაფუძვლო მოვლენად, მოჩვენებითობად გარდამიქმნის. მამრახებს, მამნევს, მამბოროტებს, მაიძულებს სისულელეებს და უმსგავსობებს ჩავიდინო. თუ განვერიდები და გავიგნებელი ჩამოვვადები სადმე, ტკბილად მიხმობს, მეალერსება, მაცდუნებს. თუ გავყევი მის ტკბილხმობას, უფსკრულში მიბიძგებს.

სიცოცხლის ენერჯია ქმედებას მაიძულებს, თორემ ხმას არ ამოვიღებდი, ერთ სიტყვასაც არ დავწერდი. მოვებნიდი მიყრუებულ კუთხეს, წამოვწყობდი, მოვიკუნტებოდი და ვიყურებდი. კედლისკენ გადაბრუნებული პატარა დაჯანჯულ ლურსმანს მივაშტერებოდი.

ნუ მაცოდებ თავს.

მაგრამ რა ვუყო სიცოცხლის ენერჯიას. იგი არ მაცლის ჩემთვის ყოფნას, ქმედებას მთხოვს, თანაც აზრიან ქმედებას. ამიტომ უბრალოდ სირბილით, საჭმლის ღებვით და ყლაპვით ან მუდამ ქეიფით და დიდი სუფრების თამალობით, ღვინის გრადუსებით წარმოშობილი სიბანდი სიყვარულით და სუფრის არამიზიდველი წვერების ყალბი სადღეგრძელოების თქმით ან მიტინგების ჩატარებით, ან არსებობისთვის ბრძოლის მილიარდი ფორმით ვერ დაგვამაყოფილდები.

შენ ისეთი ტიპი ხარ, რომ ვერასდროს და ვერაფრით ვერ დაგვამაყოფილდები.

არ არის ეგრე. გენიალურად ვგრძნობ სიცოცხლეს, ძალიან გონიერად, ძალიან ღრმად, ძალიან მიზნობრივად, ძალიან დაბნეულად და სულელურად, ზედმიწევნით ზედაპირულად და ამავე დროს დაკვირვებით; ძალიან მცდარად, მაგრამ სწორი წვლამისთვის აუცილებელი სერიოზული ტკივილით; ძალიან საეჭვოდ, ძალიან კრიტიკულად და ამავე დროს გაწვავლებული მორჩილებით; ძალიან ბნელად და, ამასთანავე, სუფთად; მოკლედ, ყველანაირად ვგრძნობ სიცოცხლეს. არ შემიძლია, არ მიყვარდეს იგი. და მაინც რაღაც ვერ არის სრულად, რაღაც ყოველთვის მაკლია, - რაღაც მნიშვნელოვანი, რაღაც მთავარი.

გითხარი და კვლავ გეუბნები: უკმაყოფილობის სინდრომი გჭირს.

4

- ღმერთო ჩემო, რა სულელია ეს კაცი! - გაიფიქრა ჩემზე პატარა მღაზის კედელთან მშვიდად მიწოლილმა ძაღლმა - არც კოჭლსა და არც ბრუციანს, კარგი გარეგნობაც აქვს, არის ტოკრატიც კია. უთუოდ გამოირჩევა სხვებს შორის. მეგობრები პატივს სცემენ. სახელოვანიც კია რამდენადმე. მაინც უკმაყოფილოა ცხოვრებით და თავის თავით. რომელიღაც აბსტრაქტულ სრულყოფილებას და სულიერებას ეძებს. რაღაცებს წერს. ძალიან ნერვიულობს. ცხოვრებას ისე აკრიტიკებს, რომ დაკარგა სიხარულის უნარი. ნამდვილი სულელია. სამყარომ სიცოცხლე აჩუქა, მაგრამ არ იცის მისი მოხსეულობას ეძებს. რა უნდა იყოს სიცოცხლე უფრო ფასეული. ნამდვილი მოცლილი და ქარაფშუტა არის ტოკრატია. დროებით არსებობა არ მეკადრებაო. იდიოტურ და არარეალურ იდეალებზე ფიქრში ფლანგავს შემთხვევით ნაპოვნი ფულივით ცხოვრების ძალას. არ გამოუცდია ნამდვილი სიმართლე და გადაგდებულობა, რომლის შემდეგაც სიცოცხლის ყოველი წამი ისეთივე ძვირფასი ხდება, როგორც ხორციანი ძვლის ღრუნა. მე, ალბათ, არარაობად მიმიჩნევს. ვერ წარმოუდგენია რომ ქუჩაში, პატარა მაღაზიის ჭუჭყიან კედელთან მიწოლილი ძაღლი სრულფასოვან არსებად შეიძლება გრძობდეს თავს, სამყაროს ღირსეულ და შეუცვლელ სახეობად განიცდიდეს თავს. არ იცის, რა მშვიდი და ბრძენი ვარ ახლა და რა მეფურად გავცქერი უიღბლობისგან დასახინჩრებულ და დაბეჭავებულ გამვლელებს. ღმერთმანი, სულელია ეს კაცი, არ იცის სიცოცხლის ფასი.

5

- არ უნდა იფიქროთ. - მითხრა კისკისით დიდი ბრიტანეთის ამაყი ელჩის ცოლმა, რომელიც შემთხვევით გამაცნეს

კონტექსტის ფოტოს გამოფენაზე. ცხადია, მხიარულად მიმანიშნა, რომ ფიქრს სიამოვნებათა აზარტული ძიება სჯობს.

6

- რატომ წერ, რატომ ხატავ, რატომ ფილოსოფოსობ. ნუთუ გგონია, რომ ყოფიერების ამაოებას რაიმე აზრს ან ხარისხს შესძენ. ვერა ხარ ჭკვიანი კაცი.



- მითხრა ლოთმა თანამოსაუბრემ, როცა თბილისის ერთ-ერთ ბარში ვისხვდით პატარა მაგიდასთან და ლუღს ვსვამდით.

- ესე იგი, ჭკვიანსა და უჭკუოს შორის არავითარი რეალური განსხვავება არ არის? - ვკითხე მე. - ნიჭიერსა და უნიჭოს შორის სხვაობა არ არის?

- რა იციან ჭკვიანებმა ისეთი, რაც სულელებმა არ იციან? - მიპასუხა მან.

7

შენ ილუპები. შენ არ ილუპები, - ერთდროულად მომესმის შიგნიდანაც და გარედანაც. თუ არ ილუპები, მითხარი, რომ შენს არსებობას რამე აზრი აქვს. არ არის ეგრე, არ დაიჯერო, რომ ილუპები. სულაც არ ილუპები, შენ თვითონ არ იცი და შენს არსებობას დიდი აზრი აქვს. დამტანჯა ერთდროულად მოპირსპირე განცდებმა. ნუთუ ილუპები და არ ილუპების მიღმა მყოფი მესამე მსოფლგანცდა არ მოიძებნება ადამიანის შინაგან სამყაროში. მაინც რა აზრი აქვს ჩემს არსებობას, რითი დამამშვიდებ? განსაკუთრებული ტიპის „ქლიავი“ ხარ. შენისთანა ტიპი წარსულში არასდროს არსებულა და არც მომავალში იარსებებს. მოკლედ, განუძეობელი ხარ. სამყაროს ისტორიაში ერთადერთი შენ ხარ, ვინაც შენ შეიძლება იყო. მერე რა აზრი აქვს იმას, რომ მე მარტო მე შემიძლია ვიყო. სხვაც მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება ის სხვა, რომელი სხვაც არის, თუ ის სხვა იქნება, რომელი სხვაც არის. ნუ ართულებ უბრალო სათქმელს. მშვენივრად იცი, რომ შენს განსაცდელს სხვა ვერ განიცდის, შენს საფიქრალს სხვა ვერ იფიქრებს, შენ რა ამბები და შემთხვებიც გემართება და შეგემთხვევა, სხვა ვერავინ შეიმთხვევს და ვერ იცხოვრებს. არაფერს არ ნიშნავს ყოველივე ეგ. თითოეული ბალახი თავისებურია, მაგრამ მერე რა. მერე ის, რომ შენს შესაძლებლობებს და უნარებს შენს გარდა ვერავინ გამოავლენს. ამიტომ მაქსიმალურად უნდა გააღვიძო შენი ნიჭები

და გენიალობები და დაინახავ, რომ არ ილუპები. ოჰ, ოჰ, რა ჭკვიანი ხარ, მაგრამ რა ამაოდ, რა უაზროდ. უაზროდ ჭკვიანი - ეს გამოთქმა პირველად მესმის. რატომ, ზოგი შემოქმედი აზროვნებაში მოისუსტებს, მაგრამ ნიჭით მშვენივრად აზროვნებს.

შენ ილუპები. შენ არ ილუპები. ერთდროულად მომესმის შიგნიდანაც და გარედანაც. მაგრამ იქნებ მართლა მაქვს „შენ არ ილუპების“ ნიჭი. მიდი, აიშვი თავი, გააფრინე, ჩაწვი სიღრმეებს, აღმოაჩინე ურყევი „შენ არ ილუპები“. ნუ ემოციურობ, ნუ ოცნებობ, ნუ უშვებ შეცდომებს. ო, ეს კონტროლი! ცნობიერებისმიერი სასტიკი უანდამი, რომელიც რეალობად წოდებული ყოფიერების ცივ ნორმალურობას ემსახურება, ყველანაირ აღმაფრენას უკვეცავს ფრთებს. ჰოდა, თუ ასეა, დაწყნარდი, ნუ ემოციურობ. არ დაწყნარდე, პირიქით, თავი აიშვი, განთავისუფლდი გულისმომკვლელად მოსაწყენი ჩვეულებრიობისგან, გააფრინე, დაიცენტრე, გაარღვიე საშუალო კაცად ყოფნის წრე, დასნებო შენს შინაგან სამყაროში არსებობის მშვენიერების თანაფარდი ცეცხლი, დაწვი ყოველივე საშუალო და უდიდამო.

ძალიან გთხოვ, ნუ ხმაურობ. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ადამიანის რეალური შესაძლებ-

ლობები გავიწყდება.

რატომ, არ ყოფილან ისტორიაში გენიალურად დაცენტრირი ადამიანები? გიუბებს გულისხმობ?

8

შენ იკარგები. შენ არ იკარგები. შენ უვარგისი ხარ. შენ გენიალური ხარ. შენ მახინჯი ხარ. შენ მშვენიერი ხარ. შენ არავის უყვარხარ, შენ ყველას უყვარხარ. შენ არავის სჭირდები. შენ საჭირო ხარ. შენ პატარა ხარ. შენ დიდი ხარ. მიდი, იბრძოლე გამარჯვებისთვის. ნუ იბრძვი, აზრი არა აქვს ბრძოლას. დანებდი ამაოების განცდას. ნუ დანებდები; მიდი, გააფრინე, ნუ მოეშვები, ნუ იქცევი საწყალ მელანქოლიკად. დამგლიჯეს ორბუნებოვანმა ურთიერთდაპირისპირებულმა შერგნებებმა.

გითხარი - ფრჩხილის კენჭის წიკვიით ნევროზი გჭირს.

მიდი, დაიცენტრე, გაარღვიე ყოფიერების ნორმალურობის და ჩვეულებრიობის მოსაწყენი, მაგრამ მაგიური წრე, ნუ იქნები საშუალო. არ შეცდე. არ დაიძაბო, იყავი ცივი, არაფერი მიიტანო გულთან ახლოს, არაფერი განიცადო.

9

მასწავლე უშფოთველად ყოფნა. - გეუბნები რომელიღაც განუსაზღვრელ სიბრძნეს თუ ძალას, მაგრამ არ ვიცი, არსებობს თუ არა იგი. ისე გამოდის, რომ საკუთარი თავს მივმართავ. მასწავლე გენიალური დაცენტრე.

რომელი ერთი შეგისრულოს.

მასწავლე, ვიპოვო ჩემი საუკეთესო თავი. მასწავლე ჩემი თავისგან გაქცევა. მასწავლე, გაუვლო სამყაროს. მასწავლე სამყაროსგან გაქცევა.

გეყო ფრჩხილების კენჭი. ვერ ჩამოყალიბდი, მერე ილაპარაკე.

10

პატარა მაღაზიის კედელთან მიწოლილი ძაღლისგან განსხვავებით, გარდა იმისა, რომ მშვიდება და ტუქნასთან ყოფნა მინდება, ისიც მბურღავს ტვინს, რომ მინდა, ვიცოდე, რაშია საქმე, ანუ ვცდილობ, გა-

ვერკვე, რა ხდება ჩემში და სამყაროში. იიფ, კარგია, ღმერთმანი! მომინდომა სამყაროს საიდუმლოებების ამოხსნა.

ეს მიჩენს ორბუნებოვან შეგრძნებებს. აქედან მოდის შენი ილუზიები, შენი არ ილუზიების კონფლიქტური შეგრძნება. ვერაფრით გავარკვე, რაშია საქმე, რა მინდა, რას ვეძებ, რას მოითხოვს სამყარო ჩემგან. იმის გამო, რომ გონება მაქვს და მხოლოდ და მხოლოდ ცხოველი აღარ ვარ, მარტო ინსტინქტების გამოვლენით და აღსრულებით ვერ ვახორციელებ ჩემს ბუნებას, ჩემს რაობას. კიდევ რაღაც არის საჭირო, რაღაც მიუღწეველი, შეუძლებელი, გასაიდუმლოებული, რაღაც ისეთი, რაც ნიჭით და გონით გამოვლინდება. აი, ეს მართულდება. ეს მაიძულავს, ვეძებო თუ რაშია საქმე. დავინახავ საგანს და ვფიქრობ: რატომ ვხედავ ამ საგანს, რა არის ეს საგანი, რატომ შევამჩნიე იგი, მართლა არსებობს იგი თუ მეჩვენება. შემხედვება ვინმე და ვფიქრობ: რას ნიშნავს ეს შეხედვრა. ვინ არის იგი. უნდა ვიფიქრო მასზე თუ უნდა დავივიწყო იგი. აი, ასეთი ჩახლართული გამხდა გონებამ. განუსაზღვრელი ბუნება მაქვს. აღარც ცხოველი ვარ, რომ გემის აღებით და ნადირობით დავკმაყოფილო, და არც ანგელოსის მსგავსი ზებუნებრივი არსება ვარ.

კიდევ კარგი, რომ ხედვები ამას, თორემ შემეშინდა, მართლა ხომ არ დაიცენტრა-მეთქი.

ადამიანურ მოუთავრებელ და განუსაზღვრელ ბუნებაში ვარ გამოძვედული. ჟირაფივით ან მგელივით ვერ ვიტყვი, დასრულებული სახეობა ვარ და ჩემს სახეობაში ჩემზე უკეთეს არსებად ქცევის შანსი არ არსებობს. მგონი, საერთოდ არა ვარ სახეობა, რადგან ზედმიწევნით დაუსრულებელი ვინმეა ადამიანი. მეუბნებიან განვითარებადი სულდგმული ხარო. ღმერთმა იცის, ასეა თუ არა, რადგან ტექნიკის პროგრესი ადამიანურობის განვითარებას არ უნდა ნიშნავდეს. პირიქით, ტექნიკის განვითარების პარალელურად ადამიანურობა დაქვეითდა, ანუ განვითარდა. იმასაც ვერ ვიტყვი, ცხოველური არაფერი მცხიათქო. ძალიანად მცხია. იქნებ, ანგელოსური ელემენტები მცხია? ეს ისე ვიკითხე, არარეალურად, ფანტასმაგორიულად.

არ უნდა გეკითხა ეს სისულელე. არა ხარ ამდენად უჭკუო კაცი.

ვერაფრით გავხდი ბოლომდე კეთილშობილი. ბევრი რამ ძველებურად, ნეანდერტალური ადამიანის მსგავსად მბრაზებს, მაჩნებს, მწყინს, ხარბად მქნის, ნგრევისთვის განმავსებს.

იიფ, მომინდომა ბოლომდე კეთილშობილ არსებად ყოფნა! კარგია, ხომ იცი! მეტი აღარაფერი გინდა?

11 - რას მიეძღვება ეს კაცი. - ფიქრობს ჩემზე მდიდარი კაცი, რომელსაც სამი ლამაზმანი ევლება თავს. ლამაზი ქალები კი არიან, მაგრამ არ მომწონს ისინი. ძალიან მოკლე კაბებზე რომ შეხედავ, ფული გასწვდება. რას იზამ, ჩვენს საუკუნეში ფული უფრო დიდი ღირებულებაა, ვიდრე ნიჭი. ფული ნიჭად იქცა. მაგრამ მე ჩამორჩენილი ადამიანი ვარ და ნიჭის ძველი გაცემა უფრო მხიბლავს.

- რას მიეძღვება ეს კაცი! - ბრაზდება ჩემზე მდიდარი კაცი.

არა ხარ პრაქტიკული. ნუ დასცინი მდიდრებს. იქნებ, ერთხელაც შენი წიგნი გამოცენ და მერე დიდი რეკლამა გაგიკეთონ: ნახეთ, რა საქმე გავაკეთეთ, კულტურის როგორი გულშემატკივრები ვართო.

არ ვერჩი მდიდრებს. უბრალოდ, აღვნიშნავ, რომ ფული გახდა უმთავრესი ღირებულება.

12 მასწავლე, თითოეული საგანი და მოვლენა თავის ადგილას აღვიქვა. მასწავ-

ლე, არ ავეურო მოვლენები ერთმანეთში. მაგრამ განა დავაცლის ყოფიერება ასეთ შინაგან წესრიგს. არც შინაგანი სამყაროს არეულობა გაცილის სწორ ხედვას. მასწავლე, ჩიტის ფრენას ისე ვუყურო, რომ არ ვიფიქრო არაფერზე სხვაზე, მაგალითად, სწორ ხედვაზე. მასწავლე, სამყარო ისეთი დავინახო, როგორც ჩანს, ნუ მოვახვევ თავზე ჩემს მცდარ თვალსაზრისებს და ბნელ განწყობილებებს. მაპოვინე ადგილი, სადაც სახლში ვიგრძნობ თავს და აღარსად წასვლა არ მომინდება. მაპოვინე ადგილი, სადაც მშვიდად წამოვწევი და არაფრის კეთება არ მომინდება. მასწავლე, ბოლომდე ამაოებად აღვიქვა ყოფიერება და ნურაფერი მომხიბლავს და მიმიზიდავს. მასწავლე, ვიყო უსაქმური, დაუფიქრებელი და აუღელვებელი და არაფერზე მწყვდებოდე გული. მასწავლე, ვავლობო ყოფიერების აბსურდს.

ძალიან ბევრს ითხოვ. მხოლოდ ერთი რამ უნდა ითხოვო და, იქნებ, აგისრულდეს კიდევ.

13 „ცივა ჩემს სამშობლოს, პალტო მოახურეთ“. - მღეროდა ქუჩის მუსიკოსი რუსთაველის პროსპექტის მიწისქვეშა გადასასვლელში. ძალიან არამუსიკალურად გაჭყიოდა ამ სიტყვებს. ამრეზილი გრძობა გამიჩნდა მისი გაპრანჭული სენტიმენტალიზმის მიმართ. მან კი, როცა მის წინ ჩავიარე, გაიფიქრა: რატომ იბადებიან ამისთანა გამოცხელები და უგრძობი ტიპები.

14 მასწავლე გადამეტებული მგრძობილობა. მასწავლე, მიყვარდეს ცუდი სამშობლო, ცუდი კაცობრიობა, ცუდი ადამიანები. მასწავლე, რომელიმე კუთხიდან ვიყო და იმ კუთხეზე ვვიყუდებოდე. უხეში, ტლანქი, ჩლუნგი, ცბიერი, გარყვნილი, ნადირალი, მოძალადე, გლახაკი ადამიანებისგან შემდგარი კაცობრიობის მოდემიდან ვარ და ამ კაცობრიობაშია ის ქვეყანაც, რომელსაც სამშობლოს უწოდებენ. მასწავლე, კარგი მეგონოს ის, რაც ცუდია, ლამაზად ვხედავდი მახინჯს, კეთილად ვხედავდი ბოროტს, უნაკლო ადამიანად აღვიქვამდი საკუთარ თავს, ანუ თვითღარწმუნებელი იდიოტი ვიყო.

მხოლოდ ერთი უბრალო რამ უნდა ითხოვო-მეთქი, გითხარი. აი, მაგალითად, იდიოტად ყოფნას თუ ითხოვ, სიამოვნებით შეგისრულებენ თხოვნას.

15 მასწავლე ცხოვრება. - ვეუბნები სამყაროს განუსაზღვრელ სიბრძნეს, წესრიგს და ენერჯიას. არ ვიცი ცხოვრება. მიკვირს, ცხოვრება რომ იციან. საიდან და რანაირად უნდა იცოდეს ცხოვრება, თუ პირველად მოხვდი მიწაზე. როგორ უნდა იცოდეს ცხოვრება, თუ ყოფიერება მუდმივად იცვლება და ყოველ მორიგ ათწლეულში ახალი და მოულოდნელი ვითარება იქმნება. მიკვირს, თვითღარწმუნებულად და პროფესიონალურად რომ იბრძვიან არსებობისთვის. ისე ოსტატურად იპარავენ, მარცვავენ, ჩაგრვენ, დალატობენ, ზურგში დანას ურტყამენ, ტყუიან, გაიძვერობენ, ფარისევლობენ, მლიქვნელობენ, კარგი სიტყვებით და იდეებით ნიღბავენ თავიანთ ნადირლობას, რომ ძალიან არ ვიცი ცხოვრება. არც მინდა, ვიცოდე არსებობისთვის პირუტყვეული ბრძოლა, იგი დამამცირებელია. აი, გენიალური დაცენტრისთვის და ჩვეულებრიობის წრის გარღვევისთვის ბრძოლა კი სხვა არი. თუმცა ეს ბრძოლა არ არის, ეს შთაგონებაა.

ნუ გიჭირავს გენიოსის, ნუ ატყუებ ხალხს.

არ ვიცი ცხოვრება. არ ვიცი სამშობლოს სიყვარულის აკვირებით ფულის და თანამდებობის მოპოვება. არ ვიცი ძალაუფლების და სახელის მოხვეჭისთვის სიბანდი პატრიოტიზმი. არ ვიცი პირადი კეთილმოწყობისთვის სამ-

შობლოს გამოყენება. მგონი, სულ ტყუილად ავიმრიზე ქუჩის მუსიკოსის სიტყვებზე: „ცივა ჩემს სამშობლოს, პალტო მოახურეთ“. მგონია, არც მაგან იცის ცხოვრება. თუმცა არსებობისთვის მაინც იბრძვის. ხურდა ფულზე ყიდის სამშობლოსადმი თავის გატყდარჯულ, კეკლუცრემლიან სიყვარულს. არა, ნამდვილად არ მომწონს ქუჩის მუსიკოსის ჭყვიანა ხმით წამღერებული „ცივა ჩემს სამშობლოს, პალტო მოახურეთ“. ღმერთო ჩემო, რა დორბლიანი და თვალთმაქცი სისულელეა! მაგრამ სისულელე გადამდებია და, მგონი, საცაა გუნებაში წავიდილინებ: „ცივა ჩემს სამშობლოს, პალტო მოახურეთ“. რა ადვილად მოვექცევი ამ იდიოტობის გავლენაში. ნამდვილად არ ვიცი ცხოვრება, ძალიან არ ვიცი.

16 არ ვიცი ადამიანებთან, მოვლენებთან, საგნებთან და პერიოდებთან დამშვიდობება, მაგრამ მთელი ცხოვრების განმავლობაში ვემშვიდობები მათ. ისე ცბიერად და საიდუმლოდ გამოძვლივარ ყოფიერების ცვალებადობათა კანონმა ბავშვობის პერიოდი, რომ მეტი გზა არ იყო - უნდა დავმშვიდობებოდი მას. თუმცა ეს დამშვიდობების გარეშე მოხდა. ის კი არა, ხალისითაც კი გავხდი ჭაბუკი. არც ჭაბუკობის ასაკთან ვიცოდი განშორება, მაგრამ იძულებული გავხდი, განვშორებოდი. ასევე ჩემდაუნებურად ცხოვრების ცვალებადობა ? ძალის მოქმედებით დავემშვიდობე დედის ახალგაზრდულ სახეს. მის ღიმილს და იმას, რომ დაძახების საპასუხოდ ჩემკენ მოაბრუნებდა სახეს და თვალებს. სად არის ახლა ის სახე, რატომ იყო, რატომ გაქრა, რატომ იმეტებს ასე სასტიკად სამყარო თავის შექმნილ მშვენიერ მოვლენებს და საგნებს, რატომ სპობს მათ, მოდი და გაერკვიე, რაშია საქმე. არა, ნამდვილად არ ვიცი ცხოვრება. ხანდახან, როცა ვწევარ და ყოველივე იმაზე ვფიქრობ, რასაც სამუდამოდ დავემშვიდობე, მეჩვენება, რომ საფლავის ცოცხლად ჩაფიქრებულ ქვასავით ვღვევარ ჩემს სიკვდილზე.

გულს მტკენს ცხოვრება. მიხარია ცხოვრება. მწყინს, რომ ცხოვრების ვერაფერი გავიგე. იმიტომაც ვაქებებ ჩემს თავს და ვიძახი: მიდი, აიშვი თავი, გააღვიძე შენი ნიჭები და გენიალობები, განთავისუფლდი გულისმომკვლელად მოსაწყენი ჩვეულებრიობისგან, ყოფიერების ცვალებადობისგან, გააფრინე, დაიცენტრე, გაარღვიე ნორმალურობის, ანუ რიგით და ჩლუნგ ადამიანად ყოფნის წრე, ჩაწვდი სიღრმეებს, აღმოაჩინე სამყაროს მშვენიერების თანაფარდი ხედვა, აღქმა, აზრი.

ნუ ფაფხურობ, მტკერი ნუ დააყენე. მასწავლე, ფეხი აუწყო სამყაროს გიჟურ ენერჯიას. მასწავლე ცხოვრება მთელი არსებით. მასწავლე, დაიბრუნო, რაც დაკარგე. ოდესღაც მწამდა, რომ სამართლიანობა გაიმარჯვებდა და კეთილი ძლევდა ბოროტებას. მასწავლე კვლავ მჯეროდეს ამისი. ნუ დამარწმუნებ, რომ ფული ძლევს ყველაფერს, ნიჭსაც, ზნეობასაც და გენიალურ დაცენტრვასაც. ნუ დამარწმუნებ, რომ სიცოცხლის მთავარი სტიმულატორი სექსია. მაპოვინე ყოფნის აზრი. მაპოვინე ჩემი სული.

შენ თუ ბუდეს არ აპოვინებ, არაფერსაც არ გაპოვინებენ. არ იცი დანაკარგის პოვნის თამაში.

არ ვიცი ცხოვრება. არ ვიცი დამშვიდობება და მაინც მთელი ცხოვრება დამშვიდობებაში ვგავატარე. არ ვიცი, როგორ უნდა ვიწუხო, მაგრამ უამრავი რამ მაწუხებს.

ნუ გიჭირავს თითო ბავშვის. მშვენიერად იცი წუხილი. აი, სიხარული კი, მგონი, მართლა არ იცი.

მთელი ცხოვრების განმავლობაში მემშვიდობებიან ადამიანები. უკვალოდ ქრებიან საგნები და მოვლენები. იმედგაცრუების ნაღვლიან ფსკერზე იძირებიან ღირებულებები და თვალსაზრისები, მრწამსები და ხალისები, რომლებიც

დროის ცვალებადობათა ძალამ ილუზიებად აქცია. რა უფლებით ვთქვა, რომ სამყარო იმასხორეებს და ინახავს ყველა დამშვიდობებას, თუ არაფერი ვიცი ამის შესახებ. ყველაფერი იკარგება. თითქოს ცხოვრება მხოლოდ კარგა იყოს. მთელი ცხოვრების განმავლობაში მიდის დრო. ერთი ადამიანი აშობს, თითქოს დრო საერთოდ არ არსებობს. მაშინ რა იქნა ყოველივე ის, რაც იყო და აღარ არის. მაგრამ ჯერ ყოფნა და მერე გაქრობა წუხილით იზომება და არა დროით.

ნუ პოეტურობ. ნუ ცდილობ ჩემი გულის გაღლიებას.

იცვლებიან და იკარგებიან ნაცნობი სახეები, ხედვები, სივრცეები. უამრავი ისეთი ადამიანი არსებობს, რომელთაც რატომ შეგხვდი, არ ვიცი. წამიერად გამოჩნდებიან და ქრებიან. ზოგჯერ გინდა, იყვირო: - დამაცადეთ ბოლოსდაბოლოს, კარგად დამანახეთ, რასაც ვხედავ. მაგრამ ვინ დავაცლის იმასთან ყოფნას, რაც ქრება. საკუთარ თავთანაც არ გაცილის ცვალებადობათა ძალა ყოფნას. თვითონ მეც წამიერად გამოვჩნდი და დავიკარვე ბევრისთვის. ჩრდილების გაუთავებელ სხლტომას და მოჩვენებითობას ჰგავს ყოფიერება არც ერთი წამი არ არის, დრო არ გადიოდეს. არც ერთი წამი არ არის, რაღაცას არ ვკარგავდე.

17 შენ სული არა გაქვს. - მეუბნება ახალი დრო. შენ შემთხვევითი არსება ხარ. ადამიანის ყოფიერება სექსუალური აბსურდია. შენ ნაბიჭვრული ეპოქის წარმომადგენელი ხარ. შენს დროში არავის შეუძლია, სხვაზე მეტი იყოს რაიმეთი. ადამიანის ბუნების ხარისხები მხოლოდ ფულით, ძალაუფლებით, ტექნიკური აპარატებით და სექსუალური ალტკინების უნარით ამოიწურება. დაეცენ ტრადიციული ხარისხები: სიმკეთვე, თანაგრძობა, სხვისი გავების შესაძლებლობა, სიყვარული, ნიჭი, გენია. უნიჭოები და ჩლუნგები გაერთიანდნენ და მასობრივი უმრავლესობის უპირატესობა შექმნეს. გენიალური დაცენტრვა რომ შელო კიდევ, ჩვეულებრიობის და მასობრიობის წრეს მაინც ვერ გაარღვევ. შენს ეპოქას წინ ვერ გაუსწრებ. ვერაფრით გამოირჩევი, შენს უბადრუკობას ვერ გადაახტები. - მაგიჟებს თავისი უარყოფითი შეგრძნებებით ახალი ეპოქა. შენ ილუზიები. შენ არ ილუზიები. შენ იკარგები. შენ არ იკარგები. შენ არარაობა ხარ. შენ რამე ხარ. - ასეთი წინააღმდეგობრივი რიტმით გადის დრო.

18 მასწავლე, არ ავეყე ჩვენს ეპოქას. მასწავლე, სული მქონდეს. სული რომ გამაჩნდეს, ყოფიერების ცვალებადობა დამარცხდება სხვა აზრს შეიძინდა. ჭეშმარიტობის და მარადიულობის ქვეტექსტი აღმოაჩნდებოდა. მასწავლე, არ ავეყე ჩვენს ეპოქას, შემთხვევითობის თეორიას, სექსუალური გაშმაგებით თვითშეზღუდვას, ტექნიკური აპარატებით გამოთავყვანებულ და ილუზიურ კეთილმოწყობას. მასწავლე, წინასწარ ვიგრძნო უკეთესი მომავალი ეპოქა. მასწავლე, იმ ეპოქის წარმომადგენელი ვიყო.

- სულელია ეს კაცი. - ფიქრობს ჩემზე პატარა მალაზიის კვლელონ მეფურად მიწოლილი ძაღლი. - რაში ხარჯავს სიცოცხლის ენერჯიას! არ ესმის სიცოცხლის ფასი. სიცოცხლეზე დიდ ფასეულობას ეძებს.

19 მაგრამ პატარა მალაზიის კვლელონ მიწოლილმა ძაღლმა არაფერი იცის ქმედების ყინის შესახებ. ქმედების ყინი, მითუმეტეს, გენიალური ქმედების მოთხოვნილება დაავადებასავით არის. გეჩვენება, რომ რაღაც აუცილებლად უნდა გააკეთო. გეჩვენება, რომ რამე თუ არ გააკეთე, ილუზიები. იკარგები, იძირები. ამიტომაც ვაქებებ ჩემს თავს: მიდი, აიშვი თავი, დაიცენტრე, გააფრინე. გაარღვიე გულისმომკვლელად მოსაწყენი და მარტივი ჩვეულებრიობის წრე, გააკეთე

რამე გენიალური, გაბრწყინდი. ამაოდ იძაბები. გენიების დრო ისტორიას ჩაბარდა. ახლა მასობრივი გამოთავისებობის დროა. შემოქმედებითი ნევროზი გაქვს. გინდა, რაღაც გამოჩენილი გააკეთო და ვერ აკეთებ. ამპარტავნული ამბიციიდან მოდის შენი იპონონდრიული განწყობილება.

გენიალური დაცენტრვა და შთავონებით ყოფნა თუ არ შეიძლება, სინანული მაინც მასწავლებს.

20

ვინაობ, რომ ვერ ვგებულობ, რამაია საქმე. ვინაობ, რომ ყველაფერი წამიერად გამოჩნდება და უმალ ქრება. ვინაობ ყველა ჩამქრალ თვალს, ყველა იმედგაცრუებულ ხალისს, ყველა მასხრადგდებულ და ჩანსობილ აღმაფრენას, შთავონებას, გენიალურ დაცენტრვას. ვინაობ, რომ ყველაფერი მიდის, ქრება, იცვლება, იკარგება. ვინაობ, რომ ყველაფერი მემშვიდობდება. ვინაობ, რომ ამჟამინდელი ეპოქა შთავონებას მიკვეცავს. აი, ვწერ სინანულს, მაგრამ ვიცი, რომ ამაოა ეს ცდა. როგორც ყველაფერი, მხატვრული გამოვლინების ფორმაც იცვლება. ხვალ ნაკლებ საინტერესო იქნება დღევანდელი მხატვრული ენა, დღევანდელი სინანული, გაბრწყინების დღევანდელი ცდა.

21

- შენ არაფერი ხარ. - მეუბნება ახალი დრო.
- შენ გამოსყიდული ხარ ჩემი ჯვარცმით. ნუ გეშინია. - მეუბნება იესო ნაზარეველი.
- შენ შემთხვევით წარმოშობილი არსება ხარ. - მეუბნება ათეიზმი.
- შენ სექსუალური ლტოლვა გმართავს.
- მეუბნება სექსუალური რევოლუცია.
- ფულია მთავარი. - მეუბნება პრაგმატიზმი.
- ძალაუფლებაა მთავარი. - მეუბნება პოლიტიკა.
- ცივა ჩემს სამშობლოს, პალტო მოახურეთ. - მიმღერის ქუჩის მუსიკოსი.
- შენ ილუპები. შენ არ ილუპები. შენ იკარგები. შენ არ იკარგები. - ასეთ რიტმში გადის დრო.
- ყოველივე ამის ზეგავლენას განვიცდი ერთდროულად.
- გითხარი, ფრჩხილის კნეტიის წიკით ნევროზი გაქვს-მეთქი.

22

არ ვიცი, რატომ განვიცდი ეპოქის ზეგავლენას, თუ არ მომწონს იგი. რატომ იმეორებს ჩემი გონება ეპოქის შეგონებებს: ტექნიკა და არა თანაგრძობა. არსებობისთვის სისხლიანი ბრძოლა და არა ზნეობა.

არ ვიცი ცხოვრება. არ ვიცი დამშვიდობება და განუწყვეტლოვ მემშვიდობებთან საგნები, მოვლენები და ადამიანები. არ ვიცი დალუპვა, მაგრამ გამუდმებით ჩამეხმის: შენ ილუპები, შენ არ ილუპები.

ნუ გიჭირავს თოთო ბავშვის. - მეუბნება ეპოქა დამცინავი ქირქილით. რა ხარ ასეთი ჩლუნგი, რომ არაფერი იცი.

არ ვიცი ნაბიჯის გადადგმა, მაგრამ ჩემში ქმედების სისტემამ იცის, როგორ უნდა მოხდეს ეს. არ ვიცი თვალებიდან გამომხდვია და სამყაროს დანახვა, მაგრამ

რადაცნაირად მაინც ვახერხებ ამას. გონებამ ჩემს ჩაურევლად იცის, როგორ უნდა დანახოს. არ ვიცი ფიქრი იმის შესახებ, რაც დაინახე, მაგრამ ვფიქრობ. გონებამ ჩემდა უნებურად იცის ფიქრი.

არ ვიცი სიტყვის თქმა და ვამბობ. არ ვიცი წერა და ვწერ. არ ვიცი სიყვარული და მიყვარს. ჩემმა გრძობებმა და გონებამ ჩემი ნების გარეშე იციან, როგორ უნდა შეიყვარონ.

საკვირველია, როგორ არსებობს ასეთი უცოდინარი. თავს იკატუნებ, რომ არაფერი იცი, სინამდვილეში კი მთავარი რაღაც იცი. იცი, როგორ უნდა ენდო შენში თავისთავად არსებულ ქმედების სისტემას და ნაბიჯის გადადგმის უნარს. თვალებიდან გამომხდვის და სამყაროს დანახვის უნარს, ყოველივე დანახულზე ფიქრის უნარს, შეყვარების უნარს და ა.შ.

ღმერთმანი, არ ვიცი, როგორ უნდა ვენდო ჩემში თავისთავად არსებულ უნარებს, ნიჭებს და ცოდნებს, მაგრამ ჩემდა უნებურად ვენდობი. არ ვიცი, როგორ შევიგრძნო ჩემში თავისთავად არსებული ჩემი თავი, მაგრამ ვგრძნობ. იქნებ, ჩემი ცნობიერების გარეშე იცის ჩემი შინაგანი სამყაროს სისტემამ, რომ დროთა ცვლადობაში არსებობს რაღაც ისეთი, რაც მუდმივია, უცვლელია, მარადია და მხოლოდ ამ ფენომენით იზომება ადამიანის ხარისხი და არა ცვალებადი ეპოქების ზეგავლენებით. იქნებ, გაუცნობიერებლად ვიცი ცვალებადობის ძალასთან ბრძოლა, მაგრამ არ ვიცი, რომ ასეა.

არ იცი საზოგადოებაში მოქცევა. უნდა დამალო, რომ არაფერი იცი. არ უნდა ილაპარაკო ამის შესახებ. ისიც გაუგებარია, რა ნახე ისეთი, რომლის შეცვლა ან გაქრობა არ გინდოდა. ამჟამინდელი დემოკრატიული ქალის დრო არ მოგწონს. არც „ბოროტების იმპერიის“ ხანა მოგწონდა. დაკარგული ადამიანის სტატუსი არჩეი ბოროტების იმპერიის მორჩილ მასხურად ყოფნას. ახალ დროში ბევრმა გმირობად გაასადა „ბოროტების იმპერიით“ უკმაყოფილება, თუმცა უკმაყოფილონი ბევრი არ იყვნენ, ცოტანი იყვნენ. გეცინება ამ „გმირებზე“, შენ სულ სხვა რამ გიტაცებს. სიმარტივედ და ჩლუნგობად მიგაჩნია მათი პოლიტიკური ფაფხური, ანუ ძალაუფლებისთვის ბრძოლა. თვლი, რომ სწორედ ეს აჩვეულებრივებს ყოფიერებას. შენ გენიალურ დაცენტრვას, შთავონებას, ჩვეულებრიობის და ნორმალურობის წრის გარღვევას ესწრაფვი, მაგრამ მასობრივი კულტურის ბატონობის პირობებში ეს შეუძლებელია. უეპოქო ადამიანად იქეცი. მაგრამ რას ერჩი ჩვეულებრივებს? იქნებ, მილიონობით ჩვეულებრივი ადამიანის მასობრივი თვითგამოვლენის საშუალება უფრო გენიალური მოვლენაა, ვიდრე ერთი-ორი კაცის ნიჭით გაბრწყინება.

23

მასწავლე, ყოველდღე აღმოგაჩინო და განვცვიფრდე შენი სიბრძნით. - მიემართავ ღმერთს. მასწავლე, შენზე ფიქრით გავბრწყინდე და ავიცდინო ამჟამინდელი ეპოქის ზეგავლენები. - მიემართავ ღმერთს, მაგრამ არ ვიცი, ესმის თუ არა ჩემი.

24

ვინაობ, რომ ვერ დავიცენტრე გენიალურად და ვერ გავარღვიე ყოფიერების ჩლუნგი ჩვეულებრიობის წრე. ვინაობ, რომ ვერ გავბრწყინდი. ვინაობ, რომ ვერ გავსუფთავდი, რომ ვერ განვიწმინდე და ვერ მოვიპოვე უფლება, მწამდეს, მიყვარდეს და ვპატიობდე. ვინაობ ჩემს სიბრაზეს და სიანჩხლეს, მოუთმენლობას და ურჩობას აზრდამალული საგნებისა და მოვლენების მიმართ. ვინაობ ჩემს განაწყინებას ადამიანებზე; ვინაობ, რომ ვერ ვპატიობ მათ განსხვავებულობას, სიმარტივეს, ზერელებობას, გაბოროტებას, არსებობისთვის ყველა საშუალებით ბრძოლას; ვინაობ, რომ სამყარო ისეთი ვერ შევიყვარე, როგორიც არის; ვინაობ, რომ მინდა, გაცდილებით მეტი ვიყო, ვიდრე ვარ. ვინაობ, რომ

ვინაობ ყოველივე ამას, რომ ვერ შევძელი, განვერიდო შინაგან ფორიაქს; რომ ვერ შევძელი, სადმე მიყრუებულ კუთხეში დავვადე და გავგებულები მივაშტერდე გაუგებარ საგნებს და სივრცეს. ვინაობ, რომ არ შემიძლია, ვიყურო და არაფერი მოვითხოვო. მაგრამ სიცოცხლის ენერგიას რა ვუყო? იგი არ მაცლის დანებებას, ხელის ჩაქნევას, გაყუჩებას. კატეგორიულად შემაჯობებს: მიღი აიშვი თავი, დაიცენტრე, გააფრინე, ჩაწვი აზრდამალულ სიღრმეებს, გაბრწყინდი, გარღვიე მომაკვდინებლად მონაწყენი ჩვეულებრიობის წრე! როგორ უნდა შევასრულო ეს რთული დავალება? რა ვქნა, არ ვიცი. არ ვიცი, როგორ ვიცხოვრო გენიალურად, თუკი სამყარო მომდევს მოსაკლავად. სამყარო მომდევს მოსაკლავად თავისი ველური, შეუგნებელი სტიქიებით, ვულკანებით, მიწისძვრებით, მეტეორებით, კრივალებით, მატერიის ცვალებადობის ძალით, ყოფიერების უსამართლობებით და აუწყობლობით, ადამიანში განხორციელებული ბოროტებით და ძალადობით, ომებით ბირთვული იარაღით, ტექნიკური აპარატებით და უღმერთო თეორიებით. სად შევაფარო თავი, არ ვიცი. სად არის სამყაროსგან გასაქცევი.

შენ, მგონი, მართლა დაიცენტრე. რა გამოთქმაა „სამყარო მომდევს მოსაკლავად“. ასეთი უმადურება სამყაროს მიმართ ჯერ არ მსმენია. იმას რატომ არ ამბობ, რომ სამყაროსაც ისევე გაუცნობიერებლად ენდობი, როგორც შენში არსებულ ავტომატურ უნარებს და ნიჭებს, ხედვის გრძობის და ფიქრის შენი ნების და ჩარევის გარეშე ქმედებებს. მარტო ინტუიცია, წინათგრძობა და დროული მიხვედრილობა რად ღირს!

რა თქმა უნდა, მიყვარს სამყარო. მის თითოეულ სხივს, გამობრწყინებას და გამონათებას ვეთავყვანები. მის თითოეულ წყალს ვსვამ. მის ყველა მყუდრო ცეცხლთან ვზივარ და ვფიქრობ: რა კარგია საღამოობით ცეცხლთან ჯდომა და სამყაროს იღუმალი ამბების აღლოებით ქექვა. მის ყველა ფოთოლს ვუსმენ, როცა შრიალებენ. არ ვიცი, სად მიდის ბილიკი და მაინც მივიდვარ მასზე - განა ეს დიდი ნდობა არ არის. არ ვიცი, რა არის სიკვდილი. ერთხელაც არ განმიცდია იგი, საფლავების და უსიამოვნო გვამების სახით აღვიქვამ მას, მაგრამ მაინც იმედით ველოდები ჩემს სიკვდილს. ისეთი გრძობა მაქვს, თითქოს ტანსმორეგებელი, ვიწრო სამოსით მაცვია სხეული სულზე. თითქოს პატარა ფეხსაცმელივით მიტერს სულზე სხეული და კარგად ვერ დავდივარ, კარგად ვერ ვხედავ, კარგად ვერ ვფიქრობ. მაგრამ აი, მოგკვდები და ბოლოსდაბოლოს გაიხდის ჩემი სული სხეულს, როგორც მოუხემავე სამოსს. „დედამშობლიას“ მსგავსად თუ ვიტყვი სამყაროსშობილად იარსებებს ჩემი სული უხილავ და იღუმალ განზომილებაში. განა ეს სამყაროს ნდობა არ არის. შენ კიდევ არ იცი, როგორ მიყვარს სამყარო, ჩემს თავზე უფრო ვენდობი მას.

ო, ეს ორბუნებოვანი ურთიერთსაპირისპირო შეგრძნებები: თან იმას იძახი, რომ სამყარო მოსაკლავად მოგდევს და თან იმას ამბობ, რომ სამყაროს გარეშე ერთ წუთსაც ვერ ძლებ. ნუ შფოთავ. დაწყნარდი. გახდი ჩვეულებრივი მოკვდავი ადამიანი. ნუ იკვებ ნერვიულად ფრჩხილებს, უზნეო ჩვევა. ჩაღეჩი ჩვეულებრივების უზარმაზარ ბრბოში და მისი ინსტინქტებით იმოქმდე. როცა ბრბო ცეკვას დაიწყებს, იცეკვე გამაგებით. აჩვენე, რომ შენც შეგპყრო საყოველთაოდ ფსიქოზმა. როცა ბრბო იტირებს, შენ იტირე. როცა ვინმეს ათვალწუნებს, შენც ათვალწუნე. როცა განრისხდება ბრბო და ამოიღავლებს ძირს პრეზიდენტით, შენც იბღავლე - ძირს! ნუ ცდილობ, დაუსხლტე საყოველთაო ფსიქოზს. ნუთუ ვერ ხედავ,

რომ რაიმეს წერა და კეთება და გენიალური დაცენტრვა ისევე ჩვეულებრივი მოვლენაა ადამიანისთვის, როგორც სექსუალური აგრესია, ძალადობა, ღალატი, განხეთქილება და სხვა ამისთანა უარყოფითობები. როგორ აპირებ ადამიანად ყოფნის წრის გარღვევას, რა სივრცეა. როგორ გინდა, დაუსხლტე შენს თავს, შენს ცვალებად „მე“-ს და განწყობილებებს, შეხედულებებს და სისულელეებს.

დაგიჯერებდი და ბრბოში ჩავდებოდი, მაგრამ სიცოცხლის ენერგიას და ქმედების ფინს რა ვუყო. რა ვქნა, თუ ვილუპები, მგონია. როცა არაფერს აზრიანს და გენიალურს არ ვაკეთებ.

ჩამოდი ამპარტავნების ამბიციური ტახტიდან. ჩაღეჩი ბრბოში და პირობას გაძლე, რომ შენი საფლავის ქვაზე ასეთ ეპიტაფიას ამოვაკვეთინებ:

„სამყარო მოსაკლავად მისდევდა, მაგრამ სწორედ სამყაროს სიყვარულით დაიცენტრა და მოკვდა“.

25

- სულელია ეს კაცი. არ იცის სიცოცხლის ფასი. რა უნდა იყოს სიცოცხლეზე უფრო გენიალური. - ფიქრობს ჩემზე პატარა მაღაზიის კედელთან მეფურად მიწოლილი ძალი.

26

„ცივა ჩემს სამშობლოს, პალტო მოახურეთ“. - აი, ხომ ვთქვი, რომ წავიღვინებდი ამ სისულელეს. ინფექციასავით გადაემდო ქუჩის მუსიკოსისგან ეს თვალთმაქცი, კეკლუცტრემლიანი სიტყვები. ასეთი უგემოვნების გავლენაში თუ ასე იოლად ექცევი, ეპოქის მეცნიერული და ობიექტური სისულელეების გავლენაში რამდენად უფრო მძლავრად მოექცევი. დაივიწყე ქუჩის მუსიკოსი, აღარ გაიმეორო მისი სიტყვები. მაგრამ საქართველოს მართლაც რა ვუყოთ. ერთი თხელი პალტო ნამდვილად ვერ გაათბობს. როგორ გასწვდება ერთი გაქუცული პალტო ამდენ შეციებულს.

რიგრიგობით მოიხურონ.

ნუ მასხარაობ. დაივიწყე ევ იდიოტური პალტო. პალტო ჩამქრალ გულებს ვერ გაათბობს.

ვინაობ, რომ ვერ ვიპოვე ეპოქის ბნელი ვითარებიდან ნათელი გამოსავალი. ვინაობ, რომ ვერ გამოვიგონე გულის გასათბობი და სულის გამაღვივებელი პალტო.

რას მივღ-მოვლება ეს კაცი. - ფიქრობს ჩემზე პალტოს მკერავი.

მასწავლე გაგბრწყინდე. მასწავლე, სიცოცხლის და სულის გამაღვივებელი სხივები გამოვაფრქვიო ხელისგულებიდან და თითებიდან, თვალებიდან და პირიდან.

ნესტოებიდან დაგავიწყდა.

- საწყალი! დაიცენტრა. - ფიქრობს შენზე სკვატიკოსი.

ნუ დამცინი. ეს ისე ვთქვი, შეუძლებელისადმი ტრფიალის გამო. სიტყვამ მოიტანა.

27

- შენ არაფერი ხარ. - მეუბნება ახალი დრო.

- შენ გამოსყიდული ხარ ჩემი ჯვარცმით, ნუ გეშინია. - მეუბნება იესო ნაზარეველი.

- შენ შემთხვევით წარმოშობილი არსება ხარ. - მეუბნება ათეიზმი.

- შენ სექსუალური ლტოლვა გმართავს. - მეუბნება სექსუალური რევოლუცია.

- ფულია მთავარი. - მეუბნებიან პრაგმატიზმი და რეალობა.

- ძალაუფლებაა მთავარი. - მეუბნება პოლიტიკა.

- ცივა ჩემს სამშობლოს, პალტო მოახურეთ. - მიმღერის ქუჩის მუსიკოსი.

- შენ ილუპები, შენ არ ილუპები. შენ იკარგები. შენ არ იკარგები. - ასეთ რიტმში გადის დრო.

ყოველივე ამის ზეგავლენას განვიცდი ერთდროულად.

გითხარი, ფრჩხილის კნეტიის წიკით ნევროზი გაქვს-მეთქი.



ლაშა გახარია ჩემი მეგობარი იყო... თუმცა, არ ვთქვი სწორედ: ლაშა გახარია ჩემი მეგობარი არის, რადგანაც მეგობრობა დროით შეზღუდული ცნება არ გახლავთ; მარადიული ცნებაა... იყო, არის და იქნება.

ლაშას შესახებ როცა ვფიქრობ, ერთი ცნობილი ლექსის ასოციაცია ამეკვიატება ხოლმე: წავიდა ლაშა, მოვიდა ლაშა... დიას, წავიდა მეგობარი ლაშა გახარია და მოვიდა პოეტი ლაშა გახარია... ლაშა რომ ჭეშმარიტი პოეტი იყო, ეჭვი არასოდეს შემპარვია, მაგრამ მეგობარი ლაშა გახარია ჩემთვის უფრო დიდი იყო და მისი ჩრდილი ფარავდა პოეტ ლაშა გახარიას. ახლა ეს ჩრდილი გაქრა და პოეტი ლაშა გახარია მთელი სისრულით წარმოდგა ჩვენს წინაშე.

საოცარი ფაქტია, ჩვენი თაობის ორი საუკეთესო შემოქმედი, ორი ნაღდი პოეტი - ავთო გაფრინდაშვილი და ლაშა გახარია ერთდროულად განემორჩენ ამ ქვეყანას. ავთო რომ მივაბარეთ ყვარლის ქართულ მიწას, იმ დამეს ლაშა გამოგვეთხოვა...

პოეტური ბედიც თითქმის ერთნაირი ჰქონდათ: სტუდენტობის ფაზის საოცარი პოპულარობა. გვახსოვს პოეზიის საღამოებზე გადაჭედებული დარბაზი და ტაშის გრილი, ავთო რომ ხელს გაშლიდა და იტყვოდა: „კაი ბიჭი ხარ და დარჩები მშვიდი“; და კიდევ ლაშას წინამორბედი გრძელი ხელები და ჩვეული რიხით წაკითხული „რეკონსტრუქციები ჩემი ხელები იყო...“

მე არ მეგულება ჩემს თაობაში ლიტერატურასთან ცოტა მაინც ახლო მყოფი კაცი, ერთი-ორი სტროფი რომ არ სცოდნოდა ან ერთისა, ან მეორისა...

მე არ მეგულება ოჯახიდან ცოტა მოშორებით მყოფი ჩემი თაობის სტუდენტი, რომელსაც თავისად არ მიაჩნდეს დედის ვედრება:

„მწერ: „ჩამო, შვილო, თოვლი დაკვალე, დაგენაყოსო წამლად მშობელი...“

ანდა ყველა ჩვენგანის ფიქრის პოეტური გააზრება: დედის ბარათს რომ „ასდის ქინძის და ომბალის სუნი!“ და ნატერა ყველა ჩვენგანისა:

„და სტიპენდიით ნაყიდ კაბაში გამომიქვითე ყველა სიზმარი...“

კარგა ხნით განერიდა თითქოს პოეზიას, თუმცა უკეთ თქვა თავად - „მუხის პაუზა“ იყო ეს. გაზეთის რედაქციებში აწვალდა სიტყვას, ფრაზას; ვისაც მის მიერ ნასწორები საგაზეთო წერილი უნახავს, დამეთანხმება... არ იყო ეს წვალა. ეს ჭიდილი იყო ქართულ სიტყვასთან, სიყვარული იყო ქართული სიტყვისა. „საბაქართული“ რომ დაწერა, დაბრუნდა, როგორც... სიტყვის მიგნებაზე მეკითხებოდა, თორემ თავის ლექსებზე და თავის თავზე საუბარი არ იცოდა.

ალბათ ლაშა გახარიას ლექსების შემდგომ გამოცემებში ლაშას ეს დამოკიდებულება ქართული სიტყვისადმი უნდა გავითვალისწინოთ: ერთი და იმავე ლექსის, სტრიქონის, ფრაზის ვარიანტები არსებობს. ზოგ შემთხვევაში პირადად მე, ძველი ვარიანტი უფრო მომწონს (შეიძლება იმიტომაც, რომ იგი დიდი ხნის გათავისებულებული მაქვს); თავად შეცვალა... ეს ძიება იყო; ის ძიება, რომელიც არ მთავრდება. იმის თქმაც მიჭირს ზოგჯერ, რომელია უკეთესი. უკეთესი, ცხადია, შეფარდებითი მცნებაა - გემოვნებაზე დამოკიდებული. ამ მხრივ, შეიძლება, ლაშას გემოვნებასთან შორს ვიდგეთ, მაგრამ ვარიანტები მაინც არ უნდა დავუკარგოთ ნვალინდელ მკითხველს, მომავლის მკითხველს, რადგან, გულწრფელად მჯერა, რომ ლაშა გახარია მომავლის პოეტი.

გიორგი გოგოლაშვილი

წერილი დედას

წუხს მაგიდაზე დარდი-ბარათი - ხელისუფლი და სულგადამსული; ძლიერამოდწვეულს ძველმისამართით - ასდის ქინძის და ომბალის სუნი. ღამეა, დედი, ბუფეტს სანათი, სიზმრის კვირტები უსკდება თბილისს; შიმშილს მინაყრებს შენი ბარათი - გვიანარეკილ მჭადივით თბილი. ვხედავ: ქოთნიდან, თეთრი ნაღველი - ძლივს ერთი წველა ამოგავს ყველი; მამას აღონებს მწირი ბეღელი... კვამლიც ისლიდან ნარჩენ თოვლს წველის. წელსაც კვამლივით ეკიდა გუთანს და თავის სარჩოც არ ჩანს ბეღელში... მეც... სიყვარულის დიდგულა გუნდა, ვაითუ, ასე ჩამაღნა ხელში... მწერ: „ჩამო, შვილო, თოვლი დაკვალე, დაგენაყები წამლად მშობელი; სიზმრისახდენის შიშით ვკანკალებ... დაცარიელდა ჩემთვის სოფელი. ჩამოდი, იმდენს შეიტყობ ამბავს - ჭორღამბია თუ მონტყორმპენტავის* ... არც აქ დაგიშლით ლექსების ჯღაბნას, ან წაგვაკითხა, რას წერ, ნეტავი!.. ის ცირა მაინც არ გეცოდება? - ამოუმტრედა, ბიჭო, ჩიტები... ბედს ნახავს... მამა რომ მიცხონდება, პოდა, იკვნიტე მემრე თითები!.. მეტს არ შეგიწყენ, შვილო, წერილით, ხელსაპონივით ვდნებით ლოდინით... ჯვულბაც აღარ ჰყვფს, წევს მოწყენილი და მამაშენსაც მხარს ხრავს ლოგინი. წერს და არავის პწკარს არ უკითხავს, შენ გელოდება, ვხვდები წინასწარ; ერთ საწყალ კალამს თუ მოუკითხავ... გადმოათეთრებს ნაციმბრალსაც. ხომ იცი, როგორ მოსდგამს ლექსები, (ამ ბოლოს... სმა და ბოდვაც დასწემდა); ვეჭვობ, მანდ ესხდეთ უკეთესები - შურმებეჭდილი ჭალის ლარჭებთან** ... ჩამოდი, კიდევ ერთხელ ჩამოდი! ნუ შემატვებ სიზმრის ყვაყვორნებს; წელს ნუ მოიწყვეტ მჩაზე ჩემოდნით ნურც ხელს ნურაფერს გამოაყოლებ“... ..ჩამოვალ, დედი, და დარდს გადავშლი, ზურგში მიბერას სულს მუხის ქარი, და სტიპენდიით ნაყიდ კაბაში გამომიქვითე ყველა სიზმარი. ჩამოვალ მეტს არ მოგაწერიან... ცოცხალ პასუხად მოვალ იმ თვეში, ოღონდ, ეს ლექსი მომაწვევინე - „ლექსზე“ მწარედ რომ მეწვის თითებში!.. ესენინივით... არც მე ვარ ბავშვი, იმ შავთავშალა შიშისაც მესმის; აჰა, თენდება მტრედების ტაშით და კალმისწვერზე წრიალებს ლექსი...

* მონტყორი - მატყლი; ** ლარჭები - ლერწამი (მეგრ.).

სველი პაუზა ანუ წვიმიდან წვიმამდე

მთელი ეს კვირა წვიმა და წვიმა: კოკითაც ღვრიდა, საცრითაც ცრიდა; ზარი დაზარა ლაზარემ რეკვით!.. და, როგორც იქნა, ცა მოიწმინდა. გამოითუთა თივიდან ლექვი - უღრენს და ფხოტნის აფხორილ ცინდალს... ეკალას კმაზავს კეკელას კეკე-წმინდასანთელი უნთია წმინდანს. შეკვერცხიგულდა ცილიან ცაზე მთვარე და, ალბათ, თავადაც ხედავს: თალხი ღრუბელი რომ დარდობს მთაზე - შინმოუსვლელის საბრალო დედა.

ერთ დაფნის ფოთლად...

ჩემს მუხურს ჭყვიშთან რომ არ ედავა: - სად ორპირი და... ორი პოეტი!.. ბედმა გართობა ჩემი დედ-მამა და წლის წლისთავზე ლექსად მოვედი! დრო იყო ფრაკთა და მასკარადთა, ცამეტი ტყვია რევდა რევოლვერს... ერთი ყაჩაღმა მოკლა - არაგვთან, დემონიმს ფრთებმა უხმეს მერეს. მერმე გრანელმაც მთლად აურია - გადააღია სული ციერებს... თანაფა* - ჩემი სათაურია და პანთენი - სიცალიერე. ფერიცვალობის ჩავარდა ყინვად წყალში - ყივანახველა სიცივე... და ლექსი მრჩება ლხინ-ბალდახინად, ერთ დაფნის ფოთლად წამაცემციმეთ


*თანაფა - აღდგომა (მეგრ.)

უნივერსიტეტს - ვუძღვნი თანაკურსელებს

როგორ ბრძანდებით, თეთრო ბატონო, ჩემო მეუფევე, როგორ ბრძანდებით; ისევ ქართული სჯულით გვარტომობ, თუ უღელ-მღელთ უშიძავდები. ხომ არ დაგიშრა მუქუ - რძიანი და ავიხავდა ნუკრი - მშიერი... ხომ მხნედა მყავაზარ, ხელცარციანი. ქუდბედასავით სვებენიერი?! ფაზისს ვერ ვწვდები, ვერც შორ მონათ დროს... შენებრ არც გენათს უქათქათია! მოწაფე, სადაც უნდა მონათლონ, შენ შემოგნატრის - მოძღვარ-ნათლიად. ვწუხვარ, რომ ხელზე ვერ გემსახურე, ხმელზე გავცურე - უტევ სრუტეთი; ეს რა მირონი გადმომასხურე - ცაფეხსაფლავაც რომ ვარ სტუდენტი! შენ შემოწამლე ლვერწი პწკარები, ცაც გადავმისვი - დედის ხელივით და სტამბა-სტამბა დავწანწკარებდი - „პირველი სხვიით“ ლექსგამხელილი. აქ დავემურხე საბაქართულს და მუზაც ვიუღლე - ნიას იებით. რა კარგი იყო თავგაპარსულთა პოპლა! - მესამესემესტრიები!.. არ ვიღელავდი პერანგს ჭიპამდი, მხარზე გკოცნიდი მორდუს - მორდილი; თუმნიან ლენინს რომ მიჯიბავდი - იმ სტიპენდიით ვარ გამოზრდილი. ვერც სტუდენტობის მადლს დაგავიწყებ: უფასოდ მეგო თბილი ლოგინი; შენი ჭადრების ფოთლები მეწყო თავქვემ - იმ მოგვი ფილოლოგივით. ისევ შენს ბაღში ვზივარ, მშიერი - შენი ნისია-კაფეს შემყურე - იმ გაყას სულის სულნაშიერი, გულისკოვხით რომ აცაზებურე!.. შენ მარიდებდი ჭანგას და ჭინჭარს, შიშვიით მხდიდი დღეებს - ნისლიანს. სამოცდაშვიდში, სოფელელმა ბიჭმა, აქ შემოვალე კარი - ნისიად... ვალი ვერც ლექსით გადამიხდია - საბას „ძღვენს“ ურცხვად გადავმალე!.. ხომ არ დაგდალე, ჩემო ბიბლიავ, ჩემი საფლავისქვამდე მევალებე.

ლექსი: აქ დავემურხე საბაქართულს და მუზაც ვიუღლე - ნიას იებით!


ჩემს პანაშვიდზე დღეს ჩემი ბოლო პანაშვიდია... სველი სურათი მშვიდად ჰკილია; ნანა, ჩონგური!.. უკვე მოდიან, უკვე ბნელდება, უკვე შვიდია. შაშვის ცრემლია ფალიაშვილი... წუთისოფელი ბინდის მინდია; რა მეწამული მაწვიმს ვარდები... რა ქარებია, რა ამინდია!..



მკითხველისადმი

რაც გამოვტოვე... ნუ წაიკითხავ, არც სარჩევს შერჩა ჩემი ტკივილი; წერტილიც: პწკარს რომ უმძიმდა დიდხანს, დაკარგულია - მოვრალის დილივით. თავისუფალი მსურდა საყელო, როგორც მდინარეს - ჩახსნილი ხიდი. იქნება, ასე ამოვახველო, ამ ჭლექიანი საწუთროს ბინდი. მანამ კი: ნულარ დაემურები თვალებს - უცრემლოს და უკაემნოს: ნურც სველ ლექსებზე დამემდურები: სულ წვიმა... სული სადა გაემრო!..

მურმან ლებანიძე მოგიკვდეს! მურმან ლებანიძე გენაცვალოს!



დაცხრი გულო! — ხმალაგებით გასწი, იარ, უკელ ძეგრას!
დაცხრი, გულო! — წასაღები წაუღია უკვე ძერას!

ყოველ ხისძირს ყარადები!
ყოველ შტოდან გველი გვზერავს!
დაცხრი, გულო! — წასაღები წაუღია უკვე ძერას!

არც მეტი და არც ნაკლები — მზე ჩასვლის წინ ღრუბლებს ფერავს...
დაცხრი, გულო! — წასაღები წაუღია უკვე ძერას!

მე არც ძველს ვუმღერდი „ლაღეს“ და არც ახალ ვუგალობ „პარალეს“ — მე რომ გამინათებს თვალებს, ეს ის საქართველო არ არის!

მაგრამ საქართველო მოვა, მე გული მხნეობას მავალებს, გადვილის ღრუბლების სროვა, — ეს რომ საქართველო არ არის!

სული სწუხს ჭუჭყიან ქარებს, მკვდრად შობილ ოცნებებს ვალალებს...

მე რომ გამინათებს თვალებს, ეს ის საქართველო არ არის!

ჭაშმარობა
ათასჯერ მიგასაკლავებენ, ათასჯერ სამართლებით დაგკლავენ, საჯაროდ მიგასაფლავებენ, საჩქაროდ ფაციფუცი დაგფლავენ. მწუხარედ გორილებს დასწვდებიან, წესი არისო და, მოგაჯერებ. ალაშქროს სუფრისთავს დასწვდებიან და ცრემლებს უღებ ცრემლებს, მოგადვრიან.

მაგრამ რის მკვდარი და რა ცნედარი, — სამარხი ულორტებით გაგიჭრია, — გაიხედავენ და, რას ხედავენ: ამაყად ფრთები გაგიშლია! საკუთარ საფლავზე ამოსულხარ და, რაკი საფლავში წოლილხარ, უკორძო, უხინჯო გამოსულხარ, კორდის ჭადარივით სწორი ხარ! ზეცისკენ შუბლივით წამახული, მწარე ხარ, მაგრამ მოწყვლევ ხარ, ათასჯერ ღალატით დამარხული, ათას მეერთედ ცოცხალი ხარ! შენი ნაფოტისგან გამოთლილი ეს ჩახვიც ჭიუტად ენამწარობს... მურმან ლებანიძე მოგიკვდეს! მურმან ლებანიძე გენაცვალოს!

კითხულობ მის
ლაქსებს და
რწმუნდები. რომ
კოვტი კვლავ
რწმუნდები. რომ
შეუკრებელი.
შორსმხედველი
და ძველებურად
ახლობელი!

(იუმორისკა)
ყველაფერი აირია, სხვა ხალხია, სხვა ერია!
მე თუ მკითხავ, რაღაც იწვის, იმნაირი ჰაერია... მაგრამ — არაფერი მსგავსი! რომ არ შიათ, არ სწუხდით, თურმე ჩვენი ცოცხალი სახე პარტიების ფაფურია. პარტია გვეყავს წუნარად ორი, სხვა ოთხმოცი — მართულია! საარჩევნო მართონი დაწყებულია — ქართულია! გზედავ აშლას, გზედავ დაშლას, ცხრა ფრთის გაერთიანებას, რამდენიმე კაცის ჩაჭრას, მტრებთან გაერთიანებას... ყველაფერი აირია, სხვა ხალხია, სხვა ერია, მე თუ მკითხავ, სახლი გვეწვის, იმნაირი ჰაერია. ვხედავ კაცებს, ვხედავ ვაცებს, ვხედავ ნასუქ ყაზილარებს, პარლამენტზე სავეწიროდ მიმიზნებულ ნაძირალებს. მწვანე ფულით დიდგულობენ, ვცნობ ქურდებს და გვევობ მსტორებს, „ვის მივცეთო?!“ — კითხულობენ, დაათრევენ სახე ტომარებს... ეს მწერლობა ხმას არ იღებს, რომ ნამდვილად ღარიბია, აქ არავინ არ იფიქროს, რომ პოეტი „არიფია“.

ყველაფერი აირია, — სხვა ხალხია, სხვა ერია, აქ არავის არ ეგონოს, რომ მწერლობა — „ფრაერია“.

პარლამენტში ვინც ჰყავს, რაც ჰყავს, ხედავს, სუველაფერს ხედავს, სულში აფურთხებენ საწყალს, გასაბედავს ესრეთ ბედავს: ჭერჭერობით ხმას ვერ იღებს, გულში... ივინება დედას!

● გაუგონარი რისხვა და ზიზღი სწამლავს კაცს, სოფელს, დაბას თუ ქალაქს. ჩვენ უნდა ვხვრითოთ ერთერთის სისხლი, — ამ საქართველოს...
მეტი გზა არ აქვს!

● კი, საუკუნე ახალი მოდის, — ჩვენ სისხლში მოვხვით სამშობლოს ტალახს... სხვა საქართველო იქნება როდის?! — ამ საქართველოს...
მეტი გზა არ აქვს!

● მასხვს ფული, — ვიყიდა კუბო! — მეც რომ ვეკუთვნი აქ ერთ-ერთ ბანაკს.. ერთერთის კუბო ვლურსმით და ვხუფით, — ამ საქართველოს —
მეტი გზა არ აქვს!

● მე რომ მეგონე, თურმე ის არ ხარ, ღალატინო, ყრუ და მკვებარავ... აღარ მიყვარხარ, აღარ მიყვარხარ, აღარ და აღარ, ჩემო ქვეყნავ!

● უმარტივესი დაგვიგს მანე, კი, უაფთრესი შემოგყვარა... რა აბდაუბდა ორ-სამ წელს ჩმახე, — აღარ მიყვარხარ, ჩემო ქვეყნავ!

● ამას რომ გაკადრებ, გულს სისხლი სწვეთავს, კი, ცოცხალი ვარ ვითომ ჭერხანად, ღმერთი რომ ხედავს, ღმერთი რომ ხედავს, მუხლზე ტირილით გეხვევი დედას — „აღარ მიყვარხარ“, ჩემო ქვეყნავ!

● სისხლის წვიმები ჩქეფენ — ვწუხ — ბლოკადებით, ალყებით გვეხვენ, გვეხვენ და გვეხვენ, იეფებთან ხალხები.

● ჰგავს ეს მსოფლიო ცინეს, ვართ გულუბრყვილო ბაღლები, — ლამის — მსოფლიო გვიყვებს, გვიყვებს „მოძვე ხალხებიც“ ...

● ვახ, ხვალე, არცთუ ნათელი, ჩემო ეჭვი და შიშო!.. ამაღლდი, ხალხო ქართველო! გამაგრდი, ჩემო ჭიშო!

● თავი აიშვა პრესამ რევოლუციის ქარში: კაცურ კაცს სთათხავს ქლესა, დებილი აჰყავს ცაში. კონიუნქტურულს, დამბალს, დამქირავებელს, ბეჩავს და ცხრა მთავრობის კახას — თავსლაფი მაგ თქვენს პრესას! კიდევ კარგი რომ არის, — იყო და არი დღესაც, — პრესა, იმედოდ ხვალის — წარბშუფრელი პრესაც! მაშ, გაუმარჯოს ასეთს, — სიტყვას და საქმეს ჩვენსას, — თითოთოროლა გაზეთს — ვერვისგან ნაყიდ პრესას!!!

● არაფერი! — მოცდა მცირეოდენი! არაფერი! ქვადაქცევა და ლოდინი!

● სიბრძევა ახლა დაფნის პოტინი! არაფერი! — მოცდა... მცირეოდენი!

● ქარი ღრუბელს მიდენის და მოდენის... ხედაქცევა და ქვადაქცევა და ლოდინი!

● სულთმობრძავის მესმის აფთრის სროტინი... ოჰ, ლოდინი! ლოდინი და ლოდინი.

რედაქტორის ქარ-ცეცხლი

პარ

ენდოთ!

UNITED AIR & PARCEL

From Monday to Friday
9:00 AM to 6:00 PM

Saturday & Sunday
9:00 AM to 6:00 PM

3172 Coney Island Avenue
Brooklyn, New York 11235
(800) 282-4997
(718) 646-2076 • Fax: (718) 646-3942

გასსოვთ ქართული ფილმი „ბურთი და მოედანი“?!
იქ იპოვით სხვისი გმირი ვიხედავთ ადამიანს ბილეთს ცაში აფრიალებს და გაჰყვინის: „არის თუ არა ეს ბილეთი?!“.

აი, ზუსტად ასე დავხვდით ტუნი გულივით თურქეთში მომხდარი ხანძრის ინფორმაცია UNITED AIR & PARCEL-ის თანამშრომლებს.

მთელი დღის განმავლობაში CNN და სხვა წამყვანი ტელევიზიები 24 მისს, ოთხშაბათს, სტამბულში, ათათურქის აეროპორტში გაჩენილი ხანძრის შემზარავ კადრებს აჩვენებდნენ.

იქით მხანძრეები ბობოქრობდნენ, აქით (კერძოდ, ზემოდასახელებული კომპანიის სხვადასხვა ოფისებში) გახარებული თანამშრომლები ვიშვიშებდნენ და მორიგ აფორას გვემავდნენ!

ტვირთი თუ შეკვრა, რომელიც 13 მაისს გაიგზავნა ნიუ იორკიდან და 10 დღეში, ანუ 23 მაისს საქართველოში, ოჯახებს უნდა მიეღოთ, 24 მაისს ანუ ერთი დღის დაგვიანებით არათუ ქუთაისის, არამედ თურქეთის აეროპორტში დაიწვა!

პარადოქსია!

და ამ ფაქტის შემდეგ გამგზავნი კომპანიის თანამშრომლებს ხანძრის გაჩენიდან 27 დღის შემდეგაც ნამუსმა არ შეაწყუხათ, რომ ტელეფონის ყურმილი აელთ და ლამაზი თითებით დახარალებული მოქალაქეების ნომრები აეკრიფათ... და საქმის ვითარება თუ წუხილი გამოეხატათ...

პირიქით, როცა გაზეთის რედაქტორი თავად რეკავს კომპანიაში, თავის ვინაობას ეუბნება და ინფორმაციას გამოითხოვს, ცივად უკიდებენ ყურმილს!

ახლა თავად წარმოიდგინეთ, რას აკადრებენ რიგით მოქალაქეს, როცა ტელეფონის უბრალოდ გაზეთის რედაქტორს, რომლის მიერ დაბეჭდილი ანტირეკლამა პირდაპირ ზეგავლენას იქონიებს მისი ბიზნესის წარმატებლობაზე! თანაც საუბარია გაზეთ „მათულზე“, რომელსაც უკვე სამიოდე წელია თავისი მკითხველი ჰყავს და მოიცავს სრულიად ქართველ ემიგრაციას მისი ერთადერთობით.

ვერავინ იტყვის, რომ ამ სამიოდე წლის განმავლობაში რომელიმე წერილით მომიტყუებია ჩემი მკითხველი, არც ახლა ვაპირებ მათ შეცდომაში შეყვანას, უბრალოდ გთხოვთ, ამ ერთხელაც დამიჯერეთ და: - არ ენდოთ!

ერთიც, დამატებად:
მართლაც რომ დამწვარი იყო ეს ტვირთი, თითოეულ აეროპორტს გააჩნია დაზღვევა, რომელიც გზავრსა და მათ ქონებას იცავს! აი, ეს უნდა განემარტათ მათ და არა ორსიტყვიანი პასუხი: „თურქეთში დაიწვა“ და ტელეფონის ცივად დაკიდება.

ხო მართლა! 30 მაისს, ავსტრალიაში, ტიმორის აეროპორტშიც გაჩნდა ხანძარი, 7 ივნისს, ნევადაში, რენო-ტაპოს აეროპორტშიც დამწვარა საწყობები, ხოდა, ხვალ თუ ხეგ, თუ მოსახლეობა თბილისში გაგზავნილი ტვირთის შესახებ შეგეკითხებათ, უპასუხეთ რომ ნევადის აეროპორტში დაიწვა, ან სულაც ავსტრალიაში, ტაპოს საერთაშორისო აეროპორტში. მე შენ გეტყვი და ფერულში ამოიცილებთ თავიანთ გზავნილს!!



მესინაში ჩამოვიდა ერთი კეთილშობილი ქართველი, სახელად ნიკიფორე ირბანი, რომელიც იყო საქართველოს უპირველესი სენიორი უკეთილშობილესი გვარისა.

არქანჯელო ლამბერტი, 1626 წელი.

ღვინობისთვის ადრე კაი ქარი მოვიდა. ღვინის სახელზე წამოვედით მისინა-საკენ... ას ორმოცდაათი მილი პალერმოდამ მისინა იყო. მისინას მივედით. დიდი და კარგი ქალაქი იყო. ათი-თორმეტი მაგარი ციხე იყო ნაშენი, რომ ერთი სახლი ეგონებოდა, და ის დაიდ მომეწონა.

სულხან-საბა ორბელიანი, 1714 წელი.

1

ქრისტეს შემდეგ ათას ცხრაას ოც-დაოთხი წლის შემოდგომა იდგა, ღვინობისთვის ცხრა.

სალამოვდებოდა. ბინდისფერი ეღებოდა გარემოს.

ჩასავალთან მიღწეულ მზეს ცაში ოქროსფერად მოეგარაყებინა მუქი ღრუბლები, ლეგლურჯი ზღვის ზედაპირზე კი ვერცხლისფერი ბილიკი გაეჭიმა.

ისმოდა ჰაერში მონავარდე თოლიების ჩხავილი.

ტალღები ხმაურით აწყდებოდნენ ქვიშიან ნაპირს, თეთრად ქაფდებოდნენ და კენჭებს აჩხრიალებდნენ.

ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე ლამაზ სანახაობად გადაშლილიყო ქალაქი მესინა.

ლამპიონებს გაეჩირაღდნებინა პორტი, რომლის ფილაქნით მოგებულ მისადგომზე მიღეთის ხალხი ირეოდა და სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობდა. აქვე გაიგონებდით მტვირთავთა გამაფრთხილებელ სტვენას ანდა შეძახილს სიცილიურ დიალექტზე.

დაკვირვებული თვალი უმაღლეს შენიშნავდა უცნაურ სამოსში გამოწყობილ ექვს უცხოელს, ერთ სკვერში დარგულ ვაზს რომ შესცქეროდა.

ალბათ, იქ მყოფთაგან არავინ უწყობდა, რომ იმ ქვეყანაში, საიდანაც შავ-თეთრ ჩოხიანი კაცები იყვნენ, ვაზს მისტიკური მნიშვნელობა ჰქონია ძველთაგან. იქ ღვინოს ზოგჯერ „ქრისტეს სისხლს“ ეძახიან დღესაც. ხოლო წინათ, მეოთხე საუკუნეში, ვაზის მორჩებისაგან გაკეთებული და საკუთარი თმის ღერებით შეკრული ჯვრით მისულა წმინდა ნინო კაბადოკიელი და ქრისტიანებად მოუქცევია ღვინისმშობლის წილხვდომილ მიწაზე მცხოვრები ადამიანები; იქაურებს თითქმის ავადმყოფურად უყვართ სამშობლო, ხანგრძლივად სხვაგან ვერ ძლებენ და, იმ ერის შვილებს – სისხლს სისხლთაგანსა და ხორცს ხორცთაგანს – ქალაქ მესინის პორტში ნანახი ვაზი მამულს თუ გაახსენებს, ამაზე ნუ დავძრახავთ...

ნუ დავძრახავთ, რადგან ეს ექვსი კაცი – დამარცხებული და გამწარებული, მრავალი ბრძოლის გადაძვდილი, ტყვეების წვიმას გადარჩენილი, მშობელ ქვეყნიდან გამოქცეული, რამდენიმე თვეს ზღვაზე წინაუკმოდ მოხეტიალე, ზამთრის მგლებივით დამშუულ დარდებს შუაში მოუქცევიათ და ისე შეჰყმუიან, სისხლი ეყინებათ მარღვებში.

დაძინების წინ, მარტო დარჩენილს, მრუმე სევდა – ეს მჭვარტლიანი და ბანჯგელიანი ბებერი ქაჯი – დაგველანება, თითქოს ისედაც სახე ნაოჭებით არ ჰქონდეს დადარული, „საქართველო აღარ გაქვსო“, ჩაიქირქილებს, კლანჭებს ჩაეჭიკებს, სისხლს გამოგადენს; გაგამწარებს, თუმცა ჯერ ხმას ვერ ამოგადებინებს, ხოლო მერე კი გულს მოგიტბინის და ისე გიჩხვლეთს ყოველი კლანჭით, თუ აქამომდე ითმენდი ტკივილს, ტანჯვას უძლებდი, ახლა უნებურად ცრემლი მოგადგება და ლამისა იყვირო.

ჰოდა, ახლა დგანან და, ვაზის დაგრეხილ რტოებს მიმოაყოლებენ მწუხარე თვალებს, შავ მტვერებს მხერით ელაციციბიან და იხსენებენ:

გადამწვარ მშობლიურ სახლებს, დედათა უცრემლო მოთქმას, დახვრეტულ მამებს, საპატიმროებში მათრახებით დაღურ-



მიხ(ო) მოსულეობილი ჰანიუს ვიიჩქანოღნენ... (სათავგადასავლიო მითხრობა)

ჯებულ და დასისხლიანებულ ცოლებსა და ციხეებშივე გამოძწყვედულ მცირეწლოვან შვილებს, უპატრონო ბავშვთა სახლებში თუ ყინულოვან მხარეებში რომ მოელით გაზრდა – ღმერთო, უშველე ყველა გაჭირვებულს...

არა, ამ ქალაქში არ უნდა მოსულიყვნენ. საოცარია, ეს აიგნებანი სახლები, ქვაფენილიანი ქუჩები, მოკირწყლული ქუჩაბანდები, უძველესი ციხე-სიმაგრეები, სახურავზე ჯვარადმდგარი ეკლესია, ქუჩაში შემთხვევით შეხვედრილი შავგვრემანი და მწვანეთვალე ქალის ღმილი, ხმამაღლა მოლაპარაკე კაცთა მზერაში ჩაგუბებული ფეთქებადი ენებები, ღუქებიდან გამოსული ღვინის გემრიელი სუნი – როგორ ახსენებთ თავიანთ თბილისს.

- რესტორანში გვაპატივებთ, ბატონებო! – თქვა ერთმა მათგანმა, ზღვისკენ გაიხედა და ცრემლი მალულად შეიმშრალა.

- სიამოვნებით გვახსლებთ, ბატონო ქაიხოსრო! – მიუგო შავებში ჩაცმულმა, ხელჯოხიანმა, მოხდენილმა ფრანგმა და სიგარა გააბოლა. იგი ევროპულად გამოწყობილიყო და ზემოთ აღწერილი დარდი რომ არა, ელისეს მინდვრებზე მოსიარულე დარდიმანდი ეგონებოდა შემხედვარეს.

- რას იტყვი, ლევან? – სუფთად პირგაპარსულ თეთრჩოხოსანს დაეკითხა იგი, ვისაც ქაიხოსრო უწოდეს.

- ანდრონიკაშვილი ჩოლოყაშვილს რაში ჩამორჩენია, ქაქუცავ ჩემო, მხოლოდ ეგაა, ნიკოლოზისყამს ერთი ჩინით გამასწარი! – ჩაიღიმა კითხულმა და ჩვეულებისამებრ, ნაიარევ შუბლზე მოისვა ხელი.

- თქვენი ხრმალი და ჩვენი კისერი, ბატონო ქაიხოსრო! – თქვა გვერდოვკერდ გაჩერებული ორი ყმაწვილიდან ერთმა.

- მეც ძმადნაფიცის გვერდით ვიქნები! – თქვა ხვესურულ ტალავრიანმა დეეკაცმა.

- მაშ, აქეთ მობრძანდით, ბატონებო! – ბრძანებასავით გამოუვიდა ქაქუცა ჩო-

ლოყაშვილს და რაკი იქითა მხარე ნანახი ჰქონდათ, პორტისგადაღმა, შადრევნებიანი პარკის იქით მდებარე მოედნისკენ გზა დაუთმო დანარჩენებს.

- საკუთარ მამულში ხომ არ გგონია თავი, – გაეცინა ლევან ანდრონიკაშვილს, – მაქეთ საით გვეპატივები, ვეუო?!

- ჰოტელი შევინიშნე იმ მოედანზედ! – მიუგო ქაქუცამ.

- მერმე, ჰოტელი რა ბედენაა? –

ნებდა არსად.

- არავითარ შემთხვევაში! – თავისაზე იდგა ლურჯფორმიანი, თან შიგნით აპირებდა შესვლას.

- მე კი ავღებები და აქედან პირდაპირ საქათმეში გისვრი! არა მგონია, იქიდან დიდი ხნის გამოძვრალი იყო! – ვეფხვივით დაულრინა ლევანმა, ციმციმ ასწია ამხელა კაცი და ჰაერში სასაცილოდ ააფართოვალბინა ფეხები.

გაკვირვა ერთმა ყმაწვილმა, ჩოხის შიდა ჯიბიდან პორტსიგარი ამოიღო, გახსნა და ჯერ ქერათმიან მეგობარს მისთავაზა სიგარეტი.

- ყოველ ჰოტელს რესტორანიც აქვს. – აღნიშნა ფრანგმა, – წამობრძანდით, ბატონებო! – და ხელჯოხის კაკუნით პირველი გაეშურა იქით.

მოედანი, სადაც ნაირ-ნაირი ავტომობილები ირეოდნენ, ლამპიონებითვე იყო განათებული. მის ერთ მხარეს „როლს-როისები“ გაჩერებინათ. იქვე წამომართული შენობის თავზე ელექტრორეკლამა: „ჰოტელ „პარიზ“ – ინთებოდა და ქრებოდა.

შესასვლელთან მისულთ გასუქებული, ლურჯფორმიანი შვეიცარი გადაელობათ, თავზე კოკარდიანი ქუდი ეხურა, და რაღაც თქვა ადგილობრივ დიალექტზე.

- რა ბრძანეთ? – ფრანგულად დაეკითხა ჩოლოყაშვილი, წინ ის მიდიოდა.

- კბილებამდე შეიარაღებულებს ვერ შევიშვებთ! – ფრანგულადვე მიუგო ლურჯფორმიანმა, ალბათ, ეს ენა მშობლიური იყო მისთვის და მოსულის ხმა-ხანჯალი და ტყავის ბუდიანი რეკოლვერი ეჭვით შეათვალიერა. მისი შიში უფრო გაძლიერდა, როცა ნახა, რომ სხეებიც, ერთი პენსნიანის გარდა, ამგვარად იყვნენ შეიარაღებულნი.

- როგორ თუ ვერ შეგვიშვებთ? – იწყინა ქაქუცამ და ანდრონიკაშვილმა შენიშნა, ნაკვერჩხლები აუკიაფდა თვალებში.

- გარწმუნებთ, აქ არავინ გვყავს მოსაკლავი! – თავი გამოიღო შავფრაკიანმა, თუმცა მარცხენა ფერდთან, იქ, სადაც წესით და რიგით, ჯიბე უნდა ყოფილიყო, იმასაც საეჭვოდ გამოხედა ფრაკი.

- მაშ, ეგ იარაღი რაში გჭირდებათ? – ჩაიციხა პუტკუნა შვეიცარმა, – ეგ საკენკი თქვენს ქათმებს დაუყარეთ!

- თურქეთში შეგვიშვეს, გემზეც არაფერი უთქვამთ და თქვენი რესტორანი რა გახდა ასეთი?! – გამოძვრულად დაეკითხა წინ წამომდგარი ანდრონიკაშვილი და ქაქუცა მიხვდა, ცუდად იყო საქმე, ლევანი აღარ გაჩერდებოდა; კიდევ იმან დააიბედა, რომ პოლიციელი არ ჭაჭა-

ავივრდა შვეიცარი.

ოტელიდან ვიღაც-ვიღაცეები გამოვიდნენ, წინ შავკაბიანი, მოხდენილი ქალი მოძღოდათ. გრძელი, ოდნავ ხვეული თმა უკან წაეღო, შეეკრა და სარტყებით დაემგვრებინა, – ლამაზი იყო.

- რა ამბავია, ფრანსუა? – მკაცრად დაეკითხა ისევ ჰაერში მყოფ მოსამსახურეს.

- დამსევას და ვიტყვი! უცხოელმა ძირს დაუშვა ერთიანად გადალურჯებული შვეიცარი.

- ამ... ამ იარაღიან გადამთიელებს რესტორანში ნებაზე შემოსვლა, მადა! უფლებას არ ვაძლევ და, მაპატიეთ გამოთქმაზე, საქათმეში გისვრითო, მეტუქრებიან!.. მესმის, ღონ ჯოტოს ხალხი იყოს!

ქალმა მოსულნი შეათვალიერა და ყველასათვის მოულოდნელად, ევროპულად ჩაცმულ პენსნიანს გაუღიმა:

- კახაბერ ამილახვარს ვხედავ თუ მეჩვენება?!

- თქვენ არ შემცდარხართ, მადამ ანრიეტა სარდუ! – ქუდი მოხდენილად მოიხადა ამილახვარმა, მანდილოსანს მიუახლოვდა და გამოწვდილ, გრძელთითებთან ხელზე ეამბორა.

- აქეთ რა ქარმა გადმოგაგლოთ?

- გრძელი ამბავია, მადამ, მაგრამ თუკი ინებებთ, აქვე ვიამბობთ...

- ესენიც თქვენთან არიან? – დანარჩენები შეათვალიერა ანრიეტა სარდუმ.

- დიახ!

- შემობრძანდით, ბატონებო! – თავაზიანად გაიღიმა ქალმა და სტუმრებს განათებულ ვესტიბიულში შეუძღვა.

2

რესტორანი, რომელშიც ექვსი ქართველი ემიგრანტი და მადამ ანრიეტა სარდუ ისხდნენ კუთხეში დადგმულ მაგიდასთან, ფერადი შუქებით იყო განათებული.

ერთ მხარეს არცთუ პატარა სცენა მოეწყობა, დარბაზზე ერთი საფეხური ზემოთ, სადაც კორდებულეტის ტანშვართა მოცეკვავეები როკავდნენ. იქვე ორკესტრი უკრავდა.

ფართო შემოსასვლელის გარდა რეს-

ტორანს შიდა გასასვლელი და ორი კარის ჰქონდა, სადაც შედიოდნენ და გამოდიოდნენ თავაზიანი ოფიციალტები.

მაგიდებს კი სხვადასხვა ეროვნების, სქესისა და გარეგნობის ადამიანები შემოსხდომოდნენ.

- ...ასე დამთავრდა ჩვენი აჯანყება. ახლა პარიზში მივდივართ. იქ ჩვენი მთავრობა გაქცეული... - ამბის თხრობა და ასრულა ელევანტურმა კახაბერ ამილახვარმა და ჩამქრალ სიგარას მოუკიდა.

- თქვენებს რა მოუვიდოდათ?

- თავადებს ხვრეტენ, იმათ ცოლ-შვილს კი აპატიმრებენ! - მიუგო ამილახვარმა.

- ... და რა მოვლით?

- კარგი არაფერი, მაღამ! - უთხრა მწუხარე ფრანტმა.

- დიდი უბედურება მომხდარა! - ამოიხრა ქალმა და თავჩაქინდრული სტუმრები რომ დაინახა, თქვა. - ბატონო კახაბერ, თანამებრძოლები არ გაგიცენიათ ჩემთვის!

- გთხოვთ, მაპატიოთ! - მოიბოდიშა ამილახვარმა, - თქვენგან ხელმარჯვნივ აჯანყების ხელმძღვანელი, კავალერიის ყოფილი პოლკოვნიკი, თავადი ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი, მეგობრები ქაქუცას ეხსიან.

- სასიამოვნოა, მუსიე. - თქვა ქალმა, ფეხზე წამოდგარ თავადს ხელი გაუწოდა და ისიც რომ ეამბორა, კახაბერმა განაგრძო:

- შემდეგ, თავადი ლევან ანდრონიკაშვილი, ყოფილი პოლკოვნიკი, ბატონი ქაიხოსროს მეგობარი და თანამემწყე ფეხზე წამოდგა შუბლნაირი თავადი, მაღამ ანრიეტას ხელზე ეამბორა ისიც და კვლავ საკუთარ ადგილზე დაჯდა.

- ბატონო კახაბერ, - თქვა ჩოლოყაშვილმა. - ეგებ ამ ვაჟბატონის ღუელებზეც გეთქვათ ორიოდ სიტყვა!

- ო, იგი ბრწყინვალე ღუელაანტია, მაღამ!

- განა ღუელები აკრძალული არ არის თქვენში? - დაინტერესდა ანრიეტა სარდუ.

- მოგესხენებათ, გემრიელია აკრძალული ხილი, - თქვა ანდრონიკაშვილმა, - ეგეც არ იყოს, განა მთელი ჩვენი ცხოვრება ღუელი არაა?!

- შემდეგ მსხდომი შაფროხიანი ყმაწვილებიც თავადები არიან, - განაგრძო წარმომდგენმა, - როტმისტრები იყვნენ რევოლუციამდე: ზაზა ვაჩნაძე და ვახტანგ მავაშვილი... არ გადავაჭარბებ, თუ ვიტყვი, რომ აჯანყების გმირები არიან!

- საზღვრის გარღვევის დროსაც ივაჟაკეს! - ჩაურთო ლევან ანდრონიკაშვილმა.

ფეხზე წამოდგარმა ყმაწვილკაცებმა იგივე მოიმოქმედეს, რაც ცოტა ხნის წინ ანდრონიკაშვილმა და საკუთარ ადგილებს დაუბრუნდნენ.

- და ბოლოს, ბატონ ქაიხოსროს ხევსური მძაღლაფიცი, უშიშა ჭინჭარაული!

- მე მასხოვს, თქვენებური მძაღლაფიცობის შესახებ რომ მიაბობდით! - თქვა ქალმა და გაწითლებულ, დარცხვენულ შატლიონს უშველებელ ტორში ჩაუ-

ლო პატარა ხელი; ის კი დაიბნა, მართალია, კოცნა კარგად გამოუვიდა, მაგრამ ოთხკუთხა მაგიდას მორე მხრიდან შემოუარა და ამრიგად დაუბრუნდა საკუთარ ადგილს.

- ო, მაღამ, - გაიცინა ამილახვარმა, - საკუთარი თავის წარდგენა მაგიწყდებოდა: იურისტი კახაბერ ამილახვარი! - და ყველამ რომ გაიცინა, თქვა, - მასხოვს, სორბონა რომ დავამთავრე, მდამუაზელ ანრიეტა სარდუ თავს ანებებდა საბალეტო დასს და კაფე „მულენ ღუესის“ შანსონი უნდა გამხდარიყო...

- ეს ასეც მოხდა, მუსიე!

- ბატონო ქაიხოსრო, - თქვა ამილახვარმა. - მაპატიეთ და, გაშრა ყელი! მორიგი სადღეგრძელო რომ შეისვა, ანრიეტა სარდუმ უამბო ქართველებს:

იმ წელს, როცა თავადი ამილახვარი ტფილისში დაბრუნდა, ფრანგული წარმოშობის სიცილიელ კომერსანტს, ლეოპოლდ ფრანჩესკოლის, პარიზში მოგზაურობისას მოსწონებია „მულენ ღუესის“ შანსონი, ანრიეტა სარდუ, ცოლად შეურთავს და ერთ წელიწადში შვილიც ჰყოლიათ. ორი წლის რომ გამხდარა პატარა ჯორჯო, მესინაში დაბრუნებულა სენიორ ლეოპოლდი ოჯახიანად და ტურისტული ოტელი გაუხსნია მონერხებულ ადგილზე.

ამ ზაფხულამდე ბედნიერად უცხოვრია ფრანჩესკოლის ოჯახს, ტურისტი არ ჰკლებიათ და შემოსავალიც კარგი ჰქონიათ - ორკესტრი და მოცეკვავეები ხომ უქირაუვებიათ, საკუთარი იახტაც კი შეუქინათ, „მარკიზა დე პომპადური“. წამოზრდილი ბიჭი პანსიონში მიუბარებიათ.

ერთხელაც ქალაქის მაფიოზთა თავკაცს, დონ ჯოტო დი მაჯიოს ხალხს დიდი ყუთები მოუტანია სასტუმროში. იზმირის კაკალს ვაგზავნით ნიუ-იორკში დონ ვიტო კორლეონესთან და სატვირთო ხომალდ „ნიუ-უელსის“ მოსვლამდე, რაჟი პორტთან ახლოს ხართ, თქვენთან შევინახავთო, უთქვამთ ლეოპოლდ ფრანჩესკოლისთვის, თანხმობასაც არ დალოდებიან (ვინ გაუბედავდა უარს?!), სარდაფში ჩაუტანიათ ტვირთი და წასულან.

სასტუმროს მეპატრონეს უეჭვია, რამე შარში არ გამხვიონო და ერთი ყუთი გაუხსნია. ზემოდან მართლაც თურქული კაკალი ყოფილა, დაბლა კი ცელოფანის პარკებში ფაქიზად გამოკრული ჰაშიში აღმოჩნდა. სამოციოდე ასეთი ყუთი ეწყო სარდაფში და ვინმეს რომ ეპოვნა, კონტრაბანდისტებთან კავშირში ამხელდნენ ფრანჩესკოლის.

შესაძლოა, დი მაჯიოს ოტელის ხელში ჩაგდება უნდა და ეს ხვანჯიც საგანგებოდ დამიგო, თავისივე ხალხს დააბეზღებინებს, თავიდან მომიშორებს და სასტუმროს იყიდისო, უფიქრია ფრანჩესკოლის, წასულა და პოლიციის პრეფექტისთვის, მაიორ მიქელე ფერარისთვის მოუხსენებია ეს ამბავი.

არ გასულა დიდი ხანი და კარაბინერებს რატუშის მოედანზე უპოვიათ მხეცურად მოკლული მამა-შვილი ფრან-



ჩესკოლები - ლეოპოლდს თავისივე მოკვთილი ენა ედო კბილებში, თვალები დაეთხარათ, ცხვირი და ყურები მოჭრათ და მკერდზე დაედოთ. ხოლო განსვენებულ ხელებში შვილის მოჭრილი თავი ეჭირა...

- არ მეგონა, თუ ევროპაში ველურები გეყოლებოდათ, მაღამ! - აღმოფთება ვეღარ დამალა გამოუსწორებელმა დეულიანტმა.

- მკვდრებს რაღას ერჩოდნენ? - ამილახვარს დაუკითხა ჩოლოყაშვილი.

- სიცილიაში ასე იცინან, ბატონო ქაიხოსრო! - მიუგო იმან და ზაზა ვაჩნაძე შეათვალღერა, უშიშა ჭინჭარაულს რომ უთარგმნინა ნაამბობს.

ქმარ-შვილს რომ ასაფლავებდა ელდისგან შემოიღობამდე მისული ქალი, დონ ჯოტოს ხალხი პორტში შემოსულ „ნიუ-უელსის“ ტვირთავდა „იზმირის კაკლით“.

მერე ორი თვე ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გაუტარებია ანრიეტა სარდუს. მძიმე მდგომარეობაში ყოფილა. მაგრამ ადამიანი ყველაფერს ეჩვევა თურმე და ისიც მოკეთებულა, თანაც ამდენ ხანს ოტელის დახურვა წამგებიანი იყო და უფიქრია, ფულს დაეაგროვებ, რომიდან ჩამოვიყვან გამომძიებელს და ყველაფერს გავარკვევო. ეს რომ ანრიეტასთან დაახლოებულ ადგილობრივ მცხოვრებს, ჯინა პერუჯის გაუგია, ჯერ მკვლელობის გამოცანა აუხსნია მისთვის: მაფიოზები გულისხმობდნენ, რომ ადამიანს კბილები მისთვის აქვს, ენას დააჭიროს; ცხვირით ყველაფერი არ უნდა იყოსო; ყურებით ყველაფერი არ გაიგონოს; თუ არა და, საკუთარი შვილის მოჭრილ თავს დააჭერინებდნენ ხელებში და ტანჯვით ამოხდიდნენ სულს; მერე კი ისიც დაუსაბუთებია, რომ არ ღირდა რომში ჩივილი...

- ბატონებო, - თქვა მწუხარე ქალმა, - ჩემმა ამაჟამა ჭამა დაგავიწყათ. გთხოვთ, მიირთვათ!

- მაღამ ანრიეტა, - მისი ნათქვამისთვის ყურადღება არ მიუქცევია კახაბერ ამილახვარს, - ისინი ასე არ გაჩერდებოდნენ...

- შემოსასვლელთან რომ მაგიდაა, იქ შესამოსიანი სამი კაცი ზის. გულის ჯიბეში მიხაკები უბნევიათ, ესე იგი, სამოყვროდ არიან. - თქვა ანრიეტა სარდუმ, - ჯერ არ გაიხედოთ, მითვალთვალებენ. მარჯვნივ გვიდო მალტანი ზის, „შმაგი მარჯვენა“, დი მაჯიოს თანამემწყე. ეგ მხოლოდ გეგმებს ადგენს. შუათანა ლუკა კორაჯოა, „კოჭლი სატანა“, ყოველ „საქმეში“ ეგ ურევია, საუკეთესო შემსრულებელია. მარცხნივ კი ანჯელო კუკურდუა, „ზღვის მგელი“, დაუნდობლობით გაითქვა სახელი. ახლა რომ ქალი მიუჯდათ, გვიდოს საყვარელია, გაბრიელა ალტობელი, „დარდიანი კობრა“, ნარკომანია. მაგისი ქმარი „ზღვის

მგელმა“ გაასალა თავის დროზე, თორემ ის პატიოსანი კაცი აქ არ შემოახედებდა...

- კარგად გაგიცვინათ, მაღამ!

- ჯინა პერუჯისგან ვიცი ეს ყველაფერი, - მიუგო ქალმა, - დღეს კი ცალკე გამიხმეს, მუსიე, და მითხრეს, რომ ამაღამ, თორმეტ საათზე დონ ჯოტო მოვა, ბოდიშს მომიხდის, მწუხარება რომ მომაყენა და რადგან ძალიან მოვწონვარ, ხელსაც მთხოვს. თურმე ცოლი გაუგვლია...

- ამით ოტელსაც ჩაიგდებს ხელში. - დაასკვნა სორბონადამთავრებულმა იურისტმა.

ქალმა მოწყენილ ემიგრანტებს შეავლო თვალი და იმათი მხრიდან თანაგრძობის ან დახმარების სიტყვები რომ არ მოესმინა, კატეგორიულად თქვა:

- გთხოვთ, განაგრძოთ ქეიფი, მუსიე! თქვენთან ყოფნისას ყველაფერი დამავიწყდება. ცოტა ხნით მაინც მოვწყდები ამ გაწამაწიას!

თამადად არჩეულმა ქაქუცა ჩოლოყაშვილმა მთარგმნელად კახაბერ ამილახვარი მიუჩინა ანრიეტა სარდუს და სადღეგრძელოების თქმა განაგრძო მშობლიურ ენაზე.

შავი ღვინო მოიწონეს ქართველებმა, ჩვენებურ ატენურს ჩამოჰკვასო.

მერე კორდებლელტის პროგრამა გასრულდა და დარბაზში მყოფთათვის დაიწყო ცეკვები. ერთმანეთს ცვლიდა „ჩარლსტონი“ და „ბოსტონი“, „ტანგო“ და „ფოქსტროტი“...

ორკესტრმა წყნარი ბლუზი რომ დაუკრა, კახაბერ ამილახვარმა ერთი სადღეგრძელოს წარმოთქმის უფლება სთხოვა უფალ თამადას და, ნება რომ მიიღო, ქალაქ მესინაში ნამყოფი დიდი ქართველების შესანდობარი შესვა; თურმე ამ ქალაქში მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნეებში ყოფილან ნიკოლოზ ომანის ძე ჩოლოყაშვილი-ირუბაქიძე, იგივე ნიკიფორე ირბახი და სულხან-საბა ორბელიანი.

იურისტის კარგი მეხსიერებით აღტაცებულმა, უკვე შეზარხოშებულმა ქართველებმა ერთხმად შესვეს ძვირფასი წინაპრების სადღეგრძელო.

ელევანტურმა ფრანტმა რამდენჯერმე გაიწვია საცეკვაოდ ანრიეტა სარდუ, რაღაცას ეჩურჩულებოდა ყურში, ეგებ პარიზულ თავგადასავლებს იხსენებდა, რამდენჯერმე გააცინა კიდეც ქალი.

„ეჰ, ქალებმა დაღუპეს კახაბერიო!“, ამოიხრა ვითომდა შეწუხებულმა ანდრონიკაშვილმა და ყველა გაამხიარულა.

მაფიოზები კი მოურიდებლად უყურებდნენ უცხოქვეყნელებს, რომელთაც, ხომ შეიძლება, კარგად აწყობილი საქმე ჩაეფუშათ.

3

თერთმეტის ნახევარზე ფეხზე წამოდგა ანრიეტა სარდუ, ბოდიში მოუხადა ქართველებს, დი მაჯიოს სტუმრო-





ბის ყამი ახლოვდება და მორთულ-მოკაზმული უნდა დავხვდეთ.

- იქნებ, დარჩენილიყოფით, მაღამ? - დაეკითხა ლევან ანდრონიკაშვილი.

- მე შემიწია მათი... მეყო, რაც გამოვცადე. - თქვა ქალმა და მწარე ღიმილი გაუერთა სახეზე, - გავყვები დონ ჯოტოს, მეტი რა გზა... - წასვლა დააპირა.

- მოიცადეთ, მაღამ! - სთხოვა ქაქუცა ჩოლოყაშვილმა და რაკი შენიშნა, ანრიეტა ადგილზე დარჩა, დადუმდა...

მაგიდას უსხდნენ დარდმომატებული ქართველები, უცხოელ მთენილნი, უთვისტომონი, ლტოლვილები, ბრძოლის ცეცხლით ნაწოთობნი, საბედნიეროდ გადარჩენილნი ანდა ეგებ უკეთესიც იყო, თავის მიწაზე დახოცილიყვნენ, იქნებ ეს სჯობდა უსამშობლოსას.

თითოეული მარტო დარჩა ერთწამს, თითქოს ექვსივემ ინდივიდუალური თვისებები დაკარგა, ერთ კაცად იქცა.

და იმ ერთ კაცს ღამისფერი სევდა, ეს მჭვარტლიანი და ბანჯგვლიანი ბებერი ქაჯი, დაეჯღანა, ისედაც ნაოჭებით დაღაროდა სახე.

„საქართველო ხომ დაკარგე, საბრალო ქერვის შველაც აღარ შეგიძლიაო“, ჩაიქირქილა.

„პარიზს მიმეჩქარებაო“, მიუგო შუბლშეჭმუნულმა კაცმა.

„ეგ რა გამართლებააო!“, ისევ შეჭლიმა ეშმაკისეულმა, კლანჭები ჩაავლო, მკერდში ჩასო, სისხლი აღინა, მერე გულიც მოუძებნა და ისე მოუჭირა ჭანგები, თუ აქამოდვე ითმენდა ტყვიას, ღამის იყვინა...

- გვიმსახურეთ, მაღამ ანრიეტა! - თქვა ყოფილმა პოლკოვნიკმა და ემიგრანტებს დიდსულოვანი ღიმილი სანთლებით აენტოთ სახეზე.

- ო, ღია-ღიაა... - ასე გაიოცა ოტელის მეპატრონემ, - თქვენ წინ აღუდგებით მესინელ მაფიოზებს?! თვით დიდი მაჯიოს?

- პატივს დავდებთ, მაღამ!

- ისინი ბევრად მეტნი არიან თქვენზე! პოლიციის იმედი ნუ გექნებათ, ცხვირსაც არ შემოყოფენ აქ! - თქვა მაღამ სარდლემ.

- გამოგიტყდებით, არავისი იმედი არა გვაქვს, მაღამ! - მიუგო ჩოლოყაშვილმა.

- ისინი პრესტიჟის შელახვას ვერ შეურიგდებიან! - განაგრძო ქალმა, - ცუდი ამბები დატრიალდება...

- ისეთი არაფერი მოხდება, რაც არ გვინახავს! - თქვა ლევან ანდრონიკაშვილმა.

- პირველად მესმის, მაღამ, ქალს ქმარშვილი დაუხოცო და მერე მისი ცოლად მოყვანა განიზრახო! - თავისი აღშფოთება გამოხატა ვახტანგ მაყაშვილმა.

- თანაც ისე, რომ ქალის სურვილიც არ შეიტყო! - დაამატა ზაზა ვანჩაძემ.

- ჩემი დაცვა განვიზრახავთ, ბატონებო, - სიცხვე შეეპარა მაღამ სარდლეს ხმას, - თქვენი სურვილი კეთილშობილურია და დიდი მადლობელიც გახლავართ!

ვართ! მაგრამ...

- რა მაგრამ? - ველარ მოითმინა კახაბერ ამილახვარმა.

- მაგრამ წმინდა წყლის ფანტაზია! - თქვა სასტუმროს მეპატრონემ.

- რატომ? - დაეკითხა ქაქუცა ჩოლოყაშვილი.

- რომ გამომექომაგოთ, სროლა ატყდება. ისინი ბევრად გჭარბობენ და ღირს კი ერთი საბრალო ქალის ღირსება ექვს ვაჟკაცად?! სასიკვდილოდ არც ერთი არ შეეშინებოდა!

- მტრები ყოველთვის მეტნი იყვნენ ჩვენზე. - შენიშნა ზაზა ვანჩაძემ.

- ვთქვით, აქ მოსულთ მიერიეთ, - თქვა ანრიეტა სარდლემ, - რაც დაუჯერებელია... მერე მთელი ქალაქი წამოვა თქვენზე!

- რამე მოვახერხებთ, მაღამ! - მიუგო თავადმა ანდრონიკაშვილმა.

- მე რა ვქნა? - დაინტერესდა ოტელის პატრონი, - ხომ მიხვდებიან, გარეული რომ ვარ ამ საქმეში?!

- ჩვენთან ერთად გამოიქეცით, მაღამ!

- ურჩია კახაბერ ამილახვარმა.

- ეგ რომ მდომოდა, ადრე გავყვდი ოტელს და პარიზს წავიდოდი...

- მაშ, რას აპირებთ? - დაეკითხა ყოფილი როტმისტრი მაყაშვილი.

- თქვენთან რომ გამოვიქეცე, ეს შემოსავლიანი სასტუმრო უნდა მივატოვო! - აუხსნა მან. - ხოლო პარიზში, თუნდაც ბალეტში მიმიღონ ისევ, ასეთი შემოსავალი არ მექნება!..

- ეს ყველაფერი უფრო რთული ყოფილა, ვიდრე მე წარმომედგინა. - ყინული შეეპარა ყოფილი როტმისტრის ხმას. ყველა გაჩუმდა.

მხოლოდ იურისტმა ამიოხრა და ქართულად თქვა: „განა ფულია ყველაფერი?!“

- ასე რომ, საკუთარ ხვედრს შეგუებული ვარ, - დაასკვნა ქალმა, - თუ ჩემს საქმეში არ ჩაერევი, მეც მოვიგებ და თქვენც!

- გასაგებია, მაღამ, - უთხრა ჩოლოყაშვილმა, - არ ჩავერევით თქვენს საქმეში!

- ო, თურთმეტი გამხდარა, - შეიცხადა ანრიეტა სარდლემ, - ერთხანს მიგატოვებთ, ბატონებო. - მოიბოდიშა და მალე შიდა გასასვლელში მიიძალა, საიდანაც ზემოთ ასასვლელი, ხალიჩით მოგებული კიბე იწყებოდა.

4

უფალმა თამადა მოწყვნილი თანამეზობლები რომ შენიშნა, ექვსნი ვართ, რა უნდა შევიჭირვოთ და, უშიშას გასძახა.

- აბა, მისა ხელაშვილმა როგორ უთხრა მათურელს?!

ჭინჭარაულმა უამბო:

- მისას მათურელებთან უქეიფნია და მაშინ უთქვამს: „ეხლა ძალიან დავითვერ, ვიბურანავებ რქებითა“. ერთს ვისმე მათურელს უკითხავს: „მიწა რო სთხარო, რად გინდა, იქით რა ამოხნდებიანა?“. მისას მიუგია: „მათურელთ და-

ლევის დღესა, საფლავად გამოდგებისა“.

გაიცინეს მოსწრებული პასუხით ნასიამოვნებმა ქართველებმა.

- უშიშავ, მადლს მარილიც მოაყარე! - სთხოვა ქაქუცას თანამეზომე, - ჩვენ რო გვიყვარს, ის შირი გვითხარი!

- ჩემს გულშიც მჯდარხარ, ლევანო! - უთხრა ჩოლოყაშვილმა.

- „ლექსო, ამოგთქომ, ოხერო, თორო იქნება ვკვდებოდე...“ - ბჟღერა ხმით კითხულობდა შატლიონი და ემიგრანტების ჩუმ საწუხარს ხელაშვილის დარღებიც ემატებოდა, თუმცა კი არ ამბობებდა, ზედ მალამოდ ედებოდა - ეს კი მადლია დიდი პოეზიისა.

„ერთ ეგეც უნდა ვიკითხო, ჩემ სიკვდილს ვინ იტირებსაო“, უშიშამ რომ თქვა, გვიღო მალტანი მივიდა მათთან და რაღაც თქვა იტალიურად. უცხოელებს მისთვის ყურადღება არ მიუქცევიათ.

დაიბნა „შმაგი მარჯვენა“, მალულად გახედა თავისიანებს, - არ მომისმინეს! - გაწილებული ხომ არ მიბრუნდებოდა უკან, მეორე კაცი იყო მაფიოზებში. აღარ იცოდა, რა ექნა. შემდეგ ევროპულად ჩაცმული პენსიონისკენ გაიხედა, რომელმაც გაურკვეველი შესტიკულაციით რაღაც ანიშნა. ალბათ, ის აყლაცულა რაღაც ძალიან მნიშვნელოვანს ამბობდა. „ლექსი თუა და, - იქვცა მალტანომ, - რა ელექსებათ, ამათი...“, გუნებაში შეიგინა და თავისიანებს გახედა - ისევ შამპანურს წრუპავდნენ.

იმითა გვტანჯავს გამჩენი, სულ მუდამ გვაცოდვლებსა“, - დაამთავრა ჭინჭარაულმა.

- ჰა, დედას მტრისას! - დაეძინა ქაქუცა ჩოლოყაშვილმა, მგლისფერი ეღო სახეზე. თეორიოსისან, დუღების მოყვარულ თავის ობოლი ცრემლი ჩამოუვარდა დაწვეწვე ყოფილი როტმისტრები მოსულს ათვალთვინდნენ, მსხვერპლს ჩადარაჯებულ ავაზებს ჰგავდნენ.

- ქაქუცავ, - ხმა ამიღო ხვესურმა, - აქ ყველაფე მეუცხოვების! რაი დაგვრჩენია ამ ევროპაში, უკან დაგვრუნდეთ!

- ჯერ პარიზს ჩავიდეთ, იქნებ გვეშველოს. - უთხრა წვერმოშეებულმა თავადმა და ახლად დაინახა მისული, - ვინაა ეს პატიოსანი კაცი?

- იმათგანაა! - მიუგო ვანჩაძემ.

- ამილახვარო, ჰკითხე რა უნდა!

„შმაგმა მარჯვენამ“ მთელი თავისი დიპლომატიური გამოცდილება მოიშველია, რადგან უცხოელებთან ჰქონდა საქმე და ფრთხილად დაიწყო ლაპარაკი.

- სენიორებო, - თარგმნიდა ევროპულ ენათა მცოდნე კახაბერ ამილახვარი, - აქაურები არ უნდა იყოთ. არც გვანტერესებს, საიდან ხართ. მაგრამ ძალიან გვეწყინებოდა, აქაური მაფიოზები და დონ ჯოტო დი მაჯიო რომ არ გაგეგონოთ... დონ ჯოტო თორმეტ საათზე აქ მობრძანდება ერთ საგანგებო საქმეზე და თუ სიკვდილი არ გინდათ, თქვენც სხვებზე მოიქეცით!

- მაინც როგორ? - იკითხა ქაქუცა

ჩოლოყაშვილმა.

- აქაური წესით, ფეხზე უნდა წამოდგეს ყველა და მდებლად დაუკრას თავი. თქვენ პატივი გეცით და ეს გაცნობეთ, თორემ აქაურებმა კარგად იციან თავიანთი საქმე!

- ავაზაკების მეთაურს ფეხზე წამოდგეს ქაქუცა ჩოლოყაშვილი?!

- მაგას კი არა, ორჯონიკიძეს არ დაუკარით თავი! - თქვა სახელეწილმა ანდრონიკაშვილმა.

- მე სათქმელი გითხარი! - თქვა „შმაგმა მარჯვენამ“, - თუ არ დამიჯერებთ, რაც მოგივით, თავს დააბრალებთ! - ავად გაიღიმა, შეტრიალდა და თავისი ანებისკენ წავიდა.

ნათარგმნის მოსმენისთანავე ფეხზე წამოდგნენ შაწოხოსანი ყმაწვილები, ჩოლოყაშვილს მიაცქერდნენ.

- დასხედით! - თქვა მან.

- ბატონო ქაიხოსრო, - თქვა გაფითრებულმა ვანჩაძემ, - მე არავისთვის არაფერი შემიძინია!

- მაგას რომ ვაპატიო, - გაფიცხდა მაყაშვილი, - საკუთარი თავის პატივისცემა დამეკარგება!

- ჩვენ აღარაფერი გავგანჩია თავმოყვარობის გარდა! - ფეხზე წამოდგა ანდრონიკაშვილიც, - ესეც თუ დაგვარგეთ, რაღად მინდა ეს ტიალი სიცოცხლე!

- შენ თუ გგონია, ვგ თახსირი ღუელში გამოგყვება, შემცდარხარ, ლევან! - ქარაფზე შემომჯდარ არწივს ჰგავდა განრისხებული ჩოლოყაშვილი.

- მაგასთან დუღელი რად მინდა! - იწყინა იმან.

- დასხედით მეტი! - იყვირა ყოფილმა პოლკოვნიკმა და იმათაც რომ დაუჯერეს, მშვიდად განაგრძო, - აჩქარებითა სოფელი არავის მოუჭამიაო, გეცოდინებათ.

ყველა დადუმდა.

- თქვენი დასკვნები მაინტერესებს, ბატონო კახაბერ!

- მართალი ბრძანდებით, ბატონო ქაიხოსრო! სჯობს, კარგად ავწონ-დაწონოთ ყველაფერი. გაგვიჭირდება მაგათთან შებმა, რადგან მათა კარგადაა ორგანიზებული და პოლიციასთანაც შეკრულია.

- საიდან დასაკვებთ? - დაეკითხა ზაზა ვანჩაძემ.

- როგორ გგონიათ, საიდან გაიგო დი მაჯიომ, რომ ლეოპოლდ ფრანკესკოლიმ პოლიციაში დააბეზლა?


- იქნებ, ცოლმა დააბეზლა?! - თქვა მაყაშვილმა.

- ტყუილია!

- რატომ?

- მაშინ ორი თვე ფსიქიატრიულ საავადმყოფოში არ იწვებოდა. ესეც არ იყოს, მაღამ სარდლეს რა ინტერესი ჰქონდა?... მოკლედ, ყველა გზას იქით მიგყავართ, რომ მაიორმა მიქელე ფერარმა უთხრა ყველაფერი. - დაასკვნა იურისტმა, - აქ თუ სროლა ატყვია, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, პოლიცია ცხვირს არ შემოჰყოფს!





- მეც ეგ მინდა! - თქვა გამოუსწორებელმა დუელიანტმა.

- სჯობს, ვიფრთხილოთ. - თქვა ამილახვარმა, - ხალხი დაამინეს და ქვეყანა თავისი ჰგონიათ, უკან არაფერზე დაიხვეწენ!

- მჯობნის მჯობნი არ დაილევინს! - უკმაყოფილოდ ჩაბურტყუნა უშიშა ჭინჭარაულმა.

ყოფილმა როტმისტრებმა დამცინავი ღიმილით შეათვალიერეს იურისტი, რომელსაც ეს არ გამოპარვია.

- ამილახვარი მოვიკვდეთ, თუ ვინმეს ჩამოვრჩე! - თვალეები აუელვარდა მას, - არ მინდა, უაზროდ დავიღუპო!

- ბატონებო, - თქვა ქაქუცა ჩოლოყაშვილმა, - რომ არ ვინანოთ, როგორც საკუთარი სინდისი გვიკარნახებს, ისე მოვიქცეთ! ჯანდაბას, მოხდეს, რაც მოსახდენია!

- აი, ასე! - შვებით ამოისუნთქა ანდრონიკაშვილმა.

5

- მაღამ სარდუ მობრძანდება! - თვალეები გაუბრწყინდა კახაბერ ამილახვარს.

ყველა შიდა გასასვლელისკენ იყურებოდა, საიდანაც ღიმილგადაფენილი ანრიეტა სარდუ ოდნავის რხევით მოდი-

ოდა. თმის ვარცხნილობა არ შეეცვალა. მხრებშიშვლებული, ცისფერი, ჩინებული ხელოვნებით შეკერილი კაბა ამშვენებდა მოხდენილ დიაცს. ბრილინტის ყელსაბამი შეება თოვლივით ქათქათა ყელზე და ბრილიანტისვე საყურეები ფრთებზატულა პუბლებივით მოუთამაშებდნენ. აფახულებდა დახატულ თვალებს. თეთრი მარაო ეჭირა ხელში. ქალი კი არა, ოცნება იყო.

გაიღიმეს მაფიოზებმა, კარგად მიდიოდა საქმე.

თორმეტს ათი წუთი უკლდა.

- თქვენ მშვენიერი ხართ, როგორც ყოველთვის! - ქათინური მიაგება ამილახვარმა.

- გმადლობთ, მუსიე! - მიუგო ქალმა.

- მაღამ სარდუ, - ფეხზე წამოდგა უფალი თამადა, შევსებული ჭიქა გაუწოდა მოსულს, - გთხოვთ, ჩვენთან ერთად შესვით ერთი სადღერძელო!

- სიამოვნებით, მუსიე!

- გახვრეტილი გრომის ფასი აქვს თავის ქებას. ყველგანაა კარგი და ცუდი... ჩვენთვის დაკარგულ საქართველოს გაუმარჯოს, თავისი ავ-კარგიანად...

- თქვა ჩოლოყაშვილმა, ფეხზე წამოდგარ სუფრის წვერებს ჭიქა მიუჭახუნა და ბოლომდე შესვა.

ყველამ რომ დაღია, ისევ ქაქუცა ალაპარაკდა:

- მაღამ სარდუ, ერი ყველაზე კარგად სიმღერებში ჩანს. ჩვენ, ქართველები სხვადასხვას ვმღერით და ერთ მთლიანობას ვქმნით... გთხოვთ, მოგვისმინოთ!

თორმეტს... სამი წუთი აკლდა.

ემიგრანტებმა „მრავალჟამიერი“ დააგუგუნეს, კარგ ღვინოსავით ძველი, ალაზანივით ღინჯი, ხარკით ქედლონიერი სიმღერა.

კელის საათმა თორმეტი დაჰკრა თუ არა, გარეთ „როლს-როისების“ სიგნალები აჭყვიტინდა.

ფეხზე წამოდგნენ მაფიოზები, შემოსასვლელთან გაჩერდნენ, მხოლოდ „დარდიანი კობრა“ დარჩა მაგიდასთან.

დამფრთხალმა მაღამ სარდუმ ჭიქა მა-

გიდაზე დადგა და სტუმრებს მოშორდა. თუმცა ქართველები ისე გაეტაცებინა სიმღერას, ეს მოძრაობა არ შეუმჩნევეათ.

ყველა ფეხზე წამოდგა. ორკესტრმა დაკვრა შეწყვიტა...

ყველაფერი დავიწყებოდათ ემიგრანტებს, თითქოს თვალღია სიზმარში არიანო, სამშობლოს ხედავდნენ და იმ წუთს ნებისმიერი მათგანი დაგიფიცებდათ, რომ მაფიოზების ჯინაზე - ღმერთი-რჯული! - არა მღეროდნენ.

და ანრიეტა სარდუ მოჯადოებული უყურებდა სტუმრებს.

მხოლოდ უცხოელთა სიმღერა შემოესმა დარბაზში ღიმილით შემოსულ, თეთრი პიჯაკის გულის ჯიბეში ვარდჩაბნეულ ღონ ჯოტო დი მაჯიოს, რომელსაც უკან შემოჰყვა ორი პირადი მცველი.

- ვის სიმღერას უსმენს მაღამ სარდუ? - გაუკვირდა მესინელ მაფიოზთა თავკაცს და თავიუღი ერთი ხელიდან მეორეში გადაიტანა.

- ახლავე გაჩუმდებიან, ღონ ჯოტო! - ჩაიცინა „შმაგმა მარჯვენამ“, ხელით რაღაც ანიშნა ხელქვეითებს და გადამთიელთა მაგიდისკენ დაიდრა.

„კოჭლი სატანა“ და „ზღვის მგელი“ უკან მიჰყვნენ.

ვახტანგ მაყაშვილს კარგი სმენა ჰქონდა, - მიუხედავად იმისა, რომ ზურგშექცევით იდგა, ფეხსაცმელების კაკუნი გაიყო და მიიხედა.

სამნი მოდიოდნენ მათკენ.

- შეწყვიტეთ ეგ ღმუილი! - კახაბერ ამილახვარს უყვირა გვიდო მალტანიმ.

- რა ბრძანეთ? - იწყინა ელევანტურმა ფრანტმა.

- მგლებივით ნუ ღმუით მეთქი! - რიხიანად იყვირა მეორე კაცმა, ჯიბისკენ წაიღო ხელი, ელვისუმალ ამოიღო რევოლვერი და ის იყო, ამილახვრისთვის უნდა ესროლა, რომ მაყაშვილმა დაასწრო, მარცხენა ხელი იარაღიან ხელზე აუკრა და ტყვიამ ჭერში იქუხა, ხოლო მარჯვენა ისეთი ძალით ამოარტყა ყბაში, რომ „შმაგი მარჯვენა“ ამილახვრის შეძახილის „სალტო-მორტალე“ თანხლებით ჰაერში ამოტრიალდა და მაპრიალბულ იატაკზე უხერხულად მოაღინა ზღართანი - კისრით დაეცა და მთელი შემდგომი მოვლენების განმავლობაში ფეხზე აღარც წამოდგარა.

„კოჭლმა სატანამ“ ფრაკის ჯიბეში ხელაფათურებულ ამილახვარს ესროლა, მაგრამ ხელში დაჭრა.

ქაქუცამ და ლევანმა ერთდროულად ისროლეს იქვე მიაწვინეს გვიდო მალტანის ხელქვეითები.

რესტორანში წვივლ-კვივლი ატყდა. თავგზადაკარგულები კიბეს მიაწყდნენ, მოაჯირი გადაანგრეეს. სხვებმა კარები გამოხსნეს და მიიძალნენ. ზოგიერთი მაგიდებქვეშ შეივრა.

გაბრიელა ალტობელიმ ხელჩანთიდან „კოლუტი“ ამოიღო და ვახტანგ მაყაშ-

ვილს ესროლა - ტყვიამ გულში გაუარა ყოფილ როტმისტრს, იქვე ჩაკეცა და გაღიმებაც ვერ მოასწრო „დარდიანმა კობრამ“, რომ ზაზა ვანჩაძემ სამი ტყვია დაახალა ზედიზედ - ისევე დარჩა, როგორც იჯდა, მხოლოდ თავით ჩაემსო რომელიღაც იტალიურ კერძში...

ამასობაში, რაკი ანდრონიკაშვილის ტყვიებმა გარეთ გასაქცევი გზა მოუჭრეს დი მაჯიოს, პირადმა მცველებმა მაგიდა გადააბრუნეს, თვითონაც თავი დაიფარეს ტყვიებისგან და შეფიც შეიფარეს.

ქაქუცა ჩოლოყაშვილმა მტრის ხელიდან გავარდნილ რევოლვერთან მიიბრინა, აიღო და ამ დროს ესროლეს პირადმა მცველებმა. უშიშა ჭინჭარაული წინ აუფარა ძმადნაფიცს და მას მოხვდა ორივე ტყვია.

ერთი პირადი მცველი კახაბერ ამილახვარმა მოკლა მარჯვე გასროლით, მეორე კი ჩოლოყაშვილმა.

მეგობარმოკლული ზაზა ვანჩაძე მთლად გადაირია, - ხომ კარში შემობოლდნენ ახალ-ახალი მაფიოზები მაგიდას ამოფარებული მეთაურის გადასარჩენად და ხელსაყრელ პოზიციაში მყოფი ქაქუცა, ლევანი და კახაბერი აქედან ესროდნენ, - ტყვიების წვივლში შეუმჩნევლად მიეპარა დი მაჯიოს, წინაპართაგან ნანადერძივით ხმალი გაიძრო და მესინის მაფიოზთა თავკაცი აჩეხა.

ქაქუცამ და ლევანმა, რაკი შემოსასვლელში აღარავინ ჩანდა, ფრთხილად გაიხედეს გარეთ და დაცარიელებულ მოედანზე მუხრუჭების ღრჭიალით მიმქროლავ „როლს-როისს“ მოჰკრეს თვალი.

კიბეზე ჩამოირბინა ანრიეტა არდუმ, ხელში ჩემოდანი ეჭირა და გადარჩენილ ქართველებს უყვირა:

- ვიდრე ისინი დაბრუნებულან, სწრაფად, პორტისკენ!

6

ცოტა ხნის შემდეგ პორტიდან გადიოდა ანრიეტა სარდუს კერძო იახტა „მარკიზა დე პომპადური“. საჭესთან თავად პატრონი იდგა.

გემბანზე თეთრ ნაჭრებში გახვეული ვახტანგ მაყაშვილისა და უშიშა ჭინჭარაულის გვამები ესვენა. იქვე იდგნენ გადარჩენილი ქართველები, მიცვალებულებს დასტიროდნენ.

დიდი, სისხლისფერი მთვარე ადგა ელექტრომუქებით განათებულ მესინას. ჩუმად ტყლაშუნობდა ხმელთაშუა ზღვაც.

7

ნელ-ნელა სიბნელეში იძირებოდა ქალაქ მესინას ციციანთელებივით დაპატარავებული სინათლეები და ქაქუცა ჩოლოყაშვილმა ერთწამს დაინახა (მერე, პარიზში უამბო ლევან ანდრონიკაშვილს), თუ როგორ გაიარეს ერთმანეთში სულხან-საბა ორბელიანისა და ნიკოლოზ ჩოლოყაშვილ-ირუბაქიძის გიგანტურმა, ზეციურ ნათელში გახვეულმა ლანდებმა.



მისო
მოსულივკილი
ჰანიუსს
ჰიიჩჰანოდნან

ვეგერესტის ორგზის დამპყრობმა, მთამსვლელობა ბიზ თორთლაქში ჰიმალა-ის მთებში, ზღვის დონიდან 4000 მეტრზე, ერთ-ერთ საბაზო ბანაკში დაწერა ნოველა (ცხოვრებაში პირველად) მალოლ სიყვარულზე. შეიძლება, ბევრს მოუხსინჯავს პროზაში კალამი, დღიურებიც დაუწერია და ალბათ, ლექსიც... მაგრამ ცოტა თუ არის ისეთი, რომელსაც მხატვრული ღირებულება გააჩნია. ამ ბედნიერ გამონაკლისთა შორის, არის ბატონი ვია თორთლაქის ნოველა „ჰაზრათ ვალი“, რომელსაც სიამოვნებით ვუთმობთ ადგილს ჩვენს ლიტერატურულ გაზეთში. დარწმუნებული ვართ, პარლამენტარის დებიუტს ქართ-ველი მკითხველი ინტერესით გაეცნობა.

შაფია კლდეს მიენარცხა და ვალიმ გაიფიქრა სა-შინელი ხმა. წამით გაშეშდა. შაფია გულგულად ეგლო. ტყეის ყელში გაველო. ახლად მიხვდა ჰაზრათ ვალი, რაც მოხდა. გოგ-ნებელი უყურებდა ხან შაფიას, ხან პატარა მო-ციმციმე პატარუქს. — რატომ ავანთე?! რატომ ავანთე? — გაი-ფიქრა. სოფლის მხრიდან კიდევ ორჯერ განათდა. ჰაზრათ ვალი დაღმა, ხევში გარბოდა. თითებს იკვნიტდა და სიმწრისგან ღმუთოდა. ინდაყვიდან რაღაც ცივი წვეთავდა.

ვია თორთლაქი ჰაზრათ ვალი

ეს ამბავი ჰაზრათ ვალის ბიძაშვილმა მიაიმბო ერთ ნვიმიან საღამოს ნანგა-პარბატის ძირას



დიაშიროში ბნელდა. ასეთ სიბნელეში ხეო-ბაში კაცს ვერ შეხვდები. ბილიკები ვიწროა, კლ-დეების თავზე გადის, ყოველ წუთს შეიძლება კლდეზე გადაიჩიხნო. დიაშიროელთა ენა არავის ესმის. გასაოცა-რია, ამ ხეობაში ყოველ სოფელს თავისი ენა აქვს. სულ პაკისტანში ორმოცდაათამდე ენაზე ლაპარაკობენ. ყველასთვის გასაგები ენა კი ურ-დუა. ალბათ, მთელ პაკისტანში არსად ისე არ უყ-ვართ იარალი, როგორც დიაშიროს ხეობაში. გან-საკუთრებით კი ხეობის დასაწყისში — სოფელ დიაშიროში. ჰაზრათ ვალი შეხვედრიდან ბრუნდებოდა. უზომოდ უყვარს შაფია. იშვიათად, მაგრამ მა-ინც ახერხებენ დათქმულ ადგილას შეხვედრას. შეხვედრა, შეიძლება, სიცოცხლის ფასად და-უჯდეს ორივეს. შაფია მაჰმად ომარზეა დანიშნული. მშობ-ლებმა დიდი ხნის წინათ მათ მავიერ გადაწყვი-ტეს ყველაფერი. ასეთ შეთანხმებებს პაკისტან-ში მანგეტა ჰქვია. მისი დამრღვევი სიკვდილით ისჯება. ჩრდილო პაკისტანში თითქმის ყველგან: ჰუნ-ზაში, გილგიტში, ბალტიტანში, ჰუშეში ად-ათ-წესები შერბილია. ქალს შეუძლია, მარტო გავიდეს გარეთ, უფრო მეტიც, გამოელაპარა-კოს უცხო მამაკაცს. ჩილასის მხარეს, დიაშიროს ხეობაში, არაფე-რი შეცვლილა. ქალს არანაირი უფლებები არა აქვს. მხოლოდ ახლო ნათესაგების თანხლებით შეუძლია გარეთ გასვლა. აქ შუასაუკუნოებრივი განუკითხაობა სუ-ფევს.

ჩრდილი აღარ ადგებოდა. გასაოცარია! ეს დაუნდობელი ხალხი ხანჯალს ან რაიმე სხვა ცივ იარაღს არასდროს ხმარობს — „დამნაშავეს“ ცეცხლსასროლი იარაღით კლა-ვენ. როგორც იქნა, კარტოფილის ყანაში დაიჭი-რა შაფიას მამალი და დევნებ ნიშანი შეება. წესით, დამით შაფია დანიშნულ ადგილზე მოვა და იმწუთასვე დატოვებენ დიაშიროს. ყვე-ლაფერი მზად აქვს: ორი დღის საჭმელი, წყა-ლი, ტანსაცმელი. — „რავალბინდამდე ჩავაღწევთ, იქ რამე სა-მუშაოს ვიშოვო. არაფერს ვითაკილებ, ოდონდ ერთად ვიყოთ. რავალბინდი დიდი ქალაქია, იქ ვერავინ გვაპოვოს.“ შუალამეს ბრმა რაჰმადის კლდესთან შეხვე-დენ ერთმანეთს. — მივდივართ! სხვა გზა არ არის ამალამ თუ არ წავედით, ყველაფერი დამთავრდება. შაფია, ბედნიერები ვიქნებით! შაფია მოეხვია, აქვითინდა. ასე იყვნენ ერთ-ხანს. — დროა! — თქვა ჰაზრათ ვალიმ. — გრძელი გზაა, სწრაფად უნდა ვიაროთ. უცბად სოფლის მხრიდან რაღაცამ გაანათა.

ჩაღის, მაგრამ მსგავს სილამაზეს სხვაგან ვერ-სად ნახავ. დილის ხუთ საათზე იღვიძებს ქალაქი. უამ-რავი ხალხი ირევა მის ქუჩებში. ლაპორელი ან კიდევ უფრო შავი კარაჩელები, ინდოელი მაჰა-ჯირები, ქაშმირელები, პატანელები, ადგილობ-რივი ფანჯაბები, სპარსულად მოლაპარაკე ჰაზ-რები. ყველაზე ადვილად კი ჩრდილოპაკისტა-ნელებს გამოარჩევს ჰუნის ქულებით, რომელიც ყველა თავმოყვარე მუჯაჰედს ახურავს. ეს ხალხი რავალბინდში ცოტაა, ამიტომაც ადვილი შესამჩნევია. და, თუ გინდა, შეუმჩნევე-ლი დარჩე, სამუდამოდ უარს უნდა თქვა ამ ქუ-ღე. თუმცა ქულის გარდა თეთრი პირისახითა და ამაყი გამოხედვითაც გამოარჩევ. უთენია იღებ ყველა მალაზია და ყველა დუ-ქანი. ბაზარი კი უფრო ადრე, თითქმის ღამე იღვიძებს. აქ ორი ბაზარია — სადარბაზარი და რადარბაზარი. ამ უკანასკნელში, შეიძლება, მთე-ლი დღე იარო და არ მოგწყინდეს. შეიძლება ივაჭრო და ივაჭრო გაუთავებლად. ბაზართან ახლოს ვიწრო ქუჩაა, სადაც მჭე-დელთა რიგებია. ყველა მჭედელი რაღაც განსა-კუთრებულ ნაკეთობაზეა დაოსტატებული. ზო-გი ჯაჭვს, ზოგი ნაღს, ზოგიც პაკისტანურ ნა-ჯახს — ჩატალს აკეთებს სხვაზე უკეთ. ყოველ სახელოსნოს თავისი პატრონი ჰყავს, ზოგს სულაც ორი სახელოსნო აქვს. მეპატრო-ნეები არასდროს ფიზიკურად არ შრომობენ,

თუმცა თავისი საქმის უბაღლო ოსტატები არი-ან. სვამენ ბევრ ჩაის და გაუთავებლად ყვებიან წარმოუდგენლად საინტერესო ამბებს. სამუშაოს კი დაქირავებული ხელოსნები ას-რულევენ. — რას იტყვი, სადაურია ეს ბიჭი? — ჩრდილოელი უნდა იყოს, თუმცა ქცევით უფრო პუშტუს წააგავს. ძალიან ბევრს კი მუ-შაობს, არა? — ექვსი წელია, ჩემთან მუშაობს, მანამდე ერ-თი წელი მამად ჰუსეინთან იყო შეგირდად. ძა-ლიან პატროსანია, სიცოცხლეს ვანდობ. — ჩვენს ქუჩაზე ყველაზე მეტი დამკვეთი მა-გას ჰყავს. — სწორედ ალაჰმა გამომიგზავნა ეს ბიჭი. — ოჯახი თუ ჰყავს? — არა, ოჯახზე ვერ დავლაპარაკებ. მამად ჰუ-სეინი ერთ კარგ ქაშმირელ გოგოს ურიგებდა. გაგონება არ უნდა. — რა ჰქვია? — ჰალილ ბეგი. — კარგი სახელია, ლაპორის სულთანს შე-შურდებოდა. სად ცხოვრობს? — აქვე, ქუჩის ბოლოს ერთი ოთახი უჭირავს. წითელი მზე სწორედ ქუჩის ბოლოს ჩადიო-და. როგორც ყოველთვის, დასავლეთით. — შაფია! შაფია! რატომ ავანთე? რატომ ავ-ანთე? ჰალილ ბეგს სულ მთლად სველს გაეღვიძა. ჰრაქი აანთო. პერანგი გამოიცვალა. ხელ-პირი დაიბანა. დღეს სამი ჩატალი და ხუთი ცხენის ნალი უნდა გამოვჭედო, გაიფიქრა და მარჯვენა ხელზე იმ დამით სიმწრისგან მოკვნიტულ, სა-ნახევროდ შერჩინულ ცერს დახედა. მზე ქუჩის თავიდან ამოდიოდა. ამოდიოდა უზარმაზარი და ოქროსფერი. — დღეს ორასი რუპია იშოვე, ასე თუ გააგ-რიძელ კარგ ფულს დააგროვებ. — ვცდილობ, ნანა! მუჰამედ — აბა, თუ გახსოვს, დღეს რა დღეა? — არ ვიცი, ნანა მუჰამედ — რამ დაგანია, გაიხსენე, შვიდი წლის წინ პირველად რომ გამოჩნდი ამ ქუჩაზე, მშვიდი და ჩამოძვნილი. საღამოს მამად ჰუსეინთან ვიკ-რიბებოთ. სახელოსნოს დაკეტავ და იქ მოხვალ. დღეს შეგიძლია, ცოტა ადრე დაკეტო. — ბევრი სამუშაო მაქვს, ნანა მუჰამედ, უჩე-მოდ აღნიშნეთ, პირს ვერ გაგიტენ. — მე რაც გითხარი, ის გააკეთე, ყველაფერს მოასწრებ. — კარგი, ნანა მუჰამედ.

ბაზრის მხრიდან ორი მამაკაცი გამოჩნდა. ერ-თი ახალგაზრდა, მეორე შუახნისა. კითხვა-კითხ-ვით მიავნეს მჭედელთა ქუჩას და იქვე, ქუჩის დასაწყისში, ერთ ღუქანში შევედნენ. — რას მიერთმევთ? — მაკაი ჩაპატის. — ჰო, ეტყობა, ჩრდილოელები ხართ. — არა, ფაშეგარიდან ჩამოვედით. — კარგი, ახლავე იქნება. მეღუქნე მაგიდას მოშორდა. მამაკაცებმა ერთ-მანეთს გადახედეს. — როგორ მიხვდა ეს ძაღლისშვილი? — არ ვიცი. — კარგი, მოევი. — ინამურ პაკიმ დიდი სამსახური გაგვიწია, სირცხვილს გადაარჩინა ჩვენი გვარი. — ჯერ ვნახოთ... — რა ნახვა უნდა, მაჰმად ომარმა თვითონ ნახა! — მაჰმად ომარმა? — გაიკვირა ახალგაზრ-დამ; — მე რე თავი როგორ შეიკავა? — წესი არ არის და იმიტომ, დაიმახსოვრე!

მჭედელთა ქუჩაზე ჩამოხვედნა. სახელოსნო-თა უმრავლესობა დაიკეტა, მხოლოდ ორ ადგი-ლას ენთო სინათლე. ჰალილ ბეგმა წინსაფარი მოიხსნა, ქუდი მოიხადა, განხურებულ სახეზე წყა-ლი შეისხა, შარვალი ჩამოიბურტყა და თავის ნამუშევრებს გახედა; „ხვალ დილით ადრე მოვ-ლენ წასადებად, ახლა კი მამად ჰუსეინთან წა-ვალ, სირცხვილია, ჩემ გამო შეიკრიბნენ“.

ქუჩა ოდნავდა ბუტყავდა. სინათლე ჩააქრო. ხის კარი გამოიკეტა და ორი დიდი ურდული დაადო. „ნეტა, ვის უცდის ეს კაცი?“ ამის გაფიქრება მოასწრო ჰალილ ბეგმა და მისი სახის წინ რა-ღაცამ გაანათა ისე, როგორც შვიდი წლის წი-ნათ დიაშიროში. თავი უკან გადაუფარდა. ზურგში საშინელი წვა იგრძნო. რატომ ავანთე? ძლივს მოასწრო გაფიქრება და გულგულად დაეცა. ქუჩას კედელ-კედელ ორი ლანდი ჩაუყვა თითქმის სირბილით. ჰაზრათ ვალი უგრძობლად იწვა, მერე მის სხეულს რაღაც მსუბუქი და ჰაეროვანი მოსწყ-ყდა, ცოტა ხანს იტრიალა მის თავზე და დასაგ-ლეუთისკენ გაქროლდა, სადაც, როგორც წესი, მზე ჩადის ხლმდე.

P. S. იმ დამეს დიაშიროში ძაღლები გაბმულად უშუოდნენ. 2005 წ. 7 ივლისი. პაკისტანი. დიაშიროს ხეობა.



სახელები მუიონი

მეთვან ხაჩიკაშვილის საავტორო ჩანართი

„გამარჯობა ყველას“ — ასე ჰქვია რეჟისორ **ვიკტორი-პანტოვი** ფილმს, რომელიც ცნობილი ქართველი მხატვრის ნიკო ფიროსმანის ცხოვრებასა და შემოქმედებას ეხება. ფილმის გადაღებას წინ უსწრებდა სპექტაკლი ფიროსმანის ტრაგიკული ცხოვრების შესახებ „მარტოობის დღესასწაული“. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ამ სპექტაკლისთვის სცენარი რუსმა დრამატურგმა ვადიმ კარასტილიოვმა დაწერა.

- 1972 წელს, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც რუსთავის თეატრში ვმუშაობდი, დავდგი სპექტაკლი - „ფიროსმანი ანუ მარტოობის დღესასწაული“. პიესა დაწერა ცნობილმა რუსმა დრამატურგმა ვადიმ კარასტილიოვმა.

- ეს დრამატურგი საქართველოში მოღვაწეობდა?


- არა, მოსკოვში ცხოვრობდა. ჩვენი ნაცნობობა შედგა მაშინ, როცა რუსთავის თეატრში დავდგი მისი პიესა დეკაბრისტების შესახებ - „ასი წლის შემდეგ“, სპექტაკლს დიდი წარმატება ხვდა წილად როგორც საქართველოში, ისე რუსეთში. სწორედ ვადიმმა შემომთავაზა - მინდა, თქვენთვის დაწერო პიესა ფიროსმანის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. ამის შესახებ დიანაც ხმაშია და განაცხადა, იმიტომ, რომ ის ძალიან კარგად იცნობდა ფიროსმანის ცხოვრების ტრაგიკულ დრამას. ეს ის იშვიათი შემთხვევაა, როცა უცხო ეროვნების ადამიანი ღრმად ჩასწვება ქართველი კაცის სულსა და ხასიათს, ბუნებას, ფსიქოლოგიას. ბრწყინვალე ნაწარმოები შექმნა. ფიროსმანის როლი არაჩვეულებრივად შეასრულა ოთარ მეღვინეთუხუცესმა. დიდი მონდობით ვიმუშავეთ. მოგეხსენებათ, სპექტაკლი ძალიან ამაყვინებდა თავის ცხოვრებას, ამიტომ გადავწყვიტე ფილმიც გადაემეღა ამ არაჩვეულებრივი პიესის მიხედვით - ფილმი-მონოლოგი.

- ეს სპექტაკლი მსახიობებმა მარჯანიშვილის თეატრის სცენაზეც ითამაშეს?

- დიან, ითამაშეს მაშინ, როდესაც მე და ის თერთმეტი მსახიობი, რომლებიც რუსთავის თეატრში ვმუშაობდით, მარჯანიშვილის თეატრში დაბრუნდით.

- რამდენად იცნობდით ფიროსმანის შემოქმედებას?

- მისი ცხოვრება, მისი ტიპები ჩემთვის, რა თქმა უნდა, ცნობილი იყო. ყველა ცნობილი ნახატი ფილმში ცალკე პერსონაჟადაა აღმუშავებული, გაცოცხლებული. ფიროსმანი მართლაც რომ გენიოსი იყო. ჩემი მოსაზრება კიდევ უფრო გაამყარა ერთმა შემთხვევამ. 1964 წელს მაშინდელი გერმანიაში ვაგვეზავებდით, გიორგი ტრესტონოვი და ერთი ფილოსოფოსი - მიხაილოვი. სასწაუროდ მისართმევედ წავიდეთ ფიროსმანის შემოქმედების ამსახველი პატარა წიგნი. კილონში პირველსავე შეხვედრაზე გამაცნენ ცნობილი თეატრალური მხატვარი კოიტინი. ეს წიგნი ამ მხატვარს ვაჩუქე. მეორე დღით თარჯიმანმა მითხრა, ბატონო კოიტინის თქვენთან შეხვედრა სურსო. რა თქმა უნდა, შევხვედით ერთმანეთს. ის აღფრთოვანებას ვერ მალავდა - ასეთი გენიალური მხატვარი



ჯერ არ მინახავს, როგორ შეიძლება ამ გენიოსზე თქვა პრიმიტივისტიაო. შემდეგ, როდესაც პეტერბურგში (ლენინგრადში) გამოვიცა ფიროსმანის შემოქმედების ამსახველი ალბომი, კოიტინის გერმანიაში გაგვზავნე.

ფიროსმანი ჩვენთვის მართლაც სიხარული კი არა, დიდი ტკივილია. წარმოიდგინეთ, მე-თორმეტე ან მეთათმეტე საუკუნეში კი არა, აგერ, თითქმის ჩვენს საუკუნეში (ცხოვრობდა, და, რაოდენ სამწუხაროა, რომ ვერც კი გავიგეთ, როდის გარდაიცვალა, სად დაიბარბა... მაშინ მხატვართა კავშირი უკვე არსებობდა. რადგან ცნობილი მხატვრები - ზდანევიჩები და სხვები ორ შაურად და ერთი ჭიქა არყის საფასურად ყიდულობდნენ ამ შედეგებს, ე. ი. იკოდნენ, რომ გენიოსი იყო. ჩემთვის, მაგალითად, გოგო გაბაშვილის პოზიცია უფრო მისაღებაა, რომელიც არ აღიარებდა ფიროსმანს, მაგრამ ვინაა ის ხელი არ გაუმართა, როგორ დაუშვებს, რომ ეს გენიოსი კიბის ქვეშ მომკვდარიყო შიმშილით. შემდეგ, როდესაც ფიროსმანი მართლაც აღიარეს, როდესაც ლუვრში ფიროსმანის ნახატების გამოფენა გაიხსნა და საფრანგეთის კულტურის მინისტრმა შეაფასა ქართველი მხატვარი, სინანულის ცრემლები მომეძვალა. ... ფიროსმანზე არაჩვეულებრივი მოვალეობაა და მწერალს გოგლა ლენინიძეს, სულის შემძვრელია ფიროსმანის სიკვდილის ვერსიები. ერთ-ერთი ასეთია: ფიროსმანმა სიკვდილი შეიკვლია ანატომიურ საზოგადოებას მიპყიდა თავისი ჩონჩხი. შესაძლოა, რაღაც სიმართლის მარცვალი იყოს ამას, რადგან ფიროსმანის საფლავი არ ვიცით. ასეთი დაუფასებლობა, უყურადღებობა, ჩვენი ერის ხასიათია - სიყვარულიც გადაჭარბებული ვიცი და უყურადღებობაც.

- რომელ მასალებზე დაყრდნობით შექმნა რუსმა დრამატურგმა პიესა?

- ისტორიულ მასალებზე დაყრდნობით. გოგლა ლენინიძეს აქვს ფიროსმანის შესახებ

კვლევები, ლალო გულიაშვილის აქვს დაწერილი მოგონებები. ძირფეხიანად შეისწავლა ყველაფერი. ამავე დროს, ჩვენ აქტიურად ვთანამშრომლობდით ცნობილ პოეტ მიშა ქვლივიძესთან, რომლის თარგმანებითაც დაიწყო რუსთავის თეატრის

სიყვარულითა და გულმოდგინებით მიიღწევა. ერთს გეტყვით კიდევ - სანამ სერგო ზაქარაიძე „მეტეხის ჩრდილში“ მეწვალის როლს ითამაშებდა, სპეციალურად მეწვალეთან დადიოდა, რათა შეესწავლა მათი მხარეები, მოქმედება, ფეხსაცმ-

„გამარჯობა ყველას“.. ფილმიც რომ ამ ფრანგით მთავრდება. მაგრამ, რა თქმა უნდა, „მარტოობის დღესასწაული“ გენიალურია, იმიტომ, რომ ასეთი ადამიანი საზოგადოების მიერ, ისინი მარტონი არიან ამ ცხოვრებაში. კაცობრიობის ისტორია სასუსე მსგავსი მაგალითებით - გენიოსები ყოველთვის უმცირესობაში არიან, სამწუხაროდ, უმრავლესობა უმცირესობას ნაკლებად უწევს ახგარის...

- ბატონო გოგა, ის ხანლი, რომლის კიბის ქვეშაც ფიროსმანი ცხოვრობდა, დღესაც არსებობს?

- არა, დანგრეულია. ფიროსმანის თბილისი ვორონცოვის ხილსა და ახლანდელ ნაძალადევის დასაწყისს შორის მდებარეობდა, ის იყო მისი უბანი, იქ ხატავდა შედეგებს.

- მალხაზ გორგილაძის გმირში ლალო გულიაშვილი იგულისხმება?

- არა, აქ იგულისხმება რუსი მხატვარი, „წითელი ცხენის“ ავტორი... მალხაზ გორგილაძე ჩემი ცხოვრების უდიდესი ტიპ-

იყნის მისი ფენომენი.

- ვინ იმუშავა ქორეოგრაფიად?

- ოთარ ზარეცივი, მაგრამ ის სცენა, სადაც ოთარი ცეკვავს, სცენარში არ გეტყობდა. შემთხვევით დამებადა ეს იდეა, როდესაც მეგობრებთან ერთად მე და ოთარი რესტორანში ვიყავით. ოთარმა იცეკვა (პირველად ვნახე მისი ცეკვა). მაშინ ვუთხარა, - სპექტაკლშიც უნდა იცეკრო-მეთქი. მისი მოძრაობა მარტო ცეკვა არ არის, ეს არის რიტუალი, სულის გამოხატულება, საოცარი პლასტიკით შესრულებული.

- ფიროსმანის შემოქმედებიდან რომელ ნახატს გამოარჩევთ?

- ყველა მომწონს, განსაკუთრებით გამოვარჩევ იმ ნახატს, სადაც ნაჩვენებია მდიდრისა და ღარიბის ოჯახები. ფანტასტიკურია ქვიშის სცენები - ყველა ორიგინალურია. „ჟირაფი“ - მისი თვალები ცოცხალი ადამიანის თვალზეა. აქ ფიროსმანიც ამბობს, - ფანტაზიები არა მაქვს, ამისი თვალები მინათებენო.

- ბატონო გოგა, თქვენ აპირებდით ფილმს გადაღებას ალექსანდრე ყაზბეგის ცხოვრების შესახებ...

- არასდროს ისე არ სჭირებდა ქართველ კაცს ყაზბეგის შემოქმედების წარმოჩენა, როგორც ახლა, მაპატიეთ და, „დედობის“ ხანაში - სწორედ ცეკვორებმა ეკრანზე ქართველი ვაჟკაცების გამოჩენა, რომლებმაც იციან ძმობა, მეგობრობა, თავდადება, სამშობლოადი განუსაზღვრელი სიყვარული, ქალისადმი პატივისცემა. დანაშაულია, რომ ეს ფილმი ვერ გადავიღე - რა გქნა, კინოს დაფინანსების გარეშე ვერ გადავიღე. დიდი ფუფუნებაა, მაგრამ - საჭირო. ალექსანდრე ყაზბეგის გმირების შემართება დღეს პატივით სჭირდება ქართველ საზოგადოებას.

ვიკტორი-პანტოვი: ქა ვინც ნახავს უნდა იხსენიოს უზირიუზირი პასაკუხვიანს დათავაშუიკსა!

ცხოვრება - „სირანო დე ბერჟერაკი“ მან თარგმნა, ასევე „ასი წლის შემდეგ“, „ფსიქოზი“, „მესტრო“, „ჩრდილი“ - და ეს პიესაც ფიროსმანზე. ისეთი თარგმანი მოიტანა, ერთი წუთითაც ვერ იფიქრებდით, რომ ორიგინალური ნაწარმოები არ იყო.

როდესაც ეს ფილმი ეკრანზე გავიდა, პეტერბურგიდან (ლენინგრადიდან) მივიღე მარგარიტას შვილიშვილის წერილი. სწორედ იმ მოცულობაზე მარგარიტას, რომელიც ფიროსმანმა თავისი საფასურად ყიდულობდნენ ამ შედეგებს, ე. ი. იკოდნენ, რომ გენიოსი იყო. ჩემთვის, მაგალითად, გოგო გაბაშვილის პოზიცია უფრო მისაღებაა, რომელიც არ აღიარებდა ფიროსმანს, მაგრამ ვინაა ის ხელი არ გაუმართა, როგორ დაუშვებს, რომ ეს გენიოსი კიბის ქვეშ მომკვდარიყო შიმშილით. შემდეგ, როდესაც ფიროსმანი მართლაც აღიარეს, როდესაც ლუვრში ფიროსმანის ნახატების გამოფენა გაიხსნა და საფრანგეთის კულტურის მინისტრმა შეაფასა ქართველი მხატვარი, სინანულის ცრემლები მომეძვალა. ... ფიროსმანზე არაჩვეულებრივი მოვალეობაა და მწერალს გოგლა ლენინიძეს, სულის შემძვრელია ფიროსმანის სიკვდილის ვერსიები. ერთ-ერთი ასეთია: ფიროსმანმა სიკვდილი შეიკვლია ანატომიურ საზოგადოებას მიპყიდა თავისი ჩონჩხი. შესაძლოა, რაღაც სიმართლის მარცვალი იყოს ამას, რადგან ფიროსმანის საფლავი არ ვიცით. ასეთი დაუფასებლობა, უყურადღებობა, ჩვენი ერის ხასიათია - სიყვარულიც გადაჭარბებული ვიცი და უყურადღებობაც.

- ესე იგი მარგარიტა მართლაც არსებობდა ფიროსმანის ცხოვრებაში...

- როგორ არა, ეს ცნობილი ფაქტია, ნიკალამ სამი ურემი ვარდი გაუზავნა პატივისცემის ნიშნად მარგარიტას.

- ოთარ მეღვინეთუხუცესი თქვენ რჩეული მსახიობია...

- ფილმის წარმატება იმითაც იყო განპირობებული, რომ ფიროსმანის როლი სწორედ ოთარმა ითამაშა. ერთ დეტალს მოგეხსენებათ. ჩემი მეგობარი ქალბატონი ლილი დოლაბერიძე, კომპოზიტორ სულხან ცინცაძის მეუღლე, რომელიც ხელოვნების მუზეუმში მუშაობდა, ერთხელ მეკითხება - ოთარ მეღვინეთუხუცესი ფიროსმანზე წიგნს რომ არ წერსო. საიდან გავიჩნდა ასეთი აზრი-მეთქი - ვკითხე. - ოთარი ყოველ დღე მოდის, ფიროსმანის ნახატების წინ სამი-ოთხი საათი ზის, ათვალთვობს, ფიქრობსო. ეს, იცით, რაზე მეტყველებს? - დიდი წარმატება მხოლოდ მაღალი პროფესიონალიზმით,



ნიკოლოზ პანტოვი და ოთარ მეღვინეთუხუცესი

ლის კერვაც კი ისწავლა.

- ფილმში იას როლს ვინ ითამაშობს?

- ჩემი ქალიშვილი - ნინო ლორთქიფანიძე. ვფიქრობ, არჩევანში არ შევცდარეფარ. ია რეალური პერსონაჟი არ არის, ის დრამატურგის შექმნილი სახეა, ის, ვინც არ დაუხატავს ფიროსმანს. თვითონაც რომ ეუბნება მხატვარს - აი, მოფარებული ვიდექი, შენ ვერ შემამჩნიე...

- რატომ არ დაუტოვეთ ფილმს სახელი „მარტოობის დღესასწაული“?

- დიან, გენიალური სათაურია „მარტოობის დღესასწაული“. მახსოვს, როდესაც ეს სპექტაკლი მოსკოვში ვითამაშეთ, წარმოდგენის შემდეგ ცნობილი რეჟისორი ლიონოვა ატირებულ შემოვიდა საგრიმირებოში - ასეთი შედეგია, მართლაც მარტოობის დღესასწაული, არასდროს მინახავსო. ფილმის გადაღების შემდეგ არ მოგვეცეს უფლება, იგივე სათაური დავეტოვებინა (მოსკოვის დაკვეთა იყო, გვითხრეს, მარტოობა პესიმისტურად უღერდესო), ამიტომაც შევცვალეთ -



ოთარ მეღვინეთუხუცესი და მალხაზ გორგილაძე

ვილია, არაჩვეულებრივი, უნიკურესი პიროვნება. სამწუხაროდ, კინოში ბევრი როლი არ შეუძლებოდა. მოკრძალებული იყო, არავის აწუხებდა, არც ფეხქვეშ გაეგებოდა ვინმეს, ოღონდ კი როლი მიეღო... ამ ფილმში შესანიშნავად ითამაშა. ეპიზოდებში გვიჩვენა გვერდებინა ის, რომ ფიროსმანის ხასიათსა და ბუნებას ჩასწვდნენ მაშინდელი მხატვრები, ამო-



ქარკი ფილმიდან

კინორეჟისორი ბუბული მბალაძე თავის პირველ ნამუშევარსა („ბურთი და მოედანი“) და დებოუტანტს ამ ფილმში, უნიჭიერეს მსახიობ იპოლიტე ხეიას იხსენებს.

- ამ ორიოდე კვირის წინ ტელევიზიაში მითხრეს, - თქვენი ფილმი „ბურთი და მოედანი“ ჩაპლინის საყვარელი კინოსურათი ყოფილაო. გამოვიკვირე (სადაც არქივში მიუგნიათ). შემდეგ ეს ფაქტი ჩემმა მეზობელმა (მწერალია) დამიხსენებდა. რა თქმა უნდა, გამიხარდა. ეს ფილმი 1962 წელს გადავიღე. 1965 წელს ამერიკიდან ახალჩამოსულმა ნუგზარ შარიაძემ ერთი ამბავი მიახმობ: ბროდვეიზე სეირნობისას დიდ სარეკლამო პანოზე კოვბოს ფორმაში გამოწყობილ მამაკაცს მივაჯექიე ყურადღება - იპოლიტე ხეიას ჰგავდა. ქვემოთ ინგლისურად ეწერა „ბურთი და მოედანი“. ავიღე ბილეთი და კინოსეანსზე შევედი... მაყურებელი გულიანად ხარხარებდა, მაგრამ ყველაზე მეტად მე ვიცინოდიო. - რატომ მეთქი, ვკითხე. - იპოლიტე ინგლისურად რომ ლაპარაკობდა, იმაზე ვიცინოდიო... ის რომ მცოდნოდა, ჩემი კომედია ჩაპლინის მოეწონებოდა, სულ კომედიებს გადავიღებდი.

- იპოლიტე ხეიამ ეს როლი ბრწყინვალედ ითამაშა...

- მანამდე იპოლიტეს არც ვიცნობდი. მახსოვს, რობერტ სტურუას სიმამრმა მიხეილ კვესელავამ (მაშინ კინოსტუდიის დირექტორი იყო) მე და სულიკო ჟღენტს გვითხრა: ქუთაისში უნიჭიერესი მსახიობია - იპოლიტე ხეია, დაწერეთ სცენარი მისთვის, ფილმი გადაიღეთო. გავგინახრდა. როგორი ამბავია, დირექტორმა თავისი სურვილით დაგვიძახა და ფილმის გადაღება დაგვავალა (მაშინ ეს ადვილი არ იყო). სულიკომ სცენარი დაწერა, შინაარსი ჩვენს ახლობლებს გავაცანით, ძალიან მოეწონათ. მაშინვე მივხვდი, რომ კარგი ფილმი გამოვიდოდა. იპოლიტე ისე მოვიწვიეთ ქუთაისიდან, სინჯები არც გადავვიღეთ. სიკო დოლიძე გადაღებულ ეპიზოდებზე გულიანად იცინოდა, - კაცო, ეს ვინ ყოფილა, საიდან მოიყვანეთო...

- შენობა, სადაც იპოლიტე და მისი თანამშრომლები მუშაობენ, სად შეარჩიეთ?

- პავლიონი ავაშენეთ. იყო მაშინ ამის საშუალება, მატერიალურად კინოს არ უჭირდა.

- იპოლიტე ხეიას ფეხბურთი უყვარდა?

- მართალი გითხრათ, აღარ მახსოვს, ალბათ, უყვარდა...

- თქვენამდე თუ გადაიღეს იპოლიტე ხეიას კინოფილმებში?

- პატარა ეპიზოდებში, ალბათ, იყო გადაღებული, მაგრამ ფართო საზოგადოებაში იპოლიტე ამ ფილმით გაიცნო (ქუთაისში, რა თქმა უნდა, იცნობდნენ, როგორც თეატრის მსახიობს)... ამ ფილმმა მრავალი პრიზი აიღო, მოსკოვშიც დიდი მოწონება დაიმსახურა. დაჯილდოვდა, როგორც საუკეთესო კომედიური ჟანრის ფილმი. შემდეგ, როგორც აღმოჩნდა, ამერიკაშიც გაიყვინდა. იპოლიტეს გმირის სახელი - კუჭკუჭი დღემდე ყველას ახსოვს.

კომედიის გადაღება, საერთოდ, იმ პერიოდში დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. ხელისუფლებას ეშინოდა, კომედია სატირაში არ გადასულიყო. მიუხედავად ამისა, მაინც შევძელით ერთი დეტალის გადაღება. თუ გახსოვთ, იპოლიტეს გმირს სამი კაცი ასამართლებს - 1937 წელს ხომ ე. წ. „ტროიკა“ - სამი კაცი ასამართლებდა ბრალდებულებს. ფილმი ისე მოეწონათ ცეკაში, ამაზე თვალი დახუჭეს...

- რატომ არის კომედიური ფილმი რთული გადასაღები?

- ახალგაზრდობაში ვვიჭრობდი, ამაზე იოლი არაფერია-მეთქი. მაგრამ ძალიან ძნელია... ღრამის გადაღება თითქმის ყველა რეჟისორს შეუძლია. სისუსტის დანახვა, შემჩნევა რთული. კომედიაში თუ არ გვაკინე მაყურებელი, არაფერი გამოვა. ვნანობ, რომ სულ კომედიები არ გადავიღე. დიდი ჟანრია ტრაგიკომედიაც. სცენარის მქონდა დაწერილი, მაგრამ უსახსრობის გამო ვერ გადავიღე. შემდეგ ეს სცენარი გავამართივე, გავაიოლე და გადავიღე ფილმი „გაჭედლები“. მთავარი როლი ოთარ მელვიხეთუხუცესმა ითამაშა (ავტობიოგრაფიული ფილმი), დღევანდელი ყოფა წარმოვაჩინე. ტელევიზიით ეს ფილმი არაერთხელ აჩვენეს, მაგრამ, რატომღაც, სათაური აღარ მომწონს. თავიდან სცენარს „ენკი-ბენკი სიკლისა“ დავარქვი. შევცდი, არ უნდა შემეცვალა, მაყურებელი ადვილად დაიმახსოვრებდა. აი, „ბურთი და მოედანი“ ყველას ახსოვს.

30-წუთიანი მოკლემეტრაჟიანი ფილმი.


- მსახიობთა შესანიშნავი ანსამბლია...

- დიას, იპოლიტე, ვახტანგ ნინუა, ოთარ ზაუტაშვილი, დოდო აბაშიძე. სინჯები არავის გაუფლია, ყველამ შესანიშნავად ითამაშა.

- რომელი სტადიონია გადაღებული?

- ვაკეში, „ლოკომოტივის“ სტადიონზე გადავიღეთ. სხვათაშორის, სწორედ ფეხბურთის მატჩის დროს. მახსოვს, თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის „ტორპედოს“ შეხვედრა იყო (რუსეთის გუნდში მაშინ სლავა მეტრეველი თამაშობდა). პირველი ტაიმის დასრულების შემდეგ მზე ჩავიდა და გადაღება შეწყვიტეთ. ბეგრი ხალხი იყო. ზოგიერთები ხეებზე ისდნენ. ტრიბუნების ქვემოთ ჩავიდა და სათადარიგო ფეხბურთელების სკამზე ჩამოვკეცი. გვერდით სლავა მომიჯდა (მეორე ტაიმში არ თამაშობდა, ქართველების წინააღმდეგ გამოსვლას ერიდებოდა). სლავას გადავხევი... შარშან იმავ სტადიონზე ჩემს ქალიშვილს ვლადიმერ გუცაევი გავაცანი. ვოვას ვუთხარი, - ფეხბურთის განვითარებაში მეც მაქვს პატარა წვლილი შეტანილი, „ბურთი და მოედანი“ ხომ გადავიღე-მეთქი. - რას ამბობთ, მატჩის წინ ამ ფილმს როცა ვუყურებდით, აღარ ვაგებდით, ისეთ განწყობაზე ვდგებოდითო, - მიბასუხა. - შე დალოცვილო, მერე ყველა მატჩის წინ გეყურებინათ-მეთქი...

ვისსენახტი



კადრები ფილმიდან „ბურთი და მოედანი“



„ბურთი და მოედანი“

ფილმის გადაღებიდან 44 წელიწადი გავიდა. მაყურებელი დღესაც დიდი ინტერესით უყურებს. ეს იპოლიტეს დამსახურებაა, სხვა მსახიობი რომ ყოფილიყო, ალბათ, ასეთი წარმატება წილად არ ხვდებოდა. თუ მსახიობი თავად არ არის ნიჭიერი, რეჟისორი, რაც უნდა ეცადოს, როდესაც ვერ მოარგებს. თუ გახსოვთ ეპიზოდი - სიხარულისაგან რომ შეკუნტრულდება იპოლიტე - თვითონ მოიფიქრა. სხვათაშორის, ჩაპლინი მსგავს დეტალებს დიდ ყურადღებას აქცევდა. იპოლიტეს პერსონაჟის გამოსაკვეთად კალათბურთელიც მოვიწვიეთ (ლევია)... სხვათაშორის, ეს ფილმი ჩემი სადიპლომო ნაშრომი იყო. მოსკოვში ინსტიტუტიდან მაგდებდნენ - მეორედ რატომ სწავლობ ინსტიტუტში (სამსახიობო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ სარეჟისოროზე ჩავაბარე). გერასიმოვმა ამ ფილმის ნახვის შემდეგ მითხრა: А мы хотели вас выпнать из института... ძალიან მოეწონა... ჩემი პირველი საკურსო ნამუშევარი იყო „განთიადი“. ვერ დავეკვინე, რომ შესანიშნავი გამოვიდა. ბოლო ფილმიც „გაჭედლები“ იმ ტრაგიკომედიის მიხედვით ვერ გადავიღე, რაც ჩაფიქრებული მქონდა (სცენარს წელიწად-ნახევარი ვწერდი)...






ცნობილი მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი **ბივი თოსაძე** ასევე მეტ ფილმშია გადაღებული. მას იწვევდნენ როგორც საქართველოს, ისე ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ცნობილ კინოსტუდიებში. რომ არა მისი მოკრძალება, შემოქმედებით ბიოგრაფიაში გაცივლებით მეტ როლს დაითვლიდა. დღეს მსახიობი მკ წლისაა. კინოში მისი დებიუტი ლეო ესაკიას ფილმში შედგა. „ბაში-აჩუკში“ მან შეაღწა ერისთავის როლი განასახიერა.




„ტუპარჩა“


ვნანო, ბივი თოსაძე რუსთაველის თეატრიდან რომ წაეღო



„უბრიში მღინარე“



გივი თოსაძე — შალვა მრისთავი, „ბაში-აჩუკი“



„შევვარე-ბული კულინარის 1001 რეცეპტი“

შალვა მრისთავი, ზეპირი ფა-ლია შვილის სახელობის მეორე სა-მუსიკო ნელოვების სკოლის დირექტორი, რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგი, ერთ დროს ფილარმონიის ხოლისტი, გივი თოსაძის მეუღლე:

- გივი ბავშვობიდანვე გატაცებული იყო თეატრით. ჯერ კიდევ მოსწავლეობისას მონაწილეობდა სკოლაში დადგმულ სპექტაკლებში. არდადეგებზე, როცა მასთან ერთად სოფელში ისვენებდა, შეკრებდა ბავშვებს და წარმოადგენდა დგამს. თეატრალური ინსტიტუტში 1945 წელს ჩაირიცხა, ომიდან დაბრუნების შემდეგ.

- ბატონო გივი დიდი სამაშალო ომის მონაწილეა?

- დიახ. გაიბარა. გივის ძმა იმ პერიოდში ლენინგრადში სწავლობდა. გერმანელების მიერ პირველივე დარტყმის დროს დაიღუპა. ამ ტრაგიდიით გამწვანებული ყმაწვილი ოჯახიდან ფრონტზე გაიბარა. 1943 წელს გულის არეში მძიმედ დაიჭრა. კომკავშირის მანდატმა და მედალმა გადაარჩინა, რომელიც მარცხენა გულისჩაბეჭდვით ელო - ტყვია აისხლიტა (ის მანდატი ხალხთა მეგობრობის მუზეუმში ინახება).

- ნაომარს თეატრალური ინსტიტუტში ჩაბარება არ გასჭირვებია?

- არა. გივი გარეგნობითაც გამოირჩეოდა, ნიჭიერიც იყო, ამავე დროს, არაჩვეულებრივი ქვეყნებთან ურთიერთობის ორგანიზაციაში. კონტაქტი ჰქონდა იმ პერიოდში საქართველოში ჩამოსვლულ უცხოელებთან. ეს იყო 1956 წელი. სწორედ მაშინ მიიწვია ლეო ესაკიამ „ბაში-აჩუკის“ გადაღებებზე. მაშინ გივი სამსახურში ძალიან დაკავებული იყო, ამიტომ მთავარ როლზე ოთარ კობერიძე დაამტკიცეს, გივიმ ეპიზოდური - შალვა ერისთავის როლი განასახიერა. 1957 წელს „საბუღარულ ჭაბუკში“ გადაიდგა (უმანგი გაბადაძე), მოგვიანებით „ჭიკოკონაში“ მთავარი როლი - ოქროპირი ითამაშა. გივიმ მრავალი როლი განასახიერა საბჭოთა კავშირის ცნობილ კინოსტუდიებში. სვერდლოვსკში გაემგზავრა, მივიდა კინოსტუდიაში. ლაპინინმა უკმაყოფილოდ უთხრა მოადგილეს, - ეს ვინ ჩამომიყვანე?! მე სულ სხვა ტიპაჟი მჭირდებოდა... მაგრამ როცა გივის გრიმი გაუკეთეს და კოსტიუმი ჩააცვეს, მოეწონათ, ულაპარაკოდ დაამტკიცეს.

- ბატონო გივი, თქვენი ცნობილი გმირი უმანგი გაბადაძე „საბუღარულ ჭაბუკში“ უარყოფითი პერსონაჟია...

ბივი თოსაძე: - დიახ, უარყოფითი პერსონაჟია, მაგრამ ძალიან მიყვარს. როცა ამ როლზე დამამტკიცეს, ედიშერ მაღალაშვილს ვაუხარდა, - უარყოფითი როლი მე აღარ მთამამებენო (იციანის).



„ჭიკოკონა“: მთავარ როლში ბივი თოსაძე — ოქროპირი

- პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწეოდით?

- დიახ, ჩემ მიერ ჩამოყალიბებულ სტუდიაში მეტყველებას ვასწავლიდი. **- ბატონო გივი, თქვენი მშობლებიც მსახიობები იყვნენ?** - არა, დედა ექიმი იყო, მამა - ეკონომისტი. დედაჩემს ძალიან უნდოდა, მეც მედიცინა ამერჩია. თეატრალურში ჩუმად შევიტანე საბუღარო. **- შვილებმა თუ ისურვეს მსახიობობა?** - დიახ, ჩემმა უმცროსმა ვაჟმა - მამუკამ თეატრალური დამთავრა. რეჟისორია. სამი ვაჟი მყავს, უფროსი - კოტე ქიმიკოსია, შუათანა - ოთარი - ეკონომისტი.

შალვა მრისთავი: - ცნობილი რუსი მსახიობი ვლადიმეროვა („უბრიში მღინარეში“ თამაშობდა) გივის სწერდა: მე მადლობელი ვარ ბედის, რომ მაჩუქა ორი შესვედრა თქვენთან ერთად. გივი მაქსიმეს თუ არაჩვეულებრივი ადამიანი და მსახიობია... გივის პარტნიორები იყვნენ არა მარტო ცნობილი ქართველი მსახიობები, არამედ უცხოელებიც, მაგალითად, მალკოლმ მაკლოუელი („მეფის მკვლელები“), რუსი მსახიობები: ბორის ანდრეევი, იანკოვსკი, ჩურსინა. იმუშავა ბონდარჩუკთანაც („კრაზანა“).

- ბატონო გივი, ალბათ, ბევრი თავგანისმცემელი ქალბატონი გყავდათ...

- ყველას ვუსურვებ ისეთ ოჯახურ ურთიერთობას, როგორიც მე და ჩემს მეუღლეს გვაქვს.




„ბაში აჩუკის“ ბალაშინისას

შალვა მრისთავი: - 50 წელია, ცოლ-ქმარი ვართ, ერთხელ არ შემიწინავეს, გივის ჩემთვის ყურადღება მოედუნებინოს. სულ ერთად ვიყავით, გადაღებებზეც ვახლდი, უჩემოდ წასვლა არ უყვარდა.

- დღევანდელი გადასახედიდან როგორ შეაფასებთ თქვენ მიერ განსახიერებულ როლებს?

- კრიტიკულად ვუყურებ, ისეთი არ არის, როგორც უნდა იყოს, ვერ შევძელი. **შალვა მრისთავი:** - ძალიან მომწონს გივის გმირი „უბრიში მღინარეში“. მიუხედავად იმისა, რომ ეს პერსონაჟი ბანდელი იყო, მრავალჯერ ნაცინარი, მაინც არის მასში უდიდესი გრძნობა, რასაც სიყვარული ჰქვია. ჩემმა მეუღლემ შეძლო, უარყოფით პერსონაჟში დადებითი გმირის თვისებებიც დამაჩვენებლად წარმოეჩინა და განსახიერებინა ეს ტრაგიკული პიროვნება. საერთოდ, გივის ყველა გმირი მიყვარს, იმიტომ, რომ სულსა და ენერჯიას არ იშურებდა, დაუღალავად შრომობდა, თავს არ ზოგავდა.

ბივი თოსაძე: - სახლში ისეთი არაჩვეულებრივი ქალბატონი მელოდებოდა, როგორც ჩემი მეუღლე, ზრდიდა სამ შვილს და მის ერთგულსა და სიყვარულში ეჭვი არასოდეს შემპარვია. წლები გავიდა, უკვე ასაკში ვართ, ლაურა ჩემზე 10 წლით უმცროსია. ჩემს თავს არ დავებებ, ოღონდ მას არაფერი წამოსტკივდეს... განსახიერებელი როლები კარგია, მაგრამ ოჯახი ყველაზე დიდი სიმდიდრეა ამქვეყნად.



ორი წლის წინ სრულიად უცნობი გოგონა ბრიტანული პოპმუსიკის ელიტაში შეიჭრა და პიტაბლუის სათავეში მოექცა. ის 19 წლის იყო, წარმოშობით რომელიღაც უცხო ქვეყნიდან და მის მუსიკაში ბრიტანელის კურსათვის უჩვეულო მოტივები უღერდა.

მისი პირველი ალბომი „Call off the search“ („შეწყვიტეთ ძებნა“) 1,8 მლნ ტირაჟით გაიყიდა, ხოლო მეორე — „Piece by piece“ („ნაჭერ-ნაჭერ“) — გამოსვლის დღესვე ბრიტანული სარეიტინგო სიის სათავეში მოექცა. ქვეყანაში, სადაც თანამედროვე პოპმუსიკის უამრავი ვარსკვლავი ცხოვრობს და მოღვაწეობს, ეს უნიკალური მიღწევაა. დღეს მათი მუსიკა არაბრიტანული გვიანდელი მუსიკალური მოვლენაა, თანაც, უკვე არამხოლოდ დიდ ბრიტანეთში. კრიტიკოსები აღფრთოვანებას ვერ მალავენ და მას „ბრიტანეთის ნორა ჯონსი“ უწოდებენ. მრავალრიცხოვანმა ფანებმა შეძლეს მისი სრულიად არაბრიტანული გვიანდელი მუსიკალური მოვლენის დასახელება და, როდესაც შემთხვევა მიეცემათ ხოლომე, სიმღერებით ავიხსნიან, რომ ჯორჯია (ინგლისურად ასე გამოითქმის საქართველო) არა მარტო შტატთა აშშ-ში, არამედ კავკასიის ერთ-ერთი ქვეყანაცაა.

ქეთი, ისევე, როგორც მისი მასშტაბის ყველა ვარსკვლავი, ინტერვიუსთვის მიუწვდომელია. საავტენტოში, რომელიც მისი საქმეების მოვარებით არის დაკავებული, თავდაპირველად დიდხანს მიყვებოდნენ მომღერლის მოუცვლელობაზე, მაგრამ დაინტერესდნენ ხევის შემდეგ ქეთისთვის ჩემი თხოვნის გადაცემაზე მაინც დავითანხმე. მისმა მენეჯერმა სტივ კროუსდორდმა მალე დაიმთხვრა და, როცა დარწმუნდა, საქმე რუსული გაზეთის კორესპონდენტთან ჰქონდა, დამხიარდა: „ქეთი უახლოეს დღეებში აუცილებლად დაგითმობთ დროს საუბრისთვის“.

ქეთი ძალიან თავზიანი და მოკრძალებული ადამიანი აღმოჩნდა. ვარსკვლავური ქედმაღლობისა და ამპარტავნობის არავითარი ნიშნის არაა. არაჩვეულებრივად მეტყველი თვალები, სასიამოვნო გარეგნობა, უბრალო, უპრეტენზიო სამოსელი. თავდაჯერებულია, ამასთანავე, თანამოსაუბრის მიმართ ყურადღებიანი. ლაპარაკი შეუძლია და მოსმენაც. ვერც კი შევამჩნიე, როგორ გადაიზარდა ინტერვიუ თბილად, გულთბილად საუბარში.

თუმცა, მისი დასაწყისი ჩემთვის მოულოდნელი აღმოჩნდა. — თქვენ ქართული სახელი გქვიათ, — სწორი, გამართული რუსულით მითხრა ქეთიმ. — დიახ, თქვენ კი რუსულად მშვენივრად ლაპარაკობთ.

სფეროში მოღვაწეობა?

— არა, ეს მოგვიანებით მოხდა. შემდეგ ქეთის ბედმა გაუღიმა. ერთხელ მის ინსტიტუტს ცნობილი ინგლისელი კომპოზიტორი და პროდიუსერი მაიკ ბატი ეწვია. თავისი ჯგუფისთვის გიტარისტს ეძებდა, მაგრამ, როცა ქეთის სიმღერა მოისმინა, ისე, რომ დიდხანს არ უფიქრია, გოგონას არა მარტო თანამშრომლობა, პირველი ალბომის გამოშვებაში დახმარებაც შესთავაზა. მაშინ ქეთი 16 წლის იყო.

— ჩემთვის ეს უდიდესი მოვლენა იყო, — ყვება ქეთი, — ალბომზე მუშაობამ 9 თვეს გასტანა. არ ვქარობდით, ვცდილობდით, საჭირო ხარისხისთვის მიგვეღწია. ეს საოცარი შემოქმედებითი პროცესი იყო. შედეგად ალბომში არამარტო ჩემი, მაიკის სიმღერებიც შევიდა. მასთან მუშაობა ძალიან მომწონს, მუსიკისადმი ერთნაირი დამოკიდებულება გვაქვს.

როდესაც ქეთის მის მიერ შე-

ქმნილი მუსიკის დახასიათება ვინაობა, მიპასუხა:

— ცოტა ბლუზი, ცოტა ფოლკი.

— კი მაგრამ, თქვენზე ამბობენ, ჯაზის მიმდევარია...

— სრულიადაც არა. ვფიქრობ, ნამდვილ ჯაზმენებს ეწევიან, თუ შეიტყობენ, რომ მათ გვერდით მომისხენიებენ.

ჯაზმა ჩემზე დიდი გავლენა იქონია, თუმცა, შესაბამისი განათლება არ მიმიღია და ამიტომ არც ჩემი სიმღერა და არც გიტარაზე დაკვრა ნამდვილი ჯაზის მოთხოვნებს არ აკმაყოფილებს. ჩემს თავს აკუსტიკური მუსიკოსს უფრო ვუწოდებდი.

— როგორი დამოკიდებულება გაქვთ წარმატების მიმართ? ელოდით, რომ მუსიკის ფანტიკოსთა გულს ასე უცებ დაიპყრობდით?

— არა, არ ველოდი. საერთოდ, წარმატების მოსაპოვებლად კი არა, იმიტომ ვწერ, რომ სიმღერების შექმნა მომწონს. ვეძებ საჭირო ბგერას, სიტყვას... სხვა შემსრულებლებს არ ვეჭიბრები. ვცდილობ, ხალხს ჩემი ავუსხსნა, დავანახო.

— ამის მიუხედავად, ქეთი მელუა უკვე ვარსკვლავის სტატუსის მფლობელია. შეიცვალა რამე თქვენ ცხოვრებაში?

— არა! ისეთივე ვარ, როგორც წარმატებამდე ვიყავი. ისევ ისე ვიქცევი, იმასვე ვჭამ, იგივე ადამიანები მიყვარს.

— ახლანაირი ერთ-ერთი ტელეარხის კომენტატორმა გაოცება ვერ დამალა, როდესაც ბრიტანული მუსიკალური პრემიების გადაცემის ცერემონიაზე მოკრძალებული, არც ისე ძვირფასი კაბით გამოცხადდით...

— დიახ, ის კაბა 50 გირვანქად თუ, მგონი, უფრო იაფად შევიძინე. მერე რა? არ ვაპირებ, ჩემი მორთულობით ვინმე გავაკვირო.

— ფული? ის ხომ ოქროს წვიმასავით მოდის?

ქეთი არ ასახელებს თანხას, რომელსაც გამოიმუშავებს, მაგრამ შენიშნავს, რომ ფულში სულაც არ ბანაობს. ამბობს, რომ ალბომებისა და სინგლების პრომოუშენზე დიდხანს ფული ეხარჯება. თუმცა, რა თქმა უნდა, ცოტას ნამდვილად არ გამოიმუშავებს. მან უკვე იყიდა სახლი ლონდონში. უძრავ ქონებაზე ადგილობრივი ფასების გათვალისწინებით, მისი ბევრი თანატოლისთვის ეს მიუღწეველი ოცნებაა.

— თქვენი საყვარელი ადამიანები?

— ჩემი ოჯახი. დედა, მამა — ყველაფერს მათ უნდა ვუმადლოდე! მათი მხარდაჭერა, უბრალოდ, შეუფასებელია. იცით, დედა რა გემრიელი კერძებს ამზადებს?! განსაკუთრებით საცვივს...

— ორი წლის წინ ბრიტანეთის მოქალაქეობა მიიღეთ. თავს ინგლისელად მიიჩნევთ თუ ქართველად?

— ძალიან მომწონს ბრიტანეთი, აქ თავს ბედნიერად ვგრძნობ. მეამაყება, რომ ამ დღეებში ქვეყნის მოქალაქე ვარ, მაგრამ ჩემი ფესვები, ჩემი გული საქართველოშია. იქ დაიბადე, იქაურობა ყოველთვის მენატრება. თბილისში ხშირად ჩავდივარ. მარშან, შემოღობაზე, ვარდების რეველუციის“ ორი წლისთავისადმი მიძღვნილ კონცერტში მონაწილეობისთვის ჩავფირდით.

— რუსეთის მიმართ რა დამოკიდებულება გაქვთ?

— ოჯახში რუსეთზე დიდი პატივისცემით საუბრობენ. რუსული ენა, რუსული კულტურა ძალიან მიინტერესებს. ცოტა ხნის წინ მოსკოვში გამართულ კერძო საღამოზე გამოვედი, მაგრამ ეს ხანმოკლე ვიზიტი იყო. ძალიან მინდა, კიდევ ჩავიდე და დიდხანს დავრჩე!

ზურაბ ნალბანდიანი
ლონდონი გაზეთი „ტრუდი“

ჩემი ზუსტები, ჩემი გული საქართველოს!



ინსლიანი ალბომი ქართულმა ბოზონამ დაიპყრო

კაბო, — გამიხარდა მე.

— რას ბრძანებთ, გამართულად, ალბათ, რამდენიმე სიტყვას თუ ვამბობ. მე ხომ მხოლოდ 8 წლამდე ვცხოვრობდი საქართველოში, ახლა კი შინ ყოფნისას ზოგჯერ ჩემი მშობლების რუსული საუბარი მესმის. ასე რომ, თუ წინააღმდეგი არ იქნებით, ინგლისურზე გადავიდეთ.


ქეთის მამა ქირურგი-კარდიოლოგია. 1993 წლამდე ქეთისათვის ცხოვრობდნენ. ქეთი იმ დროს ახლაც სიყვარულით იხსენებს. მაგრამ პოსტსაბჭოური ცხოვრება საქართველოში მძიმე აღმოჩნდა და მამამ სამუშაო ბელფასტში, ჩრდილოეთ ირლანდიის დედაქალაქში იშოვა.

— ბელფასტში საცხოვრებლად წასვლა საშუალო არ იყო? ირლანდიის რესპუბლიკური არმიის ტერორისტული მოქმედებების გამო ბელფასტი ხომ მშფოთვარე ადგილად ითვლებოდა?

— დიახ, ასე ჩანდა შორიდან, ახალი ამბების კრებების მიხედვით. მაგრამ, როდესაც ჩავდივით, ბელფასტი ძალიან სასიამოვნო ქალაქი აღმოჩნდა, სადაც გულდია და კეთილი ადამიანები ცხოვრობდნენ. სკოლაში უამრავი მეგობარი შევიძინე.

სკოლის დამთავრების შემდეგ ქეთიმ ინსტიტუტში ჩააბარა, რომელსაც ხელოვნების ბრიტანული სკოლა ეწოდება.

— იმ ხანებში უკვე გადაწყვეტილი გქონდათ მუსიკის




ნებრილი აპრიკელს

როგორია, იანკი, როცა ეს ხდება შენს ქვეყანაში? რას გრძობ, როცა საშინელება სუფევს შენს და არა შენი მეზობლის სახლში? როცა შიში ჭმუნის შენს მკერდს, როცა გამაყრუებელი ღრჭიალი, სასოწარკვეთილი ყვირილი, შენობების ჩამოქცევა, ეს საშინელი სუნი, რომელიც ფულტების ყველა ფორაში აღწევს, როცა სისხლითა და მტვრით დაფარული თვალები სიგიჟედ მისული უდანაშაულო ადამიანებისა საყოველთაო პანიკას თესავენ? აბა, როგორია, თუნდაც ერთი დღე იცხოვრო შენს საკუთარ სახლში ისე, რომ არაფერი იცოდეს იმის შესახებ, თუ ხვალ რა შეიძლება მოხდეს?

თითქმის ასი წელია, შენი ქვეყანა მთელ მსოფლიოს ებრძვის. და როგორი ცინიზმით ავზავნიან შენი მმართველები ამ „აპოკალიფსისის მხედრებს“ „თავისუფლებისა და დემოკრატიის“ სახელით. თუმცა, შენ უნდა იცოდეს, რომ მსოფლიოს მრავალი ხალხისათვის, სადაც შიმშილისა და ავადმყოფობისაგან ყოველდღიურად იღუპება 24 ათასი ადამიანი, შეერთებული შტატები თავისუფლების განსახიერებას კი არა, საშინელ მტერს წარმოადგენს, რომელიც თესავს ომს, შიმშილს, შიშსა და ნგრევას“.

გაბრიელ გარსია მარკესი



ქართული
კულტურა

- გთავაზობთ სატრანსპორტო და საექსკურსიო მომსახურებას შვედთებულ შტატების დედაქალაქში 4 (ან 6) კაციანი ჯგუფებისათვის;

- მგზავრთა გაღაცვანა ხდება ჯიპის მარკის ავტომობილებით;

- მგზავრებს მოემსახურებათ თარჯიმანი და ფოტო-კორესპონდენტი;

- ექსკურსია ერთდღიანია და ამ პერიოდში თქვენ შეგეძლებათ ისეირნოთ ვაშინგტონის ქუჩებში, დაათვალიეროთ ლინკოლნის მემორიალი, ვაშინგტონის მონუმენტი, მეორე მსოფლიო ომის აბალგახსნილი მემორიალი, არლინგტონის ეროვნული სასაფლაო, პრეზიდენტ კენედის განსასვენარი, ჯეფერსონის მემორიალი, ეროვნული ბაზინის ნაგებობა, გარეუბან ნაბოთ თეთრი საბლი, კაპიტოლიუმის შენობა (11 სექტემბრის ტრაგედიის შემდეგ თეთრ საბლში ტურისტების შესვლა აკრძალულია).

აგრეთვე შეგეძლებათ ისაღილოთ ვაშინგტონის ყველაზე ცნობილ და ელიტარულ რესტორანში თეთრი საბლის მახლობლად, ესტუმროთ საქართველოს საელჩოსა და საკონსულო განყოფილებას.

**დაწვრილხითი
იფორმაციისათვის
მოგვმართეთ: 347-724-0770**



ნახე საკუთარი თვალით!!!

კაპული

ლიტერატურა
საზონური ლიბრარული დაწვრთვა

ყველაფერი დაიწყო იმით, რომ ხელმძღვანელმა დამბარა და თქვა:

- თქვენს მომავალ ნაშრომში უნდა აისახოს ქალაქის ტიპის დასახლებაში მცხოვრებ მუშა-მოსამსახურეთა ყოველდღიური საქციელის ასპექტების ასახვა და გამოძღვანდეს კანონზომიერებანი, რომლებიც განსაზღვრავენ მის დამოკიდებულებას ცხოვრების პირობებისადმი. საზოგადოების ფუნქციონირებისა და განვითარების იმ მხარეებში, რომელსაც ამჟამად გაცილებით მეტი ყურადღება ექცევა, ვიდრე აქამდე, პატარა ადგილს როდი იჭერს ყოფა-ცხოვრება, წარმოების გარეთა სფერო ადამიანის საქციელსა და მოქმედებაში. ასანთი ხომ არა გაქვს?

მე ჩემი ბედი... - არა მქონდა.

- ერთის მხრივ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, - განაგრძო მერე ხელმძღვანელმა, - და ამასთანავე თანამედროვე ეტაპზე ყოფა-ცხოვრებითი მოვლენების სრულყოფა...

- გავალ, გიშვინით...

- არა, არა, მაინც განებებას ვაპირებ და... ადამიანის ცხოვრებისეულ მოქმედებაში წარმოების გარეთ, მისი საქციელი ყოველდღიურ საქმიანობაში თანდათან უფრო მნიშვნელოვანი ელემენტი ხდება მის ყოფა-ცხოვრებაში. და ამიტომაც ხაზგასმული ყურადღება უნდა მიექცეს მის თავისუფალ დროს, რომლის სფეროც განისაზღვრება ჯერ ერთი, იმით, რომ წარმოადგენს ადამიანის ფორმირების ერთ-ერთ ფაქტორს შედის რა კომპონენტად მისი ცხოვრებისა და მოქმედების კომპლექსში; მეორე - რომ ასეთი გამოკვლევა გვეხმარება ადამიანზე სასარგებლოდ ზემოქმედების მნიშვნელოვანი მექანიზმების გამოვლენაში მთლიანად; და, მესამე - რომ ეს სფერო ნაკლებადაა შესწავლილი, ვიდრე ეკონომიური და სოციალური განვითარების სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი კომპონენტები.

პატარა ხანს შეჩერდა და მე ვთქვი: - დიახ.

- თავისუფალი დროის გამოყენების შესწავლა ამ კუთხით, - განაგრძო მერე ხელმძღვანელმა, - ძალიანაც აქტუალურია, და მისი გადამუშავება წარმოადგენს არა მხოლოდ თეორიულ, არამედ პრაქტიკულ ინტერესსაც ერთსა და იმავე დროს. რასაკვირველია, ერთი წლიური თემისათვის ეს თემა საკმარისზე მეტად ფართოა. ამიტომ საკითხი ასე უნდა დაგაყენოთ: თქვენ უნდა შეისწავლოთ ყოველდღიური წარმოების გარეთა საქციელი და მისი დამოკიდებულება ცხოვრებისეული პირობებისაგან და უნდა შემოვიფარგლოთ გარკვეული პროფესიის ადამიანების კონკრეტულობით, ხოლო პროფესიის არჩევა თქვენთვის მომინდია. იმეღია, გამიგეთ.

- როგორ არა.

- ხოლო რაც შეეხება იმ კითხვებს, რომლებიც თქვენ უნდა დაუსვათ თქვენს მიერ არჩეული პროფესიის ადამიანებს, ესე იგი, რესპონდენტებს, აი ამ სუთ გვერდზეა მოცემული. მათი პასუხები უნდა იყოს მკაფიო, მოკლე და ამოწურული.

- ერთდროულად?

- რასაკვირველია. ხოლო თუ წააწყდებით რაიმე გაუგებრობას, გართულებას, ყოველთვის შეგიძლიათ მომმართოთ... სამსახურის საათებში. გუშინ დაცვაზე იყავი?

- კი.

- როგორ ჩაიარა?

- ისე, ჩვეულებრივად.


- ბევრი ხალხი იყო?

- არა უმავს, კი.

- შენიშვნები ბლომად ჰქონდათ?

- არა, არც ისე... შიგადაშიგ.

- ჰო, კინაღამ დამავიწყდა, - გაახსენდა ხელმძღვანელს - აუცილებლად ყურადღება უნდა მიექცეს მატერიალურ-ეკო-



თავი და შემომტკეოდა მე, სრულიად უცხო, ვისაც მაინტერესებდა მისი თავისუფალი დრო. და სანამ მდგომარეობას გაამწვავებდა ერთის მხრივ ბუნებრივი შეკითხვით „რა თქვენი საქმეა“, სწრაფად ავუხსენი, რომ ვარ ისეთი კომპეტენტური დაწესებულებიდან, როგორცაა ჩვენი, და რომ უნდა ჩამოვუარო მისი პროფესიის ადამიანებს, რათა გავიგო, თუ როგორ ატარებენ თავისუფალ დროს, უყვართ თუ არა კინო, სპორტი, ან ტელევიზია, როგორია მათი ოჯახური მდგომარეობა, კომუნალური პირობები, და სხვა, და სხვა, და მხოლოდ ორჯერ რაღაც შეუტოკდა სახეზე, როცა ვახსენე გამოთქმა „სხვადასხვა ორგანოები“, და სიტყვა „ინსტანცია“, მაგრამ მაშინვე შეეცვალე ლექსიკა, რაც

ხვირიანი ფეხსაცმელებით, გულის გართა ჯიბეში კი - ჰალსტუხის ფერის იდენტური ცხვირსახოცი. ანკეტებს ათვალიერებდა, „კარგად გიმუშავია, კარგად, - თქვა ხელმძღვანელმა, - ოღონდ კომუნალური პირობები ორ ჯგუფად კი არ უნდა დაგეყო, როგორც ეს შენა გაქვს აღნიშნული - კარგ და ცუდ ქვეჯგუფებად, არამედ სამად - პირველი: უზრუნველყოფილი ყველა კომუნალური მომსახურებით, როგორცაა - წყალგაყვანილობა, კანალიზაცია, ცენტრალური გათბობა, გაზი, აბაზანა ან შხაპი და ცხელი წყალი; მეორე: უზრუნველყოფილი ძირითადი კომუნალური მომსახურებით, როგორცაა წყალგაყვანილობა, კანალიზაცია, ცენტრალური გათბობა და მესამე - უკანალიზაციოები, ისე კი, კარ-

კასი, ჩოხელსას ლოხასუნა ქლინ უუნდა გუტამ დირანაშვილი

ნომიურ ფაქტორს რესპონდენტთა კეთილდღეობისა თუ საქმიანობის გამოვლენაში მთლიანად.

2
იმავ საღამოს ანკეტა გადავთავალიერე, ყოველი შეკითხვა გასაგები, მარტივი და ამასთანავე საინტერესო იყო - მე მიყვარს ჩემი დარგი. უფრო სწორად, მომწონს - შეკითხვების დასმა უცნობი ადამიანებისათვის, ახალი გუნება-განწყობანი, ხანდახან ფარული ჰუმორი, მაგრამ, რაც მთავარია, ენერგია, ენერგია, მიზანდასახულობა, ყველაფერია ერთად. ვის რას მოსწონს, ანდა პირიქით, ესე იგი - რა არ მოსწონს, ერთი ერთს ამბობს, სხვა - მეორეს, მესამე - მეოთხეს და შერევი იწერ, იწერ, მიღის საქმე. მაგრამ მეორე დღეს, დილით, რესპონდენტთა პროფესიის შერჩევა გამიჭირდა. ქარხნები - ხმაურიანია და თანაც დაღლილი ადამიანები ამომწურავად არ გაპასუხობენ, გამყიდველებს სადა სცალიათ - ათასგვარ სურსათ-სანოვავეს სწონიან, სახლებში კი ვერ ჩამოუვლი, რასაკვირველია; მძლოლები შენთვის ვერ დაკარგავენ ძვირფას დროს, ექთან-ექიმთა რესპონდენტობა გამორიცხულია, რადგან ისინი ხანდახან დიდიდან საღამომდე მორიგეობენ, მე კი მაინტერესებს ისეთი პროფესიის ხალხი, რომლებიც მუდამ ერთსა და იმავე დროს იწყებენ და ამთავრებენ სამუშაოს. კარგა ხანს ვიწვალე, და გონებას ისევ მზერამ აჯობა - ერთ წყნარ ქუჩაზე ფოტოვიტრინას მოგკარი თვალი. ოო, სწორედ ეს გამომადგებოდა - ფოტოგრაფები უმთავრესად ხალისიანი, მოლაპარაკე ხალხია, და თმადავარცხნლი მუშტრის მორლინში დროც საკმარისი აქვთ, ანკეტა რომ საფუძვლიანად შეივსოს. ამასთანავე ისინი რეალურად უყურებენ ცხოვრებას, ყოველივეს ზუსტად მაფიქსირებელი ფოტოობიექტივის საშუალებით, მე მხნედ შევადე კარი, შევაბიჯე, ვთქვი: „გამარჯობათ... მომესმა სასურველი „გაგიმარჯოს... კვითხე: „გცალიათ?“, - იმან კი მითხრა: „მა რისთვისა ვარ... მაგრამ ჩემი მისვლის მიზეზი რომ ავუხსენი, ცოტათი შეცბა. თავით-ფეხამდე შემთავალიერა, მე კი ვცდილობდი ვყოფილიყავ მის თვალში გულდია, სასიამოვნო ახალგაზრდა კაცი, ჰალსტუხი გავისწორე და გაველიძე წრფელი ადამიანის ღმილით, იმას კი გვერდზე გადაეხარა

ესოდენ საჭიროა ამგვარ შემთხვევაში და უბრალო რიგითი სიტყვებით ავუხსენი, რომ ანკეტები დაგვეხმარება ჩვენ, მკვლევარებს, გავიგოთ მისი მისწრაფებანი თუ შენიშვნები, და ყოველივე ეს ხელს შეგვიწყობს მათი შემდგომი ცხოვრების შემდგომიდაგვარად უკეთესად მოწყობისათვის, აღმაგლობისათვის და იგი მაშინვე შეიცვალა, რადგან ამოისუნთქა და თქვა: „აგაშენა ღმერთმა...“

ჩვენ ვსაუბრობდით კარგად, გულწრფელად, კმაყოფილი ლამაზმანების სურათების გარემოცვაში, რესპონდენტი მასუხობდა მკაფიოდ, სხარტად, მე დროდადრო ვზუმრობდი და ის რომ იცინოდა, ჰალსტუხს ვისწორებდი, რატომღაც მიყვარს ჰალსტუხის წვალება, ალბათ იმიტომ, რომ ისიც მავალეებს, მაგრამ ჩვენს საქმეში ჰალსტუხი - აუცილებელია, ყოველ შემთხვევაში მე ასე მწამს, რესპონდენტის კი სწამდა, რომ მსუბუქი მუსიკა სჯობს კლასიკურს, ხოლო სპორტული გადაცემა - ინტერვიუს სოფლის მეურნეობის მუშაკთან, რომ გრძელრიგში დგომა არაა მაინცდამაინც სასურველი და გაჭვდილ ტრამვაიში ფეხისწვერებზე დგომას გაცილებით ურჩევნია ნახევრადცარიელ ტრანსპორტში ფანჯარასთან მიყუყუა და კერძო ავტომანქანების ნომრების თვალთვლება - რომელია უფრო ბედნიერი, სულ რაღაც თხუთმეტობდე წუთში ანკეტა შევსებული იყო წესითა და რიგით, გზადაგზა ერთმანეთს ვუამბეთ ორიოდ მხიარული ანეკდოტი, ოღონდ ჩემები - სჯობდა, და კიდევ უფრო გამიადვილდა მეორე ანკეტის შევსება სამიოდ კვარტლით მალა, ბალთან, რადგან იმ ფოტოგრაფთან ჩემით მოხიბლულმა პირველმა რესპონდენტმა მოკლე ბარათი გამატანა - „მიშა, ამ ბარათის მომტანი ჩვენი კაცია... სახვებით დამაკმაყოფილებელი იყო მესამე ანკეტაც, რომელიც უზომოდ მოწყენილი ფოტოგრაფის მოკლე პასუხების მიხედვით შევაგე. მერე ავედი სამსახურში, ხელმძღვანელთან, „როგორაა საქმეები, ა... მკითხა იმან, „მშვენივრად, - ვუპასუხე მე, - უკვე შევუდექი...“ კაი, კაცო...“ გაუკვირდა და მხარზე მეგობრულად დამკრა ხელი. ძალიან კარგია, როცა ხელმძღვანელი არის ასეთი ახალგაზრდა, ჯან-ღონით სავესე კაცი, ათლეთი, როგორც იტყვიან, და ამასთანავე ზომიერადაა აყოლილი მოდას - ოღნავ, ძალიან ოღნავ ჩამოგრძელებული ბაკენბარდებით, ასევე წელში ოღნავ გამოყვანილი პიჯაკითა და ოთხკუთხა-

გად გიმუშავია, ასე თუ განაგრძობ, ძალიან კარგი იქნება, აბა, შენ იცი, როგორ არიან თქვენები?...“ ასე გულთბილად მესაუბრებოდა, გადასწვდა სხვადასხვა ამბებს, მშვენიერ გუნებაზე იყო, მაგრამ მერე, არ ვიცი, რა გაახსენდა, პატარა ხანს ჩაფიქრდა, მზის საწინააღმდეგო სათვალე გაიკეთა, მკერდზე დაიბჯინა ნიკაპი და მკაცრად თქვა:

- და როგორც უკვე გითხარით, თავისუფალი დროის გატარება ორი რიგის მაჩვენებლებით ხასიათდება: ა - საქმიანობის ჩამოთვლით, საქციელის სახეობებით დაა, ბე - მონაცემებით ხანგრძლივობის, ინტენსიობისა და ასე შემდეგ ამ საქმიანობათა რაოდენობრივი პერიმეტრებით.

3

ასე იყო თუ ისე, მშვენივრად აეწყო საქმე, მაგრამ მომდევნო დღეს, სუთმაბათს, დილაადრიან, სწორედ იმას გადავაწყვი, ვინც გამამწვარა და რაღა გადავაწყვი - ჩემივე ფეხით შევაბიჯე იმ დასაწვავ ფოტოკაბინეტში. არც გაუგია ჩემი შესვლა, სადღაც შორს, გადაკარგულში იცქირებოდა. თვალები უელავდა, მინის მაგიდას დაყრდნობოდა და, წინ გადახრილი, ისე დაჟინებით იყურებოდა ჩემი სხეულის გავლით სადღაც, ძალიან, ძალიან შორს, თითქოს მეც მინისა ვიყავ და მაშინვე ტანმა მიგრძნო, რაღაც ხიფათს რომ შემამთხვევდა, მაგრამ მაინც ჩავახველე და რომ გამოერკვა, დაბნეულმა გამიღიმა და მითხრა: - მობრძანდით, მობრძანდით, პასპორტისთვის თუ...

მაშინ მე გვემაზომიერად დაუწყე ახსნა, რისთვისაც მივედი, ყურადღებით მისმენდა და ეტყობოდა, მყისვე რომ ხვედებოდა ყველაფერს, მაგრამ მაინც გამაწყვეტინა:

- ბოდიში, თქვენ თავად გადასწყვეტეთ თუ... - და დააყოლა: - ღმერთო, როგორ მაგონებთ ვიდაცას...

- არა, ხელმძღვანელმა გამოძგ ზაენა.

- მაპატიეთ, მაგრამ... უნდა ვიცოდე, ვინაა ის ხელმძღვანელი, რა კაცია... ნეტავ ვის ჰგავხართ...

- რა, ხელმძღვანელი აქ მოვიყვანო? - ჰუმორით ვკითხე, თუმცა უკვე ოღნავ გაღიზიანებულიც ვიყავ.

- არა, არა, მოყვანა რა საჭიროა, ორიოდ სიტყვით დაახასიათეთ, წარმოდგენა რომ მქონდეს, ფაქტიურად ვისთან მაქვს საქმე...

- აბა, როგორ გითხრათ... ახალგაზრდა კაცია, ახლგანი, ენერგიული, თანა-

მედროვე... ახალგაზრდობის მიუხედავად, რამდენიმე თანამშრომელი მიგვაბარეს და ჩვენთან მუშაობა ძალიან კარგად დაიწყო.

- ძალიან კარგად დაიწყო? - გამაწყვტივინა.

- დიას! - და გაბრაზებულმა გავუქმეორე, - ძალიან კარგად დაიწყო.

- ეჰ, - თქვა კაცმა და მოიწვინა, - მარშალმა ედმონდო ბეტანკურმაც ძალიან კარგად დაიწყო, მაგრამ მერე როგორც დაამთავრა, მშვენივრად ვიცით...

- ვინ მარშალი, რას ამბობთ... - შეეკრთი მე.

- ვინ და ბეტანკური, აბა აურელიანო-სქელს ხომ არ... - და შუბლზე შემოირტყა ხელი, - უჰ, აქამდე როგორ ვერ მივხვდი - თქვენ ძალიანა ჰგავხართ აურელიანო-სქელს, სანამ გასუქდებოდა, - და გაიოცა: - ბიჭო, ბიჭო, როგორა ჰგავს?!

- ვინ სქელს, რა სქელს... - ავღელდი მე.

- ვის და მარშალის ბიძაშვილს, აი, დიეგომ რომ გამოვივინა... ვერ გაიხსენეთ?.. უფალაღას ქმარი! ჰმ!.. ზუსტად ისეთივედ წარმომედგინა ყმაწვილკაცობაში, როგორც ახლა თქვენა ხართ, სანამ ძალიან გასუქდებოდა... რა უცნაური დამთხვევაა... მეც არა ვთქვი, სად შემხვედრია-მეთქი?

და, წარმოგიდგენიათ? - მკითხა:

- თქვენ ახსენით ამას?

თვალეი აუციციძე, „გოგია თუ რა?“, - ერთი კი გავიფიქრე, მაგრამ გიუხები ხომ არ მისახურობენ, რასაკვირველია, და მკაცრად დავეკითხე:

- როგორ ბედავთ სამსახურში... ნასვამ მდგომარეობაში, ჰა!

- მე? მე და ნასვამი?! - გაიოცა და უცებ საყვედურით შემომაცქერდა, - ააა, მივხვდი, თქვენ ბეტანკურიანი რომანი არ წაგიკითხავთ, არა, ხომ?

- არა, - მივუგე, - ბოლოს და ბოლოს, თქვენ შეგიძლიათ, პასუხი რომ გამცეთ კითხვებზე?

- სიამოვნებით, სიამოვნებით... ბოლოში, და არც ანსელმოიანი რომანი? მარო ვარგასის...

- ა... არა.

- და... კორტასარი?

- ეეე... არა.

მეგონა, გამკიცხავდა, მაგრამ შური ამათვალისწინებდა:

- ბედნიერი კაცი ყოფილხართ!

- რატომ?

- რატომ და წინ ისეთი დიდი ბედნიერება გელით, მე კი ეს ბედნიერება უკვე განვლილი მაქვს. ეეჰ...

- რა ბედნიერება?

- პირველად წაკითხვის. ესე იგი, თქვენ სამხრეთ...

- ბოლოში ვინხდი, მაგრამ, - ვეღარ მოვიტოვებ, - თუ არა ვცდები, რესპონდენტი თქვენა ბრძანდებით და არა მე.

- რესპონდენტი რა არის? - მსუბუქად დაინტერესდა.

- ვისაც ეკითხებიან.

- აა, და თქვენ კი გემატებათ „კო...“? ოღონდ თავში - კორესპონდენტი...

- არა, არა, მე - ინტერვიუერი ვარ.

- კი ბატონო, მკითხეთ.

მაგრამ აქ კაბინეტში ვიღაც მორცხვი კლიენტი შემოიძურწა. რესპონდენტმა ბოდიში მომიხადა, კლიენტს - პალტო გაანდევინა, დასვა, თავი აუწია, გაახედა, გამოახედა, ჰალსტუხი შემისხნა, იმას მორგო კისერზე, ოთახი ძალიან გაანათა, უზარმაზარ აპარატში შეჭყო თავი, კლიენტს ნიკაბი ააწვეინა, ობიექტივს რაღაცა მორგო, მერე მოხსნა, თქვა: ჰოჰ!, - და ჰალსტუხი ისე უხერხულად შეხსნა, ყულფი დაშალა. უღრმესი მადლობით დამიბრუნა, მაგრამ ვეღარ გავიკეთე, რადგან ჰალსტუხის განასკვა არ ვიცი, დილაობით მძასა ვთხოვ ხოლმე. რესპონდენტმა კი მწუნარედა თქვა: „მეც რომ არ ვიცი?“, პალტოს ცალ სახელოში მკლავგაყრილ, გვერდზე გადახრილ კლიენტს უთხრა: „ხვალ არა, ზეგ... ქვითარი გამოწერა, მიაჩნა, გადახდევინა „ბე“, - ოთხმოცი კაპიკი, გაუღიმა - „კარგად იყავი, გენაცვალა“, და მომიბრუნდა, თავით ფეხამდე მზადყოფილ:

- ბოდიში, მაგრამ სამსახურის საათები და... აბა, შევუდგეთ.

ანკეტებიან ხელის ზურგით განზე გადავარჩე ჰალსტუხი და შევუდგე:

- გვარი!

- კეჟერაძე.

- სახელი!

- ვასიკო.

- ვასილი?

- დიას, დიას, - შეცბა, - მაპატიეთ, „კო“, - ეს ხომ თქვენია - კორესპონ... - კორესპონდენტი არა ვარ-მეთქი! - მკაფიოდ გავუქმეორე, - არამედ ინტერვიუერი, გასაგებია? დაბადების წელი!

- ოცდაცხრა.

- ათას ცხრაას... არა? - ჰუმორით ვკითხე.

- რასაკვირველია.

- სქესი!

- ვასილი მქვია, - იმანაც ჰუმორით მომიგო.

ჩავწერე, „მამრ...“.

- პროფესია...

- მხატვრული ფოტოგრაფი.

და პირდაპირ საქმეზე გადავედით, ასე დავეკითხე:

- გიყვართ თუ არა თქვენი საქმე? აქ კი უგულოდ მიპასუხა:

- ისე, რა...

- რატომ?

იმან კი დაკვირვებით, ოდნავ ნაღვლიანად შემათვალისწინებდა, მიყურა, მიყურა და თქვა:

- მე ძალიან მიყვარს ლიტერატურა. პატარა ხანს ჩუმად ვიყავით. მერე ვკითხე:

- სპეციალური?

გაეღიმა და თქვა:

- არა, მხატვრული ლიტერატურა.

უხერხულად ვიგრძენი თავი, მაგრამ ინტებარი მაინც არ გავიტეხე:

- კი ბატონო, მაგაზედაც მივალთ, მაგტიპის შეკითხვაც შედის ანკეტაში...

- აარა, არა, - ისევ გაეღიმა, - მაგაზე კი არ „მივალთ“, არამედ მაგითი იწყება და მაგითი თავდება.

- რა?

- რა და თქვენი შეკითხვები - ჩემისთანა რესპონდენტისათვის.

- რა იცით, ჯერ ეს ერთი, თქვენ?! - სერიოზულად გაცვხარდი, - ავერ, მე ახლა უნდა გკითხვით, თუ როგორია თქვენი ბინის კომუნალური მომსახურების პირობები - ძალიან კარგი, ცუდი თუ საშუალო, და რა შუაში იქნება აქ ლიტერატურა, და ისიც ვიწრო გავგებით - მხოლოდ მხატვრული?

- ჰეე, - ჩაეცინა და ანკეტაში მოურიდებლად ჩაიჭყიტა, - მიუხედავად იმისა, რომ მე არ გამაჩნია ცენტრალური გათბობა, მე მაინცა მაქვს ძალიან კარგი პირობები, თუ გნებავთ კომუნალური უწოდეთ და რაც გინდათ, სხვა.

- ეს როგორ?

- როგორ და მაქვს წიგნების ორი უზარმაზარი კარადა, თაროები, მოხერ-

ხებული სავარძელი და ტორშერი - მხარს ზემოთ, ნათურა...

- და ეგ ხომ კომუნალური პირობები არაა?

- გააჩნია ვისთვის... - და უცებ ავღებულად შემომაცქერდა, - ესე იგი, მხატვრული - ეს ვიწრო გავებითაა, არა?

- დიას. იმიტომ, რომ არსებობს ლიტერატურა ლოკუმენტური, მეცნიერული, პოპულარული, სახელმძღვანელო...

- ბროშურა გამოგჩა, კარგო...

- თუნდაც, თუნდაც, - არ დავიხიე, შეუპოვრობა - მთავარია - განვაგრძე, - კინოფილმები თუ გიყვართ?

- არა.

- რატომ?! - გავვოცდი.

- დაფინანსებული კონკურენცია.

- ვისი?..

- არ მომწონს-მეთქი - ვინებაზე მეტად თვალს ახარებს და იმიტომ.

ჩავწერე „არა...“ და მომდევნო შეკითხვა წინა პასუხისა გამო შეუფერებელი აღმოჩნდა, - როგორი ფილმები მოგწონთ განსაკუთრებით?

იმან კი მითხრა:

- ტიტრებიანი. გასაგებია?

ჩემზე ნაკლებად არც იმას სცოდნია გაბრაზება. გული მომივიდა, მაგრამ აქ კვლავ შემოვიდა მუშტარი, კაცი კი, რომელმაც თქვა, რომ ლიტერატურა ძლიერ უყვარდა, გარისხებული ჩანდა და უნებურად მუშტარზე იყარა მცირეოდენი ჯავრი - დაჯექ, დაჯექო, ასე უთხრა, და ისეთი ძლიერი სინათლე ჩართო, ნათურები გაბმით აზმუვლდნენ, მერე ნიკაბი მკაცრად აუწია და უცებ მოღება, თავზე გადაუსვა ხელი, „თქვენ რა შუაში ხართ, ბოდიში, თმა ავწვეწვით ცოტა...“, იმანაც, ერთხანს შემკრთაღმა, გულიანად გაუღიმა, შეხმატებლდნენ, ერთი - გაქვავებული იჯდა, მეორე - აპარატს უტრიალებდა, „ჰოჰ...“ თქვა რესპონდენტმა, პალტოს ჩაცმაში დაეხმარა, მაგრამ მუშტარი იძახდა: „არა, არა, ჩემით...“, ღიმილითვე გაუწოდა ქვითარი და მუშტარმა ფრთხილად რომ მიიხურა კარი, შეეცბი - სულ სხვა კაცი შემომცქეროდა, გამომწვევი, უნდო...

- თუ გნებავთ, ხვალ განვაგრძობთ, ხვალაც ამ კვირისაა, - ჰუმორით მოვიშველიე მე.

- არა, არა, მკითხეთ.

და აქ შევერჩიე კითხვა, რომელსაც არავითარი კავშირი არ უნდა ჰქონოდა მის გატაცებასთან - ასე დავეკითხე:

- მოდაზე რა აზრის ბრძანდებით? როგორი ტანსაცმელი მოგწონთ...

მაგრამ იმან თქვა:

- ფართოჯიბიანი. ისე კი სულ ერთია... - როგორ თუ ფართოჯიბიანი? რისთვის...

- ნებისმიერი წიგნი რომ ჩაეტიოს. არა, ეს სულელი იყო, ვიღაცა, და წამოვდექი.

- ბოდიში, მაგრამ... ხელმძღვანელი მიცდის.

- ახოვანი და ენერგიული? რა გაეწყობა, კარგად ბრძანდებოდეთ...

ამრეზილი მათვალისწინებდა, სანამ კალმისტარს გულის ჯიბეში ჩავიდებდი, ანკეტას - პორტფელში, და სწრაფად გვემუშურე კარისაკენ, მაგრამ დამადევნა:

- აი, ეს დაგჩაო.

ჰალსტუხი იყო.

- მშვიდობით, მშვიდობით... - და ფრთხილად ჩავიდე პალტოს ჯიბეში, რომ არ დამგმუჭნოდა.

- იცით რა? - მითხრა, - თქვენ ისევ მოხვალთ...

- არასოდეს! - გავბრაზდი, მთელი საათი დამაკარგინა.

- ვნახოთ, თუ არა...

- რა იცით!

- არ შეიძლება, ასე უსახელოდ რომ დავმორდეთ ერთმანეთს, - ჯერჯერობით ჩვენი საუბარი იუმორისტულ შურნალში დაბეჭდილ მასალას ჰგავდა.

- ჩვენ უკეთესი საუბარი არც გამოგვივა! - პირში მივახალე.

- რატომ, რატომ, ჯერ სადა ხართ... აი ნახავთ, უკეთესად თუ არ ავლაპარაკდე.


- მე კი ფეხის დამდგმელი აქ აღარ ვარ და...

- ვნახოთ, - გაეღიმა.

გამწარებული გამოვედი, შუბლზე ხვითი გადამდიოდა. ოფლის შესამშრალელებლად ცხვირსახოცისათვის ჩავიყავი ჯიბეში ხელი, ამოვიღე, მოვისვი კიდეც, მაგრამ სხვა რამ ნივთი ჩანდა... ჰალსტუხი იყო.

4

ხელმძღვანელს სეიტერი ეცვა, მშვენივრად ნაქსოვი, ძლიერი სხეული გამოკვეთილი, გიჟდებიან ქალები - ყოველ შემთხვევაში, გარკვეული ნაწილი მაინც. უცხომ რომ შეხედოს, ნამდვილი ათლეტია, მეცნიერი და ასეთი აღნაგობა? საუბარიც რომ დამაჯერებელი აქვს - ტერმინებით აღსავსე, რთული და მახვილი, რანაირი გამოთქმა გინდა იმან რომ არ იცოდეს, ნამდვილი უცხო სიტყვათა ლექსიკონია. ერთი ვერ გამიგია - თუმცა ლამაზი თვალწარბი აქვს, მაინც ძალიან უყვარს მზის საწინააღმდეგო სათვალის ტარება, ახლაც უკეთია, სავარძელში ზის, ჩემს მიერ მიწოდებულ ანკეტას კითხულობს და დროდადრო ამბობს: „საინტერესოა, საინტერესოა...“ მე, გაბადრული, ავდილზე ვცმუკავ, ბოლო ანკეტაზეა, საცაა - შემაქებს. ერთი უცნაური ჩვევა მაქვს, დიდად საკვირველი - ძალიან თუ ვეღვავ, მეძინება ხოლმე. ერთი ორჯერ გაუგებრობას მივაწერე ეს ინციდენტი, მაგრამ მერე, როცა გახშირდა, ექიმს ვეჩვენე. იმან წერილი გადაიკითხა, გულდასმით გამსინჯა და თქვა, რომ საგანგაშო არაფერია, მსგავსი შემთხვევები ცნობილია მედიცინის ისტორიაში, და განსაკუთრებით ისაა საინტერესო, რომ ეძინებათ მხოლოდ უსიამოვნო ამბის მოლოდინში, სხეული თურმე მექანიკურად გამოირთვება, მაგრამ სასიამოვნო მღელვარების დროს კი არა, როგორც, მაგალითად - ახლა - სრულებითაც არ მერევა თვლემა შექების წინ. ისე, რა თქმა უნდა, თანამშრომლებისთვის არ გამიმხელია ჩემი ეს ჩვევა, ისინი რას გაიგებენ, რომ ზოგიერთ შემთხვევაში სხეული თავისთავად, მექანიკურად გამოითიშება ხოლმე მოსალოდნელი საფრთხის წინ, არამედ ერთი ხელის მოსმით დაასკნინან - ბოთა - და მორჩა... ხელმძღვანელი ღიმილით მიყურებს, ამბობს: „კარგად გიმუშავია, ყოჩაღ...“ სამი სიტყვა მითხრა, სამივე კარგი - „ყოჩაღ...“ „კარგად...“ და „გიმუშავია...“ - ამდენი როდის მოასწარი, ა?, მე ვიღიმიე, მორცხვად ვხრი თავს, ხელმძღვანელი კი მხარზე მადებს ხელს და ამბობს: „ძალიან კარგად დაგვიწყია...“ რაღაც უცნაური ფრაზა მასხენდება, სადღაც გავოწილი, ვიღაცამ მითხრა ახლა, ახლახანს, ენის წვერზე მიტრიალებს, არ მსიამოვნებს კი, და - ჰო, მასხენდება, ის სულელი - ედმონდო რაღაც გვარმაც კარგად დაიწყო, მაგრამ... „ანკეტათა საერთო რიცხვი შესაძლოა ერთით მეტიც ყოფილიყო, - ვუბნები ხელმძღვანელს, - მაგრამ იმ ერთთან შეუძლებელი იყო მუშაობა...“, „და თავი გაანებე?“, „დიას...“ - გაუბედავად ვპასუხობ, მაგრამ ხელმძღვანელი ამბობს: „კარგად მოქცეულხარ. თუკი რესპონდენტი თავს არიდებს პასუხის გაცემას, შენც მაშინვე თავი უნდა გაანებო და სხვაზე გადახვიდე... რესპონდენტების მეტი რაა?!“, „დიდი უცნაური კაცი იყო, - სახე მეჭმუნებდა, მაგრამ მაინც უუღიმი, - ყველაფერს, ყოველივეს, ერთი კუთხით უღებოდა, შეუძლებელი იყო მასთან მუშაობა...“, „რომელი კუთხით?“, - მეკითხება ხელმძღვანელი, მხიარულება დასთამაშებს




კასი, რომელსაც ლიტერატურა კლინიკური უწყავს

ტუჩებზე. „ლიტერატურული, და ისიც ვიწრო გაგებით, ყველაფერს მხოლოდ მხატვრული ლიტერატურის კუთხით უდგებოდა... „ლიტერატურული კუთხით, შენ ამბობ? - ოდნავ დაინტერესებული მეკითხება, - ეს როგორ? „როგორ და... - ვისხენებ, - აი, მაგალითად, თქვა, ძალიან კარგ კომუნალურ პირობებში ვიმყოფები, რადგან მაქვს წიგნის კარადები, თაროები და ნათურა... „აჰაჰა, - მოხდენილად იცინის ხელმძღვანელი, - არა სცოდნია, კომუნალური მომსახურება რასაც ნიშნავს... კიდევ? „კიდევ... - ვისხენებ, - ჰო! მოდაზე ვკითხე, როგორი მოგწონთ-თქო, იმან კი - ფართოჯიბიანი, წიგნი რომ ჩაეტიოსო. აბა! „ნუთუ? „- ამბობს ხელმძღვანელი, - და მე ახლავ აგისხნით, თუ რატომ... ოთახში მიდი-მოდის, ბოლოსა სცემს, მე ფეხზე ვდგავარ და თვალს ვაყოლებ - „სწორად უთქვამსო!... აჰ, ეს რა მითხრა, რაღაცა უსიამოვნოს მოლოდინში თვლემა მერევა და უცებ მახსენდება: „დიახ, დიახ, როგორი ფილმები მოგწონთ-მეთქი და ტიტრებიანიო! „რატომ... „ალბათ იმიტომ, რომ ტიტრებია წასაკითხი... და ასე უყვარს ლიტერატურა? ოჰო! - ხელებს იფშენებს ხელმძღვანელი, - ეს კაცი არ უნდა დაეკარგოთ... ისევ ბოლოსა სცემს, „უყურე შენ, - დაფიქრებული მიმხერს, და უცებ კითხვას კითხვებზე მაყრის, - და თქვენ გგონიათ, რომ მხატვრული ლიტერატურა ხელწამოსაკრავია, როგორც ასეთი? რა სჯობია ხანდახან, სიგრილეში, მაგალითად, დიკენსის კითხვას? და განა ლიტერატურა კულტურული დასვენების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება არ არის? „აქ კი ხელმძღვანელი ჩერდება და ამკარად ეტყობა, რომ თავის საკუთარ, მომავალ ნაშრომზე ფიქრობს, რადგან ასეთ დროს თავს სწორედ ასე, ოდნავ გვერდულად და ზემოთკენ შემართავს ხოლმე, და ხდება ვიუტი, სწორუპოვარი, მუქი სათვალის მის გამჭოლ, სუსხიან მზერასა გვრძობ, და, წარმოგდგენიათ? - მკაცრად მეუბნება: „დღესვე მიბრძანდით ხსენებულ რესპოდენტთან და შეავსეთ ანკეტა მისი პასუხისა და სურვილის მიხედვით და გახსოვდეთ, რომ ხანდახან საინტერესო ინდივიდის ჩვენებანი შესაძლოა მეტ ინტერესს მოიცავდეს, ვიდრე ათობით ადამიანის მდგრადი პასუხი. მაგრამ მე ვერ უნდა დავრწმუნდე, რომ იმ კაცს მართლაცაა ზედმიწევნით უყვარს ლიტერატურა, ესე იგი, კულტურული დასვენების ესა თუ ის დარგი და შემდგომ, თუკი მხატვრული ლიტერატურა მართლაცაა მუქ წითელ ხაზად გასდევს მთელ მის ცხოვრებას, უნდა გამოვარკვიოთ - რატომ, - და ოდნავ მოლბა, - აბა, შენ იცი, წაღი...“

5
ფეხები უკან მრჩებოდა, მაგრამ რა მექნა, ასე იყო საჭირო - მივდიოდი კაცთან, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა. დაღმართებში ჩავდიოდი, ქუჩა მოყინული იყო და, კიდევ კარგი, ნახერხი მოეყარათ და ისე ძალიან აღარ მისხლტებოდა ფეხი. მაინც ფრთხილად ჩავდიოდი, და ხანდახან ისე უეცრად წამომივლიდა: „ვისთან მივდივარ! რა ჯანდაბა მინდა!... უგუნებოდ ვიყავო, რა სათქმელია - გაამწარებული ვიყავო... და ვილაც ქალი რომ წაიქცა, ცოტათი გამომიკეთდა გუნება - გავილიძე. მაგრამ ნაცნობ ფოტოკაბინეტს რომ მივადექი, ისევ ავწრი-აღდი, გავწერვიულდი, მთქნარება ამიტყდა. ოთახში სინათლე ენთო, ღონე მოვიკრიბე, ენერგიულად შევალე კარი და შევცბი - არავინ იყო. პატარა ხანს გაცეხული ვიდექ, სანამ მოგუდული ხმა არ შემომესმა: „ახლავე გამოვალ, სურათებს ვებჭდავ... მივყურე და ვიწრო კარი დავინახე, სწორედ იქიდან მომესმა ხმა. სავარძელზე ჩამოვჯექი, ვიციდი. ცუდია, როცა იმას ელოდები, ვისი დანახვაც არ გსიამოვნებს, კელდებს მოვავლე თვალი, სურათებიდან უმთავრესად მე მიმზერდნენ, ზოგს კი განზე ექცია პირი, ანდა თავი ნაზად დაეხარა, ყველაზე მეტად სათვალის ბავშვის დაქინებული მზერა არ მესიამოვნა, მერე მკერდმოღლეტილ ქალს მივაპყარი თვალი, ის კი განზე გულგრილად იხედება, თვალთმაქცი, აჰ, საცაა რესპოდენტი გამოვა, ველავ, ძალიან ველავ, სიმძიმე, მძიმე, ქალი ახლა ჩემსკენ იყურება, მაგრამ აღარაფრის თავი აღარა მაქვს, დაეძმძიდი, დაეძმძიდი, მძიმე... ვმძიმედი, მდები, თავი გამანებეთ, ვამბობ, თუ ვფიქრობ, აღარც კი ვიცი, ვლუნდები, ის კი არ მეშვება, მხარზე მსუბუქად მადებს ხელს, და ნაზი, შემპარავი ხმა: „იანო, იანო... „არა, არა, მცირე ნალექი... ვამბობ თუ ვფიქრობ, მძიმე, მძიმე, ისევ მოვეშვი, ვეშვები, ვეშვი... და ისევ ჩემი მხარი, იგივე შემპარავი: „ლიანო, ლიანო... თავი დამანებეთ, აღარაფერი მინდა, ოღონდ მომეშვი, მაცალეთ, მაცალეთ, ტროლეიბუსი მსუყედ მისრიალებს ნაწვიმარზე, მცირე ნალექი, ის კი ისევ, ისევ, ოღონდ უფრო ღონივრად და მისი შემპარავი, ეშმაკური „რელიანო, რელიანო... და ტაშის შემოკრა, თვალს ვახეღ, მე მიყვარს ტაში, თვითონ ვუღებ სურათს, ოღონდ იისფერ ფოკუსში გორებული და ბუნდოვანი ჩანს, მაგრამ მკაფიოდ მესმის „ურელიანო, ურელიანო... და ცხადად ვხედავ, რა ქალი, რის ქალი - რესპოდენტი! ჩამძინებია, უნებურად, რა თქმა უნდა და ის კი მხარს მინჯდრევედა თურმე და მალვიძებდა: „აურელიანო... მოხვალ-მეთქი, აკი გითხარი, აურელიანო! „

6
რა ახირებული თვისებაა მაინც ორგანიზმისა ეს - მისჯილი დაძინება უსიამოვნო შეხვედრის წინ, და მაინც ინტობარს არ ვიტყვ, ფეხზე ვდგები, ვამბობ: „წუხელის დიდხანს ვიმუშავე, გათენებამდე წიგნებს ვფურცლავდი... „დაბრძანდით, დაბრძანდით, მხატვრულს ხომ არა? „- მეკითხება რესპოდენტი, ისევ თავისი წამოიწყო, თუმცა, ამით ხომ ჩემს წისქვილზე ასხამს წყალს, ხელ-

მძღვანელის დარიგება მახსენდება, საბოლოოდ ვეზიზღები, ვამბობ: „განვარდით შეკითხვები... და მყისვე მასუხობს: „რასაკვირველია, რასაკვირველია... - და ვიწრო კარისაკენ თავს ატრიალებს, იძახის, - შენ მანამ ხსნარი დაამზადე, კლიმ, ეს კლიმი ვიღაა, ვფიქრობ და მაშინვე მიხსნის: „ასისტენტი ჩემი... პორტფელს ეხსნი, ანკეტას მა-



გადაზე ვღებ, კალმისტარს ფრთხილად ვიმწყვდევე თითებშუა - ცოტა მეღანი გასდის - და ვეკითხები:
- ბევრი თავისუფალი დრო გეკარგება?
მასუსხობს:
- იოტისოდენადაც არა.
მიკვირს:
- ეს როგორ?!
იმასაც უკვირს:
- აბა, რატომ უნდა დაეკარგო?!
„აა, ვერ მიმიხვდით, - თავაზიანად ვუხსნი, - რა თქმა უნდა, თქვენ არ გინდათ დროის დაკარგვა, მაგრამ ხომ მგზავრობთ ტრანსპორტით, ხომ უნდა შეიაროთ გასტრონომსა თუ მალაზიაში, ხომ უნდა დაიმზადოთ ვახშამი, ანდა სასადილოში ისაუ... და მაწყვეტინებს: „პირიქით, პირიქით, თქვენ ვერ მიმიხვდით - მე ნამდვილად არ დავკარგავ დროს, თუკი დავდგები რიგში, ან თუ ერბოკვერცხს შევიწვავ, ანდა ტრამვაით თუ ვიმგზავრებ...
ვლიზიანდები:
- რატომ?
„იმიტომ რომ, - ამბობს, - თქვენ ლიტერატურის სიყვარული მხოლოდ და მხოლოდ წიგნის კითხვა გგონიათ? და ყოველივე იმას, რასაც წაიკითხავ, გააზრება არ უნდა? დიდი ამბავი, ტრამვაიაში თუ დაჯდები ან დადგები, ყირაშლა დგომისასაც კი შეიძლება ფიქრი... „კი მაგრამ, რაზე? „რაზე და რასაც წაიკითხავ, იმაზე ან, რაც გაგახსენდება „ოოხ, ხელმძღვანელი! მაინც განვარდობ:
- და თუ ხასიათზე არა ბრძანდებით?
- ჰეე, - ეღიძება, - სწორედ მაშინ უფროა საჭირო, როცა ხასიათზე არა ხარ.
- რატომ?
- ხასიათზე რომ მოხვიდე.
გიჟია, ვილაცაა, ოხერი თანაც მიყურებს და განცვიფრებული ამბობს: „ღმერთო, როგორ ჰგავხართ აურელიანო სქელს, სანამ გასუქდებოდა ხომ არ გეწყინებთ აურელიანო რომ დაგიძახოთ? „

რაებს მიბედავს!
- თუ შეიძლება ეტიკეტი დაიკავით, - ამაყად ვამბობ, - თამაზი მქვია მე!
ხელისგულს მაჩვენებს, თავით ფეხებამდე მორჩილებაა:
- კარგი, თამაზი, კარგი, გენაცვა.
მზერას ვარიდებ.
„ადამიანს ერთი გასაოცარი თვისება აქვს... - ყოველგვარი შესავლის გარეშე, ჩაფიქრებული იწყებს და ვამჩნევ, იცვლება - თვალები ისე ეშმაკურად აღარ უცვიცივებს, სულ სხვა კაცია ჩემს წინ, რაღაცნაირად ღრმად მოწყენილი, დაფიქრებული, ჩემს მიღმა იყურება, და რაღაც უცნაურ ამბავს მიყვება, წარმოგიდგენიათ? - გომბეშოზე. თურმე გომბეშო უმოდრო მწერს ვერა ხედავს, და მხოლოდ მაშინ შენიშნავს, თვალწინ თუ ჩაუფერეს და მაშინვე გადასანსლავს, და თუ შორიანლოს მწერი არაა, გომბეშოს თვალწინ ნაცრისფერი ეკრანი აქვს, და მხოლოდ მაშინ გაუცოცხლდება მზერა, მწერი რომ ჩაუფერეს. და თურმე ასე იმიტომ, ყოველთვის რომ უყურებდეს გარემოს და ფერებს აღიქვამდეს, დაღლილობას ვერ გაუძლებს და მოკვდება, რადგან ტვინი ძალიან მარტივად აქვს მოწყობილი
- ადამიანი კი, - ამბობს, - ადამიანის ტვინი პირიქითაა, თუ არ იფიქრა, თუ არ დაინახა და არ იოცნება, სწორედ მაშინ იფიქრება და კვდება, და რიგში დგომა რა ისეთი გაჭირვება და დროის დაკარგვაა - იდეტი და იფიქრე შენთვის, ფიქრს ვინ დაგიშლის. ძალაუნებურად ყოველთვის გაიგებ ან დაინახავ რაიმეს, თუ არა გვერათ, თვალები დასუტვით, ასე რაიმეს თუ გვძნობთ?..
- არა.
- არც არაფერი გესმით?
- არა.
- აბა, დაიბაბეთ.
საიდანაც წვეთავდა და შორიდან მანქანის ხრიალი აღწევდა.
- ხომ გესმით?
- კი.
- და ყურებზედაც რომ მიიფაროთ ხელები, მაინც წარმოიდგენთ რაიმეს - ადამიანი ასეა მოწყობილი. აბა, სცადეთ...
დავინტერესდები, ხო იცი, და თვალები დავზუტე, ყურებზედაც მაგრად მივიკარი ხელისგულები. პატარა ხანს ასე ვიყავი, ერთხანს მხოლოდ აჭრელებულ სიმავეს ვგრძნობდი, და რესპოდენტის ჯინაზე ვცდილობდი, არაფერი წარმოემდგინა, მაგრამ უეცრად ცხადად დავინახე განაჩხული სახე, ახალგაზრდა იქნებოდა ასე, თვრამეტი-ოცი წლის, თმა გვერდზე გადაეგარცხნა, წარმოუდგენლად დაბალი იყო და ცქციტი, გამწარებული ისვამდა ჯავრის დასვრილ სახელოზე და აი, მაშინ კი მართლაც ძალიან გამიკვირდა, საიდან გაჩნდა-მეთქი, დავიბენი და, კიდევ კარგი, რესპოდენტმა მითხრა: „ეს ჩემი თანაშემწეა, კლიმი...“
გულზე მომეშვა: ის ვიწრო კარიც ღია იყო და მაშინვე ყველაფერს მივხვდი - აბა, როგორ გავიგებდი იმის შემოსვლას, თვალდასუტვული, და ყურებზედაც ხელისგულები მქონდა მიტყაპნილი...
- სასიამოვნოა, - ყოჩაღად თქვა კლიმმა და პაწია მარჯვენა გამომიწოდა. მეც გავეშვირე ხელი, ჩამომართვა, თითებზე დამხედა, „კალმისტარს გასდის? მაჩვენეთ... ვაჩვენე, გამოართვა, ზემოდან წარბშეკრული დააცქერდა, მერე სინათლეზე გახედა, უჯრიდან მკვირცხლად ამო-



თქმა უნდა, ლიტერატურასთან დაკავშირებით... არა ზოგად ლიტერატურასთან დაკავშირებით, არამედ ვიწრო გაგებით... და მე არ უნდა ჩავვირო მათ საუბარში, თუკი არ მომმართავენ - აქ შეიძლება ერთადერთმა წინდაუხედავმა სიტყვამაც კი გააფუჭოს მდგომარეობა... გასაგებია? „რა თქმა უნდა... ასე და თვალბრწყინად არ უნდა მივაჩერდე რესპოდენტს. თავი უხერხულად რომ არ იგრძნოს, „ქვეყანა რომ გადაბრუნდეს, - მწარედ მელიძება, - ეგ უხერხულობას არ იგრძნობს... „რატომ?“, „რა ვიცი... „საინტერესოა ესეც, - ამბობს ხელმძღვანელი, და მაინც, ნუ შეაქტერდები... „სულ არ შეგხედავ... „არა, ესეც არაა საჭირო... ხაზგასმით... უკიდურესობაში არ უნდა ჩავარდეთ... ხანდახან უნდა შეხედოთ... „ხანდახან შეგხედავ, - ვპირდები, - აი, იქა... „აჰ! - ამბობს ხელმძღვანელი და მკლავზე მაგრად მიჭერს ხელს, - იცით რა, თამაზ? მე გარეთ დაველოდებით, თქვენ კი წინასწარ უთხარი, რომ მასთან საუბარი სურს თქვენს კოლეგას, ასაკითა და თანამდებობით უფროსს - წინასწარ რომ გაგაფრთხილებთ, უფრო სიმპათიით განეწყობა, მე კი ისეთ პოზიციას დავიკავებ, რომ მისი ფანჯრიდან გამოვიჩნდე, ავივლი, ჩავივლი, გასაგებია? - და უცებ ამბობს: - თუმცა, არა, არა შევიდეთ ერთად... „

9
კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა, ვიღაც საფუძვლიანად დეკორირებულ, თავით ფეხბრუნავ ათრთოლებულ ქალს სურათს უღებდა: „ეგრე, არა, არა, ზემოთ აიხედეთ, ზევით, მაღლა მეთქი, ცოტათი იდევ, ოო, მარცხნივ მიაბრუნეთ თავი, ოდნავ, ოდნავ, ნუ იძაბებით, ნუ, ნუ ღელავთ, ქალბატონო, დამშვიდდით და გაიხსენეთ რაიმე ისეთი, აი, ნამდვილად კარგი რამ, ბავშვობა გაიხსენეთ თუნდაც, ლალი, უდარდელი, უკან გადავარდით... არა, ეგრე კი არა, არამედ აზრობრივად, უკან გადავარდით ოცდაათიოდე... ეე, ოცი წლით, ოო, ეგრე, იფიქრეთ ბედნიერ ბავშვობაზე, ჩქარა კასეტა, კლიმ, მხრებზე ხომ არ გცივათ? ბარეღამ შენ ჩადგი, კლიმ, გაიწაფე ხელი, ოო, ჩვენი აურელიანოც მოსულა, გაგიმარჯოს, არა, თქვენ არა, ქალბატონო, რატომ დაიქინეთ თავი, სულ გაიფუჭეთ პოზა, ასწიეთ თავი, ასწიეთ, თვალები ცოტა გაიფართოვეთ, დაძაბეთ ქუთუთოები, არა, არა, ეგრე ძალიან ნუ დააჭყეტთ, ოო, ეგრე, ნუ ღელავთ... აი, თქვენ ახლა ზედმეტად დამშვიდდით და ისევ დაგავიწყდათ სვეტდინური ბავშვობა, გაიხსენეთ, გაიხსენეთ, მერე რა, დიდი ხნის უკან რომ... ხომ არა გცივათ, არა, ხო? ძალიან კარგი... „

როდის-როდის მორჩა, ძლივს დაადგა საშველი. აქ კი ყველამ თავისი საქმე იპოვა, ჩემს გარდა, უცრად ყველა აფაცურდა: კაცი ჯიბეებს იჩხრეკს, ტანსაცმელზე ხელისუფლებს იტყაპუნებს, უჯ-

ილო რაღაც, მორაგო, მოყვითალო სითხეც წაუსვა ფუნჯით, სული შეუბერა, ატრიალა, ატრიალა და დამიბრუნა:
- ინებეთ, წესრიგშია.
რესპოდენტმა კი სიამოვნებით აღნიშნა:
- ცეცხლია, ცეცხლი... - და ისევ მე, მე მომიბრუნდა, - დაინახეთ რამე?
- როდის?
- თვალდახუჭულმა...
- კი - აპარატი.
- ჰოო, აი, ხომ ხედავთ, აპარატიც კი ჩაგრჩათ გულში და... - ისევ დაფიქრებული მიმხერს. - და ქვეყნად რამდენი რომანია ისეთი, რომელიც გაცილებით საინტერესოა, ვიდრე ყოველნაირი აპარატი დელამიწის ზურგზე, აი, მაგალითად, თუ წავიკითხავთ... რომელი ერთი გკითხვით, უცებ დავიბენი... რომელი ვკითხვით, კლიმ?
- მაღამ ბოვარი, - მოწინებთ წარმოთქვამს კლიმი.
- ჰო, აი თუნდაც, ქალბატონი მაღამ ბოვარი თუ წავიკითხავთ?
- ეე... არა, - ვუხუხუხებ, მაგრამ ვაი ამ პასუხს, ისე შემომტკერის და მეკითხება, - მაგ პასუხისთვის რომ შეგაქოთ, ხომ არ ვიქნები გულწრფელი?
- არა.
- ჰოდა, მაშინ, არაფერს გეტყვით.
ის ციციქნა კლიმიც კი დამანამუსებლად მიმხერს, ლაწირაკი, და თუმცა იშვიათად მეცვლება ფერი, ვწითლდები:
- აუცილებლად წავიკითხავ.
- ოო, - ამბობს და მხარზე მადებს ხელს, ახლა სულ სხვა კაცია, აღერსით მიყურებს, შემომღიძის, მოკლედ, შეგაყვარე თავი.
7
და რადგან სასწრაფოდ უნდა დაებეჭდა ათი წლის წინათ კურსდამთავრებულ ვიღაც ენერგეტიკოსთა სურათები, სწორედ იმ ვიწრო კარში შევედით, და მქრქალ სიბნელეში, ბაც წითელ შუქზე, თან ვსაუბრობდით და თანაც სურათებს ამჟღავნებდა. მასსუხობდა მოკლედ, მკაფიოდ, აუღელვებლად, ვისარგებლე და ძალიან რთული შეკითხვა დაგუსვი, რომელზედაც უცებ, ერთბაშად ვერავინ პასუხობს: „მოგწონთ ცხოვრება?“, იმან კი მაშინვე ასე მომივლო: „გააჩნია, იმ დღეს როგორი ავტორი შემხვდებოდა... ვსაუბრობდით, და რაღაც ხსნარში ჩადებულ ქათქათა ფოტოქალაქულზე ვიღაცის წარბი ამოიხნიქებოდა. მერე - ტუჩები, თვალები, თმა, „იბადებინა, - ისუშრა რესპოდენტმა, - ხანდახან ისეთი საინტერესო პერსონაჟი შემხვდება, მაპატიეთ, მაგრამ, აი, თქვენსავით, აჰ, როგორ ჰგავხართ აურელიანოს, ოღონდ გასქელებამდე, თამაზი ჩემო, როგორ, აი, ეს კი, მაგალითად, - პინცეტი დაადო რომელიღაც ახალშობილს, - უწყინარი კაცი უნდა იყოს, თქვენ წარმოიღვინეთ, არიან ბოროტებიც, და გაბლენილის რა გამოღვევს, გვხვდებიან სათნოებიც, გამოვლივს თუ არა კრებებზე? არა, არა, ჯერ ეგ ერთი, ფოტოგრაფებს იშვიათად გვიწვევენ კრებებზე, და გინდაც ყოველდღე გვექონდეს, მაინც არ გამოვალ სიტყვით - არ შემიძლია ერთნაირად მივმართო სხვადასხვა განათლებისა და ხასიათის ადამიანებს, როგორ შეიძლება მიმართო ორ კაცს ერთნაირად, მაშინ, როდესაც ერთს წაკითხული არა აქვს... რომელიმე დიდი მწერალი დაასახელე, კლიმ... ჰო, აი თუ ერთს არ წაუკითხავს სტენდალი, მეორეს კი გადაბულბულებული აქვს, განა შეიძლება ამ ორ კაცს ერთი და იგივე სიტყვებით მიმართო? ახლა ეს ფირი დავებჭლოთ, კლიმ... ხოლო რაც შეეხება მომდევნო შეკითხვას, თუ რომელი მეცნიერება მიტაცებს, ესე იგი მიყვარს - არა? მიძნელება პასუხის გაცემა. მეცნიერებაში საკმარისად ვერ ვერკვევი და, ეე... შეიძლება, ჯერ ისა ვთქვა, რომელი არ მიყვარს? აი თუნდაც, მათემატიკა... ეს ვისი სახეა, ღმერთო ჩემო, კლიმ, ეს რა თვითკმაყოფილი გამომეტ-

ყველება აქვს, წარმოუდგენელია, - ნელ სურათს დასცქერის, - ახლა, ამ კაცის რა უნდა ირწმუნო, ნეტავ ვინაა, ან როგორ იქცევა სამსახურში, ოჯახში, ეს სურათი ერთხელაც დაბეჭდე, კლიმ, კაბინეტში ჩამოკიდოთ, თვალნათლივ ადგილას - მაგის შემხედვარე, ყველა მიხვდება, თვითკმაყოფილება როგორი ცუდია, იმას ვამბობდი, ხომ ცნობილია, რომ მათემატიკა ზუსტი მეცნიერებაა, მაგრამ ყოველთვის არაა ასე, ერთ უხემ მაგალითს მოგიყვანო... ბავშვობისდროინდელი ნაცნობი მყავს, ფუფუნებაში იზრდებოდა, საბრალო, და რომ დაკაცდა, შშობლიური ფუფუნება მერეც არ მოკლებია და, საწყალს, ზეთი ჩამოსლიდა სახეზე, და ახლაც ერთთავად შშობლის გამომეტყველება აქვს სწორედ იმიტომ, რომ მუდამ მაძლარია და განა შეიძლება, როდესმე დანაყრდე, თუ მუდამ მაძლარი ხარ, და იცით, რა მოინდობა? ტრაბახა გახდა, დასვენებულ ტვინზე და სწორედ ამ კაცისთანა თვითკმაყოფილი იერი დაირტყა... კლიმი გულდასმით უსმენს, და უცებ შეწუხებული ამბობს:
- უჰ, სულ გავაშავე...
თურმე კლიმს დაავიწყდა ხსნარში ჩადებული სურათის ამოღება, ჩანახშირებული სახე ჩანს, კაცი კი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა, ამბობს: „ეგ არაფერი, კლიმ, ქალაქის მეტი რა გვაქვს... „კი, მაგრამ რატომ უნდა გამეშავებინა... „ შეწუხებულია კლიმი, რესპოდენტს კი ჩამაგებულ ქალაქულზე სცნობს სწორედ იმ კაცს, თვითკმაყოფილს, და ავღებულად ამბობს: „გააშავე თორემ, მაგასაც აკადემიაში ირჩევდნენ... ჰო, მათემატიკაზე მოგახსენებდით, - განაგრძობს, - აი, ვთქვით, დგას ქუჩაში ის ვაჟბატონი, ნაფუფუნებარი, და მის გვერდით კი... ვინმე დიდი მწერალი დაასახელე, კლიმ, ძალიან დიდი... ოო, მაგაზე უკეთესს რას მეტყვიდი, ჰოდა, ვთქვით, დგანან ერთად უნებურად ამაყი, ჩამოქნებილი, შშობილი, ხელგამხმარი, დიდებული ესპანელი ინვალიდი და გვერდით კი უდგას ეს ჩვენი ნაცნობი, ვიგინდარა, წელან რომ დაგინახაით, მერე რა, სხვადასხვა ეპოქაში რომ ცხოვრობდნენ, მაშინაც კი იქნებოდა ვინმე ასეთი, ვთქვით, ერთად დგანან - ოცნებით სავსებით შეიძლება საუკუნეთა წიაღში გასეირნება - ჰოდა, ჩამოივლის იმდროინდელი ჩამორჩენილი, ანდა, შესაძლოა, ნიჭიერი მათემატიკოსიც კი და რომ ჰკითხავენ - რამდენი კაცი დგას ქუჩაში? - იტყვის: „ორი... აბა, გვეითებით, განა ეს პასუხია? როგორ თუ „ორი... - ის და ის - ესე იგი - ერთი პლუს ერთია? აჰ, არა, არა, ხანდახან არაა მათემატიკა ზუსტი მეცნიერება, ლიტერატურაში კი, ჩემო კარგო, ეჰ, ასეთი უზუსტობა არასოდეს არ მოხდება, ყველაზე უკანონო მეცნიერება თუმცადა კია... „უკანონოა... ამ შემთხვევაში სულ სხვა სიტყვაა, ტკბილო... ვერავინ იტყვის, ესპანეთში ერთ დროს ორი მხედარი რომ დაბორიანობდა - არა, ერთი, ძალიან, გამხდარი - დაბორიანობდა და მეორე - დაბალი, მსუქანი - დაჰყვებოდა... ამოიღე, ამოიღე, კლიმ, კიდევ ვამაგდა? შენ რა გითხარი... - ეღიშება.
მქრქალ სინათლეში ვდგავართ, ვსაუბრობთ, ანკეტას ვავსებ...
„ცოლ-შვილი თუ მყავს? არა, არა მყავს, საცოლე კი, გვიხარია, მყავდა. მაგრამ მე იმის შემდეგ ცოლს ვეღარ მოვიყვანე, ისე კი, რა დაგიმალეთ და ქალებში კი დავდივარ ხანდახან, ორგანიზმი მაინც თავისას ითხოვს, ცოლის მომყვანი კი... არა, აღარ ვარ. გინდა, გაიამბო? ყველაფერს გეტყვით - ისე ვუყვარდი, ისე მიყვარდა... ვისხედაც უნდოდა, იმაზე გავეცვალე, ნებისმიერ ადამიანზე - იქნებოდა ეს ტანმორჩილი, გამხდარი ინტელიგენტი თუ დიდხელება გლეხი, სათვალისანი მუსიკოსი თუ მუშა, ალალი დიმილით სახეზე, ანდა, თუნდაც ფიზიკოს-ლირიკოსი, ბოლო დროს გაჩნდა ადამიანთა ასეთი კატეგორიაც, არ ვიცი,

რა აქვთ საერთო ერთმანეთთან, რითმის გარდა და, მოკლედ, ვინც გინდა ის ყოფილიყო, მაგრამ არა, არაა, სწორედ იმას მანაცვალა, რასაც ყველაზე ყველაფერზე მეტად ვერ ვიტან - თვითკმაყოფილს და თვითკმაყოფილებას... ჩამოიარა იმან, ერთ დროს საცოლემ, ეჰ, საიდუმლონარევი, შორეული სილამაზით აღსავსემ, როგორიცაა სიტყვა... „მოიისფრო... გვერდით კი მოჰყვებოდა კაცი, ისეთი უსიამო გამომეტყველებით სახეზე, როგორიცაა სიტყვა... „გავძეხი... და მე კი განზე ვიდექ, ზედმეტი, როგორც სიტყვა „მასსადამე... ოო, ამოიღე, ამოიღე, კლიმ, ძლივს არ გამოვიდა?.. ვიდექით, ვსაუბრობდით... „
8
ხელმძღვანელი დაკვირვებით მიმხერს, მზის საწინააღმდეგო სათვალეც კი მოუხსნია და ასე მიყურებს, პირდაპირ, ვიქურ, მე ანკეტას ვაცნობ, ყველა პასუხი - ეს რაღაც საერთოა მხატვრულ ლიტერატურასთან, როგორც ასეთი, ხელმძღვანელი ხან მე მისმენს, ხანდახან კი ამკარად თავის მომავალ ნაშრომზე ფიქრობს, რადგან დროდადრო თავს სწორედ ასე, ოდნავ გვერდულად და ზემოთკენ შემართავს ხოლმე და შორეულ სივრცეში ცალწარბაწეული იყურება, და დროდადრო მკვირცხლად ამბობს: „აჰაჰა... ჰაჰა... კარგია, კარგი... მე ვრცლად ჩაწერილ პასუხებს ვაცნობ - დასახელებულ რესპოდენტს არ უყვარს მათემატიკა, რადგან მწერალი სერვანტესი პლუს ვინმე ვიგინდარა არ არის ორი, ესე იგი ერთი პლუს ერთი; რომ საცოლე წართვა კაცმა, რომელიც ჰგავდა სიტყვას „გავძეხი...; მიაჩნია, რომ იოტისოდენადაც კი არ ჰკარგავს თავისუფალ დროს, რადგან ვაჭვიდი ტრამვაში მეზავრობისას ფიქრობს ლიტერატურაზე, ოღონდ ვიწრო გაგებით, ისევ და ისევ მხოლოდ მხატვრულზე, და ყველაფერს თანმიმდევრულად ვუბნები ხელმძღვანელს, ისიც დროდადრო გულდასმით მისმენს, ფაქტების კონსტატირებას ვახდენთ. „არა მეკარგებაო, არა?.. - ხმადაბლა, იღუმენის ხმით მეკითხება ხელმძღვანელი, - „არაო, არა, - ვუხუხუხებ, - წარმოვიღვინათ?.. „ეს ხომ შესანიშნავია, შესანიშნავია, - ამბობს, - აი, ინდივიდი - მესმის... და თქვენ თუ გესმით, რომ გადავწყვდით პერიმეტრიულად ისეთ მკვეთრ, მკაფიოდ გამოხატულ ინდივიდს, რომელიც შესძლებდა ეპასუხაკითხვებზე, რომლის წიაღიცაა გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი სფერო და განა მხატვრული ლიტერატურა ხელწამოსაკრავია, როგორც ასეთი? განა მხატვრულ ლიტერატურას არ ემსახურებოდნენ კალმით ტოლსტოი, გერცენი, ეე... და მიუღი რიგი საქვეყნოდ გამოჩენილი ადამიანებისა? კარგია, კმარა, - ამბობს და მიმხერს, - მოდით, წავიდეთ, დასახელებული რესპოდენტები დიხაც რომ რთული კითხვებისთვისაა ზედგამოჭრილი, - და ოდნავ ღელავს, - ადგილზევე ვნახოთ... ნეტავ, სამსახურში თუ იქნება... „აბა სად იქნება, - ვამშვიდებ, - სად უნდა იყოს, თუ არ... „კარგით, წავიდეთ... - მკაცრად მუხრნება.
ქუჩაში მივაბიჯებთ, ორი, ხელმძღვანელი და მე. თუმცა აღელვებულია, ნაბიჯი მაინც მტკიცე აქვს, გამართულია, პალტო კოხტად აზის ათლეტურ ტანზე, აქორჩილი თმა აქვს, გამჭოლი მხერა, რაღაცით არწივსა ჰგავს, გაბეული. მე მსიამოვნებს, მიხარია ხელმძღვანელთან ერთად სიარული, ასე, ტოლივით გვერდიგვერდ და მხარდაშხარ, იმასაც ვნატრობ, ნეტავ ვინმე ნაცნობმა დამინახოს. ჩვენ მიუყვებით ქალაქის ქუჩებს, ვუახლოვდებით კაცს, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა, ხელმძღვანელი იდაყვზე ხელს მკიდებს, და თავის გვემებს მიზიარებს - ჯერ რამდენიმე მარტივ შეკითხვას დაუსვამს, რა

კასი, რომელსაც ლიტონიაში კლინი უყვანდა

რაში იქექება; კლიმი სასწრაფოდ აქრობს მძლავრ სინათლეს - ნათურებს ასვენებს, მერე აპარატს უკირკიტებს, „ჩემი ფანქარი ხომ არ გინახავს?“ - ეკითხება კაცი, „არა, - პასუხობს კლიმი, - უჯრაში არ იდო?“, ამასობაში კი ხელმძღვანელი, თავაზიანი ღიმილით, ბეწვისსაყელიანი პალტოთი ხელში, შემცივებულ ქალს უახლოვდება, პალტოს ქალის შიშველი მხრების სიმაღლეზე სწევს, ეუბნება: „ჩაიცვით, ქალბატონო, არ გაცივდეთ... დააა...“, ქალმა ერთი კი ახედა, სანამ პალტოს ჩასაცმელად შეტრიალდებოდა და ახლა კეფაზედაც კი, ზვინად დადგმულ თმაზედაც კი - წარმოგიდგინათ? - ეტობა, რომ მოსწონს... „ვერ იპოვეთ?“, „ვერა, კლიმი, - შეწუხებულა კაცი, - ქვითარი რითი გამოვწერო...“, „ძალიან გციოდათ?“, - მომხიბვლელად ეკითხება ხელმძღვანელი, ხმას იტკობს, ლამაზია, ეშხიანი. „-არა, არც ისე... - ამბობს ქალი, ლამაზია, ბუნჩულა. „უჯრაში ნახეთ?“, „კი, და არაა...“, „სად უნდა იყოს...“, შეწუხებულა კლიმიც, ხელმძღვანელი კი - „ახლა ხომ გათბით?“, - ამბობს. ქალი თავდახრილი დგას, ხელმძღვანელი შუა თითით მაჯიდან განზე სწევს ლამაზი პერანგის სახელოს, საათზე ამაყად იხედება, ქალი დროს შოულობს და წამით თვალს ავლებს სახეზე, სულ ერთი წამით, მაგრამ ახლა, ისევ თავდახრილმა, ზეპირად იცის, წარბი როგორი აქვს ხელმძღვანელს, ცხვირი და ტუჩი, და მოსწონს, მოსწონს, აჰ, როგორ მოსწონს, კაცს კი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა, სულაც არ მოსწონს, ფანქარი რომ გაქრა, საგონებელშია ჩავარდნილი. „აი, ახლა ყელზედაც კი გეტყობათ, რომ გათბით, - ამბობს ხელმძღვანელი, - თქვენ არასოდეს არ უნდა შეგცივდეთ, მუდამ თბილად უნდა იყოთ...“, ეუბნება, უყურებს, უყურებს, თვალებით ელოლიავენება. ქალს როცა ბეწვის საყელოზე უდევს, ხელმძღვანელს თითქოს თვალს არიდებს, მაგრამ მოსწონს, მოსწონს, უჰ, როგორ მოსწონს, და ჩვენ რომ არა, აქავე დაეძგერებოდნენ ერთმანეთს, „ეგებ აურელიანოსა აქვს კალიმისტარი?“, - აზრს აწვდის კლიმი, „ოოო, მართლა, - უხარია კაცს და მაშინვე ახსენდება, - არა, არა, მაგისას გასდის... და ამას რომ ვკითხოთ?“, - ხელმძღვანელზე ამბობს. ის კი ქალისკენ გადახრილა, და შიგ თვალებში ჩაჰღიძის, „ბოდიში, კალიმისტარი ხომ არ...“, - ამბობს კაცი, მაგრამ ხელმძღვანელს არ ესმის, გართულია, ყოჩაღი კლიმი კი პოულობს რომელიღაც წიგნში ჩადებულ ფანქარს, კაცი ქვითარს ავსებს, თავაზიანად აწვდის კლიენტს, ისიც, წასასვლელად ემზადება - სქელ, ფუმფულა თავშალს ისევ, ხელმძღვანელი კარს უღებს და ქალს ორ პატარა საფეხურზე ასვლას შევლის - მის იდაყვს პეშვში ისვამს, ამბობს: „დროებით...“, და ოთხნილა ვრჩებით, ორი - ორზე, მაგრამ კაცმა ჯერ არ იცის, ჩვენ რომ ერთად ვართ, კლიენტის ჰგონია,

ეკითხება: „თქვენ პასპორტისთვის თუ...“, ხელმძღვანელი კი გულიანად უღიძის: „არა, არა, მე ჩემს თანამშრომელს მოვეყვი...“, „თამაზის? - უკვირს კაცს და უცებ ახსენდება: - აა, ეს თქვენა ხართ, ხელმძღვანელი, ახალგაზრდა და ენერგიული, რომელმაც, თამაზის სიტყვით, ძალიან კარგად დაიწყო? - დიახ, დიახ... და უცებ, გაოგნებული კაცი ამბობს: - კლიმი, მეჩვენება თუ... - არა, არა... - რეები ხდება... როგორა ჰგავს, ა? კოპიოა, კოპიო... - აბა? - უკვირს კლიმსაც და ბარძაყზე ხელს ირტყამს, - როგორა ჰგავს, საკვირველია... - მე?... ვის, ა? - შემკრთალია, მაგრამ არ იმჩნევს ხელმძღვანელი, ვითომცდა გულგრილად ინტერესდება, - კინოფილმიდან? - აჰ, არა, არა... - ხელს ასავსავებს კაცი. - აბა? - წიგნიდან, წიგნიდან... სასწაული გამოვიდა, მაგრამ ასეთი?! - კლიმი, ხომ ზედგამოჭრილი ჯანჯაკომო სემინარიოა, ა, ნუთუ არ გენიშნა, კლიმი? - მენიშნა კი არა, ისაა და ეგ არის, - ყოჩაღად პასუხობს კლიმი. - ბოდიში, ეგ რომელი?... - ამბობს ხელმძღვანელი, ჯერ კიდევ კარგად უჭირავს თაყი. - აი, პირველი შვილი, მარშალის უფროსი ძმა. - ვინ მარშალი... - ვინ და ბეტანკური! აბა ეს კი არა, - ჩემზე უითბებს, წარმოგიდგინათ? და უცებ აღფრთოვანებული ამბობს, - იცით, მსგავსებას თუ დაუჯერებთ, თქვენ თამაზის რა გამოდინართ? - რა... - პაპა! - ეს როგორ? - ჯანჯაკომო ხომ არიანდა კარასკოსგან ჰგავდა, არა? - მენსიერებას იმოწმებს კლიმი. - ვინ ჯანჯაკომო, რა მარშალი... - ახლად იბნევა ხელმძღვანელი. არეულობა - მტრისას... ოთხივენი გაკვირვებულნი შეეცქერით ერთმანეთს. - აა, მივხვდი, - ამბობს კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა, - თქვენ ბეტანკურიანი რომანი არ წავიკითხავთ, არა, ხომ? - ა-არა, ხომ... - ამბობს ხელმძღვანელი, მშვიდდება, - არა ტყუილი რა საჭიროა... ნაწარმოებია ასეთი? - ჰე! არის და... და არც მარო ვარგასი... - ეეე... არა, - და კორტასარი? - მმუ... არა. და უცებ კაცი ღონივრად ართმევს ხელს: - მომილოცავს, მომილოცავს, ბედნიერი კაცი ყოფილხართ, ბედნიერი... - რატომ?! - უკვირს ხელმძღვანელს. - რატომ და ისეთი დიდი სიამოვნება გელით... - რა სიამოვნება? კაცი კი ამბობს: - პირველად წავითხვის. ხოლო აქ ხელმძღვანელს თავისი მომავალი ნაშრომი ახსენდება - თავს ოღნავ გვერდულად და ზემოთ სწევს, სახე უმკაცრდება, სკამზე ჯდება, თითებს მინაგადაფარებულ მაგიდაზე აკაკუნებს, ამბობს: - შეიძლება, რამდენიმე შეკითხვა მოეცეთ? - კი ბატონო, სიამოვნებით, - ამბობს კაცი, დაკვირვებით უმზერს. და კლიმს ეუბნება: - ხელი რომ არ შეგვიშალონ, ეს ჩამოკიდე.

„ეს, - ოთხკუთხა მუყაოა, და „შესვენება, ქართულ-რუსულად აწერია ზედ. 10 აქამდე რაც იყო, არაფერიც არ იყო, მთავარი ახლა იწყება - მე და კლიმი სეკუნდანტებივით ვართ, ხელმძღვანელი და ახირებული რესპონდენტი პირისპირ სხედან. სუყველაფერი გამზადებულია: კალიმისტარი - მომარჯვებულის, ანკეტა - გადაშლილი, რესპონდენტი სმენდაა ქვეული, ხელმძღვანელი თვალმოჭუტული უყურებს, და არა ჩქარობს, არა, იმას უნდობლად უმზერს კლიმი, მე კი დაეჭვებული შეეცქერი რესპონდენტს - ორი - ორზე ვართ. და ხელმძღვანელი ამბობს: - მოცემულ ანკეტაში უმნიშვნელოვანესი ფუნქციონირება არ შეიძლება გამოყენებულ იქნას ტრადიციულ შეკითხვათა სერხმალზე დაყრდნობით, რაც თავისთავად დაკავშირებული იქნება ყოფა-ცხოვრებისა და, საერთოდ, ცხოვრების წესის გათვალისწინებით, და მაშასადამე მათი ადგილი უნდა დაიკავოს გარემოს ურბანიზაციის კომპლექსური მარჯვენაბლების... აქ კი რესპონდენტი აწყვეტინებს: - კი ბატონო, მკითხეთ... - რა გკითხოთ?! - განცვიფრებულია ხელმძღვანელი, ოღნავ ღიზიანდება, არ უყვარს, როცა აწყვეტინებენ, - ჯერ ეს ერთი, რა იცით, რა უნდა გკითხოთ... - არ მითქვამს ვიცი-მითქვი... თუმცა, როგორ არ ვიცი, - ამბობს რესპონდენტი, - თქვენ უნდა შეისწავლოთ ჩემი თავისუფალი დრო და ჩემივე ყოფა-ცხოვრება მომავალი აღმავლობისათვის, თუ არა ვცდები, არა? - და ყოველგვარი შესავლის გარეშე გკითხოთ? - რა თქმა უნდა, შესავალი - ეს ხომ თამაზმა ჩაატარა უკვე და ისიც ვიცი, რომ მე - რესპონდენტი ვარ, და ინტერვიუები - თქვენ. - კარგი, - ცივად უღიძის ხელმძღვანელი, - ესე იგი, თქვენ გიყვართ მხატვრული ლიტერატურა, არა? - რა დასამალია და, ძლიერ. - ძალიან კარგი... და ჟურნალ-გაზეთებიც? - ეს, სხვათა შორის, ძალიან არასწორი გამოთქმაა - „ჟურნალ-გაზეთები...“, - სწყინს რესპონდენტს, - რადგან ჟურნალი - ერთია, გაზეთი კი სხვა... რატომ მიაწებეს ერთმანეთს საშუალოდ, წარმოდგენა არა მაქვს. - აჰა... და რომელი მწერალი მოგწონთ? - რომელი საათია, კლიმი? - მოულოდნელად ასეთ კითხვას სვამს რესპონდენტი. - ოთხს უკლია ჩერეკი, - პასუხობს კლიმი. - ოო... იმთ ჩამოთვლად ვედარ მოვასწრებ - მუშაობას ხუთზე ვამთავრებთ. აი, სწორედ აქ ხელმძღვანელმა პირველად დაიბღვირა. მერე კი ჰკითხა: - რას იზამთ, ვინმეს თუ შეაძინეთ, რომ ბიბლიოთეკაში წიგნს ხეგს? გვეგონია, რომ იტყვის: „დავკლავ საკუთარი ხელით...“, ყველს გამოვლადრავ... „მილიციას გამოუძახებ...“, მაგრამ რესპონდენტი ძალიან მშვიდად გვპასუხობს: „წიგნს გააჩნია...“ ასეთ პასუხს არ მოველოდით, ვინევი, კლიმი კი: „კარგი ხართ, მაესტრო...“, - ამბობს. - თქვენ მართო ცხოვრობთ? - არა, ორნი ვართ, - ყოჩაღად პასუხობს რესპონდენტი, - მე და ჩემი ძმა, გრიმა კეჟერაძე. მესამე ძმაცა გვეყვას, ოო, ისაა, რაცაა, ორივეს გვეგობს, ოღონდ ჩვენთან ერთად არა ცხოვრობს, სოფელ-სოფელ დადის. მე და გრიმა თუ... აბა, როგორ ვითხრობ... ჰო! მე და გრიმა თუ სამოთხრობო ხალხი ვართ, ის ძმა - მესამე - სარომანია, მაშ!

- და თქვენთან რომელიც ცხოვრობს, თქვენსავით უყვარს ლიტერატურა? - ვის, გრიმას? არა... სიყვარულით როგორ არ უყვარს, მაგრამ ჩემსავით ძლიერ - არა. ეეჰ, იმასაც ჰქონდა თავისი პრობლემა - გატაცება, მაგრამ უკიდურესობაში ჩავარდა, რადგან ყველას ემუსაიფებოდა, განურჩევლად, მერე კი გადაწყვიტა ჩუმად იყოს, ეეჰ, ახლა პიანინოებს აწყობს და ჩუმადაა. აი, სწორედ აქ ხელმძღვანელმა მეორედ დაიბღვირა. და მერე მანც აღაპარაკდა, როგორც სჩვევია, დამაჯერებლად, გამოთქმით: - აი, ის ფაქტი, თქვენ რომ ლიტერატურა გიყვართ, ძალიან კარგია, ეს არის კულტურული დასვენების ერთ-ერთი გამართლებული საშუალება. ერთ-ერთი-მეთქი, ვამბობ, - ამბობს ხელმძღვანელი, - მაგრამ რა დააშავა, მაგალითად, სახვითმა ხელოვნებამ, ანდა სუფთა ჰაერზე გასივრებამ, ანდა დიდებული მუსიკის მოსმენამ, როგორიცაა სხვადასხვა გამოჩენილი კომპოზიტორები, დიახ... ანდა სამეჯლისო ცეკვებზედაც ხომ შეიძლება სიარული, რადიოს მოსმენა, ტელევიზორი, თავისი საინტერესო გადაცემებით მრავალფეროვან თემებზე, ან სპორტის რაიმე სახეობა, ვთქვათ, ჭადრაკი, ანდა მხატვრული ლიტერატურის კითხვა... - და უცებ ახსენდება, - თუმცა არა, არა, ეს ხომ გაქეთ... და, დიახ, იმას ვამბობდი, აი, ჭადრაკი, მეტად კარგია და საერთოდაც... სიჩუმეა, ციცილი. - განაგრძეთ, განაგრძეთ, - ამბობს უცებ კლიმი - ხელმძღვანელს ასწავლის, რა ქნას და რა არა, თავზედი გამიგია, მაგრამ ასეთი? კაცს მანც ჰგავდეს, დაბალია, დიდთავა, პატარა, ლაწირაკი, დაფეხვილი... და განრისხებული ხელმძღვანელი ენერგიულ, ურთულეს შეკითხვაზე გადადის, ახლა ისევ თამაზია, შეუპოვარი: - თქვენს ნება-სურვილზე რომ იყოს, - ამბობს ხელმძღვანელი, - ცხოვრებას როგორ მოაწყობდით... - ჩემსას, საკუთარს? - არა, გენაცვალე, - ინაზლით ეუბნება ხელმძღვანელი, - საზოგადოების! - ღმერთო ჩემო... - ძველგარედ წარმოსთქვამს რესპონდენტი, - მომეყურა თუ... მთელი ცხოვრება ამ შეკითხვას ველოდებოდი! - მართლა? - განცვიფრებულია ხელმძღვანელი, - ვიფიქრიათ ამაზე? - სხვა რა მიკეთებია, - დაფიქრებული ამბობს რესპონდენტი და უცებ მხნევედება, - ვიამბოთ? - როგორ მოვაწყობდი? - კაბინეტში დადის, დაიარება, ბოლთასა სცემს, სურათებს შესცქერის: ღრმა დეკოლტიანი ქალებს, როგორც წესი, სერიოზული გამომეტყველება აქვთ, ალბათ, თამაზი დეკოლტეს გასაწონასწორებლად, მკერდდაფარულნი - ილიმებიან, არის გამოინაკლისიც - ღიმილი და დეკოლტე ერთად, ორიოდ ქალს ყალბი ტრაგიზმი აღბეჭდია სახეზე, აგერ, ის კაციც, გუშინ სამჯერ რომ გააშავეს, თვალსაჩინო ადგილზეა სტენდში, აქავე ვიდაც ყმაწვილი, ბოროტად ილიმება, ისიც თვალსაჩინოდაა წარმოდგენილი, ცოტათი ქვემოთ - ვიდაცაა, სუფთა გაიძვერა, იმის გვერდით კი უნდობლად იმზირება წვრილტუჩა კაცი. არის კითხილი სახეებიც, ბავშვი ილიმება, „როგორ მოვაწყობდი? - ამბობს რესპონდენტი, ცოცხლდება, - როგორ და მთელ ქალაქს კარცერებით მოვყენდი...“, „რაო? - ყურს არ უჯერებს ხელმძღვანელი, - როგორ თუ... ეს რა - დესპოტიზმია?“, - არა, გეთავაზო, დესპოტიზმისაგან ღმერთმა დამიფაროს, - ღიმილით ამშვიდებს რესპონდენტი, - ეს არ იქნება კარცერი ჩვეულებრივი გაგებით, ეს იქნება კარცერ-ლუქსი... - როგორ თუ ლუქსი?! - თქვენი გაკვირვება სამართლიანია,

- ეთანხმება რესპონდენტი, - არის ქვეყნად სიტყვები, რომლებსაც დღესაც მღერის გვერდიგვერდ ყოფნა, ამ შემთხვევაშიც ასეა, სად „კარცერი“, და სად „ლუქსი“, მაინც არ არსებობს დედამიწაზე ისეთი ორი სიტყვა, ოდესმე ერთმანეთს რომ არ შეეხამოს, ახლაც ასეა, - ეს იქნებოდა კარცერი-ლუქსი, წიგნებიანი თაროებით სავსე, რბილი, მონერხებული სავარძლით, კონტა მაგიდაზე ნათურა - სოკოთი, ეს იქნებოდა კარცერი - ოცნება ყოველი წიგნის მოყვარულთათვის, რას იზამ, ყველას არ შეუძლია ბიბლიოთეკაში კითხვა, და ვინც თავისი ფეხით შევა ჩემს მიერ შემოღებულ მოწყობილობაში, მაშინ ეს ოთახი იქნება უბრალოდ - ლუქსი, მრავალთათვის კი - კარცერი-ლუქსი... აი, სწორედ აქედან უნდა დამეწყოს - მე და ჩემნაირები, ეე, ჩემნაირები - ეს იქნებოდა უთვალავი კლიმი, ქუჩა-ქუჩა ვივლიდით, აი, ვთქვით, მივდივართ... მივდივართ, ავიარეთ, ჩავიარეთ, კედელს ორი ვეგელი მიყუდებია, დგანან, მასლაათობენ, იფურთხებიან, დგანან, არსად არ აპირებენ წასვლას, ფეხებზე ჰკიდიათ, რომელი საათია, რა დროა, ღამეა თუ შუადღე, დგანან, გოგოებს ეანგვლებიან, წაუსტვენენ, წაუღილინებენ, ხანდახან ერთმანეთს გაეხუმრებიან თავისებურად - პანლურს ამორტყამენ ერთურთს, იკრიჭებიან და სწორედ ამ დროს მე და ჩემნაირები - ტაც! - ხელს ვსტაცებთ და ზემოაღწერილ კარცერში მიგვყავს...

- ძალით? - აინტერესებს ხელმძღვანელს, და პირველად იწერს რაღაცას.

- დიას, დიას, ძალისძალით. - მტკიცედ ამბობს რესპონდენტი, შეუვალაია, - შესაძლოა, ხელის ამორტირებაც კი დაგეგმორდეს. იცით რა, გეთაყვათ, ზოგს მშობლების ზემოქმედებისა სჯერა, ზოგს - სკოლის, ზოგს - ორგანიზაციის, სხვას - უჯრედისა, ზოგს - ცემა-ტყეპისა და კიდევ რა ვიცი რისა აღარ, მაგრამ, ჩემის აზრით, ეს ჩემი ლუქსი, აჰ, უბაღლოა - დგას ჩვენი ჯველი, რაღა თქმა უნდა, ცალკე ვათავსებთ, ამ ჩვენს კარცერში, ჭერში მტერივით იფურება, ფანჯარაზე გისოსება აკრული, კარიც, რასაკვირველია, დაწმულია, გარეთ რომელიმე - რომელიმე კლიმი დარაჯობს, სკამზე ჩამოგდარი, მუხლებზე - წიგნით, ჩვენი ჯველი კი უფურებს მაგიდას, სკამსა და... კარადა-თაროებს, მაგრამ ჯერჯერობით - არაფერი. მიდის ქათქათა საწოლთან, წვება, იფურება, იფურება, თვალი უმტერდება და იძინებს. მშობლები, რა თქმა უნდა, გაფრთხილებულნი არიან, „ნუ გეშინიათ, ქალბატონო, თქვენი შვილი კარცერ-ლუქსშია...“, „კი ბატონო, კი, ოღონდ ეგ ქუჩა-ქუჩა წანწალს გადაეჩვიოს და...“, ჯველი იღვიძებს, უფურებს ჭერს, შია... რა მოგართვიათ, ეკითხება გარედან რომელიმე კლიმი, ჩაი, რძე, კაკაო... კაკაო იყოს, ამბობს ჯველი, რატომ დამიჭირეთ... მაგრამ რომელიმე კლიმი ამ შეკითხვაზე არა პასუხობს, სულ სხვა რამეს ეუბნება - რამდენი კოვზი შაქარი გნებავთ? ოთხი, ამბობს ჯველი, რატომ დამიჭირეთ, რომელიმე კლიმი კი - ყველი რომელი გიყვართ, გულის, იმერული

თუ სულგუნი? სულგუნი, რატომ დამიჭირეთ... რომელიმე კლიმი კი საუზმეს უმძრახავ აწვდის, ჯველი საუზმობს, პურზე კარაქს უსვამს, კვერცხს ნატყუჭს აცლის, ცოტათი ერთობა, სიგარეტი ნებავს? კი ბატონო, სიამოვნებით, „მზიური“, „კოლხიდა“, „ლუქსი...“ მაგრამ სხვა რამ გასართობი? - აჰ, არა, არა, აჰაჰაჰაჰა - არავითარი რადიო, ტელევიზორი, ტელეფონი, ჩვენი ოთახი მხოლოდ ლუქსი კი არა, კარცერიცაა ცოტათი... ჩვენი ჯველი კი აბოლებს და ჭერში იფურება... ჭერი კი ანბანი-თაა მოხატული - ა, ბ, გ, დ, ე... ხომ კარგი აზრია, კლიმი?

კლიმი რას იტყვის - რა თქმა უნდა, „შესანიშნავიაო“, - ამბობს.

- მერე მოდის სადილობის დროც... პირველი თავი, მეორე, მესამე, სალაათა როგორი გნებავთ, ზეთით, ძმრანი თუ უმძრო, რატომ დამიჭირეთ, ა! არაა შენი საქმე - რომელიმე კლიმი - და აქ თუ ღრიალი და ხელ-ფეხის ქნევა ატეხა, უნდა უთხრათ: „თუთ!...“, - და ისადილებს. მერე ისევ ახედავს ჭერს, ჭერზე - ანბანია, და ამ დროს ნებისმიერი კლიმი დაუდევრად ეტყვის - თუ გინდა გადაფურცლე რამე, აი იქ კარადაში, წიგნები... გამოაღებს, ჯერ საბავშვო წიგნები იქნება, დიდასობიანი, ნახატებიანი, „თხა და გიგო...“, „მელია და მწვერჩიტა...“, ვთქვით... და თუ თავისი ნებასურვილით გადაიკითხავს, ხომ კარგი და თუ კითხვას გულს ვერ დაუდებს, რომელიმე კლიმი კატეგორიულად ეტყვის: „იქამდე არ გაგანთავისუფლებთ, სანამ კარადაში მითავსებულ წიგნებს არ წაიკითხავთ...“

- ეს ხომ ძალადობაა, - ამბობს ხელმძღვანელი, - კონკრეტულმა პიროვნებამ საკუთარი ინიციატივით უნდა შეირჩიოს ამა თუ იმ საზოგადოებრივ ღონისძიებათაგან...

- მე ჯერ მხოლოდ ყმაწვილ-უსაქმურზე მოგახსენეთ, ბატონო, - უხსნის რესპონდენტი, - აბა მე რა უფლება მაქვს, ვინმე პატიოსან ქიმიკოსს ვსტაცო ხელი და დავამწყვდილო... - და უცებ ღრმად ჩაფიქრებული ამბობს, - ისე კი, უწიგნურ ქიმიკოსსაც თუ აწყინოს, მამაძალი ვიყო...

II
- ჰ-ჰ! - ნერვიულობს ხელმძღვანელი, აფორიაქებულია, დაწვეწველს თითებით იმოწმებს - გაპარსულია თუ არა, კლიმს უფურებს, ახსენდება: - კი მაგრამ, რომელიმე კლიმმა რაღა დააშავა, მთელი დღე რად უნდა უყარაულოს და მოემსახუროს უსაქმურს?

- ჯერ ეს ერთი, მე აღვნიშნე, რომ მუხლებზე წიგნი ექნება გადაშლილი, მეორეც, ყოველთვის შეიძლება უწყინარი გართობა...

- როგორ?
- სიტყვით.
- როგორ თუ სიტყვით?!
- ახლავე ავიხსნით. აი, ვთქვით, აი... ჰო, აი თუნდაც თამაზი ავიღოთ, ჩვენი რა თანამდებობა აქვს?
- უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელია.
- ძალიან კარგი. ადრე ვინ იყო...
- ადრე - ლაბორანტი.
- აჰა... და დაწინაურეთ?
- დიას.
- აჰა!.. ესე იგი, სიტყვა უმცროსი ამ შემთხვევაში დაწინაურებას ნიშნავს?

- დიას.
- ჰოდა, საგულისხმო გამოთქმას მივიღებთ - „გავაუმცროსოთანამშრომლეთ...“, აი, აქ კი ხელმძღვანელმა შესამედ დამიბღვირა.
- ახლა საწინააღმდეგო მაგალითი ავიღოთ - ვთქვათ, თამაზი კვლავ ლაბორანტია. როგორ გამოთქვამდა თავისი პირით ამას?



- ისევ ლაბორანტი გავხდი, - ამას ხელმძღვანელი ამბობს...

- არა, რომ ჩამოაქვეთეს, ისიც უნდა იგრძნობოდეს.

- ისევ ლაბორანტად ჩამომაქვეითეს. - მოკლეთ!

- ლაბორანტად ჩამომაქვეითეს.

- უფრო მოკლეთ!

- ჩამომაქვეითეს.

- ლაბორანტი სადღაა?! ერთი, ერთადერთი სიტყვით უნდა გამოთქვათ, ისე რომ ჩამოქვეითებაცა და ლაბორანტობაც გამოიხატებოდეს.

- ერთი სიტყვით შეუძლებელია.

- რატომ?

- აბა, თქვენ სცადეთ, თუ შესაძლებელია.

კაცი კი ამბობს:

- შესანიშნავ სიტყვას მივიღებთ: „ჩამომალაბორანტეს...“, - ხომ შესაძლებელი ყოფილა? აი, ასე ითამაშებდა სიტყვით რომელიმე კლიმი.

ხოლო კლიმი: - კარგი ხართ, მაესტრო, - ამბობს.

აჰ, ხელმძღვანელი... მეოთხედ დამიბღვირა.

სიჩუმეა, კლიმი აღტაცებული შესცქერის რესპონდენტს, რესპონდენტი თავისას ფიქრობს, თავისასვე ფიქრობს ხელმძღვანელი, და მხოლოდ მე არ ვიცი, რა ვქნა, რა გავაკეთო, ჰალსტუხს ვაწვავლებ, და მახსენდება საშინელი, საზარელი სიტყვა „ჩამომალაბორანტეს...“, არა, ეს მაინც ვის გადავწყვიტო, ჩამევილო ჩემთვის, არხეინად, რა იქნებოდა, თუმცა, რა ვიცოდი, ახლა კი გვიანდაა - ხელმძღვანელია დანიტერესებული, მაგრამ, მეონი, ისიც ნანობს, აქ რომ მოვიდა და მაინც, ასე ამბობს, ენერგიულია, დალოცვილი:

- ლიტერატურას როგორ შეარჩევდით?

- თავიდან? როგორც უნდა, ჯანდაბას, თვითონ შეირჩიოს, იქნება ეს სექტრები,

სიმიენონი თუ დასტად აკინძული ჟურნალი „ნიანგი“, ისე კი, ჟოულ ვერნით დაწვება ყველაფერსა სჯობს, მთავარია, ჯერ მაგიდასთან ჯდობა ისწავლოს, ფეხების ხან სკამქვეშ შეეკეცვა, ხან კი - გაშლა, წიგნის გადაფურცვლა ისწავლოს, სარჩევის თვალთვლება, მერე თანდათან მივაწვდით... აბა, კლიმი... ჰო, „სამ მუშკეტერს...“ მარკ ტვენს, რომელიც რა

ქნა, მოკალი და არ მიყვარს, ო ჰენრის, მერე წამოვიდოდნენ უფრო სერიოზული მწერლები, კლიმი, ორი კაცი მომაწოდებ... მშვენიერია - ჯექ ლონდონი, რომელიც ორმხრივ დაინტერესებს და რა თქმა უნდა, შეიძლება ჰიუგოს პროზაც, რომანტიულს რომ ეძახიან, სწორედ ისაა და თან ოდნავ ძნელი წასაკითხი, მერე კი ცოტას ამოვასუნთქებდი, „უთავო მხედარი...“, „აიკენგო...“, ვთქვით... და მოდი, კლიმი, ახლა კი ვუბოძოთ ის დიდი მწერლები, რომლებიც საოცრად ადვილად იკითხებიან... ჰოო, მერემე, ჩეხოვი... ერთიც! სწორია, სწორი - ესე იგი. მივცემდით მერინებს, ჩეხოვსა და მოხასნას, შემდეგ კი რისკის დროც დადგებოდა, რაიმე ძნელი, ოღონდ რომანი არა, ნამეტანი იქნება - ჯერ მოთხრობა შევუგდოთ, კლიმი... აჰ, არა, არა, რა დროს მაგისი „სიკვდილი ვენეციაშია...“ რას ამბობ, კაცო... მოკლედ რა-

იმე ისეთი, და მერე ისევ შედარებით ადვილი, შედარებით-მეტი, ოდნავ ძველ-მოდური... ჰოო, თუნდაც დიკენსი...

- ოო, დიკენსი კარგია, კარგი, - უხარია ხელმძღვანელს, - დავიდ კოპერფილდი.

- ვითომ? - აგდებულად შესცქერის რესპონდენტი, მაგრამ ხელმძღვანელი ისეა გახარებული, ვერაფერს ამჩნევს. ამბობს:

- რა თქმა უნდა, ძალიან კარგია, კარგი, ჩრდილში, ხანდახან დიკენსი...

- ხანდახან დიკენსი და აქა-იქ ტოლსტოი, არა? - დამცინავად უფურებს კლიმი, პატარა, კრუნის პალო, ლაწირაკი, რესპონდენტი კი ამბობს:

- მწერლების ჩამოთვლას აღარა აქვს აზრი, სავსებით საკმარისია... ახლა მხოლოდ სახეზე უნდა შეგხედოთ ჯველს.

როგორი გამომეტყველებით კითხულობს... და თუ საკმარისადაა ჩაფლული, გავუშვებთ.

- როგორ მიხვდებით?!

- გამომეტყველებით.

- მერედა, რა გამოვა ამით?!

- ვისგან?

- თქვენი ჯველისგან?!

აქ კი რესპონდენტი საზეიმოდ აცხადებს:

- რა გამოვა, და... რომელიმე კლიმი! პატარა ხანს ჩუმად არიან, მერე კი ხელმძღვანელი ჯიუტად განაგრძობს:

- და ამით რაღა გამოვა?!

- რომელიმე კლიმისაგან? მეტი რაღა უნდა გამოვიდეს, დალოცვილო - მივიღებთ ადამიანს, ვისაც ძლიერ უყვარს ლიტერატურა.

- ლიტერატურა, ლიტერატურა, - ღიზიანდება ხელმძღვანელი, - დიდი ამბავი!!

- რა? რა? - ყურს არ უჯერებს განცვიფრებული რესპონდენტი, - ნუთუ ამის ახსნაც საჭიროა?

- სცადეთ, - მე გისმენთ.

- ვცადო? - დაფიქრებული ამბობს

კასი, ჩოხელსას
ლიტერატურა
კლინი
უწყისა

კასი, რომელსაც ლიბნიატუნა კლიონ უყვარდა

რესპონდენტი, თვალში უყურებს, - ვცადო? მაშინ, ჯერ მარტივად აგიხსნით - ყოველი ნორმალური მოთხოვნის წაკითხვის შემდეგ ხდები ოდნავ უკეთესი, ვიდრე ხარ, უფრო ჭკვიანი, ვიდრე იყავი, და, სხვათა შორის, - აქ ელიმება, - მე თანდათან უფრო ვრწმუნდები, რომ ადამიანისათვის საჭიროა ჭკუა... - და სახე უმკაცრდება, - ეს, როგორც მოგახსენეთ, მარტივი ახსნაა, მაგრამ ესეც საკმარისია - უკეთესი ხდები... ახლა კი შედარებით რთულად აგიხსნით...

ოთახში ბოლოსას სცემს... მიდი-მოდის... დადის...

აჰ - სიჩუმეა.

12

- ქვეყნად არსებულ ხმაურთან ერთს გამოვყოფდი - ხმადაბლა, კრძალვით ამბობს რესპონდენტი, - ყველაზე საშიშნოს, უსიამოს, გულდამწყვეტსა და ვინ იცის, კიდევ რა - ესაა პირველი გორახის დაცემა საფლავში ჩადგმულ კუბოს სახურავზე, გაგახსენდათ, არა? ყრუ ხმაურია, საზარლად ფშვანდი... ესეც არ იყოს, შეუძლებელია, ხანდახან ძილი არ გაგიტყდეს და, ბნელი ღამით, უეცრად დაღვიძებულს, უცნაური, განსხვავებული სიცხადით წარმოგიდგება სიკვდილი, რომელიც, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ და, მოვა... ეს ერთადერთია, ერთადერთი, რაც დანამდვილებით იცი, მაგრამ დღისით, მზისით, ოპოპო, ხალხში, უკრა გულზე ხართ, ფრუტუნით იბანთ პირს, საუზმობთ, და შებოლილ ძეხვს ისე ღონივრად ღეჭავთ, თითქოს რკინა იყოს, ერთმანეთს ხვდებით და ზოგი - უფროსი ბრძანდებით, ზოგიც - უმცროსი, არ არსებობს მხოლოდ ტოლი, ეს თქვენთვის, უმეტესობისათვის, მისალოც-თათვის - „მისალოცი...“ ხომ იცით, ჩემებურად რასაც ნიშნავს - ვისაც პირველად წაკითხვის მრავალი ბედნიერება წინა აქვს და მე და კლიმი კი, აბა, რამ გაგვყო, მიწოდეთ მე თუნდათ ფოტოკაბინეტის მთავარი დირექტორი და იმას - თანამემწე, მაინც ერთნი ვართ, რადგან: ჩვენ ძლიერ გვიყვარს ლიტერატურა, და თქვენგან, მისალოცთან განსხვავებით, დაწინაურებას სულაც არ ვცდილობთ, და სიკვდილისაც ნაკლებად გემშინია, რადგან მრავალჯერ მოემკვდარვართ და ყველაფერი, აჰ, ყველაფერი გამოგვიცვლია - მფედ ვუკუთხოვნივართ, სიკეთისთვის ხის ხმლით ვვიბრძვი, ხან დაფნა დაგვიდგამს თავზე, ხანაც - ეკალი, სქელი ხალიჩაც გაუშლიათ ჩვენს სავალ გზაზე, ყვავილ-მოყრილი და ნაკვერჩხლებზეც შიშველი ფეხისგულეებით გვივლია... ქარაფშუტულად გვიქაქანია, მოცლილი, ენას ვატლიკინებდით და ესეც მომხდარა, ბაგდაზნულთ, უთქმელთ, დიდხანს გვიტარებია უცხო საიდუმლო, ეჰ, ის ხმაური მაინც გვესმოდა... და ბევრი, ბევრი სიცოცხლე გვინდოდა, ბევრნაირი, სხვადასხვა და ჩვენ ჩვენს ოთახებში, მაგიდისაკენ თავდახრილნი, ათასნაირი სიკვდილით მოემკვდარვართ, - ზღვაში ჩაეძირულვართ, ქუსლში დაგვჭრილვართ, ვილიოტინაზე

ავსულვართ, ფათერაკგადანდილინი, საწოლში მშვიდად გარდაცვლილვართ, დაველუპულვართ გარშემორტყმულნი, კატივთვალეა ვაჟკაცის - ელ სორდოს გვერდით, სხვაც მოგვიკლავს და მერე გვინანია, ოოო, რა უცნაურად... როგორ... მიწისთვის გვიკოცნია და მისი წმიდათაწმიდა ნამცეცები აგვყოლია ტუჩზე, შურის საძიებლად აემხედრებულვართ, გვივლია, გვივლია, გვიწანწალია დაკლანილ გზებზე, წვიმა გვინახავს - ჰეი, ბევრნაირი, და მაინც, კლიმ, მგონია, რომ ყველაზე უკეთ ბუნინთან წვიმადა, თოვლად მოგვსვლია მსუბუქი სვედა, და ყინვა - მჭახე, კრიალა, გლუვი... ის ხმა კი, ის ხმა მაინც გვესმოდა, დილაადრიან გამოვლიოდით, სისხამი დილით ქუჩებში მუდამ უცნაური ხალხია - მათ გამოუძინებელ, მოწყენილ სახეებზე მაინც იგრძნობა რაღაც სურვილი, ბუნდოვანი ძალა, იმედად გვეწვევთ ვიღაცის „ვაუმარჯოს...“ და ქუჩაში უმიზნოდ, უმიზეზოდ დახეტილობა, რადგან ყველაფერში - დაბნულად შეყვარებული ხარ, ადამიანის ფასიც იცი და განსენდება, მაინც რომ აუცილებელია ხანდახან სიმარტოვე და რომ შეიძლება ხანდახან ქალაქგარეთ გასეირნება, რომ კიდევ არსებობს ღულელებისა და ნიჩბისის ტყე, და ღრმა გამოქვაბულები, სადაც შეგიძლია დიდხანს იჯდე, მოკუნტული, სიბნელესა და სინოტივეში და მერე, გამოსვლისას, მზის ძალემ შეუქნე თავლები ახამხამო და, ხელმოკრულ დაბადებულმა, გაიფიქრო რომ ქვეყანა - დიდია და მშვენიერი, და როცა ათასგვარ სიკეთეს იგემებ, დაწყებულს უბრალოთი, როგორიცაა, ვთქვით, გაგანია სიცხეში ზღვა და გათავებულს ზოგადი, ჭეშმარიტი ბედნიერებით, რომლის გამხელაც ბოდიში და, არ შეიძლება - თვითონ უნდა მიხვდეთ და, მიმხვდარი, შეიძლება პირქუშიც გახდე, მაგრამ ეს - სიყვარულის სიპირქუშეა, ეჰ... ოკეანე ხარ, დიდი, მოქნილი თევზებით სავსე, ხან - გაცოფებული, თავსდატეხილ გრიგალებს უყვებ, ხანაც - მშვიდი, ბლანტე და ფსკერზე ზარმაც ფიქრებზე ირხევიან ვერად-ფერადი მცენარეები, ოკეანე ხარ, მზეზე იზმორები და დამით, უნებურად გაღვიძებული, ისევე სიკვდილზე ფიქრობ და გრძნობ, რომ მუდამ ორთქლები, რომ აუცილებლად დაიწრები და შენი თევზებიც სულს დაღაფავენ... მაგრამ როგორც არ უნდა მოიწყინო, გაიტეხო გული, შენს ჯიუტ თევზებს საკვები მაინც უნდათ და ისევე დავბოდილობთ ქვეყნად, ამ დალოცვილი დედამიწის ზურგზე, რა არ გადაგვხდენია და, ღმერთო ჩემო, სულ რომ არაფერი, რამდენი ქალი გვეყვარება, ვინაა ჩვენთან მარანია და ტენორიო, რადგან მთავარი ღონ ჟუანები - ეს ჩვენა ვართ, მე და რომელიმე კლიმი - ღონ ჟუან მკითხველოები, ჰეი, ვინ არ გვეყვარება, რანაირილა ქალი - ნატაშა, ლალი, პირველ სამ წიგნში თავდავიწყებით, მეთოხეში კი, რა ვქნა და - აღარ, სონეკა მყვარებია, უსპეტაკისი, ლაფში ამოსვრილი, ტონკა, უტყვი, უთქმელი, შორეული და მაინც ისე, ისე ახლობელი... ემე თანატოლებს - ყველაზე მტკივნეულად და ემა ბოვარიც კი, ის სადაგელი... ანტონია, ჩემი საბრალო, ყველაზე უცნაურად, ყველაზე მწვავედ და სელინა, კვამლში აცეკვებული... კლაუდია, ქალბატონი შოშა, ოო, ამაყი და პილარი, ოლონდ ტერენრა, საშიშ წკვარამში, იმ ბოლის სუნით... და მზია, მზია ჭინჭარაული, ხევსურის ქალი, ეჰ, მე კი არა, კიბეს, კედელსა და სკივრსაც უყვარდა და ვინ იცის, კიდევ რამდენი... სად არ ვყოფილვარ, მისალოცებო, რა არ მომივლია, გაღუნული დანით - მაჩეტეთი ეკლიანი ბუჩქები - კაატინგა მიკაფია, ოკეანეში თეთრ მტრედს დაედევდი, მგონი, მიყვარდა, მათა მწვერვალზე მიოცნებია და ამისათვის ოო,

როგორ ვუწამებოვართ, კატას - ცხრა სიცოცხლე აქვს, მე კი, ვისაც ასე მიყვარს ყოველივე ეს, ჰეი, რამდენი, რამდენნაირი სიცოცხლე მინახავს და თქვენ კი, მისალოც ინტერვიუერებს, გაინტერესებთ თუ რამდენ წუთს ვკარგავ ვერმიშელის რიგში, მე კი სწორედ მაშინ, ვინ იცის, სად და როგორ დავბოდილობ - დიდებული რამაა თვალი, მაგრამ სულ სხვაა ფანტაზია, ასყურა და ასთვალისანი და კაცი ვერ იტყვის, თუ ვინაა ჭეშმარიტად ნამყოფი პერუსა და ნიგერიაში, მე, თუ რომელიმე ჩიბუხგანრილი ლოცმანი, რომელმაც გემით მთელი მსოფლიო შემოიარა.

- ნიგერია საიდანა იცით? - ჯუქურ ეკითხება ხელმძღვანელი, მგონია, რომ სიტყვაზე გამოიჭირა, მაგრამ რესპონდენტი ამბობს:

- ნიგერიაში, საყვარელო, სამი კარგი მწერალია - შიონკა, ჩინუა აჩევე და გაბრიელ ოხარა.

არაა, ამასთან არ შეიძლება ლაპარაკი, და თუმცა ხელმძღვანელი აღარ მიბღვერს და თვალსაც კი მარიდებს, მაინც ვგრძნობ, რომ გაცეცხლებულია და ისევე მახსენდება ის საზარელი „ჩამომალაბორანტეს...“ კაცი კი, ვითომ აქაო და არაფერი, ისე განაგრძობს:

- იყო მკითხველი, ეს თავისთავად სასწაულია, მკითხველი - ეს სწორედ ისაა, ვისაც შეგიძლია ისედაც ვიწრო საძილე ტომარაში შეყვარებულს შორის იწვე და სულაც არ იყო ზედმეტი, ეს - სასწაულია და მეტსაც გეტყვით, ზედმეტი კი არა, აუცილებელი ხარ, რადგან ავტორმა ასე იწება.

- რა იწება? - ამბობს ხელმძღვანელი, დაბნულია.

- იყო ტომარაში.

- რატომ იწება?..

- იმიტომ, რომ აღწერა, - უხსნის რესპონდენტი.

მერე კი ამბობს:

13

- არის რაღაც საერთო ღვინის სმასა და კითხვას შორის, მე მგონი ის, რომ ორივეს ეგრეთ წოდებული პიროვნების თავისუფლებასთან მიყვარვართ, ოლონდ ერთი - მიშეგული, ავღებული და ულამაზო თავისუფლებაა, უპასუხისმგებლობით გამოწვეული, მორე კი - შემართებული, გამოცდილი და ყოვლისშემძლე, ამამალებელი, გესმით? ოო, რა სიამოვნებით გამოვამწყვდედი ლოთებს ჩემს კარცერ-ლუქსში, რადგან თავისუფლებისადმი გარკვეული მისწრაფება აქვთ, იმათ კი მსხვილ-მსხვილ ვაჭრებს მივყოლებდი, პატარა ვაჭრუკანებს კი არა, არამედ მსხვილებს, მსხვილებს, და თუ იცით, რატომ? აჰ, რარიგ მიყვარს ისინი, და როგორი გულშემატკივარი ვარ მათი, თქვენ ხომ არ იცით. ნუ მიგაჩნიათ ისინი ბედნიერებად, და რაც მთავარია, მვირფასებო, ნუ გშურთ იმათი - რაც არ უნდა მაღლა ასწიონ ცხვირი, რაგინდ თავხედნი და გაბღენძილნი იყვნენ... ნუ გშურთ იმათი ნურც იშვიათი საჭმელ-სასმელი, როცა, საფუძვლიანად დანაყრებულთ, ბუნდოვნად ხახვი და პური ენატრებათ და ვერც კი ხვდებიან; და ჩვენ, მკითხველებს, არც იმათი ქონება შეგვშურდება, რადგან ღონ კიხობი უფრო რეალურია, ვიდრე ყველა ბეჭედი და შკაფი-მაფი დედამიწის ზურგზე, რადგან ღონ კიხობი - დედაურია... ისე კი, სხვათა შორის, სიტყვამ მოიტანა და ფიზიკოსები თუ ვერასოდეს შექმნიან „პრეპენტუმ მობილეს...“ ლიტერატურამ უკვე შექმნა - ეს სწორედ „ღონ კიხობია...“, იმიტომ კი არა, რომ უფრო ადვილია, არა - უბრალოდ, ლიტერატურას შესაძლებლობა აქვს მეტი, ვიდრე ათასნაირ ლაბორატორიებსა და დანადგარებს, ჰოდა, იმას მოგახსენებდით, მოვათავსებდი მსხვილმან-მსხვილმანებს ჩემს კარცერ-ლუქსში, სულ ანა-ბანათი დავაწყებინებდი - იმიტომ კი არა, რომ არ იცან, არა, თანმიმდევრულ მეთოდში

საქმე - და იქამდე მეყოლებიან გამოკეტონი, სანამ „შელის ნუკრის ნაამბობის...“ კითხვისას შელის მწვადი კი არ გაახსენდებოდათ, არამედ სულ სხვა რამ, უფრო მთავარი... და არ გვეგონოთ, რომ კარცერ-ლუქსთა ფინანსური საკითხი არ მაქვს გადაწყვეტილი - სხვადასხვა „დოსააფებთან...“ და საწვევოებთან ერთად შემოვიღებდი გადასახადს კარცერ-ლუქსთათვის, ეს იქნებოდა ჭეშმარიტად ნებაყოფლობითი, თვეში - მანეთი, და ერთის მხრივ ეს არც ისე ბევრია, რადგან თვეში მხოლოდ ერთ ბოთლ ცუდ ღვინოს უდრის - ქართველი კაცისთვის, დიდი ამბავი... და შეიცნობდნენ, ბოლოს და ბოლოს, ნამდვილ, დიდ მწერლებს...

- ჯერ ეს ერთი, - აწყვეტინებს ხელმძღვანელი, გაღიზიანებულია, - რა იცით თქვენ, რომელია დიდი მწერალი და რომელი - არა? ამის გაგებას ხანდახან საუკუნეები სჭირდება!

- ოო, ეს ნამდვილად კარგი შეკითხვა იყო, სრულიად ბუნებრივია თქვენი ინტერესი, ახლავე აგიხსნით... საიდან დავიწყო... რაღა თქმა უნდა, არიან სუსტები, თავ-თავიანთი უსიცოცხლო, უცხვირი პერსონაჟებით, რომლებიც ისევე ზედმეტი და არაფრისმაქნისნი არიან ჩვენთვის, როგორც... რაიმე ახირებული შედარება, კლიმ... ოო, შენ რა ვითხარი - ზედმეტი, როგორც ჭეშმარიტი ვაჟკაცისათვის ცუდი გინეკოლოგი, ეს რა მოიგონე, შენ რა ვითხარი, კლიმ... რასაკვირველია, როგორც ყველაზე, მწერლებშია ცხველებიან სპეკულანტები, ადვილ და მომგებიან, კარგებწვიან ნადირთა მსოცველნი, როგორიცაა სხვა, და სხვა, მაგრამ თუ ნამდვილი მკითხველი ხარ, მშვენივრად მიხვდები, რომელია უფრო ძნელი და რომელი - მომგებიანი, ადვილი თემა, რადგან არსებობს მწერალი - ვაჟკაცი, რაღაცნაირად დინჯად თავხეველადებული, ეს უცნაური მომთვინიერებელი, რომელიც ლომს ხახაში თავს უყოფს, და აგერ, სხვა მომთვინიერებლებიც - როგორც ახტუნებს პატარა, ჩახუჭუჭებულ, ყვლობათიან ძაღლებს, და არიან სხვა, ჭეშმარიტი მომთვინიერებლებიც - მგლის გახედნა, უბრალოდ, შეუძლებელია, და ისიც საქმეა, მგელს პატარა ხნით კუდზე სტაცო ხელი, ვიდრე ლომს ხახაში თავი შეუყო და მერე რა, მგელს შეჭიდებული კაცი ხანდახან ჩამოფლეთილი, მათხოვარვით ჩამოძინილი და გაძევებული რომ ყოფილა და ძაღლის გამწვრთნელებს კი მამაც ჰუსართა ბრჭყვიალა ტანსაცმელი აცვიათ ხოლმე, და თუ მწერლის ჩემული იდავლიც გაინტერესებთ, გეტყვით, რომ ესაა მგელზე ამხედრებული ამაყი გლახა, არწივით მხარზე - ისიც არ იწვრთნებო ამბობენ... დაბოლოს, მარტივად და გასაგებად გეტყვით, რომ დიდი მწერალი ისაა, ვინც დიდ ნაწარმოებს წერს.

- და მეორეც ერთი, - კვლავ აწყვეტინებს ხელმძღვანელი, გაბრაზებულია, - რა იცით თქვენ, რომელიც დიდი ნაწარმოები და რომელი - არა?

- მე, საყვარელო, - უცნაურად უღიძის რესპონდენტი, - ჩემი იშვიათი ფიქსატორი მაქვს, რომელსაც ვერც ერთი უზუსტესი ხელსაწყო ვერ შეედრება - როცა ნამდვილად ღირებულ რაიმეს წაკითხავ, იქნება ეს ნაწარმოები მთლიანად თუ ერთი პატარა ეპითეტი ან შედარება, ვიმეორებ, თუ მართლა კარგი და ღირებულია, მაშინ მარცხენა ხელზე, მაჯიდან იდაყვამდე, აუცილებლად დამბურძგლავს... რა, არა გვერათ? - და რესპონდენტი პერანგის სახელოს მალა იწვევს, ამბობს: - „ღონ კიხობია...“ - მკლავს გვაჩვენებს და, სიმართლედ - სიმართლედ: დაბურძგლულია...

- აი, თქვენ, მაგალითად, - სხვა შეკითხვას აძლევს ხელმძღვანელი, - ჩემთვის გაუგებარი პრინციპებით ხელმძღვანელობთ - მწერლების დასახე-

ლებიას, ანდა იმ ვითომცდა საყვარელი ქალების ჩამოთვლისას რა წესით სარგებლობთ, მაგალითად, იცავთ თუ არა ქრონოლოგიას, როგორც ასეთი, ანდა - ალფავიტს... ა?

- ღმერთო, ეს რა თქვა, - შუბლზე ხელისგულს ტკაცანით ირტყამს რესპონდენტი, - როგორ, საიდან სად - სიყვარული და... ალფავიტი?! დეე-და, დეე-და... ეს რა მისალოცი ყოფილა, ვილაცხა, არა, კლიმ?


- მისალოცი კი არა, ჰაერშია ასაგდები, ოლიმპიური ჩემპიონივით, - ამბობს კლიმი.

- ცოტა არ იყოს, თავაზიანობას მოვითხოვ, - ამბობს ხელმძღვანელი, განრისხებულია, - რა გააჭირეთ, ბოლოს და ბოლოს, ამ თქვენი ლიტერატურით საქმე, ასე მეც შემოიღია გაგაკვირვოთ და აბა, მიპასუხეთ, რა გსმენიათ ჩემს სპეციალობასა და მის ბრწყინვალე წარმომადგენლებზე, აბა, ვინ იყვნენ ემილ დურგჰაიმი და მაქს ვებერი, ანდა პარსონსი და მერტონი, რა გსმენიათ პარეტოსა და ფონ ვიზენზე, - ეშხში შედის ხელმძღვანელი, მიხარია, - ანდა, ვინ იყვნენ შეპანსკი, ბეკერი და პიტირიმ სოროკინი?

- კი ბატონო, ლიტერატურა განზე გადავლოთ, - ამბობს რესპონდენტი, - თქვენ სულ დაგავიწყდათ, რომ მე ლიტერატურათმცოდნე კი არა ვარ, არამედ - ფოტოგრაფი, და მაგ რიხით დასახელებულ გვარებს ფოტოგრაფიის კორიფეთა ჩამოთვლით გაგიბათილებთ: რა გსმენიათ, მაგალითად, დიდ ლუი დაგერზე, ანდა რას მეტყვით კარლ ცეისისა და იოფისის მიღწევებზე, რა კავშირია, თუ იცით, ფოტოგრაფიასა და პოლიგრაფიას შორის და აბა, ერნსტ ლეიტცმა რა გამოიგონა? როგორი ყოფნით უნდა გადაიღოთ სურათი თუნდაც აი, ასეთ ამინდში და მაქს ალპერტზე რა აზრის ბრძანდებით? ანდა როდჩენკოს, მიკულინისა და ოცუპის რომელი ნამუშევრები მოგწონთ... - და შემპარავად ეკითხება: - ა?

აქ კი ხელმძღვანელმა მეხუთედ დაამბღვირა. უუჰ, რა სიტყვაა - „ჩამომალაბორანტეს...“

- და მაინც, მაინც იძულებული ვარ, სიმართლე ვითხრაო, - დანადვლიანებული შესტკერის რესპონდენტი, - ჩემი კარცერ-ლუქსების რეალობისა მაინცდამაინც არა მჯერა, იმიტომ კი არა, რომ ღირსი არაა - არა... და ისიც სიცრუეა, რომ თუ ბევრს ნახავ და უამრავი რამ გადავხედავ, სიკვდილის აღარ შეგეშინდება - პირიქით, უფრო გაგიძნელებს სიცოცხლესთან განშორება, მაგრამ ის მაინც გეცოდინება, საგვსე ცხოვრება რომ გქონდა, ნაწარწალი და ყოვლის მნახველი... და ჩემისთანამ სიკვდილის წინ, უღონომ, სარეცელზე, შეიძლება ასე წარმოთქვას: „ეჰ, კარგი იყო, ოხერი...“, და თქვენისთანამ კი ჯანმრთელმა, შესაძლოა ნიშნის მოგებით მკითხოს: „რა - სიცოცხლე თუ ლიტერატურა...“, მე კი,



გაინტერესებთ, რას გეტყვით?

- რას მეტყვით?... - ეკითხება ხელმძღვანელი, აფორაქებულია.

- მე კი მოგიგებთ: „და განა სულერთი არ იყო?...“

- კარგი ხართ, მესტრო, - აღფრთოვანებულია კლიმი, რესპონდენტი კი განაგრძობს:

- მე მაინც ვცდილობდი, ბოლომდე არ მეგრძობინებინა თქვენთვის, მისალოცთათვის, ჩემი უპირატესობა და პოეზიაზე კრიტიკ არ დამცდენია - გიფრთხილდებოდი... ეს იმიტომ რომ, ჩვენი პაწია საქართველო მსოფლიოს პოეზიურ რუკაზე ერთ-ერთი დიდი, ძლიერ-მოსილი სახელმწიფოა...

- პოეზია, პოეზია, - დიდი ამბავი, - ამბობს ხელმძღვანელი, - ლაქები აყრია სახეზე.

- ქალაქში, მტვერში, წაიქცა ბავშვი, - ჩურჩულებს რესპონდენტი, - რა უნდა იყოს ამაზე საზარელი, ამაზე იდუმალი რამ...

- წაიქცა, წაიქცა, - ინაზღით იძახის ხელმძღვანელი, - დიდი ამბავი, თუ წაიქცა... წაიქცა და კეთილი გამგებლები კვლავ წამოაყენებენ... ბავშვობაში ვინ არ წავექცეულვართ, მაგრამ დადებითი გამგებლების მეშვეობით ისევ წამოვმდგარვართ, დიდი ამბავი...

- ღმერთო, ეს რა თქვა! - ხელები ჭერისაკენ აქვს აპყრობილი რესპონდენტს, - გაიგე, კლიმ? ღმერთო, ეს რა საშინლად ახსნა... და მღელვარედ ეკითხება: - შეგიძლიათ თუ არა, კვლავ გაიმეოროთ ეს?

- რატომაც არა! - არ იხვეს ხელმძღვანელი, მაინც შეუპოვარია, ჯიქური.

- კლიმ! გვედრები, კლიმ, ოცდასამ ნომერში მიიბრინე, ვანოსთან, შინ თუ არ დავხვდა, აბა, ჩემი პასპორტი წაიღე და გირაოდ დაუტოვე ვინმეს, ეგებ მაგნიტოფონი გვათხოვონ, სულ ათი წუთით, ეს წინადადება ჩავიწეროთ და მაშინვე დაგუბრუნებთ, კლიმ, გაიქეცი, აბა,

პასპორტი, - უცნაურად აღტყინებულია, მაგრამ თითქოს ხუმრობს კიდეც, - მაგნიტოფონი! ნახევარ სამეფოს მაგნიტოფონში ვაძლევ, კლიმ, მაგნიტოფონში, ეს რა თქვა, ღმერთო, დადებითი გამგებლების მეშვეობით, აბა, გაფრინდი...

- ტყუილად ნუ შეაწუხებთ, - ამბობს ხელმძღვანელი, ხმა უკანკალებს, - ახლავე წავალთ.

დგება, მეც ვდგები, კარისაკენ მივემართებით, ჰალსტუხებს ვისწორებთ, პალტოებს ვიცვამთ, პერანგისამარა რესპონდენტი კი დარჩენას გვევედრება, ლამისა, გამოიგლიჯოს ყელი, მაგრამ ხელმძღვანელი შეუვალა, სახელურისაკენ მტკიცედ მიიწევს, მეექვსედ მიბღვერს, რესპონდენტი კი, პოი, თავხელი, ახლა სურათის გადაღებას გვთავაზობს: „თქვენი ჭირივით, მაშინ სურათი მაინც გადაიღეთ, ეს ჩემი კოლექციისათვის საუკუნის სურათი იქნება - აურელიანოსქელი - გასქელებამდე და პოლკოვნიკი ჯანჯაკომო სემინარიო - ერთად!..“

ხელმძღვანელი კი გაცოფებულია, უხეშად იცილებს მუდარადქცეულ კაცს, ის კი სამეფსა აპარატს ჩვენსკენ ატრიალებს, მაგდასთან მიბრბის ფირის ასაღებად, მაგრამ ხელმძღვანელი ეუბნება: „ჩვენ არ გვსურს, არა, გესმით?“, და რკინის თითებს მარწუხებივით უჭერს მაჯაზე. კაცს, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა, ტკივილისაგან ეღრიცება სახე, ფირი ისევ მაგიდაზე ეცემა, მე და ხელმძღვანელი კი, არა, ჯერ ხელმძღვანელი და შემდეგ - მე, ქუჩაში გამოვდივართ, და კაციც მოვდევს, აპარატით ხელში, ეს, რა თქმა უნდა, ის დიდი სამეფსა აპარატი არაა, ესაა რომელიღაც ჩვეულებრივი, მომცრო აპარატი, „ფელი“, თუ „ზორკი“, რადაცაა ეძახიან, და ჩვენ გვიმიზნებს, ხელმძღვანელი პალტოს საყელოს მაღლა იწევს

და სახეზე იფარებს, მე გაოგნებული ვდგავარ, ხელებჩამოყრილი, და ვლელავ, ვლელავ, საცაა - მიქნარება ამიტყდება, ხელმძღვანელი კი აგურის კედელთან მიდის და სახეს თითქმის ადებს, ასე დგას, აგურის კედელთან, ხელებაწეული - პალტოს საყელოს იფარებს ლოყებზე, და თავის მუქ სათვალესაც ცალი ხელით იკეთებს, კაცი კი, რომელსაც ლიტერატურა... და ასე შემდეგ, ეძახის კლიმს, კლიმიც, რა თქმა უნდა, სახეზეა, კაცი ფოტოაპარატს აწვდის კლიმს, და ჩემს ხელმძღვანელს, ისეთ ღონიერსა და ენერგიულს, მხრებზე ეჯავჯავრება - შემობრუნებას უპირებს, თავისი ჭკუით... და მე კი ერთხანს მიკვირს, რომ ხელმძღვანელი, ნამდვილი ათლეტი და მრისხანე თანაც, რატომ არ გაუქანებს და არ მიუფშენის ყბას, მაგრამ მაშინვე ვხვდები, რომ არ შეიძლება დღისით, მზისით, შუა ქუჩაში რესპონდენტს ყბაში გლიჯო, რაინდ არ უნდა გაგაბრაზოს, რადგან ეს - ინციდენტი იქნება ქუჩაში, ინციდენტი კი, აბა, ვის აწყობს, და რესპონდენტი თუნდაც რეგისტრირებული გიჟი აღმოჩნდეს, მაინც, სად წავა საქმე, ყველა გიჟს და სულელს ყბაში რომ ლეწო, რესპონდენტი კი ისევ ამოდ ეჯავჯავრება და თუმცა პატარა, ვიწრო ქუჩაა, მაინც იკრება თითო-ოროლა გამვლელი, ფანჯრებიდან იყურებიან, ალბათ უცნაური შესახედავები ვართ: 1) მზის საწინააღმდეგო სათვალის ათლეტი, პირმიქცეული აგურის კედელთან, ხელებაწეული, 2) მისი პალტოს სახელის დაჯავჯავრებული, ამ შუა ზამთარში პერანგისამარა კაცი, 3) მე, მღელვარებისგან მიქნარებაატეხილი ახალგაზრდა და 4) პაწია კლიმი, ცალ მუხლზე ჩაცუცქული და აპარატმომარჯვებული - შუა ქუჩაში! და უცებ ვხვდები, რასაც ფიქრობენ გამვლელები ჩვენზე, ალბათ ქურდი, ოხერი და სპეკულანტები თუ ვგონივართ, სულ მცირე - მოძრაობის წესების დამრღვევნი, თორემ ისე, სხვას აბა ვის უღებენ ძალისძალათი ფოტოსურათებს ქუჩაში და კლიმი, ჩაცუცქული, ჯოტად იცდის, ხელმძღვანელი კი გამოსავალს პოულობს - ზურგშექცეული, კედელ-კედელ მიჰყვება ქუჩას, ჩვენი კომპეტენტური დაწესებულებისაკენ, მეც, მისი ხათრით, გვერდულად მივსდევ, და უცებ რესპონდენტის შემზარავი, ტრაგიკული ყვირილი გვესმის: „ვაიმე, კლიმი! ვაიი, კლიმს მანქანა დაეჯახა!..“

შემფოთებულნი ვტრიალებით და სანამ გავარკვევდით, რაშია საქმე, ჩაცუცქული კლიმი ფეხზე დგება, რა მანქანა, რის მანქანა, კლიმი კი მზრუნველად კეტავს ფოტოაპარატს, რომლიდანაც ორიოდ წამის უკან გაისმა ჩვენთვის, მისკენ მიტრიალებულთათვის საზარელი, იმათთვის კი სასურველი „ჩხაკ...“, და, ოდნავ დარცხვნილნი იმით, რომ მაინც თავისი გაიტანეს, კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა და იმისი თანაშემწე, კლიმი, სირბილით ეფარებიან თვალს.

ეს ყველაფერი კი დაიწყო იმით, რომ ხელმძღვანელმა დაამბარა და თქვა: „და ამიტომაც ხაზგასმული ყურადღება უნდა მიექცეს ქალაქის ტიპის დასახლებებში მცხოვრებ ადამიანთა თავისუფალ დროს, რომლის სფეროც განისაზღვრება, ჯერ ერთი, იმით, რომ წარმოადგენს ადამიანის ფორმირების ერთ-ერთ ფაქტორს, შედის რა კომპონენტად მისი ცხოვრებისა და მოქმედების კომპლექსში; მეორე - რომ ასეთი გამოკვლევა გვეხმარება...“

ჩამომალაბორანტეს.

1973 წ.

კასი, ჩოხელსას
ლიტერატურა
კლინიკური
უწყისა

აფხაზეთის ომზე, საკენ-ჭუბურის ვო-
ვონეთზე, ბევრი დაიწერა, ყველაფერი
აიწონება აფთიაქის სასწორით, სახელ-
დაუდებელ მოვლენებს შეერქმევა სახე-
ლი... მაგრამ ეს იქნება ხვალ, დღეს კი -
დაუწყებელი ტკივილებისაგან გაოგნე-
ბულია ნაწამები საქართველო. და ახლა
უმთავრესია - ამ უკიდურესი გაჭირვების
ჟამს სამარეგამრავლებულ, ნამომხილვე
მამულს სულის სიმხვევით, მართალი სიტ-
ყვით, სიყვარულით, რაინდობით, გონიერე-
ბით ვუმკურნალოთ. მხოლოდ ამ რწმე-
ნით ვწერდი ამ ნარკვევს.

ავტორი

...უღელტეხილი ბევრად ადრე დაიწ-
ყო, უფალო, ვიდრე მასზე შევდგი ფე-
ხი... და ეს მერამდენე საუკუნეა, რაც მე
და შეილი ჩემი, მშობელი ჩემი, ახლობლები,
ძვირფასი ადამიანები, ცოცხლებიცა და
გარდაცვლილებიც, ისინიც კი, რომლე-
ბიც აწი უნდა დაბადონ, ყველანი ერთად,
მივაბიჯებთ ამ უღელტეხილზე, მივაბი-
ჯებთ უხმოდ. თოვს და ყინავს... როგორ
დაიბადა სხეული და როგორ მოიქანცა
სული, გულისცემაც გაქრა თითქოს სად-
ღაც, არადა მივაბიჯებთ და მივაბიჯებთ
ჯიუტად და ერთგულად, გზას კი არ
უჩანს ბოლო... შენ უშველე ყველა დევ-
ნილს, შენ დაიფარე ყველა გაჭირვებუ-
ლი, მამავ ჩვენო, ნათელო დიადო, რწმე-
ნავ... - დაახლოებით ასე ვესაუბრებოდი
ღმერთს ორი ოქტომბრის, ალბათ ყვე-
ლაზე საშინელ ღამეს საკენ-ჭუბურის
უღელტეხილის უმაღლეს მონაკვეთში,
სწორედ იმ ღამეს, როდესაც ჩემს თვალ-
წინ და ჩემს ხელებში რამდენიმე ადამი-
ანმა ჩიტივით დალია სული.

მამისეული სახლი სოფელ მაჭარაში
27 სექტემბრის საღამო-ჟამს დავტოვე.
ჩემი ძველი ვოლგით მიმავს დედა, ძმა,
მეგობარი. მუდღე და სალომე თბი-
ლისში არიან, ამიტომაც შედარებით მშვი-
დად ვარ, 27 სექტემბერს დაეცა სოხუ-
მი. კოდორის ხიდი ვერა და ვერ გაარ-
ღვიეს სხვადასხვა ნომრის, დასახელებ-
ის კორპუსებმა და ბატალიონებმა. ხალ-
ხი იძულებულია ხსნის ერთადერთ -
სვანეთისაკენ მიმავალ გზას დაადგეს
(ყველას კარგად ახსოვს გაგრა). დევ-
ნილები ჩქარობენ, ვინ მანქანით, ვინ ფე-
ხით... ცხენებითაც მიემართებიან მიე-
ბისკენ. ვიმეორებ, - ყველას კარგად ახ-
სოვს გაგრა (და არა მარტო გაგრა). ჩამწკრივებული ჯარისკაცები არეული
ნაბიჯით მოდიან მერხეულისკენ. მი-
თუხთიხებენ მეომრებად ჩვენს „ბმპ“-
ებს რუსული „ბმპ“ უფრო უხდებათ
მათ სახელად, ვიდრე ქართულად კოპ-
წიად თარგმნილი - „ფეხოსანთა საბ-
რძოლო მანქანა“. მზიანი შემოდგომის
დიდებული დღეა, „მოკოლადის დღე“ ჩემ-
თვის კარგა ხანია, ასე შევარქვე ზღვის-
პირეთის ასეთ დღეებს, ყანებში მწიფს
სიმინდი, ეზოებში ღუის იზაბელა. მოკ-
ლედ, მოსავლის აღების ჟამია. საღამოს
მზის ქვეშ ლურჯად ზომიერებს ზღვა.

საკვლევი სანახავე დამრცხვული ჯარი.
მიდიან თავჩაქინდრული, სიამაყეშე-
ლახული მეომრები, თვალს ვერავის უს-
წორებენ, ზოგიერთი ნაცნობებს ემალე-
ბა, მზერას არიდებს.

დედაჩემი თვალცრემლიანი ემშვიდო-
ბება მშობლიურ ეზო-კარს. კიდევ კარგი,
- გვეუბნება დედა ძმას და მე, - მამათქვე-
ნი არაა ცოცხალი.

მსუბუქი და სატვირთო მანქანების,
ავტობუსების, „ბმპ“-ების, „მილკ“-ების,
„ბტრ“-ების ტრაქტორების გამოხაზულ-
ქვი ტრასას ნისლავს. ნელ-ნელა მივი-
წევთ წინ. ზოგან გზა სამხედრო ტექ-
ნიკითაა ჩახერგილი. ჯარისკაცებს მი-
აქვთ „მუხები“, ყუმბარტყორცები, ნა-
მტყორცები. სქელ კვამლში მოჩანს სხვა-
დასხვა სამხედრო დანადგარი (არც ვიცი
მათი სახელი). ხალხი უყურებს და უკვირს,
რატომ გატყდა არცთუ ცუდად შეიარაღე-
ბული, არცთუ მცირერიცხოვანი ჯარი.



გურამ ოდიშარია

დავნილია უღელტეხილი

მიუხედავად იმისა, მამაჩემი პროფე-
სიონალი სამხედრო იყო და ოცდახუთი
წელი რუსულ ჯარში იმსახურა, განსა-
კუთრებით ახლა ვგრძნობ, თუ როგორ
მძულს იარაღი. მძულს კალაშნიკოვები
და მაკაროვები, სემიონოვები ... ჩემი
რწმენით არასოდეს უკეთებია იარაღს
კეთილი საქმე, მარად სიკვდილისა და
შურისძიების უსასრულო ჯაჭვს აგ-
რძელდება მხოლოდ. როგორი ფარუ-
ლი საღიზნია ჩაბუდებული კაცთა კვლის
ხელოვნების განმავითარებელთა მიერ
თავიანთი პირმშობისათვის შერქმეულ
სახელებში: ავტომატური ნაღმტყორცნი
„ვასილიოკი“ (იცი, ალბათ, მინდვრის ყვა-
ვილია ერთგვარი), ან „ნონა“, „აკაცია“,
თუნდაც საქვეყნოდ ცნობილი „ლიმონ-
კა“. მე მინახავს „ვასილიოკებით“, „აკა-
ციებით“, „ნონებით“ დაფლეთილი ბავ-
შეები და მოხუცები, ქალები და მამაკაცე-
ბი, სწორედ ამიტომაც მიუღიოდათ გან-
მავლობაში ათასგზის შემძულდა იარაღი,
მითუმეტეს, როცა დღეს ასე ადვილად
უვარდება იგი შლეკ და გულოდობი ადამი-
ანებს. მათ, რომლებიც თავიანთი ქმედ-
ებით გვიმტკიცებენ, თუ როგორ შორს
ვართ ცივილიზებული სამყაროსგან, რო-
გორ შორს და რა საცოდავად გარიყუ-
ლები. უბედურია ქვეყანა, სადაც კეთილ
სიტყვაზე მეტად ტყვია ფასობს, სიყვარულზე
მეტად სიძულვილი.

მოძრაობა ჩერდება, ძრავას ვთიშავ
და მანქანიდან გადმოვიდვარ, მიხსლოვ-
დება ნირშეცვლილი ნაცნობი. იცი, რა
ენახე - მეუბნება აკანკალებული ხმით,
- კელასურის ხილზე ქალი გადმოდიო-
და, აი, ახლა ორიოდე საათის წინ...
რადაცას ბუტბუტებდა თავისთვის, მძი-
მე ჩანთა მოჰქონდა თან. შევატყვევე ცუ-
დად იყო ძალიან. ვკითხე, ქალბატონო,
ხომ არ დაგეხმაროთ-მეთქი. ბუტბუტი
არ შეუწყვეტია, ჩანთა გახსნა და „გრა-

დის“ ნამსხვრევებით დასახინჩრებული
შვილის ცხედარი მიჩვენა...

მერხეულში ნოდარ ნათამეს მოკა-
რი თვალი. ჯარისკაცის ხაკისფერ ფორ-
მაშია, ფეხით მიდის. გენწვიბში ასე მით-
ხრეს - ფიზიკური შეურაცხყოფა მია-
ყენესო. რატომ ტოვებ სოხუმსო, - თავს
დასხმიან დევნილები, - ტელევიზიით
რომ გამოგვაყურე რუსების გინებით, რა-
ტომ გარბინარ ახლა, მიდი, ებრძოლე
რუსს, ამაზე უკეთეს შანსს სად იპოვ-
ნი. ან ჯერ ხალხი მაინც გახიზნე და
მერე დატოვე აქაურობა... სად გარბი-
ხარ თავდაცვის კომისიის უფროსო?!

ერთიც კია - რასაც სხვებს ვერ
უბედავენ ნათამეს ადვილად კადრებენ,
სხვათა ცოდვებს მისას უმატებენ და
სადაც წააწყდებიან, პასუხს მხოლოდ
მას სთხოვენ.

სოხუმიდან საკენამდე არც მეტი, არც
ნაკლები, 100 კილომეტრია. ის საღამო
მანქანაში გაათითე, გუჯეჯეჯანების ეზოში,
სოფელ აფარაში. 28-ში საკენში ვართ,
„აფხაზეთის სვანეთის“ ბოლო დასახ-
ლებულ პუნქტში. აქედან ჭუბურამდე
50 კილომეტრამდეა, ზოგიც - 65-აო,
გვიმტკიცებს.

მთებში ყოფნისას რამდენიმე წინას-
წარმეტყველური სიზმარი ენახე (სიზ-
მარი დამემართაო, - ასე ამბობდა ხოლმე
ნათესავის ბავშვი)... ჰოდა, მეც დამე-
მართა რამდენიმე საშინელი სიზმარი
და... ყველა უკლებლივ გამართლდა. გან-
საკუთრებით ერთმა დამზაფრა, ალბათ,
ისიც ამიხდება მალე.

დედაჩემს ახლობლებთან ვტოვებ. იგი
12 დღის შემდეგ მანქანით მშვიდობი-
ანად ჩამოჰყავთ სამეგრელოში. ძმა - 29
სექტემბერს მიემართება ჭუბურისკენ, მე
და მეგობრები კი - 2 ოქტომბერს.
სვანები გვაფრთხილებენ - მალე ჩამო-
თოვს და 10-15 ოქტომბრისთვის უღელ-
ტეხილი ჩამოიკეტებაო. ჩვენც ვჩქარ-
ობთ. თითო-ორი ვერტმფრენი მხო-
ლო თითო-ორიოდა ტუბუთა ბაღდის

და მათი დედების გადაყვანას ახერხებს.
მიუხედავად იმისა, რომ მანქანაში ხა-
ტულა ჩანთებიც მაქვს, 15 კილოგრამამდე
ტვირთს (ძირითადად ტანსაცმელს) ცე-
ლოფანის ტომარაში ვუყრი თავს (რო-
გორც ამას დევნილთა უმრავლესობა აკე-
თებს, და მე განსაკუთრებით ახლა ძალიან
არ მინდა, სხვებისგან განვსხვავდებოდე).

წერილი თოკისაგან მკლავების გა-
საყრელსაც ვახლავორობ და სუპერ-
ზურგანთაც მზადაა. მოკლედ, ესაა მთე-
ლი ჩემი ავლა-დიდება. მშვიდობით, მშვი-
დობით, პატივცემულებო - ფერადო ხა-
ლათებო, „აბსოლუტიდან“ გამოტანილი
ფენსაცმელებო, ჩემო ძვირფასო პალ-
ტოვ, წყალქვეშა ცურვის ნიღბებო, კეკ-
ლუცი ქალივით ნატიფო - ყავის ფრან-
გული სერვისო... სრულ მზადყოფნა-
შია ჩემი ძველი მგზავრობაში გამოცდი-
ლი ქურთუკი, კაშნე, ხელჯოხი, ქუდი,
რომელიც რამდენიმე საათის შემდეგ უგ-
ზო-უკვლოდ შეკარგება.

დილის ექვსია. გურამ კაკულიასთან
ერთად პურით (რობინზონ კრუზოს გა-
მომცხვარ პურს რომ ჰგავს), დაკონ-
სერვებული ხორცი და თაფლით ვსა-
უხმობთ. თან სულ თაფლის ქებაში
ვართ - ჰო, ჰო, რა თაფლია, ბიჭო, რა
თაფლი (თან დოღო აბაშიძეს ვბაძავთ -
„რა თოფია, რა თოფიო“) მთებში თაფ-
ლი უნდა ჭამო, ხერგინას თაფლი უყ-
ვარდა და ა.შ. მოკლედ, ერთმანეთსაც
ვამხნევეთ, თავსაც ვიძიებთ.

სანამ გზას შევუდგებოდეთ, რაღაცას
ვიმიზეზებ, ჩემს მანქანასთან, ჩემს „ტიგ-
რთან“ მივდივარ, საჭესთან ვვდები და
„ტიგრს“ ვემშვიდობები. არა მგონია, ძმა-
კაცო, - ვეუბნები, - ეს ჩვენი უკანასკნე-
ლი მგზავრობა იყოს. ყველაფრისათვის
დიდი მადლობა, „ტიგრო“, განსაკუთრე-
ბით ბოლო წლებისთვის, შენ უფრო
მეტად შემეყვარე სოხუმშიც და ზღვაც,
ქვეყნიერება. არავინ იცის, თუ რას ნიშ-
ნავ ჩემთვის, თუ როგორ მიყვარხარ;
შენ ჩემი მაგიური ძმაკაცი ხარ, ჩემი
მესაიდუმლე. ბევრჯერ არად ჩავკვივდია
მე და შენ სოფლის სევდა, ერთად გვი-
შენებია სახლი. კი გტოვებ, მაგრამ უნ-
და გამიგო, ვერ გადახვალ უღელტე-
ხილს, „ნივა“ რომ იყო სხვაა, თუმცა
ისიც ზოგან ტრაქტორმა უნდა ათრიოს
ამ ოხერ აღმართებში. მაპატიე... იყავი
ჯერ აქ, ცალანების ეზოში... და რაც
უნდა მოხდეს, რა ფაშააც არ უნდა გან-
ვლოს, მაინც მოგებენი - ჩვენ კიდევ
ბევრი გზა გვაქვს გასავლელი. განა მშვი-
დობით? ნახვამდის, ძმაკაცო, ნახვამდის!

„ტიგრს“ ხელს ვუთათუნებ და ათას
მადლობას ვუგზავნი მის შემქმნელ ქარ-
ხანას.

იჩქარეთ, მანიშნებენ მეგობრები.
იწყება პირველი აღმართი.

აქვე უნდა აღვნიშნო, ჩემი ცხოვრე-
ბის ერთ-ერთ საშინელ პერიოდში უსიტ-
ყვო მონოლოგები და დიალოგები, ირო-
ნია და ხუმრობა გახდა ჩემი თანამგზავრი.
მთელი ღამე წვიმდა და ელავდა.

დილითაც არ გვივიწყებს წვიმა -
ერთ დროს ჩემთვის სინაზითა და რო-
მანტიკით აღსავსე, ახლა უბედურების
ქალბატონად ქცეულია.

უღელტეხილის დასაწყისი მანქანე-
ბითაა გატყვევებული. „ზილები“ და „მაზე-
ბი“, „ურალები“ და „გაზიკები“, „ნივე-
ბი“ და „ვილისები“, კიდევ ვინ მოთ-
ვლის, ტექნიკის კიდევ რამდენი ღირ-
სეული წარმომადგენელი უიმედოდ ელო-
დება თავის რიგს. მოწითალო პლას-
ტელინივით ტალახს მხოლოდ ადამი-
ანების ფეხები ჯაბნის.

სატვირთო მანქანების ძარები ცე-
ლოფანით, ბრუნებთით, ფიჭვის ხიდან
ჩამოსხებილი ტოტებითაა დაფარული,
ისმის ჩვილთა ტირილი. ტყეში დანთე-
ბულ ათეულობით კოცონს ადამიანები
უსხედან, თბებიან, საჭმელს იმზადებენ.
ფაშაშა ქალს ცხელი კვერებით სავსე
ფეშხუმი მიაქვს ერთ-ერთი მანქანისა-
კენ. ვილაც ცომს ზელენ, ვილაც კარ-

ტოფილს თლის. ეტყობა, ზოგ ოჯახს თადარიგი ბევრად ადრე დაუჭირა, მანამდე, ვიდრე სოხუმი დაეცემოდა.

ხარებშემბული ურემიც აქაა, მუყაოს ქალაქით გადახურული, ურემის სიღრმისაგან ბავშვების შემინებელი, დაჭყეტილი თვალები მიმზერენ: ესეც შენი ბოშათა ბანაკი...

ვის არ შეხვდები აქ. აი, რამინ ნინუა და მისი ჯვალბიც. ვესალმები რამინის ნირშეცვლილ გოგონებს, ვეფერები:

- აბა, თქვენ იცით, გოგონებო, ყოჩაღად იყავით!

- ოთხი დღეა, ტრაქტორს ველოდები, - მეუბნება რამინი, - მაგრამ ამ გზას რა გაათავისუფლებს, არადა ეს „მაზი“ თუ არ გადავიყვანე, როგორ ვარჩინო ცოლ-შვილი.

გზას ვაგრძელებთ. მოძრაობა ჭირს. ძნელია გვერდი აუარო ვიწროებში ჩახერგილი მანქანებს.

ხანში შესულ კაცს გზიდან გადაუხვევია, ისვენებს. მიმავალ ჯარისკაცებს ირონიულად უყურებს და ვიღაცას ხმამაღლა ეუბნება:

- შეხედე, ამგენს ნიჩბებიც არა აქვთ, არ კადრულობდნენ სანგრების გათხრას, ბაბა, და ასე მოიგებდნენ ომს?

- შენ რატომ არ გვეხმარებოდი, ბიძაჩემო, - გაკავებულად გადმოსძახებს ახმახი ოფიცერი.

- იქნებ შენს მაგივრად მებრძოლა კიდეც?

- გააჩერე ენა, თორემ...

ოფიცერს ჯარისკაცები ამშვიდებენ.

- ეგ ანაღა დამარჩა, ბიძიკო, უკვე მუტი არაფერი, - მწარედ იღიმება კაცი.

გზადაგზა უამრავი ნაცნობი მხვდება.

კვლავ წვიმს, ფეხები ღრმად გვეუფულება ტალახში. შაშნულად სრიალებს ჩემი თხელლანჩიანი ფეხსაცმელი. ორი ნაბიჯი წინ, ერთიც უკან! ლენინური გზით მივიწვევ.

იწყება კედლებით აღმართები.

არა, ასეთი ფეხსაცმლით მთაზე ასვლა სიგიჟეა, მაგრამ მაქვს კი სხვა გზა? მოგვიანებით, უკვე თითქმის სიჭაბოცლილი, ვხვდები, რომ ელასტიური ბინტები შემოვიხვეით ფეხსაცმელზე და ლანჩების დალატი ცოტათი მაინც დაერთვუნო ასე.

ძირს სრიალი!

ვერ გავიგე, აქაურებს მანძილის საზომი სხვადასხვა ერთეული გააჩნიათ, თუ ჩვენ გვაძინებდნენ, როცა, მაგალითად, კილომეტრის ნაცვლად 2 ან 3 კილომეტრს გვეუბნებდნენ. თავდაპირველად გვითხრეს, 3-4 კილომეტრია აღმართები, მერე ადვილდება გზასავალი. 3-4 კილომეტრის შემდეგ მწყემსი ამბობდა, კიდეც 7 კილომეტრი უნდა იწვალათო. ზოგან - 2 საათი და ბანაკამდე მიხვალთ, ზოგან - კიდეც 8 საათი უნდა იარათო და ა.შ.

მთაში ზედმეტი ფორიაქი არ შეიძლება, - მაფრთხილებდა წინა დღეს ნაცნობი მონადირე და მეც მორჩილად მივყვები ადამიანთა აღმა მიმავალ მდინარეს.

ათიათასობით წყვილი ფეხსაცმლის მიერ აზელილი ტალახი თვალისთვის უჩინრად მოიღვენებოდა ძირს.

ორიოდე კილომეტრის შემდეგ ქვემოდან ქალის კვილი ისმის. დენილებს ტანში აჭრიალებს. ოცდაათიოდე წლის ინფარქტგადატანილი კაცისთვის გულს უღალატნია. იქვე დაუკრძალავთ უბედური.

- გუშინ ქალმა მკვდარი ბავშვი იმშობიარა, - მეუბნება ვიღაც, - ქალიც მოკვდა. კიდეც ერთი მოხუცი ქალი დამარხეს ტყეში.

აქ არ არსებობს გიცნობ - არ გიცნობ. აქ ყველა ერთმანეთის ნაცნობია, - უფრო მეტიც - მეგობარია. ვიახლოვდება კაცი, გეუბნება - მომიტეხე პური; თუ გაქვს, უნდა მოუტეხო, თუ მაქვს და არ მოუტეხავ, მთა არ მაპატიებს. თუმცა „ჯერ თავის“ კასტისანი აქ ბლომად არიან. მოდიან და თავიანთ დაკარგულ ქონებას დასტირიან, სულთმობრძე თანამომემს დაჰყურებენ და კვლავ თავიანთი თავი უჭირთ. უღელტეხილმა მათ არაფერი ასწავლა.

მთა დიდი სიყვარულივითაა, დიდი სიყვარული კეთილს უფრო აკეთილშობილებს, ბოლძიანს უფრო მატებს ბოლძას, ხარბს - სიხარბეს, ტუნწს - სიტუნწეს, გულუბრყვილოს - გულუბრყვილობას...

მთა ომივითაა, რენდგენის სხივებით ამჟღავნებს ყველას.

ტაძარივითაა მთა - ვისაც ცოტათი მაინც სწამს ღმერთის და ცოტათი მაინც უყვარს ადამიანი, აქ განიწმინდება.

მივიღვარ და ვფიქრობ, რომ სწორედ ღმერთმა მომიყვანა ამ უღელტეხილთან, არ შეიძლება სხვაგან გადავხვიო ჩემს შარას, არ უნდა ქვეულიყო იგი კომფორტაბელურ გზად, მე არც თვითმფრინავით უნდა დამეტოვებინა მშობლიური ქალაქი და არც გემით, მხოლოდ უღელტეხილი იყო და არის ჩემი ბედისწერა, ჩემი სიკვდილი და ჩემი სიცოცხლე, სასოწარკვეთა და იმედი.

გზის დასაწყისში საოცარი თანადგომა, ურთიერთსიყვარული იგრძნობა.

მე არასოდეს მივალა მსგავს გზებზე... და ამ საერთო უბედურების მიუხედავად, ვგრძნობ, რომ მთელს ჩემს არსებაში მანამდე უცხო ბედნიერება მელვრება სიყვარულივით... უღელტეხილზე თვალნათლივ ვხედავდი, რომ ჩვენს შორის ბევრად მეტი სიყვარული ყოფილა, ვიდრე სიძულვილი, ამას ხედავდნენ სხვებიც, თითქმის ყველა. მშვიდობიანობის ჟამს მხოლოდ ერთგულები გრძნობენ სიყვარულის სიღაღეს, უმრავლესობას კი, ჩვენდა საუბედუროდ, თურმე რაღაც დიდი უბედურება სჭირდება თვალის ასახელებს. მე ყოველივე ეს ღმერთის ნიშნად მივიღე მაშინ და დღეს სულთნ ხორცადღე მწამს, რომ ნამდვილად გადაჩრება ჩვენი მამული დაღუპვას.

- მთაში შენს სხეულს ხმობად უნდა მიაყურადო, - მეუბნება სანდომიანი სახის ჭალარა კაცი, - მთას ზედმეტი ლაპარაკიც არ უყვარს, ძალას წაგართმევს. არც ბევრი უნდა ჭამო. მაძლარი არც ცხენი ვარგა და არც კაცი.

და მეც ვაყურადებ ჩემს სხეულს და ნაწილ-ნაწილ ვამოწმებ, ასე ვთქვათ, რევიზიას ვუტარებ მას: გულს, შენ ჯვარი გწერია, ყოჩაღად მუშაობ ჯერ-ჯერობით, არაფერი გეშლება, „ტივრის“ მოტორივითა ხარ. ღვიძლი და თირკმელები, თქვე სიძულვიანტებო თქვენა, არ გამაგონოთ წუწუნის, თუმცა ბოლო დროს ხშირად გტყვიპავდით შაქრის არყითა და წყალწყალა ღვინით. ფილტვებო, თქვენც გვარბანად გაგბოლეთ ომის სივარებით - „ასტრათი“, მაპატიეთ, მაპატიეთ! აბა, შენ იცი, უსისტემო სისტემავე ნერვებისა, გამიწიე ძმობა, თუმცა გვარბანად კი დავაგლეჯინე შენი ლითონის ძაფები ომს, არ დავინდე. იქნებ შენი ხათრით მაინც დამეტოვებინა სოხუმი და ზოგიერთივით მეც მეცხოვრა ჩრდილოეთის რომელიმე დიდ, მილიონი ნათურით გაჩირადლებულ ქალაქში, მეკეთებინა ფული, მეყიდა სმოკინგი და რესტორნებში მედარდა მერე ჟამის ცვალებადობაზე და სამშობლოს მთებზე: ჰაი, დედასა, ასეთ

ტიალ დღეში რო ჩავაგდებდი, იფიქრებდი განა? მაპატიეთ, მაპატიეთ, ახლა მაპატიეთ! შენ როგორა ხარ, ჩემო აქილევსის ქუსლო - მარცხენა მუხლო? მრავალგზის დაშავებულ და დაჩენქვილო, შენ ნაფეხბურთალ-ნაშენისკარო, ივლისის დაბომბვისას ნაგრავადლო, არ მიმტყუნო, იცოდე, ყოჩაღად იარე, ყოჩაღად! მთელი მსოფლიოს ტელერადიოკომპანიები შენ გითვალთვალენ, თან სანადლეოსაც დებენ - გაძლებ თუ არა, გაჯობებს თუ არა უღელტეხილი. უმრავლესობა ამტკიცებს, რომ ვერ გაუძლებ! გეყურება შენ, რას გიბედავენ? არ მომჭრა თავი, იცოდე, ფოლადად იქვეც, ფოლადად! განა ტყუილად გმკურნალობდა კეთილი როდიკო მემიშვილი ასკურავას წამლით, განა ტყუილად ცდილობდა ამდენს? ხომ გაქცია მგლის მუხლად? აბა, შენ იცი ახლა, წინ იარე, წინ - ნათელი მომავლისაკენ! იჩქარე, ნელა!

პირველივე შეგონებისთანავე ფრიადოსანი მოწაფესავით მიჯერებს მუხლი, ყურდება მისი ტკივილი და მშვიდი რიტმით მიუყვებით უღელტეხილს. აღმართებს ბევრად უფრო ადვილად ვძლევთ, დაღმართებში კი მიფრინავენ. უკუღმართები ვართ, მუხლო, მე და შენ, უკუღმართები, უცხოები რაღაცნაირად, უცნაურები.

რამდენიმე აღმართის შემდეგ ვისვენებ.

ხის გადანაჭვრზე ჩამომჯდარი ვაკვირდები სახეთა უსასრულო გირლიანდებს. გზა ვიწროა და დევნილების ნაკადი ძალუძად მიედინება მაღლა.

დღის პირველი საათია.

დავიღალე.

უკვე არ წვიმს, ოდნავ უჩქლავს, მაგრამ 20-25 ნაბიჯის იქით არაფერი ჩანს - დანარჩენი სამყარო ნისლია ჩადირული. ადამიანები ჩუმად მიაბიჯებენ. მხოლოდ წებოვანი ტალახით დამძიმებული ნაბიჯების ხმა და გაწამებულ ბავშვთა ტირილი ისმის.

ახალგაზრდა ჯანიან ქალს ფეხსაცმელები გადაუყრია და შიშველ, დასიებული ფეხებზე ცელოფანი შემოუხვევია. შუახნის გლეხკაცი ფეხშიშველა მოდის. ვეკითხები, არ გცივა-მეთქი, ის კი პასუხად კეთილად მიდილი მხოლოდ. 6-7 წლის ატირებული გოგონა მამას მხრებით მოჰყავს. გოგონას ერთი ფეხი კაშნეთ აქვს შეხვეული, მეორე - თავსაფრით; ეტყობა, გზაში დაშავდა. ჩემს გვერდით ახალგაზრდა მამა ჯდება, ხელებში მსუბუქ საბანში გახვეული ჩვილი უჭირავს, უკან ტანჯულსახიანი ცოლი მოჰყვება.

მოდიან და მოდიან უსასრულოდ, მოდიან ბავშვები და მოხუცები, ქალები და კაცები, მოდიან პროფესორები და მინისტრები, უემშაკო ხელობის ხალხი - გლეხები და მეთევხეები, მოდიან მძღოლები და ქურდები, სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები, პატიოსნები და უნაშუსო ადამიანები, კეთილები და ბოროტები, ვხედავ ალაღმართალ მემომრებს, ვხედავ მარადიორებს, ომის სისხლიანი ფულით დადალულ კორუმპირებულ სამხედრო ჩინოსნებსაც, ვხედავ მხესუმზირის გამყიდველს და უკვე გაპროლეტარებულ ვიწროშუბლიან მილიონერს, მეძავებიც აქ არიან და მედროვენიც, სხვათაგან არც იქნებოდა, უფალო... წმინდა მამებიც მოაბიჯებენ, მამა ანტონსაც ვცნობ შორიდან, სიმპათიურ, ნუ მიწყენს და ცოტაზე მეტად თეატრალიზებული ცხოვრებით გატაცებულ მამა ანტონს... მოდიან სოხუმის უმშვენიერესი ქალბატონები, თვალაყვავებულები, ამყი ქალები, თუმცა კი გაფითრებით სახე, დაღლიათ მუხლები, მაგრამ მათზე ულამაზესი ქალები მთელს მსოფლიოში არ მეგულება ახლა. ო, რა დიდებულად გამოიყურებიან ისინი ამ უღელტეხილზე... მოდიან სოხუმელები და სოხუმის რაიონელები, გულრიფშელები, გაწამებულები და გატანჯულები.

მათ მთელი ერთი წლის განმავლობაში ყველა იმ იარაღის სიავე თავიანთ თავზე გამოსცადეს, რომელიც ავლანეთში მოქმედებდა და უფრო მეტიც - ავლანეთში არ იყო ზღვა და შესაბამისად სამხედრო კატარღები და გემები არ ბომბავდნენ ქალაქებსა და სოფლებს. ხანდახან მქვენებია, რომ ყველა სახე ნაცნობია. თითქოს ყველა მინახავს ადრე, ჟამგამოშვებით და პირიქით - ნაცნობთა სახეებიც უცხო მგონია. რამდენჯერმე გარდაცვლილთა სახეებიც დავინახე - აბაყაყის დაბომბვისას შვილთან ერთად დაღუპული თანაკურსელი - გული ჩალაძე, ზაფხულში ყაჩაღთა მიერ წამებით მოკლული ბიძაჩემი... რამდენი არიან ეს სახეები, შემოდგომის ფოთლებივით - ათასები და ათი ათასები...

მოდიან... მაგრამ მათ არ მოუძღვით წინ მოსე, არც ვინმე მწყემსი კეთილი, არც ხატად ჰყავთ ვინმე, არც რწმენა შერჩენიათ... მოდიან... უფალიც არ ახსოვთ, უკვე ყოველ შემთხვევაში, ვინმეს ღმერთის სახელი ესხენებინოს უღელტეხილზე, არ მაგონდება. არც არავის ძალუძს ხუთი პურით მათი დანაყრება, არც კლდიდან გადომქმეფარე უწმინდესი წყლით დარწყულება, მოაბიჯებს ჯვარის სიმბოლოთა გათანგული ჯვარცმული ხალხი! მოდიან... ჟამიჯამ თავს წვევენ და წინ იმზირებიან. მათი მზერა კითხულობს - ვინ, ვინ მოგვიძღვის, ვინ ეწამება ჩვენთან ერთად ამ გზაზე?.. მე არასოდეს მინახავს ამდენი ნაღვლიანი თვალები.

ვდგები და გზას ვაგრძელებ, ვგრძნობ, რომ სახეთა თვალთვალმა დამალა, მაშინებს მირიად თვალთა მზერა. სიარულისას მხოლოდ ერთმანეთის ზურგს ვხედავთ და ეს ბევრად ადვილი ასატანია.

მთელი გზა ვგრძნობდი, რომ ვიღაც გვსჯიდა, მაგრამ იგივე გონების მიღმური არსება გვიცავდა კიდეც, თან თითქოს ბეჯითად გვაკვირდებოდა - კიდეც რამდენს გაუძლებდნო.

რად გავრბივართ დიდ-პატარიანად ამ უღელტეხილით? ეს რა ამბები ხდება, უფალო?! რა ცოდვა გვაბრუნებს ასე? გვადაც კი ქართველებს ასეთი გასაჭირი ამ საუკუნეში, ან თუნდაც გარდასულში? მივიღვარ, ვერ ვაზროვნებ, ვაჩუქებ კითხვებს, მე, თვითგადარჩენის ინსტიქტით დამუხტული სუპერ-ზურგჩანთიანი ფეხმტკივანი არსება.


უკვე პირველი ისტერიის მოწმე ვხდები, ისმის სასწარკვეთილი შეძახილი: ჯობდა აფხაზებს მოვეკალი, ვერ გაუძლებ ამდენს! - აქვითინებული, მთელი სხეულით მოძაგდავე ქალი ჩამოდანზე ჩამომჯდარა. ცოცხალ-მკვდარი ქმარი ნელი ნაბიჯით უახლოვდება ცოლს, აყენებს, იღებს ჩემოდანს და ხევში მოისვრის, თან ყვირის: თავს იკლავ, უბედურო? რამდენჯერ გითხარი, გადაყარე ეს ჭინჭები-თქვა. ტალახში ჩამჯდარი ქალი ზღუქუნებს: ბავშვების ტანისამოსებია იქ, შენი პალტო... ხომ ვერ ვიყიდით აწი!..

უღელტეხილი თანდათანობით მცირდება. ჩემოდნები და ჩანთები ტყვიასავით მძიმდება - ათი კილო ას კილოდ ქცეულა უკვე. მაღლა და მაღლა უფრო ჭირს...

ხალხი გზისპირას და ხევში ყრის ტანსაცმელს, დანა-ჩანგლებს, ძვირფას თევშებს, ოჯახურ ალბომებს, ანტიკვარებს... იშორებს ქონების უკანასკნელ ნაწილსაც.

გზაში უცნობი კაცი მიყვება, თუ როგორ დაასაფლავებს მაჭარაში, გზისპირას სოხუმში დაღუპული ექვსი ჯარისკაცი: სამედიცინო მანქანამ - „კობრა“ სასწრაფოდ ჩამოასვენა ისინი, ერთი მათგანი შუაში ისე იყო გადაჭრილი, თითქოს უზარმაზარი ცულით გადაცელესო. მესამე დღეა აზრზე ვერ მოვიღვარ, რა იარაღი იხმარეს ასეთი.

გრძელდება დიადი გზა, ვუახლოვდებით მწყემსთა და მონადირეთა ბანაკს.



ბანაკაში ერთხელ კიდევ ვისვენებ. უკვე არც უინფლავს, გარემო კი მინც ძველებურად მოქუფრულია.

გვარიანზე მეტად ვარ დაღლილი. მხოლოდ რამდენიმე წუთის შემდეგ ვამჩნევ ჩემს გვერდით მდგარ უზარმაზარ ხარს. ქალაქელი კაცი ვარ და ვერ დავინებებ - საუცხოო ჯიშის ხარი ვნახე-მეთქი, მაგრამ დამატყვევა ამ უმშვენიერესმა ცხოველმა. ულამაზეს თვალებიანი, მეფური იერის, საკუთარ ქანდაკებას დამსგავსებული ხარი გაოგნებული დაჰყურებს აღმართზე ამოშავალ, ტალახში ამოგანგლულ კაცთა მოდემას. რა თქმა უნდა, მთიელ მასპინძელს არასოდეს უნახავს ადამიანი, არასოდეს გაუგონია ადამიანი გინვა და კენესა და არც ასეთი უამბიყამ მძიმედ ჩამოვარდნილი სინუმი. მთელი ჩვენი უბეღურება ხარის გაქვავებულ სხეულში, მის მუშტისოდენა თვალბრუნვებში ირეკლება, ძლიერდება და სულს მიხუთავს. ვნანობ, რად მივატოვე ხატვა, თორემ უეჭველად დავხატავდი ქართულ „გერნიკას“. ვნანობ, რად არ ვარ კინორეჟისორი, თორემ გადავიღებდი ფილმს, სადაც ერთ-ერთ სიუჟეტს ამ ხარს მიუძღვნდნენ.

მოულოდნელად ხარს თვალები უფართოვდება - მოსახვევიდან უცხო შრიალი მოისმის. 10-15 კაციან ჯგუფს ახალთახალი ცელოფინისაგან ლაბადის-მაგვარი მოსასხამები მოუვჯვართავს და თითქმის მწყობრად მოაბიჯებს. ვერცხლისფერგადაკრულ, ლაპლაპა უცხოპლანეტელთა კომბინიზონის მსგავს სა-მოსზე წვიმის წვეთები ბრწყინავს. არამქვეყნიური იერის ჯგუფი უხმოდ მოაბიჯებს, მიზანსწრაფულად. მე და ხარი თვალს ვაყოლებთ ამ ფანტასტიკურ სურათს. გარშემო ვიხედები, მათ მფრინავ თევზს თვალებით ვეძებ, მაგრამ ამაოდ. უცხოპლანეტელთა ეკიპაჟი შრიალით იკარგება მოსახვევში...

ნესტოლებადებული ხარი თვალს არ ამორებს ხალხს.

მეჩვენება, სანთლებით ანათებენ ხარის რქები.

აბა, ჩემო წიქარავ, კარგად იყავი, ძმაო, მხსნელი ჩვენი და დამპყრებელი. გვაპატიე ადამიანებს სისასტიკე. შეგვინდე ცოდვები. ხომ ხედავ, სანამდე მოგვიყვანა ყოველივე ამან. გგონია, ვერ ვგრძნობ, თუ როგორ გეკუმშება ფუთიანი გული სიბრალულისაგან. ვიცი, გეცოდებით ძლიერ. ვერ გექცეოდით, წიქარავ, კაცურად, გვაჭმევდი და გვასმევდი, წაიფორთხილებდი და... გაკვდინებდით ჩვენ - სიბრალულის ადგილებზე, აგრესიული, მოჩხუბარი არსებები. გიღირდა კი ჩვენი ერთგულება?.. ნეტავ ვინ გამოგვგზავნა, დალოცვილო, ჩვენდა პატრონად, ძმაო ჩვენი და ღვთაებავ?!

თანაკლასელი - ჯემალ დარცმელია მეწვეა. როგორც ყოველთვის, გვიხარია ერთმანეთის ნახვა.

- გაავარძელოთ გზა? - ვეკითხები. - გავიდეთ ბოლომდე! - მპასუხობს. და ჩვენ არ ვჩერდებით ბანაკში.

იწყება სიკვდილ-სიცოცხლის გზა - უღელტეხილის ალპური ზონა.

გზადაზა ედელვაისები გვხვდება; დაბლა ვარდისფერები იყვნენ, მწვერვალზე - ყვითლები არიან.

დამკრიფე, რაინდო, დამკრიფე, და შეყვარებულს აჩუქე ჩემი თავი - მწარედ მეხუმრებიან ედელვაისები, დამცინიან ოხრები. ხომ ხედავთ რეკორდზე მივდივარ, პირდაპირ გინესის წიგნისკენ მივაბიჯებ. ცოტა მაკალეთ, გადავრე ცელქ ყურნალისტებს და აი, მერე ნახეთ თქვენ ულამაზეს ქალთა გაფიქვება, ათი მწვერვალის ყვავილები არ მეყოფა მაშინ. იცინეთ, იცინეთ, ვნახოთ, ვინც გაიცინებს ბოლოს.

სალამოვდება. უბერავს ცივი ქარი. იწყება თოვა.

ჯემალი და მე ვჩქარობთ. ზღვისპირელებმა მთის ერთი კანო-

ნი უკვე ვიცით - არ შეიძლება მწვერვალზე შეჩერება, იქ მხოლოდ ბალახი და ედელვაისი ხარობს, წამლად ერთი ხეც არ დგას - ცეცხლს ვერ დაანთებ. მწვერვალზე გაჩერება სიკვდილია.

ქარი და თოვლი ძლიერდება. ვიწრო ბილიკზე გასულები ისე შეგვაქანა ქარმა, კინაღამ უფსკრულში ამოვყავით თავი. ფურთხილობთ.

ნამქერი გზას ფარავს. ხელები მეთოშება. ქურთუკის ფართო ჯიბეში ჩაკუჭული ქუდი, სადაც დამკარგვია. კაპიშონს ვისწორებ, მაგრამ, გაქვავებულა კაპიშონი ყინულიან ქარში, ხრიალებს ხელის მოკიდებისას. გახვევებულა წინდებიც, ფეხსაცმლის ზონარს სქლად მოსდებია ყინული და შუშა კიტრივით გაბერილი აქეთ-იქით ხტის სიარულისას. ხელჯონსაც კილოგრამამდე ყინული აკიდებია. ძლიერს ვათავისუფლებ ზონარს და ჯოს ჩაკირული ყინულისაგან.

მალე პირველ დაღუპულ ადამიანს დავადექით თავზე - სამოცდაათიოდე წლის მაღალი კაცი გზისპირას პირადმა წევს, ძველმოდური ქუდი ახურავს.

- ადექი, ბიძია, - ეუბნება ჯემალი, მხარზე ხელს კიდებს და უმაღ გველნაკებნივით ამორებს.

მკვდარიო, მანისშებს თვალით.

- იქნებ მოკლეს? - გვეწვევა პატარა ტანის, ოციოდე წლის გრძელფარავიანი ჯარისკაცი.

სისხლის კვალს ვერსად ვპოულობთ. ზემოდან სვანი მემორები ჩამოდიან ჩქარი ნაბიჯით, თითქმის მორბიან.

- უკან დაბრუნდით, ბანაკში დაბრუნდით, თორემ ყველანი გაიყინებით! - იძახიან ისინი.

- მოიცათ, ამ კაცს რა მოუვიდა? - ვეკითხებით.

- გაიყინა, გაიყინა!.. მოკვდა!..

ცივი ქარი ძვლებამდე ატანს. გრძელ, ბეწვიან კაშხეს თავზე ვიხვევ.

- რა ვქნათ, ჯემალ?

- უკან აწი ეშმაკი ვერ დამაბრუნებს, ძლიერს მოვართვე ფეხებს, ტყუილად გამოვიართე ადამიან მანძილი?

ჯემალი ზურგნაგანითადაც ორ საბანს იღებს, ერთს მე მამლევს, მეორეში თვითონ იფუთება. მეღიმება, საბანშემოხვეული, გრძელულვაშა ჯემალი წამისუმაღ არგენტინელ მწყემსს ემსგავსება.

სასტიკად გვცევა. ვერ ვპატრონობთ გარდაცვლილს, გაჩერება კი არ შეიძლება. გავრძელებთ გზას. პატარა ჯარისკაცი გვერდით მოგვყვება. ქარი თანდათანობით ძლიერდება.

ორმოცდაათიოდე ნაბიჯის შემდეგ 60-65 წლის ცოლ-ქმარს ვეწვევით. უცებ ჩასუქებული ქალი ჩანთებს დაბლა ყრის და შუა გზაზე, ზედ ჩემს ფეხებთან ეცემა, ხელებს ჰაერში ასავსავებს, შემდეგ ერთს ამოიკვნესებს და... კვდება. თვალს არ ვუხვევებ. ნუთუ ეს ცხადია?

- დეიდა! - ვანჯღრევ, - დეიდა!..

ქმარი ერთხანს დგას, ჩემოდანს დაბლა უშვებს, თავს აკანტურებს, ქუდი უვარდება. ჯერ მუხლებზე ეცემა, შემდეგ მოწყვეტით - ცოლის გვერდით.

- რა ცხოვრება გვქონდა და სად გვკვდებით... - აი, მისი უკანასკნელი, ძლიერს გასაგონად წარმოთქმული სიტყვები.

ხან ერთს მივვარდებით, ხან მეორეს. ადამიანის სხეულისა და სულის გაყრას ვერ არ შევსწრებოვარ. არ მეგონა, თუ ასე ადვილად კვდებოდა კაცი.

პატარა ჯარისკაცი ისტერიულად ტირის, ნაცემი ბიჭივით.

- ამას რას ვხედავ, ამას რას ვხედავ... იმეორებს უსასრულოდ.

- წადი, იარე! - უწყრება ჯემალი ჯარისკაცს, - იარე, თორემ გაიყინები.

პატარა ჯარისკაცი გვტოვებს. წინ კვლავ აღმართებია, კედელივით აღმართები.

მალე ლოდზე მუცლით გაწოლილ გაყინულ ქალს ვხვდებით, შემეგ ქურ-



თუკზე სამხედრო ქამარშემორტყმულ წვერებიან კაცს.

საკუთარი უსუსურება ყელში ბურთივით გვეზვინება - ვერავის ვეხმარებით. ესაა შეძახილებით გამხნეებთ მხოლოდ მეზავრებს:

- არ გაჩერდეთ, იარეთ! იარეთ! ტყის დაწყებად გაუძელით. არ გაჩერდეთ! ცოტა დარჩენილი!

ბინტი თავშეხვეული სულიერი ავადმყოფი მოჰყავს დედასა და ძმას. თითქმის ყოველ მეთაურ ნაბიჯზე ეცემა ავადმყოფი და მასთან ერთად ორივე თანამგზავრიც. ავადმყოფი მძას არ იღებს, თავაწეულს თვალები ცისკენ აქვს აყრობილი. დედა და ძმა ქვითინებენ.

ოცდაათიოდე წლის კაცი ლოდზე ჩამომჯდარა სასოწარკვეთილ დედას ეფერება, ადექო, ეხვეწება. ვერ დგება ქალი. ადექით, ქალბატონო, იარეთ, - ემუდარებით ჩვენც. ახალგაზრდა კაცი პურს გვთხოვს. ორი დედა, არაფერი გვიჭამიაო, გვეუბნება. პურს ვაძლევთ და გზას ვაგრძელებთ. ცოტა ხნის შემდეგ უკან ვიხედებით. ქალი ადგარა და ძლიერს მოლასლასებს. რამდენიმე დღის შემდეგ ვგებულობ, რომ ის დედა-შვილი დაღუპულა. ქალი იმიტომ, რომ უღელტეხილს ვერ მოერია, შვილი იმიტომ, რომ დედა ვერ მიატოვა.

არავის გაუფრთხილებია ეს ხალხი, არავის მიუცია რჩევა-დარიგება, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო. მთელი გზის განმავლობაში არც ექიმი შეგვხვედრია სადმე, არც მამული, არც პური დაურიგებია ვინმეს. განგებამ სიკვდილ-სიცოცხლის საშინელი მართონის მონაწილე გამხადა - გაუძლებ ბედისწერის გამოცდას? - იცოცხლებ! არადა...

ნერვებადგულჯილი, გულდაამძიმებული დევნილები შიმშილის, წყურვილის და ტვირთის სიმძიმის გამო იღუპებოდნენ. გამოსავალს ვეძებთ ჩაიბუხლებდნენ სადმე, თვალს მილულავდნენ - და მორჩა - ზეციური საქართველოს საზღვრებამდე ისედაც თავიანთი ფეხით ამოსულები წამისუმაღ გვტოვებდნენ უღელტეხილის, ბუნების, ადამიანის, ბედის მიერ ნაღალატევ თანამომხმეებს.

მოგვიანებით ჭუბერში ჩემზე სამი დღით ადრე გადმოსულ ნაცნობთა ჯგუფს შეხვდი. მოშიებულებს რომელიც კენკროვანი მცენარის ნაყოფი ეჭამათ, მოწამლულან და ძლიერს გადარჩენილან. მეორე დღეს ერთმანეთს ვერ ცნობდნენ. მითხრეს, ერთმანეთს ვეკითხებოდით ვინაობასო.

ბერძნულ მითოლოგიაში დავიწყების ლოტოსს ჭამს გმირი და უმაღ ივიწყებს, თუ ვინ არის და საით მიდის. ანალოგიურია ქართული ზღაპრების ბოლმის ყვავილიც.

არის ყოველივე ამაში ბედისწერის სისასტიკე, განგების მიერ ჩვენთვის ჩაუვლოდელი, უპატივით, ლოგიკური განაჩენი. დაახლოებით ათი საათია. ბნელა. ვუახლოვდებით უღელტეხილის უკანასკნელ აღმართს. საშინელ წყურვილს ვგრძნობ. მწვერვალზე წყაროები იშვი-

ათად გვხვდება. ამიტომაც გზადაზა მცენარეთა ფოთლებიდან და მაღალი ძაბვის ანძათა ხიმინჯებიდან პეშვით ვიღებ თოვლს და შაქარყინულივით მივირთმევ. მამხნეებს თოვლი, ენერჯიას მძატებს.

ვეწვევი პატარა ჯარისკაცს. იგი არ ტირის. ხმადაბლა მიყვება თანამებრძოლის ამბავს. მთავე წყლებს გზაზე (ჭუბერისკენ მიმავალი შედარებით მოკლე გზა) ორბავშიან ქალს დაწვია, დახმარება შეუთავაზებია და პატარები ზურგზე მიუბამს. ორიოდ საათის სიარულის შემდეგ ორივე ბავშვი გაყინულა...

ბოლო აღმართს ვემაღზე ადრე ავლივარ, ვვადები ლოდზე და თანამგზავრს ველოდები. დაქანცულს ისე ტკბილად მეძინება, გაღვიძება არ მინდა. ვიცი, გავიყინები ასე, კარგად ვიცი, მაგრამ სადაც შორს ზაფხულის ზღვის ურბილეს ფსკერზე მძირავს ეს უცხო, ნარკოტიკული ძილი...

ჯემალი მაღვიძებს, სახეზე ხელს მირტყამს (არც თუ სათუთად).

- ადექი! - მიყვირის, - ადექი!

- თუ ძმა ხარ, ცოტა მადროვე, მეთაურო, სულ ხუთი წუთი... და დაეწვევი, - ვცდილობ, ღიმილისმაგვარი რამ გამოეხატოს სახეზე.

მაგრამ „მეთაური“ მკაცრია, არ მეთანხმება და ჯიბიდან რაღაც შუშა ამოაქვს.

- უყნოსე!

- ეს რა არის?

- ოდეკალონია, „კრასნაია მოსკვა“...

- დაგვლუპა ამ „კრასნაია მოსკვაში“ და შენ კიდევ...

ოდეკალონს ვყნოსავ, სახეზე ვისვამ და ერთ ყლოვს ვსვამ კიდევ (ფრად პატივცემული ხალხიც სვამს ოდეკალონს).

ყველას, ვინც ძვირფასი ადამიანი დაკარგა საკენ-ჭუბერის გზაზე, მინდა ვუთხრა - ნეტარი სიკვდილით გარდაიცვალნენ ისინი. დაღუპულებს, რომლებსაც გზადაზა ვხვდებოდი, მშვიდი სახე ჰქონდათ და ტანჯვის არავითარი ნიშანი არ ეტყობოდათ. ერწმუნეთ ამ სტრიქონების ავტორს, რომელმაც კინაღამ გაიზიარა მათი ხვედრი - დაქანცულს ტკბილად, ძალიან ტკბილად ეძინება ვინაში, ვით ახალწლის უმშვენიერეს დამეს იმ ბავშვს, რომელსაც დედა სათუთად შემოუკეცავს საბანს. ვიცი, არ დაგამშვიდებთ ჩემი სიტყვები ჭირისუფლებს, მაგრამ სულ სხვაა, როცა უღმერთო გზის შემდეგ მშვიდად უბრუნდები მშობლიურ სახლს - მარადისობას, სადაც ადრე თუ გვიან ყველამ უნდა მოვიყაროთ თავი.

გზას ვაგრძელებთ. იცვლება ჯოჯოხეთური სპექტაკლის დეკორაცია - ამოდის მთვარე.

ქვემოდან რახრახი მოისმის. „ბმპ“ ამოდის. განზე ვდგებით. გვეწვევა მთვარისფერსახიანი ხალხით საესე „ბმპ“. მთვარის შუქზე ყველას სახე აქვს შეცვლილი, ჯემალიც სულ სხვა კაცი მგონია. ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ბოსხის რომელიღაც ტილოს პერსონაჟი ვიყო. ლოდები, ქვები და შუქჩრდილები დახოცილი ადამიანები და

ცხოველები მგონია. „ბმპ“-ს ლულაზე მოხუცი კაცი სქელი თოკითაა მიბმული. კაცს ნაცნობი სახე აქვს. შოთა შარტავა - აფხაზეთის პროფკავშირების ყოფილი თავმჯდომარე. კაცი, რომელმაც მართლა პატიოსანი ცხოვრებით იცხოვრა. უკვე არაფერი მიკვირს - არც გამარჯვების ღვთაებასავით „ბმპ“-ს ლულას ამოკრული შარტავას ხილვა, პირიქით, იგი ძველებურ, ლამაზ გრავიურაზე გამოსახული ფრეგატებისა და კარაველების ჭვინტზე მიმაგრებული გამარჯვების ქალღმერთის ნატიფად თლილ ფიგურას მაგონებს. შოთა შარტავას შვილსაც შოთა ერქვა, მეცნიერი კაცი იყო, 15-16 მარტის შემოტევისას დაიღუპა გუმისთაზე, მხოლოდ ორი დღის შემდეგ გამოასვენეს ბრძოლის ველიდან, ძლივს აავლიჯეს ავტომობილი, მაგრამ ვერა და ვერ გაუსწორეს სასხლეტზე გაქვევებული საჩვენებელი თითი. საფლავშიც ისე წევს იგი - მოკაკეული თითით, თითქოს ისვრისო. სამარეშიც აგრძელებს ომს. ცრემლი მერევა, მეცოდება შოთა, ყველა მეცოდება, წარმოდგინეთ, ისიც, ვინც მას ესროლა. რა საბრალაო და პატარა ადამიანი. არადა, ეს არ არის გადაღლილი კაცის სენტიმენტალური განწყობილება, ეს რაღაც სულ სხვა გრძობაა, ჩემთვის მანამდე უცნობი, ამამალელებელი. რამდენიმე დღე არ მშორდებოდა ეს გრძობა, თან დამყვებოდა, რაღაცისაგან მიფარავდა თითქოს, მაფრთხილებდა. უმცროსი შოთა შარტავა და „აიდელოარას“ თავკაცი - სერგეი შამბა ბავშვობის მეგობრები იყვნენ, ერთ ეზოში იზრდებოდნენ, თამაშობდნენ ომობანას, ერთად სწავლობდნენ თბილისში, ერთ ბინაში ცხოვრობდნენ... და მაინც იომეს, ესროლეს ერთმანეთს...

გზაზე კიდევ რამდენიმე გაყინულ ქალს ვხვდებით.

კიდევ ერთი „ბმპ“ გვეწევა. ვაჩერებთ.

- წაიყვანეთ, ძებო, წინ მოხუცები მიდიან, ძლივს არიან.

- არ გვაქვს ადგილი, ვერ ხედავ? - ხელებს მხრებზე მადებს „ბმპ“-ზე მჯდარი ახალგაზრდა კაცი.

იგი ტირის.

- რა გატირებს? - ვეკითხები.

ჯარისკაცის ფარავაში გახვეულ ცხედარზე მანიშნებს.

- ცოლს მივასვენებ... „ურალი“ მომყავდა... გადავარდა „ურალი“... მუხრუჭები, მუხრუჭები... სიტყვას ვერ ასრულეებს, ხმამაღლა ტირის.

„ბმპ“ გზას განაგრძობს. ახალგაზრდა კაცი თვალს არ მაშორებს.

მივყვებით მთვარით განათებულ დაღმართებს.

უკვე სრულიად გაგვიქრა სიკვდილის შიში - 3-4 კილომეტრის იქით ტყე გამოჩნდა. ტყეში აქა-იქ ცეცხლი ბუფტავს.

ხშირად გვხვდება წყაროები. თითოეულ მათგანს ვეწაფები, ვივსები მათი ძალით, დიდი ხნის უნახავი მეგობრებით ვესაუბრები. „მეთაური“ მიკრძაღავს, არ დალიო ამდენი წყალიო, მაგ-



რამ მე მაინც ჩემი გამაქვს.

- მეთაურო, არ მიმატოვო! - ხუმრობით ვეძახი წინ წასულ ჯგემალს, - არ მიმატოვო, თორემ მოჩვენებად გამოგეცხადები დავით აღმაშენებელთან ერთად.

- ამაზე უარესი რა უნდა მომეღიანდო, - იცინის „არგენტინელი“ ჯგემალი.

მართლაც, დოკუმენტურ ფილმებში ნანახ, სტალინგრადადთან დამარცხებულ გერმანულ ჯარისკაცს ვგავარ ბინტებ-გადახვეული ფეხსაცმელებით, ტალახში ამოღუშული შარვალ-ქურთუკით.

მალე პალუცინაციები გვეწყება - თოვლიდან ამოშვრილი უზარმაზარი ლოდები მომთაბარე ტომთა ქოხები გვგონია.

- არ მიიხედო უკან, ვიდაცეები გვაკვირდებიან, მძარცველებია, ალბათ, - მეუბნება ჯგემალი და ვგრძნობ, როგორ უჭერს იგი ხელს უბემი გადაძალად რევოლვერს.

„ვიდაცეები“ ქვები აღმოჩნდა, გადამთიელთა ქონხანები კი, როგორც ახლახან მოგახსენებთ ლოდები.

ამ დროს კი თურმე ჩვენს ქვემოთ, მოსახვევში, რეალურად არსებული ყაჩაღები რეალურად არსებულ ლოდებთან და კლდეებთან ჩასაფრებულები, მარცვადნენ დევნილებს, ჯარისკაცებს ართმევენ იარაღს, სხეებს - ქურთუკებს, ფულს, ოქროულობას, უკანასკნელ ნივთებს...

გზაში იარაღის გამო მოკლეული ახალგაზრდა კაცის ცხედარიც ვნახეთ და გაყინული რკინისჩაქნინი მეომრის გვამიც.

გამკითხავი არავინაა, მფარველი, მი-თუმეტეს. გაუძლებ ადამიანთა უგვანობას? - იცოცხლებ! არადა, დაიღუპები!

სოკოებივით ამოსულ, გაყინულ ქვებზე ფეხი ხშირად მისხლტება. რამდენჯერმე ვეცემი. მარჯვენა გვერდს სერიოზულად ვიზიანებ. ხელით ვითვლი ნეკნებს - ჯერ არც ერთი არ დამკვდება.

შუალამისას ვაღწევთ ტყემდე, უამრავ კოცონს ერთს ჩვენსას ვუმატებთ. ზანტად იწვის სველი და ნედლი შეშა. ამოდა ვცდილობთ გათბობას. ვითომ ვნაყრდებით, ვითომ ვშრებით და სიცივისაგან ამაგმაგებულები დაძინებასაც ვცდილობთ ვითომ.

ერთი უცნაური ამბავიც უნდა გავიხსენო - თითქმის მთელი გზის განმავლობაში მარილის გემოს ვგრძნობდი,

თითქოს ზღვაში ახლადცურვანასწავლი ბლომად ვყლაპავდი მლაშე წყალს. მივდიოდი და სულ ჟოლოს მურაბის გემოს ვიხსენებდი, ჟოლოს მურაბიანი წყალი მენატრებოდა. რომ ეკითხათ - ყველაზე მეტად რას ინატრებო, ჟოლოს მურაბას-მეთქი, ვეტყვი. კოცონთან მჯდომს უცხო კაცი მიახლოვდება. მურაბა არ გინდა? - მეკითხება და ლიტრიან ქილას მაწვდის. მოქანცულს თავის აწვაც მეზარება. ვართმევ ქილას. ჟოლოს მურაბა... მივირთმევ მურაბას, ნეტარებისგან თვალებს ვხუჭავ და ერთხელ კიდევ ვრწმუნდები, რომ საოცარია ეს სიზმარ-ცხადი ქვეყანა.

კოცონებსგან მოშორებით ჭრელ ქსოვილში გახვეული რამდენიმე ადამიანი წევს.

- რად არ მოდიან ესენი კოცონთან, არ ცივათ? - ვეკითხები ენის ბორძიკით მურაბის პატრონს.

- ესენი მკვდრები არიან, - მძასუხობს მისი მშვიდი ხმა.

- ჰოო, - ვამბობ მეც მშვიდად, მათარიდან წყალს ვსვამ, ქილას უცნობს ვუბრუნებ და ვცდილობ, დავიძინო.

მეორე დღით ექვს საათზე ვდგებით და გზას ვაგრძელებთ. მშენიერი, მზიანი, სასტიკი დღეა. გზადაგზა კვლავ გვხვდება მიცვალებულები, მაგრამ უკვე სხვასამყაროსეული, ყინულიანი მზერით; ჩვენი ძვირფასი, ჩვენი დევნილი მიცვალებულები. წვანან ისინი მშვიდად, ხელში ქალაღლის ნაგლევი უპყრიათ თავიანთი სახელითა და გვართ, ზუსტად ისე, ვით ახალშობილებს სამშობიარო სახლში. დამთავრდა სრბოლა მათი, დამთავრდა დევნა, მაგრამ... ისინი მაინც განარძობენ თავიანთ სვლას, თავიანთ ლტოლვას უკეთესი საქართველოსკენ, სადაც ყველაფერი რიგზეა, სადაც ადამიანები პატრონობენ ერთმანეთს, სადაც კაცი ქვეყნის ერთგულია და ქვეყანა - კაცის, და არაუინ კლავს ერთმანეთს არც იარაღით და არც დევნით.

ოთხ საათზე ჭუბერში ვართ. ვწვებით უზარმაზარ, გადაჭრილ მორეზზე და ვგრძნობთ, როგორ ვიძინებთ უკიდევანო სიცარიელის ოკეანეში...

შემდეგ იყო კონტინენტში მგზავრობა ზუგდიდამდე. მანქანაში ორმოცდაათამდე კაცი ვართ. ჭერზე წყლად-ქცეული ამონასუნთქი ჰაერი თავზე გვეპკურება. საცოდავად ბუფტავს ერთადერთი ნათურა. გზაში ვჩერდებით - ჰაერს ვანიავებთ. ხაიშში და ჯვარში რამდენიმეჯერ გვაჩერებენ, ჩხრიკავენ არაქათგამოცლილ მგზავრებს, იარაღს ებებენ. სოფელ ლიაში მანქანა გვიფუჭდება (თუ არ ვცდები, სამუშაოების სახლის კართან). გამოდის მასპინძელი, მგზავრები სახლში შეჰყავს, ბავშვებს და ქალებს ჩაიზე და პურზე პატიუებს, კაცებს ახალ ღვინოს გვაჭაშნიკებინებს, გვლოცავს, გვაიმედებს, გვითანაგრძნობს, გვაცილებს, გვებოდიშება. ორ დამეს ზუგდიდში, ბაჩანა დანძავს მოსიყვარულე ოჯახში ვათევ.

შემდეგ იყო - სენაკი, კაცური კაცის - ალეკო ცხაკაიას სახლი.

შემდეგ კი ცხენისწყალი იყო, რომლის გაღმა და გამოღმა მდგარი ქართველები ერთმანეთს ესროდნენ. ვთხოვეთ ერთს და ვთხოვეთ მეორე მხარეს, გავეტარებინეთ. იფიქრეს, დაგვინიშნეს დრო და ქართველი დევნილები გაგვატარეს ქართველებმა. გადავედი ხიდზე თუ არა, მაშინვე კვლავ დასცხეს ერთმანეთს. ყოჩაღად იბრძოდნენ, ვერაფერს იტყვი. სადღაც მალდა, ღრუბლებს მიღმა კი ცრემლად იღვრებოდა დედა საქართველოსი... ხითხითებდა სატანა...

თითქოს ვძლიე უღელტეხილს, ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ დაგვჯახნე თითქოს, მაგრამ... იგი სამივე ჟამში გაიხირა, წარსულისა და მომავლის, აწმყოს მაგიურ ტრიპტიქად მექცა და ჩემს სულში და სისხლში დაიღო ბინა თავისი ცოცხლებითა და გარდაცვლილებით, „უცხოპლანეტელებით“, გაოგნებული ხარებით, „ბმპ“-ს ლულაზე მიბმული მოხუცებით, კენესით, ვაბით, უსაშველო სინანულით... ვიცი, არასოდეს შეწყდება მასზე მოძრაობა, რამეთუ დევნილთა უღელტეხილია იგი, ერთადერთი უღელტეხილი მსოფლიოში, რომელიც მოგზაურობს და მოგზაურობს მთელს დედამიწაზე, დამუხტული დევნილთა ენერგიით, უზარმაზარი ხომალდივით მოივლის ოკეანებს, ზღვებს, კონტინენტებს, სახელმწიფოებს, მსუსხავი ქარით გათანგული, დაწყვეტილი და დიადი, პირ-მშო თვითმკვლეელი, საკუთარ გულს საკუთარი ფრჩხილებით ჩაფრენილი, დასისხლიანებული საქართველოსი, გადასასვლელი სიკვდილიდან სიციცხლი-საკენ. ჯვარცმული უღელტეხილი!

დევნილთა უღელტეხილი ყველაზე მაღალი უღელტეხილია ღუნიანზე, მაშულის უწმინდესი ჰაერით გაჟღენთილი, ყველა ამქვეყნიურ წვრილობაზე და და-ვიდარაბაზე, ფულზე და ღალატზე, სიბრიყვეზე ზემდგომი უღელტეხილი - გოლგოთა სრულიად საქართველოს ცოდვებს მიეზიდება... მის შუაგულში დგას მკერდში მომაკვდავშვილიჩაკრული ახალგაზრდა მამა და წყველის, ხმამაღლა წყველის პოლიტიკოსებს და არა-პოლიტიკოსებს, - გუშინდლებს და დღევანდლებს, ქართველებსა და არაქართველებს, კაცებს, ქალებს... ჩვენ ყველას, უკლებლივ! ყველას ვინც მიზეზთა და მიზეზთა გამო თავისი წილი თიხა და ღორღი მოიტანა, შექმნა, ააგო, აღმართა, ააბობოქრა ეს უღელტეხილი. მწვევლის მე, რომელიც ამ სტრიქონებს ვწერ ახლა და თქვენც, ღრმადპატივცემული, რომელიც ამ სიტყვებს კითხულობთ.

რა გქნათ ჩვენ, რა გზას დავადგეთ, რით ვუშველოთ მომაკვდავ ბავშვებს, რომლის წინაშე მთელი ქვეყნიერება, მთელი ამერიკური საქართველო, ყოველი ჩვენთაგანი დამნაშავეა?!

15-19 ოქტომბერი თბილისი

გურამ ოდიშარია

დავნილთა უღელტეხილი

ძვირფასო თანამემამულენო!
სხვის ხოშზე მოყვანილი ხელისუფ-
ლება (მაგალითად, ვახუშტი კოტეტიშვილის ხოშზე!) რომ ვერ გაამართლებ-
და, მე ამის სწავლება სხვისგან რად
მინდოდა!

არადა, ეს ცნობილი მეფანდურე (აქაც
ვახუშტის ვეულისხმობ, კოტეტიშვილს),
სადაც კი რამდენიმე კაცს ნახავდა ერ-
თად თავშეყრილს და იქვე, თუ სადმე
შემალლებული ადგილიც ვეულებოდა, მას-
ზე შეხტებოდა და ქვეყნის გასაგებად
გაჰყვიროდა!

- ხოში მაქვს და პრეზიდენტის პოს-
ტზე ზურაბ ჟვანიას ვაძლევ ხმასო!..

- მიეცი, ვახუშტი, მიეცი, - თანაუგ-
რძნობდა ამ კაცს საქართველოს მო-
სახლეობის ის ნაწილი, ვისაც წინა ხე-
ლისუფლება უკვე ყელში ჰყავდა ამო-
სული!..

მაგრამ, ამასობაში, ქვეყნის პოლიტი-
კური ვითარება თანდათან იცვლებოდა
და იმ ახალგაზრდა რეფორმატორთა გუნ-
დში, სარეიტინგო მარჯვენაობით, მიხეილ
სააკაშვილმა თვით ზურაბ ჟვანიასაც
კი გადაასწრო!..

იმის მიუხედავად, რომ არავის უთხო-
ვია ბატონი ვახუშტისთვის - „ხმა ამო-
იღე, ფანდურეო“, ის კიდევ, ისევ ქვეყ-
ნის გასაგონად, ისევ ხმამალა გაჰყვი-
როდა!

- ხოში მაქვს და პრეზიდენტის პოს-
ტზე მიხეილ სააკაშვილს ვაძლევ ხმასო!..

- მიეცი, ვახუშტი, მიეცი, - ხელახლა
თანაუგრძნობდა ამ კაცს ხალხის იგივე
ნაწილი, ვისაც წინა ხელისუფლებისა-
გან, როგორც მარჯვე მეწისქვილეს დაფ-
ქვილი სიმინდიდან, მინდი უკვე წინდა-
წინ ჰქონდა ამოღებული!..

და ამხელა ქვეყანაში, ასეთი ადამი-
ანები, ცოტანი როდი იქნებოდნენ!

სასწრაფოდ შეიკრა ახალგაზრდუ-
ლი ავტობიოგრაფი, „წვიმის მუსიკოსე-
ბი“ და ერთ-ერთ სატელევიზიო არხზე
დაჩევილი ბარტყი-მწერლები და სა-
ქართველოს მოსახლეობას მოუწოდებ-
დნენ - ჩვენს შოუკონცერტებზე მობ-
რძანდით, ჯერ კარგად ისიამოვნეთ და
მერე შევარდნადის ხელისუფლებაც გა-
დავაგლოთ!

- ერიპაა! ეს რა კარგად მოუფიქრე-
ბიათ, ამ პატარა მამაძაღლებს - ეს ხომ
იგივეა, რაც ხალხურ გამოხატვაში
გვსმენია - ცხენსაც გაგზვინი და მამი-
დასაც ვნახავო!..

ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ამათმა,
რაკი მეტისმეტად უსასკონი იყვნენ, ცხე-
ნის გახედნა საერთოდ არ იცოდნენ, მა-
მიდა კიდევ, დღევანდელი საოჯახო ხედ-
ვიდან გამომდინარე, ფეხებზე ეკიდათ!..

აქა-იქ, როცა შემთხვევა მიეცემოდათ,
ქილიკობდნენ კიდევ - „ფეხზე მკიდია
მამიდა, თუკი რაღაცა მამინდაო!..“

ის კი არა, ამ „რადაცაში“ მდღერობი-
თი სქესის ისეთ „დელიკატურ“ ორგა-
ნოს ასახელებდნენ, იმის მიუხედავად, რომ
დღეს ჩვენს ქვეყანაში ბევრი ღია სა-
ზოგადოება შექმნილი, ჩემი სიმორცხვი-
დან გამომდინარე, რომ მომკლათ, მის
სახელს ასე ღიად ვერაფრით დავაფიქ-
სირებ!..

ამიტომ, როგორც ჩანდა, ამათ, მამიდის
ნაცვლად, მამიდის ქმრისკენ, ბატონ სო-
როსისკენ მიუწევდათ გული - იცოდნენ,
მხოლოდ იმას რომ ჰქონდა ფული!..

ისიც იცოდნენ, ამ ფულით, ძველი
ხელისუფლების გადმოსაგდებად გამარ-
თულ საჩვენებელ კონცერტებზე საი-
დან მოეწვიათ ხალხი!


ყველაფერი დიდებულად ჰქონდათ
გათვლილი:

„სკრა, აგრა, ქარელი, გორის“ შიდა
სარკინიგზო გადასარბენიდან შიდა ქარ-
თლის მოსახლეობა ჩამოიყვანეს!

„წალენჯიხა, ზუგდიდი, ხობი, ინგი-
რის“ მონაკვეთიდან, დასავლეთის მი-
მართულების შენაერთები მოხსნეს და, მოგ-

ჰეჩიო, პიჭეპო, ჰეჩიო - გამოუსვამდა მეჩიო!

თამაზ წიგწივაძე:



ვიანებით, დედაქალაქში გადმოსროლეს!

ცივგომობრიდან დაძრულმა კახელმა
მოლაშქრებმა, ცივი ამინდის მიუხედა-
ვად, ღია ცის ქვეშ დასცეს კარვები,
ოღონდ მთავრობის სახლიდან ოდნავ
მოშორებით და ოდნავ ხელმარჯვნივ, რად-
გან იქ, ცენტრში, აჭარის საზღვაო აკვა-
ტორიიდან მოხმობილი ასლან-ბეის მო-
ხალისეთა ლაშქარი იყო დაბანაკებული!..

ერთხელაც, ადრე დილით, ცალკე სა-
ომრად და ცალკე კონცერტის სანახა-
ვად გამზადებულ სახალხო მოლაშქრე-
ებს იმჟამინდელმა მთავარსარდალმა შე-
მოუარა და, როგორც ჩვეოდა, დიმილით
იკითხა - „ეჭვობა, თქვენ ჩემზე ხართ
ნაწყენებიო!..“

- ნაწყენები კი არა, დანა პირს არ
გვიხსნის: „გადადექი და წადიო!..“

- კი, ბატონო, მე აქ თქვენი თხოვნით
ვარ ჩამოსული და თუ აღარ გინდოვართ,
- რა პრობლემაა, გადავდგებიო!.. ოღონდ,
კიდევ იფიქრეთ, ნუ აჩქარდებით, თუ
არადა, ჩამოვლენ კრწანისში, ჩემთან, ბურ-
ჯანაძე-ჟვანია-სააკაშვილი - სახლს კი
მოავებენ, ფაქტობრივად, ჩემს კალთაში
არიან გაზრდილი - და იმავე საღამოს
გადავდგები, ოღონდ, ერთს კი დაგიბა-
რებთ: მერე საქართველოში რა ამბებიც
დატრიალებდა, პასუხს აღარ ვაგებო!..

რეკოლუციის ლიდერებმა ბურჯანა-
ძე კრწანისში აღარ წაიყვანეს - მაინც
ქალია, ამდენი ლაპარაკის (უკაცრავად,
ბრძოლით!) გადაიღალა და, მის ნაც-
ვლად რუსი ივანოვი გაიძლიერეს წინ
და ასე ხელდაშეწყნებული მიადგნენ თა-
ვიანთ მასწავლებელს!..

ივანოვმა - ქართველები ხართ და
ერთმანეთთან სალაპარაკო ენას თქვენ
თვითონ უკეთ გამოხატავთ, მე კიდევ
დაგტოვებთ და ბათუმში ჩავალ ასლან
აბაშიძესთან - ჩემს შემდგომ ჩამოს-
ვლაზე გამზადებული რომ დამხვდეს მოს-
კოვში წასაყვანადო!..

კრწანისში სამთა თათბირი შევარ-
დნაძემ გახსნა - „აბა, დაიწყეთ და მით-
ხარით, რაზე გწყდებთ გული და რას
მოითხოვთ ჩემგან, ჩემო შეილებო და
ჩემი ხელით გამოზრდილებო!..“

უფროსმა შვილმა, ჟვანიამ, მორიდე-
ბით აუწყა: „მამა, ძვირფასო, სახალხო
წამოწყნებულმა ჩვენმა თამაშმა ისეთ სე-
რიოზულ და კრიტიკულ ზღვარს მიად-
წია, სხვა გზა აღარ რჩება, უნდა გადად-
გეთო!..“

- ეს უკვე გადაწყვეტილი მაქვს, ახ-
ლა დაგლოცავთ და სახლში წავალო!..

- არსად წასვლა არ დაგვირდება,
შენ უკვე სახლში ხარ, მამი! - ხმა ამო-
იღო სატირლად გამზადებულმა მიხეილ
სააკაშვილმა!..

- დიახ, ბატონო ედუარდ, კრწანისის
სახლსაც საჩუქრად გიტოვებთ და კი-
დევ, ხელშეუხებლობის გარანტიასო!
ოღონდ, როცა სახლში მართლ დარჩე-
ბით, ძილის წინ, გაზის გამორთვა არ

დაგავიწყდესო!..

- გაზის გამორთვა რად უნდა, ზურა,
ახლა ნოემბერია და, ვაითუ, გავაცივოთო,
- შეწუხდა სააკაშვილი.

- არა, მიშა, ჩვენს მამას, აქ, თურქული
გახტურა „ნიკალა“ უღვას, იმან კიდევ,
გაზის გაპარვა და მძინარე კაცის გა-
გუღვა იცისო!..

- რას მეუბნები, ზურა, ეს რა კარგი
რამ მასწავლე, კაცი თუ ვინდა გაგულო
და გაპარო, გაზი უნდა გამოურთო?!
- არა, მიშა, ასე მტერს უნდა მოექცე,
შენიანს და ახლობელს კი არა!.. გულ-
წრფელად განუმარტა ზურაბ ჟვანიამ.

„მე კიდევ სხვანაირად ვიცოდით“, სა-
უბარში ჩაერია ბატონი შევარდნაძე -
ჩემი ასაკის კაცს, გურიამი, ასანთს უმა-
ლავენ, უნებლიეთ, სახლ-კარი არ გა-
დაწვასო!..

სხვაც ბევრი რამ ითქვა იმ გამოსათ-
ხოვარ საღამოზე. ბოლოს მამამ შვი-
ლები დალოცა და თვითონ სახლში
დარჩა!..

მხოლოდ ერთ რამეზე წყდებოდა გუ-
ლი - ამთვან ერთი, უმცროსი, ცოტა
უქიქინე და ცოტა შერეკილიც იყო და
ის ყველგან გაიტანდა თავს! მერე, უფ-
როსი კი, საკმაო განათლებისა და ჭკუ-
ის მიუხედავად, შედარებით სუსტი ჯან-
მრთელობის (ბავშვობაში გადატანილი
უძძიმესი ავადმყოფობის გამო) გახლდათ
და, ეშინოდა, ამ გადარეულებმა არაფერი
მომიწინონ!

არადა, ვეღარც ამის თქმა მოასწრო -
იმ ოთახში ღამე არ გაათიო, შვილო, -
ზურა, სადაც „ნიკალა“ იდგებაო!..

სხვათა შორის, აწ უკვე ექსპრეზი-
დენტს, „ბურჯანაძის ქალიც“ გაახსენ-
და - „ნეტა, ერთი-ორი რჩევა მისთვის
საც მიმეცაო“, მაგრამ მერე, რაღაც გაახ-
სენდა და, გაცივდა კიდევ: „იმას რომ
მამა ყავს, ასეთ რამეებში, ჩემი დარიგება
რად უნდაო!..“

ერთი სიტყვით, რაკი ეს გაახსენდა,
შვებით ამოისუნთქა და აღარც გული
წყდებოდა!..

სამაგიეროდ, მე მწყდება გული თქვენზე,
ძვირფასო თანამემამულენო!

არადა, როგორ არ გითხრათ და, რო-
გორ არ ვისაყვედურთ - რაც მე თქვენ-
თვის მითქვამს, რომ ეს ხალხი ქვეყნის
სათავეში მოსაყვანი არ არიან-მეთქი, ერ-
თხელაც არ დამიჯერეთ!

თითქოს ჩემს ჯიბრზე, ადექით და,
დაუნანებლად მიეცით ხმები!..

ჩემი ყველა გაფრთხილება კი იმ ხმად
რჩებოდა, რომელს მხოლოდ „უდაბნოსა
შინა დადადებენ!..“

ნამდვილად არ ვიცი, კიდევ უფრო
ნათლად და გასაგებად როგორ უნდა
ამეხსნა თქვენთვის!

„უტიფრობითა და თავხედობით აღ-
სავსე ეს ახალგაზრდა ცრურეფორმა-
ტორების გუნდი აწ უკვე ქვეყნის უბე-
დურებად იქცა და მან, ვინც ამ უბედუ-
რების წარმოქმნას შეუწყო ხელი, უნდა
კიდევაც აგვაშოროს იგი თავიდან!..“
მართლაც არ ვიცი, ძვირფასო თანა-

მემამულენო, კიდევ უფრო ნათლად და
გასაგებად როგორ უნდა გამეფრთხი-
ლებინეთ, როცა, თითქმის, დღეღამე მოვ-
თქვამდი:

„ვაი, შენ, ქვეყანავ, რომელსა შინა ხე-
ლისუფალნი შენი, ჭაბუკ არიან!..“

კი, ბატონო, „ჭაბუკ არიან“, აბა, ვინ
არიან: კირკიტაძე და არველაძე, ბოკე-
რია და ბექაური, თარგამაძე და თუთბე-
რიძე, გოკა - კულტურის მინისტრი და
გივი - ქალაქის თავი - მაგრამ მითხარი,
„ჩემო კარგო ქვეყანავ“ ან რა ჯანდაბად
გინდა, ან რაში გამოგადგებიან?!
ყველა ეროვნული ფასეულობის დაქ-
ცევა უკვე მოასწრეს და ახლა, რაკი
ქართველებს ერთმანეთის დასმენა და
ჩამება ოფიციალურად დაგვიკანონეს,
ჩვენს ზნეობრივ გადაგვარებასაც მალე
მორჩებიან!..

ამიტომ იყო, ბატონებო, ამ წერილის
დასაწყისში რომ ვწერდი:
სხვის ხოშზე (მაგალითად, ვახუშტი
კოტეტიშვილის ხოშზე!) მოყვანილი ხე-
ლისუფლება რომ ვერ გაამართლებდა,
ამის სწავლება სხვისგან რად მინდოდა!

არადა, ეს ცნობილი მეფანდურე (აქაც
ბატონ ვახუშტის ვეულისხმობ, რასაკ-
ვირველია!) სადაც კი რამდენიმე კაცს
ნახავდა ერთად თავშეყრილს და, იქვე,
შემალლებული ადგილიც ვეულებოდა, მას-
ზე შეხტებოდა და ქვეყნის გასაგონად,
ხან ერთს გაჰყვიროდა და, ხან მეორეს!

- ხოში მაქვს და პრეზიდენტის პოს-
ტზე ზურაბ ჟვანიას ვაძლევ ხმასო!..
ხოლო თუ იმ გუნდში მიშა დაწინა-
ურდებოდა, არც იმას ამაღლიდა არა-
ფერს!

- ხოში მაქვს და პრეზიდენტის პოს-
ტზე მიხეილ სააკაშვილს ვაძლევ ხმა-
სო!..
- მიეცი, ვახუშტი, მიეციო, - ბევრი
სხვაც აგულიანებდა ამ კაცს და, ამ მი-
ცემა-მოცემაში ბატონ ვახუშტისაც და,
საქართველოს მოსახლეობის დიდ ნა-
წილსაც, მთავარი გამორჩათ!

კერძოდ ის, რაც დიდმა ილიამ ბრძანა:
„ჩვენ უნდა ჩვენი ეშვით მყობადაი,
ჩვენ უნდა მივეცეთ მომავალი ხალხს...“
ამ ხელისუფლებამ, ანუ, ვახუშტის ხოშ-
ზე მოსულმა ხელისუფლებამ ყველა-
ფერი უკუღმა გააკეთა - მომავალი ხალხს
კი არ მისცა, მომავალი და გასაქანი
მისცა: კირკიტაძეს, არველაძეს, ბოკერი-
ას, ბექაურს, თარგამაძეს, თუთბერიძეს,
აგრეთვე, მინისტრს გოკასა და ქალაქის
თავს - გივის!..

მიტომაცაა, ამ ქვეყნის საქმე კარგად
რომ მიდის!..

ამასაც კონკრეტულ ადამიანებზე დაკ-
ვირვებით მოგახსენებთ, თორემ, ძვირ-
ფასო თანამემამულენო, ჩემი საბოლოო
დასკვნა გაცილებით მკაცრია და, იგი,
მთელი სიზუსტით, მხოლოდ ამ ოდნავ
პერიფრაზებული სტრიქონით თუ გა-
მოიხატება:

ჰერიო, ბიჭებო, ჰერიო, -
გამოშტერდა ერიო!..

ექიმმა გამსინჯა და მითხრა:
- ძალიან დაღლილი ხარო. უნდა და-
ისვენოთ, გადით პარიზიდან - ან ზღვის-
კენ გაისეირნეთ, ან პალმებს შეეხიზ-
ნეთ. თითოც აღარ გაანძრით: სჭამეთ,
სვით, იხეტიალეთ, იბანავთ და იგორა-
ვეთ. თქვენი წამალი მარტო ეს არის.
ორეუარ!

პარიზს ვერ მოვწყდებოდი. ვილაცამ
მირჩია ნოჟანი.

საკვირველია, სადაც ზღვა სისხლი
დაიღვრება, იმ ალაგს რაღაც იდუმალი
ძალა მიეცემა: მისი სახელი მთელს ქვე-
ყანას მოედება და ისტორიაშიც დარჩე-
ბა. ყველას იზიდავს და იპყრობს იგი,
თუნდაც უდაბური, მიუსაფარი და მიუვა-
ლი იყოს.

ალბათ ამიტომ ავირჩიე მდინარე მარნა
და მის ნაპირზე გაშლილი ნოჟანი.

პატარა ქალაქია. პარიზის გარეუბნი-
დან ფეხით ერთი საათის სავალი ძლივს
იქნება. თუნდ მარანტონის ჭაღებს აპ-
ყევით, გინდ ვერსენის ტყე გადასჭვრით
- უმაღ ამ ქალაქს წააწყდებით.

აღარ დაგაყოფენ: ერთი ოთახი - „პტი
შამბრ“ დაექირავე და ექიმის დარიგე-
ბას გავყვე: დილით საღამომდე თით-
საც აღარ ვანძრევ. ვკვამ, ვბორიალებ,
მწვანეზე ვგორაობ და ნახევარ დროს
მარნასა და მის ნაპირზე ვატარებ.

არსად მინახავს ასეთი მდინარე -
რონა თუ შეედრება.

ღრმა და განიერ არხს მომაგონებს:
დინჯი, მშვიდი, ზანტი და ანკარა. მუდამ
სთვლემს, იზმორება, ილოღნება. ზედა-
პირზე ჩალის ერთ ღერსაც იშვიათად
მოსძებნით, ხოლო ფსკერი - მუქი და
დახვავილი - ნათლად და მკაფიოდ მოს-
ჩანს, როგორც კენჭი ჭიქის ძირში.

პატარა ქალაქს ბაღიც პატარა აქვს,
სამაგიეროდ ჩრდილოვანი, სუფთა და
მყუდრო.

ერთხელ, ნასადილევის, სანამ საბანა-
ოდ ჩავიდოდი, ამ ბაღში შევიხედე. ვეე-
ბა წაბლის ქვეშ გრილი ბინდი ჩაწო-
ლილა. ხის ჩრდილში გრძელი სკამი
მოსჩანს. მივედი და დავეჯექი.

ქვიშარა გზაზე ღრმა მოხუცი მოდის
- ჩანჩალით და ცანცარით.

უფრო მოეთრევა, ვიდრე მოდის და
ერთ ფეხსაც კონკლასავით მოათრევს.

ხელში კოჟრინი ჯოხი უჭირავს.
ძნელი სათქმელია: ჯოხი ჰშეულის მო-
მავალს, თუ მოხუცი - ჯოხს. ორივენი
ძლივს მოფარფატებენ.

პირდაპირ ჩემსკენ წამოვიდა. ჩრდილ-
ში რომ შემოვიდა, უცბათ შესდგა -
გამწყვრალი თუ გაოცებული. მითროლ-
ვარე ხელით თვალები დაიჩრდილა და
მომამტერდა. მე ვზივარ და ვუმზერ.

დიდხანს სდგას და ცანცახებს, თანაც
მიბღვერს და ხრინწით ასველებს.

მერე გაბრუნდა და წავიდა, თან განი-
ერ და მოხრილ ბეჭებზე წყრომა მო-
მაჩვენა.

„ალბათ, შეჩვეული ალაგი წავართვი,
- გავიფიქრე და თავი ვიპართლე: - სკა-
მი გრძელია. მოვიდეს და დაბრძანდეს“.

მეორე დღეს იმავე დროს იმავე სკამზე
ვზივარ და წიგნს ვკითხულობ. ქვიშის
ხრამუნი მომესმა. ისევ ის მოფარფა-
ტებს. ჩრდილში შემოდის და გუმინდე-
ლივით მამტერდება.

- ასხეიე ვუ, მესიე - დაბრძანდით,
ბატონო, - მივიპატიე და ნაპირისკენ
გავწიე.

მოლასლასდა, კრუსუნით დაეშვა და
გაშეშდა.

ჩვენი ყუჩილი ბინდსა და სივრილეს
ეზავება. ღრმა ღუმლის იშვიათად არ-
ღვევს ჩემი წიგნის ფურცვლა და მოხუ-
ცის სუნთქვა. შემდეგ წიგნი გვერდით
მოვიდე, პაპიროსი გავაბოლე და რინდში
გავეხვიე. ცხელა. მოთენთილი ვარ. ძნე-
ლი გასარჩევია, ვზივარ თუ ვდგევარ.

სივრცეს გავცქერი და მოჟუტული
თვალთ ვხედავ: მოხუცის ცანცარა თა-
ვი გაშლილი წიგნისაკენ იღუნება. მე-
რე უცბად დააფრინდა, თითქო მშვიერი
მოხრაკულს დასწვდა: წიგნი გაწყა-

მიხეილ გავახიშვილი

მის ყოყილი

ლებულ თვალეზე მიიღო და ჩააცვიდა.
გადაშალა, გადმოფურცლა, სათურს და-
ამტერდა და მომიბრუნდა:

- პარლონ, მესიე - ბოდიშს ვიხდი, რა
ენაზეა დაბეჭდილი ეს წიგნი?

- ჟორჟიენ, - ვუპასუხე, - ქართულია,
გაგიგონიათ ქართული, საქართველო?

შიშით შემომხედა, შეკრთა, თითქოს
ცეცხლს წააწყდა. წიგნი სწრაფად დაპ-
კეცა, თითქმის მომიგლო, წამოღდა და
ჯავჯავით წავიდა, თითქმის გაიქცა. უც-
ბად მოტრიალდა, თვალები ხელით და-
იჩრდილა, შემომხედა და, თითქო უარე-
სად დამინდა, ნაბიჯს მოუხშირა, თან
ქვიშარაზე კოჟრინი ჯოხით გრძელი
და ტალღოვანი ლარი გაიყოლა.

გამეცინა.
„აზრი რამ თუ აქვს აკვიატებული“, -
გავიფიქრე და მარნასაკენ გავწიე.

მეორე დღეს ერთ პატარა სახლთან,
ხლართთან რკინის კარებთან, ისევ იმ
მოხუცს მოვკარი თვალი. მოდრეკილ
ბოძით იდგა და საკუთარ ფეხს დას-
ცქეროდა. დამინახა, მოსხლტა, ეზოში
შევიარა, მაღალ ბუჩქს მიეფარა.

ისევ გამეცინა. ოციოდე წამის შემ-
დეგ ანკარა მდინარეში ვჭყუშპალაობდი.
ის მოხუცი და მისი ნაკვიატი კი, რა
თქმა უნდა, თავიდან ამოვიგდე და გრილ
მდინარეს გავატანე.

ერთი კვირა გავიდა. უცნაური მოხუ-
ცი ბაღში აღარ მოსჩანს. სამაგიეროდ
ორჯერ წავაწყდი ქუჩაში. ერთხელ -
თავის სახლის წინ იჯდა და სთვლემ-
და. რომ დამინახა, წამოღდა და ცალი
ხელით რკინის კარებს მოეჭიდა, თითქო
გასაქცევად მოეშადა, თან მოხუჭულ
თვალს მადევნებდა და თეთრი ნიჩბის
წვერებში შიშარავე დიმილს მალავდა.

შორიდანვე გაუღიმიე და სალაპი მი-
ვეცი - უღრმესი და თავაზიანი.
აპენტილი წვერ-ულვაშიდან, თითქო
მოთოვლილი ფანჯრიდან, ოქროს კბი-
ლებმა გამოიხედეს. დამინებულმა ბე-
ბურმა პასუხი არ მომცა. სამაგიეროდ
შეჭირხლული სარკმელი უფრო განივ-
რად გააღო და ოქროს ბზინვა მზის
სხივებით გამომაყოლა.

რომ დავშორდი, შევდექი და მოვიხე-
დე. მოხუცის სხივთა კონა ისევ მე
მქონდა მობჯენილი. ეხლა იმ საარ-
კმილიდან და ორი მოხურული სანთუ-
რიდან, ფანჯრის ზემოდან რომ იჭყიტე-
ბოდნენ, თბილი ტალღებით მეღამუ-
ნებოდნენ უცნობის ნდობა, სიხარული,
აღერსი და ბედნიერება - ბედნიერება
იმის გამო, რომ... არა, ჯერ არ ვიცი -
რის გამო, რატომ და ვისთვის. კუთხეს
მივეფარე და გავიფიქრე: „აკვიატი რამ
აედევნა. ბაღლობას თუ დაუბრუნდა. ალ-
ბათ, აგრე იქნება... და გადავწყვიტე: -
რა თქმა უნდა, ასე იქნება: ბაღლობა თუ
დაუბრუნდა“.

და მისი სახე, დამდნარი და სხივოსა-
ნი, ისევ მარნას ტალღებს გავაყოლე.
ორი დღის შემდეგ ბაღის კუთხეში
წავაწყდი. ჯერ შეკრთა, კედელს მიაწ-
ვდა. შემდეგ, ჩემი მშვიდი დიმი და დაბა-
ლი სალაპი რომ დაინახა, ორივე ხე-
ლით ქული მოიშვლია, კისერი მოიდ-



რიკა და გუმინწინდელივით საამურ
ტალღებში გამხვია. „აკვიატი აქვს ადევ-
ნებული“, - ერთხელ კიდევ გავიფიქრე
და უბრუნებლივ წავიდე.

სამშაბათს, ნასადილევის - ის დღე
გულში მაქვს ჩარჩენილი - ისევ წაბ-
ლის ქვეშ ვიჯექი და წიგნს ვკითხუ-
ლობდი.

ქვიშის ხრამუნმა და ძალნატანმა ხე-
ლამ თვალები ამაწვეინეს. ჩემი მოხუცი
ისევ ჩემსკენ მოჩანჩალებს - დაბინდუ-
ლი თვალებით, უნდობარი მოწიწებით
და მერყევი სიხარულით. ქული შორი-
დანვე მოუხდია. შესდგა და ოქრო-ვარა-
ყი ააბზინა, ღია სარკმელი ააფარფატა;

- მობრძანდით, მესიე, - დავასწარი:
პრენე ვოტრ პლას - აი თქვენი ალაგი.
წამოვდექი, მკლავში მკლავი გავუყა-
რე და დავსვი.

- თუ ხელს ვიშლით, წავალ, - და
წასასვლელად გავიწიე.
- რესტე - დარჩით, ბრძანდებოდეთ,
ბატონო ჩემო.

გვერდით მომისვა და აჭრაჭუნდა.
- გეტყობათ, ჩემი აღარ გეშინიათ, -
გავუღიმიე.

- არა, აღარ მეშინია.
- პირველად რაღად გეშინოდით?
- იმიტომ, რომ თქვენ რუსეთიდან
ბრძანდებით.

- მერე რაო?
- ხე-ხე! მერე ისა, რომ... ჯერ თავი
დავანებოთ ამას. მერე იყოს. თქვენ სტუ-
დენტი ხართ, არა?

- დიად.
- ქართველი - ჟორჟიენ?
- ჟორჟიენ.
- პარიზიდან ამოხვედით დასასვე-
ნებლად?

- აგრეა - ვუ ზავე რეზონ.
- მე უკვე გიცნობთ. ჩემმა შვილიშ-
ვილმა ცნობები მომიგროვა, - და ჩემი
სახელი და გვარი დამისახელა, მერე
თავისიც დაუმატა: - ანდრე კაშორ გახ-
ლავართ... დიად, კაშორია ჩემი გვარი.

გაჩუმდა. შემომხედა. მუხლებზე წიგ-
ნი მელო. ისევ მამინდელივით, მშვიერი-
ვით დასწვდა. ნერვიულად ჰფურცლავს,
თვალს აცეცებს, თან ჩიფჩიფებს:
- სეტ ეტონან, სელა - საკვირველია,
საოცარია!

- რა არის საკვირველი, ბატონო კაშორ?
- ისე ვთქვით... არაფერი.
წიგნი დამიბრუნა და მიყურდა. სდუმს
და გაცრეცილ ტუჩებს აცმაცუნებს, გა-
ნიერ წვერებს აცანცარებს, თითქო სათ-
ქმელი აქვს და შიგ გაეხიარო. მერე
ცანცახა ხელი მუხლებზე დამადო, წვე-
რულვაში უარესად ააფრიალა და ხრინ-
წიანი ჩურჩულით ჩამინიავა:

- ახლა თქვენი აღარ მეშინიან... ქარ-
თული რაინდობის იმედი მაქვს... იმედი
მაქვს, არ გამცემთ.

- რა თქმა უნდა, ეგ რა სათქმელია! -
დავამშვიდე.
- კარგა ხანია ამბობენ, რუსეთში მე-
ფე აღარ არისო... თვალთ დამაკლდა,

გაზეთს ველარ ვკითხულობ. ამიტომაც
გეკითხებით, მართალია ეს ამბავი?

- მართალია, - დაუუდასტურე, - ძვე-
ლისა აღარაფერი დარჩა: არც მეფე, არც
ჟანდარმი, არც გენერალი.

- უუჰ! - შვებით ამოიხრია, - მრავალ-
ჯერ მითხრეს, მაგრამ... მაინც... ისე ვკით-
ხეთ. სიფრთხილეს თავი არა სტკიავო.

- რისა გეშინოდით, რომ მეუბნებო-
დით, არ გამცემთ? - მოვავრე.

- ჰო, მართლა, - გაიხსენა და კვლავ
ჩემსკენ გადმოიხარა, - ახლა უფრო თა-
მამად გეტყვით: მე, ანდრე კაშორ, რუსე-
თის „ცარის“ მოსისხლე მტერი გახ-
ლავართ, - და წელში გასწორდა, თანაც
რჩიით დააყოლა:

- ვუააა, შე დი ლეჟა! - აი, უკვე
ვითხარით.

და დიმილით, თვამომწონედ გადმოხედა.
ალმაცერად გადავხედე, თან დიმილიც
დავუბრუნე:

- ტიენ! მაგას როგორ ვიფიქრებდი!

- მაშა! - გამხნედა მოხუცი, - აგრეა!

- „ხემლია ი ვოლია“ გაგიგონიათ? სე
მუა - ეს მე ვარ - ვუააა!

- როდის იყო ეგ ამბავი? - უკვე
დინჯად ვკითხე.

ანდრე კაშორს აღარ ახსოვს.

- ძალიან დავბერდი, ძალიან.

ის კი იცის, რომ პოლონეთის აჯან-
ყება მამინ მოხდა - სწორედ მამინ მოხდა,
როცა...

თვალები გამიგანიერდა:

- აჯანყება? მას შემდეგ სამოცი წე-
ლიწადი გავიდა!

- შეიძლება... აღარ მახსოვს, არ ვიცი.

ის კი იცის, რომ მამინ ოცდახუთი
წლისა იყო. ახლა კი, ამბობენ, - სხვები
ამბობენ, თორემ თვითონ კაშორმა აბა
რა იცის, - ოთხმოცდარვა წლის იქნე-
ბაო, მამასადამე -

- თქვენვე დასთვალეთ, იანგარიშეთ.
დავთვალე და დაუუდასტურე:

- სწორედ გამოდის. ახლა მიბრძა-
ნეთ, თქვენ რა საქმე გქონდათ იმ ორგა-
ნიზაციასთან?

როგორ თუ რა საქმე ჰქონდა! მისი
წვერი იყო ნამდვილი წვერი! კაშორი
მამინ ერთ ქალაქში ცხოვრობდა. სტუ-
დენტად უნდოდა შესვლა, მაგრამ... აღარ
ახსოვს -

- მგონი არ მიმიღეს. ის ქალაქი დიდ
მდინარეზე იყო გაშენებული, - ჩაფიქ-
რდა და, - მისი სახელიც დამავიწყდა.

- პეტერბურგი?... მოსკოვი?... ყაზანი?...
- ვუააა, ვუააა! ეგ არია, ეგ! კაზან...
კაზან... ვუი, სესა!

სადაც ქარხანაში მუშაობდა - რა
თქმა უნდა, განგებ. მუშებში შეიპარა.

ერთი ამხანაგი ჰყავდა - ვინმე ჩერნიაკი.

- ჩერნიაკი?!.. იცნობდით ჩერნიაკს?

როგორ არა, ძალიან კარგად იცნობ-
და. სხვები დაავიწყდა, ის კი დაახსოვდა.
პროკლამაცია დაბეჭდეს - ესეც ახ-
სოვს, - დოღრა დავილი ნას, ბრატცი, -
ასე იწვებოდა.

და ოთხი რუსული სიტყვა ძლივს
მოვიღიჯა ენიდან, ისიც ფრანგული კი-
ლოთი. პირღია შევცქეროდი.

„ალბათ, ეს ამბავი აეკვიატა“, - გავი-
ფიქრე და ხმამალა შევეკითხე:

- მიაბზეთ, იქნება გახსოვთ, როგორ
მოხდა ის ამბავი, ჩერნიაკის ამბავი?

ვეკითხები, თანაც არა მჯერა, რომ ეს
ბებერი იმ საქმეში რეულიყოს.

ყლაპაყლუპით, მაგამაგითა და ფორხი-
ლით მიაბობს - თითქო წყალში იხ-
რჩობაო. უმთავრესი ავიწყდება, უშუა-
რესი ავონდება.

- ჩერნიაკს შავი ულვაშები ჰქონდა, -
და დაჭიმული ჩაფიქრების შემდეგ: -
ყალბი მანიფესტები დაგებუდეთ მეფის
სახელით, ხე-ხე!

ყაზანში აჯანყება უნდა მოეხდინათ.
პოლონელებთან იყვნენ შეთქმულნი. ვერ
მოხერხდა. პოლონელებთან იყვნენ შეთ-
ქმულნი. ვერ მოხერხდა. დაპატიმრება

დაიწყო. ჩერნიაკი და კაშორი გაიქცნენ და აჯანყებულ პოლონელებს მიემხრნენ.

- ჩერნიაკი დამეკარგა. მე კიევში ჩავედი. იქიდან გავიპარე და... - და აბორდიკა: - და ჩავეწერე რუ... რაჟ... რუ-ჟიციის რაზმში... დიას, რუჟიციის ლეგიონში ჩავეწერე. დობრე პანე იყო პან რუჟიცი, - და წამოიძახა: - რჟონდ ნაროდოვი!

- ეგ რაღა არის?

- მთავრობა, პოლონეთის მთავრობის სახელია - გუგერენმან პოლონე. რჟონდ ნაროდოვი!

პოლონელები დამარცხდნენ, ძალიან დამარცხდნენ. კაშორი ისევ კიევში შემოიპარა.

- ჩერნიაკი? ჩერნიაკს რაღა დაემართა?

შუბლი მოისრისა, ხსოვნის ძაფი დაჭიმა და ხელი ყელზე წაიჭირა.

- ჩამოახრჩვეს?

- სესა. დიას, ჩამოახრჩვეს.

- პან რუჟიცი?

აღარ ახსოვს. იცოდა, მაგრამ დაავიწყდა.

- მერე? მერე რა მოხდა?

- მერე კატორღაში ჩამსვეს.

- კიევში დაგაპატიმრეს? - ვეკითხები.

არა, სხვაგან დააპატიმრეს.

აღარ ახსოვს კაშორს, როგორც გაიქცა კიევიდან, ან სად იმალებოდა, ან საით მიდიოდა. ერთი რამე მინც გავიხსენა: დიდი მდინარე იყო, ძალიან დიდი - გრანდ რივერი, ბიენ გრანდ.

- ვოლგა ხომ არ ერქვა? - გავახსენე.

- სესა, სესა! - ეგ არის, ეგ!

იმ მდინარით მიდიოდა იმ ქალაქისაკენ... კახანისკენ. ნაპირს მიადგა. საზამთროს სასყიდლოდ გადმოვიდა. რომ სინჯავდა, სწორედ ამ დროს დასწვდნენ და -

- მარეტე - დამაპატიმრეს.

ბევრი რამ დაუვარდა დაჩლუნგებულ მენსიერებას: გასამართლება, შორი გზა და კატორღაც. ზოგი რამე მინც ახსოვს:

- ერთხელ ტუსაღები სოფელში გაგვატარეს. ვიღაც დედაკაცმა კომბოსტოს გათლილი ღერო მომაწოდა.

- ოოჰ, რა გემრიელი იყო! - და ცანცარა წვერებში სიამით ხთხითობეს.

კიდევ აგონდება: ერთმა ტუსაღმა მერეეს კბილი ჩაუშტვრია:

- სეტე ტერიბლ! - საშინელი იყო, საშინელი!

შავი სახლი - ლა მეზონ ნუარ - ასე დაარქვა კაშორმა კატორღას - მუდამ დაკეტილი იყო. ტუსაღები მადაროში მუშაობდნენ, ვერცხლის მადანს თხრიდნენ.

- მეც ვმუშაობდი. აი, ეს ხელები მუდამ დაღვრილი მქონდა. დამავიწყდა იმ საზარელი სახლის სახელი.

- ნერჩინსკი? - ვცდილობ გავახსენო, - აკატუ?

- სესა, სესა! - უხარიან ნაკატორღალს, - აკატუი, დაწვევლილი აკატუი!

- მერე? მერე?

- მერე... მერე აღარ მახსოვს.

- მაშ როგორ განთავისუფლდით?

- ჰო, მართლა! - წასწვდა გაწვევტილ ძაფს.

მერე ვიღაცამ რაღაც მოახერხა. სამი ტუსაღი გაიქცა. კაშორიც თან გაიყოლეს, რადგან ღონიერი, მარდი და გაბედული ვაჟკაცი იყო. მხოლოდ სამი სახელი აგონდება - ქედის, ქალაქისა და მდინარის:

- ბორზა... აღუნ ჩალონ და... ხაილარ.

- ხაილარ ქალაქა ჩინეთში, - მოვაგონე.

- მართალია, მართალია... - ვუ ზავე რეზონ, მონ შერ ამი, - და სიხარულით აცქმუტდა. მერე ხსოვნა დაჭიმა და წამოიძახა:

- მაკაკ! მაკაკები! გაგივით?

- იაპონია? - მივახვედრე.

- დიად, დიად, ჟაპან - იაპონია. კუნძულები... მბოლავი მთა... ჩალის ტანსაცმელი... პატარა ქალები - გეიშები, და ცხენადამიანი - რიკშები. ხე-ხე, რა სასაცილოა!

ის ქვეყანა კარგად ახსოვს კაშორს.

- მეონი იქ დიდხანს ვიცხოვრე. მაგონდება ფორმოზა... სოლომონის კუნძულებიც... გვინეა და...

და მეტი არაფერი. ახსოვს ბრინჯის, ყავისა და შაქრის პლანტაციები:

- სე ტერიბლ! საშინელი! საზარელი! მერე ევროპაში გადმოვიდა. აღარ ახსოვს, როგორ ან რისთვის.

- ჰო, მართლა, კინაღამ დამავიწყდა: ერთი მაიმუნი და ერთი თუთიყუში მყავდა. ახი-ხი! რა სასაცილონი იყვნენ!

- სად? როდის?

როდის? აბა, რა იცის! სად? არც ეს აგონდება. იქნება იაპონიაში, შეიძლება ლიონშიც. შემდეგ ცოლი შეერთო, რადგან -

- მეც ადამიანი ვარ, ნე სე პა? ხომ აგრეა?

- რა თქმა უნდა! - გავამართლე.

აიშენა ოჯახი: წამოვიდნენ შვილები. მოჰყვინენ შვილიშვილებიც.

- რამდენნი ხართ?

სთვალა და ვერ დასთვალა:

- თორმეტი ან თვრამეტი.

ერთი შვილიშვილი-ლა ჰყავს ამ ქალაქში. სხვები დაიფანტნენ, და დაასრულა:

- აბა, ყველაფერი გიაბზეთ, - და ხმელი მკლავები მომხვია, - დღევანდელი დღიდან ჩვენ მეგობრები ვართ, არა - ნე სე პა?

- რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა! მაგრამ... თქვენი ნამდვილი გვარი და სახელი?

მოხუცი შეკრთა. თითქოს ნემსი უჩხვლიტესო. დაბნეული თვალები შიშით გააცეცა - ყურს ხომ არავინ მივლებსო. მერე ყურში ჩამახველა:

- ანტრ ნუ - ჩვენში დარჩება?

- რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა!

- მაშ იცოდეთ: ანდრო კაიშაური ვარ. შეეკრთი.

- დიად, ეს არის ჩემი ძველი სახელი და გვარი: ანდრო კაიშაური.

- რაო?! როგორ?! - და გავხვედი. ტანში ჭიანჭველებმა ჩამირბინეს. - კაიშაური?

- დიად, ანდრო კაიშაური. - განიძეო-რა, - გაეკვირდათ, მეგობარო?

ენა ვეღარ ვიპოვე. აქ, ამ პაწაწა ქალაქში, სადაც ალბათ ქართველის ფეხიც არ შემოდგომულა, ეს მოხუცი, ტერორისტი, ფრანგი!

- მაშ თქვენც ქართველი ყოფილხართ? - შევეკითხე.

კაიშაური უკვე სწორად იჯდა და თითქო ნამდვილი გვარის გამჟღავნებას ნანობდა. მხრები შეიმშენა და ცივად გადმომიგდო:

- ონ დი - აგრე ამბობენ, თორემ მე... მე აღარ მახსოვს.

- აღარაფერი არ მახსოვთ? სულ აღარაფერი?

- რიენ, რიენ - არაფერი, აღარაფერი.

- გაიხსენეთ... მოიფრეთ. - უწვდრევე მკლავსა და გახვევებულ ხსოვნას. მაგრამ ვეღარაფერი გავახსენე. კაშორ-კაიშაური თვითონაც გახვედა. კუნძივით იდო და ჯაფარასავით აჩხაკუნებდა:

- რიენ... აბსოლიუმან რიენ...

- არც სოფელი, არც დედა, არც სხვა ვინმე?

ისევ „რიენ, აბსოლიუმან რიენ“, და მეტი აღარაფერი.

- ალბათ, საქართველოში დაიბადებოდი, - ვაცივდები ცოცხალ მორს და კითხვების მუჯღუგუნით ვლამობ მაიწვობას განგრევას.

- ონ დი - ამბობენ, - და წამოდგა: - ორეუარ, მონ შერ. თუ გამახსენდა რამე, ვამბობთ.

- მართლა? პირობას მამლევე?

- უეჭველად, უეჭველად, მონ შერ. ნახვამდის, მშვიდობით.

და ისე წაფარფატდა, თითქო ფეხები მობმული ჰქონდა და შიშობდა, არ დამცვივდესო.

კაშორ-კაიშაურს ნაწყენი თვალი და აშლილი ფეხები გაეყოლე. მერევე

და მესამეჯერ რომ შევხვდი, საყვარელი შვილივით მიმზერდა. დღეს კი, როცა უცხოეთში, ორმოცი, ორმოცი თუ სამოცი წლის შემდეგ, სისხლის ძმას შეხვდა და თავისი ქართველობაც გაამჟღავნა, დღეს უცნაურად გარდაიქმნა, გაიყინა, თითქო ეწყინა კიდევაც. ვფიქრობდი და ვერ გამეგო.

ან ვინ იცის? ვინ გაიგებს? ვინ განსნის გაბაღებული მოხუცის იდუმალებას?

აღარ ვიცოდი, კაშორი დამერქმია თუ კაიშაური. ისევ კაშორი ვამჯობინე.

- ბონ ჟურ, შერ მესიე კაშორ, - მივესალმე თავაზით და მოწიწებით.

- გამარჯობათ, მეგობარო, - გაუხარდა მოხუცსაც, - დაბრძანდით... ახლოს მოიწიეთ. ისევ ის წიგნი დაგაქეთ, არა? რა წიგნია, რა ჰქვია?

- ვეფხისტყაოსანი.

და მოკლედ ვუამბობ პოემის შინაარსსა და რუსთაველის ვინაობას.

- ტიენ... ტიენ! ძალიან საინტერესოა, ძალიან, - და დააყოლა: - აბა, წამიკითხეთ ორიოდ ალაგი.

ხმამაღლა ვკითხულობ, თან ვუთარგმნი. განაბული მიგდებს ყურს. ზოგჯერ ჩამიქსოვს:

- სე დი ტრე ბიენ - კარგად არის ნათქვამი... მშენიერია!... საუცხოვო! ნამდვილი მუსიკაა, ნამდვილი.

კაშორი ნაკითხია: უყვარს ლამარტინი, პიუგო - დანარჩენი დაავიწყდა. ის კი ახსოვს, რომ ბევრს კითხულობდა, ძალიან ბევრს, მაგრამ -

- სულ დამავიწყდა, ბევრი რამ დამავიწყდა. რა ვქნა, ასე სცოდნია სიბერეს. აბა, კიდევ წამიკითხეთ რამე.

წიგნი გადავმალე, წავაწყდი და წაკუკითხე:

ვაჰ სოფელო, რამიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ხნე გჭირსა!

ყოვლიმც შენზე მონდობილი ნიდაგმცა ჩემბერ სტირსა, სადაურსა სად წაიყვან, სად აღუფხვრი სადით ძირსა, მაგრამ ღმერთი არ გასწირავს კაცსა, შენგან განაწირსა!

და სიტყვა-სიტყვით გადავუთარგმნი. მოხვდა, შეკრთა, მომიბრუნდა. ჯერ პირი აცმაცუნა, შემდეგ წვერებში ჩაიკვნესა:

- ჰელა, ილ ა რეზონ - ვაი რომ მართალია! დიდი სიძარტლე უთქვამს, დიდი... სადაურსა სად წაიყვანს... - და ათრთოლებული ხმით დაუმატა: - მაგრამ ღმერთი არ გასწირავს, ღმერთო!

- შერ კაშორ, - ვკითხე, - დავიჯერო, ამდენ ხანს ერთი ქართველიც აღარ შეგხვედრიათ სადმე?

შუბლი შეიკეცა. დიდხანს სდუმდა. მერე მოიგონა:

- ამოდენა ვიქნებოდი, - და თავის მუცლის ღრენზე გაფშოკა მკლავი, - ამოდენა ვიქნებოდი, რომ ჩემი დედ-მამა მთებიდან აიყარა და ველნარში გადასახლდა. ურმით მივდიოდით... შორს, ძალიან შორს წავედით. რუსებში ჩავსახლდით... მას აქეთ ჩვენებური აღარვინ მინახავს. თუმცა მაგონდება, კატორღაში შემხვდნენ, მაგრამ მე იმათი თითქმის აღარაფერი მესმოდა... მერე ისიც დამავიწყდა, რაც ვიცოდი.

- ახლა? ახლა სადა სთვლით თქვენს თავს - ქართველებში, რუსებში თუ ფრანგებში?

- ახლავა? - გაავრძელა. - ახლა თავდაპირველად ადამიანი ვარ, ინტერნაციონალი... რა თქმა უნდა, ასეა: მთელი კაცობრიობის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის ვიბრძოდი. მაშ ასე: ჯერ ადამიანი ვარ, შემდეგ ფრანგი... დიად, ფრანგი გახლავართ.

- მერე რუსი იქნებით, - შევაპარე ფრთხილად.

- სესა - აგრეა. იქაც ვიბრძოდი, ამანაგები მყავდა... იქ დავიბრუნე. იქ დავტოვე ჩემი ახალგაზრდობა... ცოლი, შვილები.

- ცოლი და შვილებიც?

- დიად, ცოლი და შვილებიც... ყაზანის მახლობლად ერთ სოფელში... სახელი დამავიწყდა.

- იმ სოფლის სახელი აღარ მახსოვს, სადაც დაიბადეთ?

კაშორი ნიკაპით ჯოხის თავს დაებჯინა და ჩაფიქრდა.

- ნონ! - სიტყვა დუმილის შემდეგ და თეთრი თავი გააქნია. - არა, არ მახსოვს. აღარ მახსოვს.

- თქვენი მამის სახელი?

თეთრი თავი თითქო კისერს მოსწყდა, მკლავებში ჩაუვარდა და იქ წაიკრუსუნა:

- დამავიწყდა... ეგეც კი დამავიწყდა... ალბათ იმიტომ დამავიწყდა, რომ ფრანგები მამის სახელს არ ატარებენ.

- დავიჯერო, დედის სახელიც აღარ მახსოვთ? - უხეზად ვძიებდი ბებრის წყლულს.

ჯოხი ძაგდაგებს, შემდეგ იდრიკება.

- ოოჰ, ღმერთო ჩემო! - ახრიალდა კაშორი, - ეს ერთი ხანია დედის სახელიც დამავიწყდა... ზოგჯერ შვილი გამახსენებს ხოლმე, ან შვილიშვილი... ოოჰ, მიზეზაბლ - შე უბედურო ჩემო თავო!... დაწყველილო სიბერე!... მამან... შერ მამან - დედაჩემო... ჩემი ძვირფასი დედა...

- შერ კაშორ, - ვამშვიდებ, - შინ დაბრუნდებით, იქ გავახსენებენ. არა ღირს მაგის გამო შეწუხება. დაწვანადით... დამშვიდდით...

თეთრი თავი დიდხანს ცაცხახებს. განიერი ბეჭები ხტუნაობენ. წვერი ცანცარებს, ხოლო ჯოხი ისევ თრთის და ილუნება.

- მამან... შერ... მამან... - სლუკუნებს თეთრ წვერებში და უარესად ილუნება.

ძლივს დამშვიდდა. თავი ცალ მკლავზე დაიდო, გვერდულად შემომხვდა და ბავშვივით მომეაჯა:

- მიაბეთ რამე, მონ შერ, გამახსენეთ. ჩემი ქვეყნისა არაფერი ვიცი... არც უწინ მცოდნია.

ყინული გაღხავა: „ჩემი ქვეყანა“ ახსენა. და მეც გავახსენე, რაც მომაგონდა: ჩვენი მთები, ველ-მინდვრები, მდინარენი, ქალაქები, ზნე-ჩვეულება, ტანისამოსი. კაშორი ხან იღიმება, ზოგჯერ იჭმუნება: იგონებს და ვერაფერი გაუხსენებია - არც ერთი მთა, არც მდინარე, არც კუთხე, არაფერი! აღარაფერი!

- კახეთი... ქართლი, - რიგრიგად ვთვლი პროვინციებს, - იმერეთი, გურია, სამეგრელო...

- არ მახსოვს... არ მაგონდება.

და მწუხარებით იქნევს თოვლიან თავს.


- იქნება ხევსური ხართ... ან რაჭველი... ან კიდევ თუმი, ფშავი, აჭარელი?

- ნონ, მონ შერ, ნონ, აღარ მაგონდება, არა... ვაი მე, უბედურს, ვაი მე, საბრალოს! ყოველივე ცხრაკლიტულია მისთვის, ყველანი და ყველაფერი დაეკეტა, დაემალა, დაეკარგა. რკინის ყუთი გაუტეხელია, გაუბზარავი. ტყუილად ვუვლი და ვუჩხიკინებ.

კაშორი კი ისევ ციხის ტყვესავით იმუდარება:

- რაკონტე ანკორ - კიდევ მიაბეთ რამე, კიდევ.

და მეც უიმედოდ ვუვლი ირგვლივ მიუვალ ციხეს: ვუამბობ მოკლედ ჩვენს ისტორიას, ვინაობას. ახალსა და ძველს, ავსა და კარგს.





მიხილ
გვახიზვილი

მისი უიჯილი

და უცებ მკაფიოდ აჩურჩულდა - სუფთა ქართულით, ჩვენბური გამოთქმით: - ჩემი დედა ელენე... მამაჩემი სოლომონი... ვილაჟ ანაური.

წამოვიჭერი - თითქო ცეცხლზე ვიჯექით, - თავთ დავადექი და სულგანაბულმა ყური მივუგდე.

კაიშაური ბუტბუტებს, თითქოს უჩინარს ეუბნებოდ - ზოგს ქართულად, ზოგსაც ფრანგულად.

- ვილაჟ ანაური... მაგონდება, მაგონდება: ღრმა ხეობა... შიგ ვილაჟ... სოფელი ანაური, - და გარკვეული ქართულით დააყოლა: - არაგვის წყალი.

გარინდული ვდგევარ. გული მძლავრად მიფეთქავს. მემინია - ვილაჟ თურაღაც არ დავაფრთხო.

- გრანდ ეგლიზ ე ფორტერეზ - და უმაღლეს ქართულად გადათარგმნა: - დიდი ეკლესია და ციხე... ძველი ციხე... ტყე... მთები... მწვანე მთები. ხე-ხე-ხე! სინარულისაგან ჩაიხიხითთა, ხელე-ბი მოიფშენიბა, აცმუტუნდა.

ადგილი მოვიწვევდი, წინ ავეტუხე და ქართულად ვკითხე: - ანდრო, მიცანი?

ჯერ გაოცდა, შემდეგ გაუხარდა: - ჩემი შვილი... ჩემი ვაჟი. ხომ ხედავ, ხომ გესმის, რა დამემართა?

- მესმის, ვხედავ... გაგახსენდათ, ქართული გაგახსენდათ.

- ღმერთო, მიშველე! გამახსენდა... ყველაფერი მომაგონდა. ვხედავ... ვიცი... - და აკანკალებული თითები თვალების წინ აცმაცუნა, - აი, აქვე სდგანან ყველანი... ვხედავ დედაჩემს... მალაღი, ლამაზი, შავვრემანი... შავი მანდილი აქვს წამოსხმული... აი, აქვე ზის ჩემს თვალწინ... მუხლებზე მეც ყვევარ - ცხრა თუ ათი წლის ბაღლი ვარ... ჩემს თავსაც ვხედავ, ვიცი და ვხედავ... დედას ვხედავ... მკოცნის და მიღუტუნებს... ოჰ, დედი... დედილო!

ხელები თვალებზე აიფარა. მერე ისევ განაგრძო: - მამაჩემი ბაღში მიდის. მეც მივდე ცუნცულით... მიწაზე ხილი ჰყრია. ვკრეფავ... კალათა სავსე მაქვს. შაქროსაც ვაძლევ, სოფოსაც, ტიტესაც... მერე ჩილიკას ვთამაშობ.

- მერე? მერე? - ჩაჩურჩულა.

- კიდევ მაგონდება, ყველაფერი მაგონდება. რაღაც მოხდა... მამა ყველაფერს ჰყიდის... ურემზე ვსხედვართ და მივივართ... დარიალა. ძაუგი. მოხლო-კი. იქ ვიზრდები... ქართული თანდათან მავიწყდება. მერე რუსეთის ქალაქები... შეთქმულება... ბრძოლა... აკაუტის კატორღა. ოჰ, ღმერთო ჩემო, რა ლამაზი და დიდი ქვეყანა გამიცოცხლდა!

დიდხანს სდუმს და იმ ქვეყანას უღიძის. შემდეგ შექმნა, დამაშტერდა, გაიხსენა: - მართლა, შვილო: ჩემი თხოვნის პასუხი ჯერ არ მოსულა?

ცხადია, დრო აერია.

- არა, მამა, ჯერ არ მოსულა. ოთახს თვალი მოავლო და მკითხა: - ეხლა სადა ვართ, შვილო?

სოლო მოხუცისა ყოველივე მისმენს: დაღებული პირი, ბანჯაკვლიანი ყურები, გაღვივებული თვალები, ცანცარა წვერიც, მორთოლვარე თავიც და უჩინარი გულიც, თან დროგამოშვებით ბუტბუტებს, ან იბახის:

- ტიენ!.. საოცარია!.. საშინელია!.. დიდებულია!..

შემდეგ უცებ წამწვდა ხელში და მკითხა - თითქო ამის დავიწყებისაც ემინოდაო: - დიდ მუა - მითხარი, როგორ იტქმის ქართულად პაპა ე მამან - მამა და დედა? და ისევ ყველაფრით ჩამაშტერდა: თვალებით, კბილებით, ყურებით და გულით.

- ფრანგულად „პაპა“ მამას ნიშნავს, ქართულად კი - პაპას, მამის ან დედის მამას.

- ტიენ! - შეკრთა მოხუცი.

- თქვენბური „მამან“ - დედა - ჩვენბურად მამას უდრის. ქართულად კი ასე გამოითქმის: დედა... დე-და!

- საოცარია, საკვირველია! დედა... დე-და! - და ამ სიტყვას ფრანგულად, სულთ და კბილებით დაეჭიდა: - დე-და... - იმეორებდა, - დე-და. დედა... დე-და! - მერე მოტყდა და დაიკვნესა: - მაინც არ მაგონდება, ეს სიტყვაც აღარ მაგონდება, ოჰ, უბედურო ჩემო თავო! საბრალო სიბერე! ორევეუარ, მონ შერ, ნახვამდის! დავიგვიანე... ალბათ მეძებენ.

და ოხვრით, ბურტყუნით და ბარბაცით წაფორთხილდა - თითქო ბრახით, დარდით და ურვით დატვირთულ ტომარას მიათრევდაო.

მერე თუ შესამე დღეს კაშორი თუ კაიშაური აღარ გამოსულა ბაღში. რამდენიმეჯერ ჩავუარე სახლის წინ, მაგრამ ვერავინ დავინახე. პატარა ბავშვის გარდა, რომელიც ბურთს დასდევდა.

მეოთხე დღეს კარი დამიკაკუნეს.

- მე კაშორი გახლავართ, - მითხრა შემოსულმა დედაკაცმა, ახალგაზრდამ და უბრალოდ, - ანდრე კაშორის რძალი.

- დაბრძანდით. როგორ ბრძანდება მესიე კაშორ?

- კარგად ვერ არის. ჩაწვა. ძალიან გთხოვთ, მნახოსო.

- სიამოვნებით, - და ქუდი დავიხურე, - რა დაემართა?

საიმისო არაფერი. მოხუცდა, ძალიან მოხუცდა. მენსიერება დაუჩაღუნდა. ხშირად უბრუნდება ბავშვობას.

- ამ ცოტა ხანებში ისე გამოიცვალა, რომ ძლივს-ღა ვცნობთ. დღეში ოცჯერ გვეკითხება თავისი დედ-მამის სახელს და ამდენჯერვე ავიწყდება. გარდა ამისა... - და გაყურდა.

- გარდა ამისა? - მოვაგონე.

- გარდა ამისა, რაღაც უცნაური ემართება. - რა ემართება, მადამ?

- სასაცილოა. თორმეტი წელიწადი ამ ოჯახში ვარ და ათჯერაც ძლივს გამიგონია მოხუცისაგან - მე კავასიელი ვარო. აქამდე მეტი არაფერი უთქვამს. ახლა კი...

- ახლა კი?..

- ეხლა აიჩემა: ჟორჟენ და ჟორჟენ - მე ქართველი ვარო. ვეღარ ისვენებს. დასაჯდომი ან დასაწოლი ვეღარ უპოვინია. დღედაღამ კრუსუნებს, ჰბორგავს. დადის და რაღაცას იგონებს.

- მერე, მადამ, მოიგონა რამე?

- ვერაფერი. ვერც ერთი სიტყვა, ვერც ბუჩქი, ვერც სოფლის ან ქალაქის სახელი მუდამ თქვენზე ლაპარაკობს - ჩემი შვილიაო, ხა-ხა! სასაცილო არ არის, მესიე?

- რა თქმა უნდა, მადამ, სასაცილოა.

- დაგეტანჯა: გამახსენეთ, რა ჰქვიათ ქართულად „მამან“-სო?

- დედა, - ჩავურთე მე.

- სესა, ეგ არის! გახარებული ბავშვით დაბრუნდა და გვიამბო. ეგ სიტყვაც გვითხრა. მერე ყველას დაგვაავიწყდა. სასაცილო არ არის, შერ მესიე?

- რა თქმა უნდა, მადამ, სასაცილოა.

- აი, მოვედით კიდევაც. ანტრე მესიე. აი მისი ოთახი. შებრძანდით. ორევეუარ! კარები შეაღე და შევედი. კუთხეში თეთრი ნიჩაბი აცანცარდა. ორი მკლავი ცანცახით გამოიშვირა და ახრიალდა:

- მონ შერ ფის! - ჩემი შვილი. ოჰ, ჩემო შვილო!

და ჩამიხუტა, თანაც მისაყვედურა:

- ავრე უნდა, განა! რატომ არ მომიგონე? რატომ არ მოხვედი? ავად გავხდი. ოთახიდან ვეღარ გამოვდივარ.

- არ ვიცოდი, შერ კაშორ... - კაშორ, კაშორ! - წყნით წამოიძახა, - თქვენთვის კაშორის კი არა ვარ, არამედ კა... კა... კა...

- კაიშაური, - გავახსენე.

- აი, იქამდე მივედი, რომ საკუთარი გვარიც კი დამავიწყდა. ოჰ, შე უბედურო, შენა!

- ნუ სწუხდებით მაგის გამო. მესიე კაიშაური.

- არა უშავს-რა, - გამხნევდა, - ჯერ ეს მითხარი, გამახსენე, შვილო, რა ჰქვიათ ქართულად „მამან“-ს? დამავიწყდა.

- დედა.

- დე-და! დე-და! - გაუხარდა, - აბა, ადექი და ეგ სიტყვა ფრანგულად დამიწერე ავრე იქ. იმ კედელზე... მარჯვნივ... ზემოთ... სწორედ მანდ.

ფანქრით დავწერე თეთრ კედელზე. დავწერე და იქვე ამოვიკითხე - ისევ ფანქრით მინაწერი: „სოლომონ“ და „ელენე“.

- ეს ვისი სახელებია, მესიე კაშორ... კაიშაური? აქ სწერია: სოლომონ და ელენე.

- ჩემი მამან ე პაპა! - წამოიძახა და სახე გაუბრწყინდა. მერე გარკვევით და აღფრთოვანებით მოაყოლა: - მონ დედა, დე-და! შერ დედა, მა შერ დედა! - და ერთი წამის შემდეგ, ასო ჩინს რომ ვერ დასძლია, ბავშვით ატირდა: - შემი დე-და... ტემში დე-და... დედა!

შემდეგ ცოცხალ წიგნით ამალაპარაკა: ვინა ვართ? რამდენი? რა იყო? როგორ მოხდა? ბოლოს, დღევანდელიც რომ უკამბე, ძლივს დაიჯერა.

- მამ მე რომ მოვიწოდო დამბრუნება, შემიშვებენ საქართველოში?

- უეჭველად.

- სახიფათო არაფერია?

- რა თქმა უნდა, არაფერია. პირიქით, ოკონტრერ, თქვენს წარსულს რომ გაიგებენ, დიდის პატივითაც დავიხვდებიან.

დიდხანს იფიქრა, დიდხანს აცმაცუნა წვერებში ჩაფლული მიკეტილი სარკმელი. მერე თავი მოაბრუნა და -

- მამ, შვილო, ახლო მოიწიე... არავინ გავგიგოს, - და ყურში ჩამიხრიალა: - უნდა წავიდე... უნდა დავბრუნდე.

- თქვენ? თქვენ უნდა დაბრუნდეთ?

- ჰო, მე, ანდრო კაიშაური. რას იტყვი? ანდრო კაიშაური უნდა დაბრუნდეს. ოთხმოცდარვა წლის მოხუცმა, თითქმის დამბლად დაცემულმა, ასეთი შორი გზა უნდა გადაიტანოს მერე რისთვის? ვისთვის? ვისთან მივა. ვინ დაუხვდება? არც ენა იცის, არც ნათესავს იცნობს. ან შერჩა კი ნათესავი? ან იქამდე ვინ ჩაიყვანს?

- გაოცდი, განა, მონ შერ!

- დიდალ... არ მესმის, რა გინდათ საქართველოში?

- დედა! - წამოიძახა ქართულად.

- თქვენი ოჯახი ხომ რუსეთში გადასახლდა. მამ თქვენი დედაც იქ იქნება დასაფლავებული.

- მართლა, რუსეთში მოკვდა, - და კისერი მოედრია.

- კარგად ყოფილხართ მოწყობილი, - ვცადე მისი საჭმუნავის წაშლა. - ყველაფერი გქონიათ: სახლი, ბაღი, ოჯახი... - კან მემ, - შემაწყვეტინა, - მაინც წავალ. უნდა ენაზო იქაურობა, ხალხი, ნათესავები. გარდა ამისა, ჩემი სამშობლო ხელახლად დაბადებულია... ხომ მართალია?

- მართალია...

- მამ მარტო ამისთვისაც რომ წავიდე, ესეც საკმარისია, ახალი ქვეყანა... ახალი ხალხი. ჩემი ქვეყანა, ჩემი ხალხი. ყველანი ჩემი შვილები და ნათესავები არიან.

- ნათესავები აქაც ბლომად გყოლიათ.

- არა, შვილო, არა. ესენი აქაურები არიან - ფრანგები, ფრანგი ქალის შვილები.

ანდრო კაიშაურს კი მხოლოდ იქა ჰყავს ნამდვილი ნათესავები - იქ, „ან ჟორჟი“. ისინი ალბათ სხვანაირები არიან - ბუნებაც, ხალხიც, ცხოვრებაც. კაშორ თუ კაიშაურს არაფერი ახსოვს. მაგრამ გრძნობს და იცის, რომ...

- ნონ, ნონ! - ისე წამოიწია, თითქო მაშინვე აპირებდა ქუდის აღებას და საქართველოში წამოსვლას, - არა, არა! უნდა წავიდე... უეჭველად უნდა წავიდე. ედე მუა, მიშველე, მონ შერ, მასწავლე და მიშველე.

წამოიწია, მაგრამ ფეხი ვერ გაისწორა და ტანიც ვეღარ აიტანა.

მერე მუდარით მომანათა გაცვეთილი თვალები და წყალწალბეულივით შემეხვეწა:

- ავრე როგორ გავიძინე, შვილო, გზის ჩვენება და დარიგება? მიშველემეთქი, მითხარი...

- დამშვიდდი ა, მესიე. ახლავე გასწავლით ყოველივეს.

და ვასწავლე: დავჯექი და მთელი თაბახი დავწერე: კაიშაურის ვინაობა, თავგადასავალი და თხოვნა, რომ სამშობლოში დაბრუნების ნებართვა მისცენ მას, „საწყალ მოხუცს, გზადაკარგულს, უპატრონოს“.

- დიდალ, დიდალ, - მიკარნახებს კაიშაური ხელებში ჩაფლული პირით, - ასე დასწერე: საბრალო მოხუცს, რომელსაც ამ ქვეყნად გზა დაეკარგა. თავის მიწას მოსწყდა... უპატრონოდ დაბრუნდა. დიდალ, დიდალ. უპატრონოდ დაღია თავისი დღე-ნი-თქო. ესეც ჩასწერე: მე კიდევ შემობლიან... ცოტაოდენი მაინც გავაკეთო. ვინმე მაინც გავამხნეო, ნუგეში მივცე... წავახალისო. ესეც ბეგრია, ძალიან ბეგრია. ვიცი რა ფასიც აქვს ზოგჯერ თუნდაც ერთ სიტყვას, ერთადერთს. დასწერე, მონ შერ ამი?

- დავწერე, შერ პაპა.

- ახლა ასე დაასრულე: მე დარიბ-ლატაკი კაცი ვარ. ეს სახლ-კარი ჩემს რძალს ეკუთვნის. რაც რამ მქონდა - სიცოცხლე, ძალღონე, ახალგაზრდობა და ერთი მუჭა ნაშრომი - ყოველივე იმას შევწირე: ინტერნაციონალს, სოციალიზმს, პროლეტარიატს, ბრძოლას. დასწერე, შვილო!

- დავწერე, შერ პაპა.

- განაგრძე, შვილო: ნადირი სანადიროდ გავა, ფრინველი - საკვებისთვის, ადამიანი - საბრძოლველად და საშუმად. მერე ყველანი დაბრუნდებიან: მხეცი ისევ ბუნებში შევა, ფრინველი ბუდეს მიაშურებს, ადამიანი - თავის ქოხს. მე კი წამოვედი და ვეღარ დავბრუნდი. ხომ დასწერე, შვილო?

- დავწერე, მამა.

- მიუმატე: მე კი ვეღარ დავბრუნდი. ვიბრძოლე ვიშუავე, ადარაფერი შექრია, გარდა ოთხმოცდარვა წლის ტვირთისა. მძიმეა, მეტად მძიმე ტვირთია. დღეს თუ ხვალ უნდა გამსრისოს. მამ ასე: ვეღარ დავბრუნდი-თქო. იმდენი ვიხეტიალე, რომ დედ-მამის სახელიც კი დამავიწყდა... საკუთარი გვარიც... ისიც კი აღარ ვიცი, სად არის ჩემი ბუდე თუ ბუნაგი... ან რა ჰქვიათ იმ კუთხეს. სწერ, შვილო, რასაც გეუბნები?

- ვწერ, მამილო...

- ისიც არ ვიცი, რა ჰქვიათ ჩემს ნაქონარს. რომ დავბრუნდე, ვერც კი ვიპოვნი. მაინც რაც უნდა მოხდეს, მსურს დავბრუნდე და ჩემი უკანასკნელი მუდარაც, ერთადერთი ჯილდოც და ანდერძიც ეს არის: დამაბრუნეთ... წამიყვანეთ... მაჩვენეთ... დასწერე, შვილო?

- დავწერე, - ჩავილაპარაკე ჩემთვის ხანგრძლივი დუმილის შემდეგ, - დავწერე, მამილო, - და მოვბრუნდი: - გავათავე, შერ პაპა.

ანდრო კაიშაური საქანელა სკამზე გამოშტოლა და ჰერს უღიძის - უცნაურის, წმინდანის, სამიქვეყნო ღიმილით, თანაც მორთოლვარე ხელს აფათურებს სივრცეში.


ცხადია, სივრცის თვალის შექმნა.
- თქვენს ბინაზე, ქალაქ ნოჟანში.
შუბლი შეიკრა - თითქო გაცოცდაო, თანაც ეწყინა. თვალზე მუქი ნაღველი ჩაესხა, ტურნებზე ვარაძი დააწვა, თავი ჩააქნია, თითქო ვიღაცას რაღაც უსაყვედურო და გახვედა.
მისმა რძალმა ერთი ჭიქა რძე შემოიტანა, პატარა მაგიდაზე დასდგა და ის მაგიდა წინ მიუდგა.
კაიშაური თვალს ადევნებს, თითქოს იმ დედაკაცს პირველად ხედავსო.
- აი, თქვენი რძე. პრენე, გრან პერ - მიირთვით, პაპა, - ეუბნება რძალი.
მოხუცმა ამოხედა, გაცოცხლებული თვალეზი ამომისროლა და ქართულად მკითხა:
- რა სიტყვა? გადამითარგმნე, შვილო, რა უნდა, რას მეუბნება?
- გადავითარგმნო? - და გავხვედი.
- ტიენ! - ჩემზე მეტად გაუკვირდა დედაკაცს. - რა ენას ლაპარაკობ?
- რა უნდა-მეთქი, შვილო? გადამითარგმნე.
ახლა ტურნები შეეცვლილი ჰქონდა, შუბლი - ნაოჭებით დაღარული. ხმაშიც სიკერაპე ჩაიღვარა. მთელ სახეზე რაღაც მტკიცე ყინი გადაიკრა.
- განა ვერ გაიგეთ? რძე მიირთვითო. პირისახეზე ღიმილი გველის წიწილასავით ჩაუცურდა და თეთრ ბუჩქნარში ჩაიმაღლა.
- როგორ ვერ გაგიგე! ქართული რომ გამახსენდა, განა ფრანგული დამავიწყდა!
- მაშ... არ მესმის...
გველის წიწილა ერთხელ კიდევ აიკლაქნა ტურნებთან.
- გასაგები ბევრი არაფერია. უთხარი ამ დედაკაცს: ანდრე კაშორი დღეიდან ანდრო კაიშაურია-თქო. უთხარი, უთხარი-მეთქი!
- მესიე კაშორ დი, კე... - და ნათქვამი გადავუთარგმნე.
დედაკაცმა პირი დააღო. მერე მოხუცს ჰკითხა:
- ეს რაღას ნიშნავს? განა თქვენ თვითონ ვეღარ მეტყობით?
- რა სიტყვა, შვილო? გამაგებინე, - ისევ შემეკითხა კაიშაური.
ისევ გადავუთარგმნე და პასუხად ასეთი განცხადება მივიღე - მტკიცედ და უდრეკად ნათქვამი:
- გადაეცი ამ დედაკაცს, რომ ერთხელ და საშუალოდ უარს ვამბობ ფრანგულზე. მეყო... დროა გავათავოთ... ესეც დაუმატე: ამ დღეებში სამშობლოში ვბრუნდები და კისრიდან საშუალოდ მოგწყდებით-თქო.
ესეც სიტყვა-სიტყვით გადავუთარგმნე. დედაკაცმა გაიღიმა:
- მაშ თქვენს წასვლამდე სათქმელი როგორ-ღა გავაგებინოთ ერთმანეთს? - იკითხა. - სასაცილო არ არის, მესიე?
- სასაცილოა, ქალბატონო.
და პასუხი რომ ვერ მიიღო, ერთხელ კიდევ გაიღიმა, მხრები შეიშოშინა და გავიდა. და იმ დღიდან თავის ოთახში ჩამისახლა კაიშაურმა - ლაღად და თარჯიმნად.
- შვილო, პასუხი არ მოვიდა? - დღეში სამჯერ მეკითხება კაიშაური.
- არა, მამა, ჯერ არ მოვიდა.
დრო მიდის, მოხუცი ანჩხლობს. ნათქვამს ერთხელაც არ დალატობს.
- შვილო, - დღეში რამდენჯერმე მეუბნება, - შვილო, უთხარი ამ დედაკაცს... გადაეცი ამ ვაჟს... გამაგებინე, რა უნდათ?.. გადამითარგმნე, რას ამბობენ?
„ეს დედაკაცი“ - მისი რძალი, ოხუნჯობს და დღეში ხუთჯერ მეკითხება:
- მესიე, სასაცილო არ არის?
- სასაცილოა, მამა, სასაცილო.
ხოლო „ის ვაჟი“ - პიერ კაშორი, ანდროს შვილიშვილი, ბრახობს და იტყუება:
- რაკი ჩემმა პაპამ ფრანგობაზე ხელი აიღო, მეც უარს ვიტყვი შვილობაზე. ახლავე წავიდე თავის „ჟორჟია“-ში, რაკი აგრე უნდა ქართველობა.
მაგრამ მუქარას ვერ ასრულებს და მომართულ მანქანას ერთგულად ემსა-

ხურება: მალაზიის გამგეა პარიზში. დილით ადრე მიდის და საღამოს ცხრაზე ბრუნდება.
ზოგჯერ მეც მივდივარ პარიზში და კაშორ-კაიშაურის თხოვნას დავდე. საქმე დეპეშით კეთდება.
რომ ვბრუნდები, კაიშაურს ქალაქის ნაპირას ვაწყვები. ზის სადმე მოლზე, ან სდგას ატუზული და პარიზის გზას გასცქერის, თანაც გაფშეკილი ხელი სარდილობლად უჭირავს კვინიხზე.
რომ დამინახოს, აიშლება და ჩანჩაღით მოდის ჩემსკენ. მერე შესდგება, პასუხს ჩემს სახეზე წაიკითხავს და მოიღუშება.
- ჯერ არაფერია, - თვითონვე ამბობს ჩემს მაგიერ.
- არაფერი, მაგრამ მალე იქნება, - ვამხნევე და მკლავში მკლავს ვუყერი. მოვიდვართ და ვბაასობთ.
- ავი ხალხია, - სჩივის მამა თუ პაპაჩემი, - ძალიან ავი ბალები არიან. აქამდე თვეში ერთხელ ძლივს დამელაპარაკებოდა, ახლა კი, რაკი ფრანგულს აღარ ვლაპარაკობ, ლეკვებით ამქედენენ. დამცინიან.
მაგრამ არა უშავს-რა: ანდრო მომთმენია. ოღონდ მალე შეუსრულდეს გულის ნატვრა, თორემ ამაზე უარესს თუნდაც ასს მოითმენს.
ახლა-ღა გაახსენდა: ანანურის დიაკვანმა ანდროს წერა-კითხვა ასწავლა. მოხლოკში ერთ ქართველს, ვინმე იაკობ-რაშვილს, ქართული წიგნები ჰქონია. ანდროც კითხულობდა.
ესეც ცდილობს დაკარგულ იპოვოს: ჩემს წიგნებს ჩასცქერის, მაგრამ ასოებს ვეღარ არჩევს და ოხრავს:
- წამიკითხე, შვილო, - დღეში ორჯერ მომაგონებს.
მეც ვუკითხავ, რაც რამ ხელში მომხვდება. ანდროს ცალი ყური თითქმის წიგნზე უდევს, თან ხშირად მაწყვეტინებს:
- დღეებულა!.. მშვენიერია!.. საოცარია!.. ერთხელ გამახსენა:
- ჩვენებური სიმღერა მითხარი.
პირი დავლე და ბაღიან ყურში ათი-ოლე ჰანგი ჩამეღერე. მეტი არც ვიცოდი.
- დღეებულა!.. საოცარია!.. მაგრამ... მაგრამ არც ერთი არ ამცნაურა. ბოლოს ერთიც გამახსენდა:
ბერი კაცი ვარ, ნუ მომკლავ, ნუ მომკლა-ა-ავ...
და ათჯერ მაინც მამღერა, სანად დაინსობებდა. მერე იფიქრა და მოიფიქრა:
ბერი კაცი ვარ ნუ მომკლავ, ჯერ ანანური მაჩვენე-ე-ე-ე...
და იმ დღიდან მისი ლექსი და ხრი-ალი ჩემი ყურიდან ვეღარ ამოდის. გა-მუდმებით მღერის, თითქოს ქილაში კენჭებს ჰყრიანო.
ბაღიან უბრუნდება. შვილიშვილს აწყვება და თამაშობს - ჩილიკას, ბურთს, კუკუმაღლოლობას. უფრო ხშირად კი მე დამდეგს, თანაც ხრინწით ჰკენისის:
- ვაი, ჩემო თავო!.. ვაიმე, უბედურო! შოთას ტაეპიც გაახსენდა, ბაღში რომ ვუთარგმნე:
სადაურსა სად წაიყვან, სად აღუფხვრი სადით ძირსა, მაგრამ ღმერთი არ გასწირავს კაცსა, შენგან განაწირას!
და ამ ლექსს დღეში ათჯერ ბუტბუტებს.
- შვილო, ცუდად გავხდი. ფეხზე ძლივს-ღა ვდგევარ, - შემომჩვილა ერთხელ, - დააჩქარეთ.
და იმ დღიდან გარეთ ვეღარ გამოვიდა. თავი დავლუნე და ერთხელ კიდევ გავწიე პარიზისაკენ. ნაშუადღევს თავაწული ვბრუნდები, თითქმის მოვრბივარ. კარი შევალე და ქალაღი აფარიალენი:
- მოგილოცავთ, მამილო, მოგილოცავთ! - მივაძახე, - მივდივართ, მივდივართ! მამა თუ პაპაჩემი საწოლზე იჯდა. სახე გაუხართლდა, თევზით დაუძრვალდა. ხელეზე დაეჯინა, წამოიწია.

- მართლა?.. ღმერთო დიდებულო, ეს რა ამბავია!.. ეს რა ამბავია! დავიჯერო? მართლა? დავიჯერო?
წამოიწია, აბუტბუტდა. მაგრამ წელი ვეღარ აიტანა და მოჭრილივით უკანვე გადავარდა.
კაიშაური კვდება.
განწირულია.
ფეხები გუშინვე მოსწყდა.
სიღამლე ქვევიდან ეპარება.
დღეს თუ ხვალ გულშიც წასწვდება. გაშოტილი წევს, თვალს ჰბლიტავს, ტურნებს აცმატუნებს და სამკვდრო სველით შემომცქერის.
- ვაი, დედასა! - შემომკენისის, - ვაი, დედასა! სადა ვკვდები... როგორ ვკვდები! - ნუ შეშინდით, - ვამხნევე, - ისე არ მოკვდებით, რომ ანანური ვეღარ ნახოთ. მაგრამ ჩემი მე თვითონაც აღარ მჯერა.
- მე ჩემი შევასრულე, - თითქო ვინმე სხვას ეწურჩულება ანდრო, - ყველაფერი მივეცი ამ ქვეყანას... დანარჩენი თქვენ იცით... ვალი დამიბრუნეთ.
- რა ვალი, მამილო? - ფრთხილად ვეკითხები.
- მიწას დაუბრუნეთ ვალი... ჩემი ვალი - ან ცოცხალი, ან მკვდარი.
ან ცოცხალი, ან მკვდარი - ესაა მისი ერთადერთი ნატვრაც და ანდრომაც.
- დამშვიდდით, მამა. ჩემ ვალად მიმიღია. შეგისრულდით.
მისი შვილიშვილი პიერი შემოდის, გახის ლამფას ანთებს.
და მომაკვდავსაც იმ ლამფის ფერი ადევს.
- ხომ არაფერი გინდა, გრან პერ? - ეკითხება პაპას.
ანდრო სდუმს. პასუხს მე ვაძლევ: კუთხეში გავიყვანე და მოხუცის სურვილი გადავეცი.
- ადვილია, - მიღიმის პიერი, - კრემატორიუმი აქვია. დავწვით და ფერფლს გაგატანთ, ნე ხე პა?
- კეთილი. აგრე ვქნათ, თუ...
- ჯერ აღრე. პაპაჩემი კიდევ დიდხანს იცოცხლებს, - და გადის.
ავადმყოფის თავთან ვზივარ და ყურს ვუვადებ.
შუალამე მოდის.
ყველას სძინავს. გარეთ ნაწვიმარია. ღია სარკმელში სივრილე და ნესტი შემოდის.
ყავახანიდან შანსონეტის გაბზარული ხმა ისმის.
კაიშაური კი ბორგავს და ლულულულებს:
- დედას ვხედავ. აი, აქვე სდგას, - და მოხუცი ჩემს ხელს ეძებს. პოულობს და უნდილად უჭერს, თან ჩიფიფებს:
- ნეტა რა გინდა, დედი? რად დამცქერი სველიანის ღიმილით?.. თავსაც მიქნე... თითქოს მეძახი.
არ მინდა ლანდი დაუფრთხო. ან რა საჭიროა! მგონი არც ძალმძის. ცნობის კარი უკვე დახშული აქვს - გაღმეულში გადასახლდა.
ხელეზე ხევი უწყევია. მოკრუნხულ თითებს ბრძანავით აფათურებს, საბნის პირს პოულობს და ხევით ეწევა - თითქოს უნდა პირისახეზე აიფაროსო.
დედის მოღანდება და საბნის წეწვა დასასრულის ნიშანია. ეს მეც ვიცი. და ამის ცოდნა მეც იმ თითებივით მიწეწავს გულს.
ვეღარ დავბრუნდი, - მაგონდება ამ დაკარგულის ნაკარნახევი, როცა თხოვნას მაწერიებდა, - იმდენი ვიხეტიალე, რომ დედ-მამის სახელიც დამავიწყდა...
- ვეღარ დავბრუნდი. - აბოღდა უცებ გონწასულიც, - ვეღარ დავბრუნდები, ვერა. „ყველანი დაბრუნდებიან“ - ისევ ვიგონებ ამავე ოთახში ნათქვამს. - მხეცი ისევ ბუნავში შევა, ფრინველი ბუდეს მიაშურებს, ადამიანი ისევ თავის ქონს მოსძებნის. მე კი...“
- მე კი წამოვედი და ვეღარ დავბრუნდი, - იმეორებს თავისსავე ნაჩივარს სულთმობრძავი, და უმატებს: - ვეღარც დავბრუნდები.
„ვიბრძოლე, ვიბუშავე. აღარაფერი შემ-

რჩა, - ვიღაც იმეორებს ჩემს გულში, - აღარაფერი შემჩნა, გარდა ოთხმოცდარვა წლის ტვირთისა“.
- ვერა, ვეღარ დავბრუნდები, - ძლივს-ღა მესმის წამსვლელის ჩიფიფი.
„მძიმეა, მეტად მძიმე ტვირთია. საცაა გავისრისებთ“.
მოხუცი ჩიტის ბლარტივით აცმაცუნებს ზეწრისფერ ტურნებს.
„სად წაიყვან სადაურსა...“ - ვფიქრობ ჩემთვის.
და პასუხად მისი ბუტბუტი მესმის:
- ვაჰმე, სადა ვკვდები!..
„განწირულია, განწირული“, - გამომატქვს განჩინება.
და განწირულიც პირუკულმა მიბრუნებს შოთას ნათქვამს:
- ვხედავ, ღმერთიც კი გასწირავს კაცსა, შენგან განაწირას.
წამოვდექი, გავიარე, დავბრუნდი, კვლავ დავჯექი, ხელით მაჯა ჩამიბლუჯა და თვალეზი გაახილა.
- აქა ხარ, შვილო?
- აქა ვარ, მამილო. ნუ შეშინდები. მრუდედ გაიღიმა.
- დედა სხვაგან დაკარგე... მეც აქ ვიკარგები.
- ნუ, მამილო, ნუ შეშინდები. არ დაგკარგავ:
დიდხანს მიმზერს უკვე მინის თვალეზით. შიგ აზრი აღარ სწერია. მაგიერად პირთამდე სავსეა პირუტყვეული შიშით, უიმელო ძრწოლით, სასოწარკვეთილი „მშვიდობით“.
- ვერა, ვეღარ დავბრუნდები, - მგონი ეს სამი სიტყვა წაიწურჩულა უკანასკნელად.
მინა ყინულად გადაიქცა. ჩემს მაჯაზე მისი ხელი მოღუნდა. მაინც ვიჯექი და დავცქეროდი. ვგრძნობდი, რომ ის ხელიც იმ თვალეზივით იყინებოდა.
ფრთხილად წამოვდექი. ორივე ხელი მკერდზე გადავუვარდინე. თვალის ქუთუთებიც ვამოუწიე და გავბრუნდი.
სარკმელთან ვდგევარ.
გარეთ ნაწვიმარია.
ოთახში ნესტი და სივრილე შემოდის.
ყველას სძინავს.
ბაღშიც ღუმლია, როგორც უკან, თეთრ საწოლზე, თეთრ წვერებში, სადაც თითქო სწერია:
- ვერა, ვერ დავბრუნდები.
გავაღვიძო კაშორები?
რა საჭიროა? გათენდება, გაიგებენ. და ბალის ღუმლიცა და სივრილეში შევერიე.
მაინც დავაბრუნე. ანდრომე შევეუსრულე.
პარიზში კარგი კრემატორიუმი.
დიდი კაცის ფერფლი ჯიბის კოლოფში ეტევა.
ანანური ღრმა ხევიცა ჩაწოლილი... მწვანე მთები... სწრაფი არაგვი... ძველი საყდარი და შერუჯული გალავანი. ავტო შევიარე.
ხევით ავედი.
ანდრო გავიხსენე და ის ნავლი ხევის ნიავს ვავატანე.

1928 წ.



შეიძლება ითქვას, რომ ეს გვერდი ეძღვნება ამერიკული კათაბრძენის მეთოთხმეტე სართულიდან დანახულ ვარსკვლავს... ტერენტი გრანელის ცნობილი სტრიქონი „ვარსკვლავი, რომელსაც მე ვუწოდებ“ ტექსტის ავტორის, ფლორიდაში მცხოვრები ჯუშუბერ ჯიშკარიანის განპირობებული და ამავე დროს, განზოგადებული თემაა.

თქვენ წიაკითხავთ მართლმართლის ეგზალტირებულ მონოლოგს, ფიზიკური ტკივილივით ნაგრძობ და ხელშესახებ განცდას: „ძილსა და ღვიძილში ტკივილადვე მენატრებოდა ჩემი საქართველო. ერთი აუწერელ სულიერ სიმართლევს განვიცდიდი“... თქვენ დაინახავთ უსამშობლოთა სამშობლოდან, დროის და მანძილის დისტანციიდან აღქმულ თბილისს... ეს არის ფრაგმენტები ბატონ ჯუშუბერ ჯიშკარიანის ჯერ დაუსტამბავი წიგნიდან „იმედის პალიტრა“.

ძნელია ამ ნაწარმოების ფანრული სპეციფიკის განსაზღვრა, რადგან ურთიერთშერწყმულია მონოლოგის, მეტყარის, ჩანახატის თუ ესეის მხატვრულ-დოკუმენტური ელემენტები.

წიგნის ფრაგმენტების გაცნობამდე ავტორი ინფორმაციას გვაწვდის ამერიკაში მცხოვრებ ქართველ მხატვარ ქალზე, ვისაც უძღვინს ამ წიგნი. ვფიქრობთ, ეს ჩვეულებრივ მიძღვნაზე უფრო მეტია, რადგან თავად ეს ქალბატონია წიგნის ერთადერთი მთავარი გმირი... თუ არ ჩავთვლით ტერენტი გრანელის სახეებს და ემიგრანტული ყოფის განსხვავებულ სედას...



ტერენტი გრანელი „ვარსკვლავი, რომელსაც მე ვუწოდებ“

- ორი რამ მოცემს ამქვეყნად, - ვარსკვლავებით მოჭვდილი ცა ჩემს ზემოთ და მორალური კოდექსი ჩემში, - წერდა გამოჩენილი გერმანელი ფილოსოფოსი ემანუელ კანტი.

ცარგვალისთვის ღამით თვალის შეკლება, როდესაც კაბადონზე მილიარდი ვარსკვლავები აკაფდებდა, ადამიანს ფიქრისთვის განაწყოებს.

ბავშვობისას, მე და ჩემი ძმა დედას ზმირად დავყავდით ბაგებში, ბებიის სახლში. ღამით ბავშვებს კალზე, ღია ცის ქვეშ გაგვიშლიდნენ ფარდაგებს, რაც ძალიან გვანარებდა.

ქვემოთ, თითქოს ხელისგულზე იყო გადაშლილი ათასობით ნათურით გაჩირადებული თბილისი. თავზე კი მილიარდი ვარსკვლავით მოჭვდილი ცა გვემზო.

- ვარსკვლავი რომ მოწყდება, ჩაქრობამდე სურველი ჩაითქვი, და აუცილებლად ავინსულდებაო, - მეუბნებოდა ჩემი დეიდაშვილი, მაგრამ ვერასოდეს ვასწრებდი ჩაფიქრებას, - ვარსკვლავი წამსვე ქრებოდა.

ეს დიდი ხნის წინ იყო. მას შემდეგ უცნაურად დატრიალდა ჩემი ბედის ბორბალი...

უკვე რამდენი წელია, ჩემი ბინიდან, მეოთხთხმეტე სართულის ფანჯრიდან იმ ვარსკვლავს ვაკვირდები.

რეიარაზე, როდესაც ნიუ-იორკის დაბინდული ცა თალსს გადაიყრის, ჩემი რჩეული მნათობიც აკაფდებდა.

ჩემს ერთ ფერტილოს ასეც ვუწოდებ - „მე და ჩემი ვარსკვლავი“. ვცადე, ფიქრები ტილოზე გადაეტანა: ღამის მღუმარებაში გარინდული ცა, რომელსაც სავესე მთავარ დანათის; ჰორიზონტზე, მარცხნივ, გელათის დიდებული კონტურები აღებეჭდე; მარჯვნივ - ნიუ-იორკი; წინ - სისხლიანი მიწა...

უსაზღვრო იყო ჩემი გაიცება, როდესაც წავიკითხე ტერენტი გრანელის „ვარსკვლავი, რომელსაც მე ვუწოდებ“.

თითქოს, ტერენტი გრანელის სულმა ნიუ-იორკს ჩამოუქროლა...

რამდენიმე წლის წინ თბილისიდან ძვირფასი საჩუქარი მივიღე. ჩემმა ახალგაზრდა მეგობარმა, მსახიობმა ქეთევან რატანმა ტერენტი გრანელის ლექსების კრებული ჩამომიტანა, წიგნის შემდეგნეღრედაქტორისა და გამომცემლის, ბატონი ლერი ალიმონაკის ავტოგრაფით.

ნეტავ იცოდეს ბატონმა ლერიმ, რაოდენ მაღლობელი ვარ მისი...

ტერენტი გრანელის შემოქმედების გაცნობა ნამდვილი აღმოჩენა იყო ჩემთვის!

ხელოვნების ნიმუშებს თავისი ენერჯია აქვს, რომელიც არ იკარგება; იგი სამყაროში ტრიალებს.

ის ენერჯია, ის ძლიერი სული რომ არა, პოეტმა რომ ჩააქსოვა ლექსებში, როგორ აგვადლებდა მისი ნაწერები ათეული წლების შემდეგ.

ტერენტი გრანელის ლექსების კითხვისას ისეთი გრძობა დამეუფლა, თითქოს მისი სული აქ მოფრინდა...

პოეტის მთელ შემოქმედებას წითელ ზოლად გასდევს „სულით ობლობაზე“ წუხილი...

ტერენტი გრანელის სატიკვარია: მართობა, მიუსაფრობა, მოუწყობელი ცხოვრება, მუდმივი სიღუბნეობა...

მეც მაქვს ჩემი სატიკვარი: სამშობლოს დაკარგვით გამოწვეული გაუნებელი სედა.

ვისაც არ განუცდია, ვერასოდეს წარმოიდგენს, რაოდენ სულიერ თუ ფიზიკურ ტკივილთანა დაკავშირებული სამშობლოს დაკარგვა...

საქართველოდან წასულები ისრაელში რომ დავრჩენილიყავით, სამშობლოს დაკარგვა იქნებ ისე მძაფრად არ განმეცადა; შედარებით ახლოს მაინც ვიქნებოდი...

უმაღლესობაში არ ჩამოხრთავს, - ამერიკა ყველას აძლევს ცხოვრების მანსს.

ამერიკამ შეგვიფარა, ჰერცოგ მოგვცა და „პურიც არსობის“, მაგრამ როგორც ბიბლიაშია, არა პურიცა ერთი ცხონდეს კაცი...

ტერენტი გრანელის ლექსების კითხვისას უმაღ ვერგბენი მის სულთან სიანლოვეოცი, ათი თუ შვიდი წლის წინ შექმნილი ჩემი ნამუშევრები გამახსენდა, რომლებიც თითქოს ტერენტი გრანელის ლექსების მოტივებზეა შექმნილი, თუმცა მაშინ მის შემოქმედებას არც ვიცნობდი.

„ისევ სიმორის ცეცხლი მიზიდეს,

არ მინდა გული სამარეს მივცე, მე ხომ მინდოდა გასვლა მიწიდან,

მე ხომ მინდოდა გაფრენა ცისკენ...“

ჩემი გმირებიც ხომ ცისკენ, უსასრულობისკენ მისწრაფიან. საგანგებოდ თბილისში გამგზავრების წინ დაგებულ პოსტერები და საფოსტო ბარათები, გამოფენაზე მობრძანებულ სტუმრებს ვუსახსოვრე...

დიდი მაღლობა ტერენტი გრანელის სულს, რომ მისეულ განცდებს და სულიერ სამყაროს მაზიარა...

ამერიკიდან ჩვენ მეგობრები ვართ, სამუდამოდ. ვინ იცის, მერამდენედ ვკითხულობ წერილს - „ვარსკვლავი, რომელსაც მე ვუწოდებ“.

თითქმის დავიზებორე.

„ - დავწვები ლოგინში და ფანჯრიდან მოჩანს ერთი ვარსკვლავი, რომელსაც მე ვეძახი ჩემი ბედის ვარსკვლავს. ზმირად მას ფარავენ ღრუბლები ღამების. ხან აინთება და ხან ჩაქრება.

მე გმონია, იმ ვარსკვლავიდან მიხმობს ჩემი გაფრენილი სული. რა ვქნა, როდესაც ლექსს არ შეუძლია შესარულოს სულის მოწოდება. მე ისევ მიწაზე ვრჩები.

ჩემ და იმ ვარსკვლავს შორის გაბმულია რაღაც უხილავი ძაფი, რომელიც მე მაერთებს მთელ ზეციურ სამყაროსთან.

იმ ვარსკვლავს მე ახლაც ვხედავ და ვწერ ამ სტრიქონებს.

ის ობლად ანათებს ცაზე, მეც ობოლი ვარ მიწაზე.

სად იმალება ის უხილავი ძაფა, რომელსაც შეუძლია ჩემი შეერთება.

მე ეს არ ვიცი.

იქიდან მიხმობს ვილაც. ჩემი თვალები ვერასოდეს ვერ იხილავენ იმ ვარსკვლავის ცისფერ სივრცეს, რომელსაც მე ყოველ ღამე ვუწოდებ.

ის შორს არის ჩემგან. თუმცა ჩემი სულის მეგობარია. დიდება შენ, შორეული ვარსკვლავო, დიდება შენ!...“

„მიმართვა ხისადმი“

ფერწერული ტილო, რომელსაც მოგვიანებით „მიმართვა ხისადმი“ ვუწოდებ, 1981 წელს შეიქმნა, სამთო კურორტზე, მონტისელოში...

მაშინ ერთ-ერთი უმძიმესი პერიოდი იყო ჩემს ცხოვრებაში. ემიგრაციის პროცესებს უმტკივნეულოდ არ ჩავუვლია. ბევრმა ვერ გაუძლო ემიგრაცია...

ოცდაათ წელზე მეტია, ნიუ-იორკში ცხოვრობს და მოღვაწეობს შესანიშნავი ხელოვანი, გამოჩენილი მხატვრის მიხეილ ჯანაშვილის ქალიშვილი ცისანა ჯანაშვილი. ცხრამეტი წლის იყო, როდესაც მისი ოჯახი ისრაელში გაემგზავრა. ერთი წლის შემდეგ კი ამერიკაში გადასახლდა.

ოცდასამი წლის განშორების შემდეგ, 1997 წელს, ქალბატონი ცისანა საქართველოს ეწვია და თავისი ნამუშევრების პერსონალური გამოფენა გამართა.

ის ოცდაათზე მეტი გამოფენის მონაწილეა, მაგრამ თბილისში გამართულ ვერინისაუს თავისი ცხოვრების მთავარ ნიშანსვეტად თვლის.

„ - თბილისი ჩემი ბედისწერაა! თბილისზე, ჩემს საქართველოზე ფიქრის გარეშე ერთი დღეც არ მიცხოვრია, - ამბობს იგი, - ჩემი ხარფუხი, თელეთის ცამეტი, სადაც ბავშვობა გავატარე; ჩემი ბაგები, სადაც ჩემი უახლოესი ნათესავები ცხოვრობენ; ჩემი საბურთალო, 126-ე სკოლა; ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელი; მასწავლებლები, მეგობრები, - რამ დამავიწყოს...“

გამოფენის გახსნის დღე ზღაპარს უფრო ჰგავდა... ვერასოდეს წარმოვიდგენდი ასეთ ყურადღებას. თუნდაც იმ ერთი დღისთვის ღირდა სიცოცხლე...“

გთავაზობთ ნაწყვეტს მომავალი წიგნიდან „იმედის პალიტრა“, რომელიც ცისანა ჯანაშვილის შემოქმედებას ეძღვნება.

ციასთან დაკავშირებულ სულიერ თუ ფიზიკურ დამაბულობას და გატყდა; ზოგმა თავიც მოიკლა; ბევრი ოჯახი დაინგრა...

ემიგრაციის სირთულეებმა ჩემი ოჯახიც შეიწირა. ისრაელში ჩასვლისთანავე მამა დაგვაკარგინა, რომელიც სხვა ხალხს დაუკავშირდა. მამა, რომელთანაც ისე ვიყავი მიჯაჭვული, მის გარეშე სიცოცხლე წუთითაც ვერ წარმოვადგინა... ის იყო ჩემი პირველი მასწავლებელიც და სულიერი მეგობარიც...

ისრაელში, წინაპართა სამშობლოში, პატრიოტული გრძობებით ჩავვდივით, მაგრამ ერთბაშად იმდენი პრობლემის წინაშე აღმოვჩნდით, რომ მეორე ემიგრაციაში გამკვებზავრეთ.

ამერიკამ შეგვიფარა. ძნელი აღმოჩნდა ახალ მიწაზე დამკვიდრება.

თითქოს ყველაფერი რიგზე იყო, - მყავდა მეუღლე, შვილები, თავგანწირული დედა, რომელმაც ცხოვრება ჩვენ შემოგვწირა, მაგრამ უმცროს მძასთან ერთად სამშობლოდან ათასობით კილომეტრზე გადმოხვეწილი, ახალ გარემოში, ობლად, სრულიად უცხო ადამიანებს შორის, მკაცრი რეალობის წინაშე რომ აღმოვჩნდით - დავიზაფრეთ! ვერა და ვერ შევეგუეთ, სამშობლოს განვიცდიდი.

... იმ დღეს, მონტისელოში, ტყისპირზე ხეტილისას, მოულოდნელად მომჯადოებელი პეიზაჟის წინ აღმოვჩნდი. ისეთი სიღამაზე იყო, წამით დამავიწყდა კიდეც ჩემი სატიკვარი.

უმაღ ტილოზე აღებეჭდე.

ფერტილო თითქოს ტერენტი გრანელის ლექსითაა შთაგონებული, რომელსაც „მიმართვა ხისადმი“ ჰქვია, საოცარია, მაგრამ მაშინ მის შემოქმედებას არც ვიცნობდი...

სამოცდაათიან წლებში, როდესაც ჩემმა ოჯახმა საქართველო დატოვა, ტერენტი გრანელის სახელს ტაბუ ელო; ამიტომ მის შესახებ არაფერი ვიცოდი.

ავი დროებით სვედამწარბულს, თურმე არც იმ სოფლად დაჰკლებია დეგნა, მისი სახელის აღმოფხვრასაც ცდილობდნენ, მაგრამ ღვთიური ხვედრით წილხვდომილს, საუკუნოვანი ომი გადაუხდია ყოფნა-არყოფნის კანონმდებელთან - დროსთან და უძლევეა იგი...

როდესაც ტერენტი გრანელის „მიმართვა ხისადმი“ წავიკითხე, საოცარი გრძობა დამეუფლა, - უსაზღვრო მაღლიერებით აღვივებ პოეტისადმი; ათეული წლების შემდეგ, თითქოს მისი სულიერი განწყობილების თანაზიარი გავხდი, საქართველოდან ვგზომ შორს, უკიდევანო ამერიკაში...

„ძვირფასო ხეო, შენ მოგყვრდნობი, ძვირფასო ხეო, რამე მიჩნე!“

ტერენტი გრანელის ლექსის გაცნობის შემდეგ ეს ფერტილო უფრო ფასეული გახდა ჩემთვის.

ლი გახდა ჩემთვის. მას ვერასოდეს შეგეღვევი, რადგან თითქმის მეთოხედი საუკუნის წინ, მონტისელოში, ბუნებისგან მონიჭებული სიხარულის წამებს მაგონებს...

„მარადისობის ლაყვარლები“...

- ადამიანები ზმირად კარგავენ დროს უსარგებლო ამბების კითხვაში. კაცმა მხოლოდ ის უნდა იკითხოს, რაც გოცების ღირსია, - წერდა გოეთე.

ტერენტი გრანელის წიგნს რომ გავეცანი, გაოცდი, - თითქოს მსოფლიოს სეგდამ მის თავზე გადაიარა...

სიკვდილზე ფიქრი თურმე წამითაც არ ასვენებდა პოეტს.

სიმბოლოვია წიგნის სათაურიც - MEMENTO MORI - გახსოვდეს სიკვდილი!

„ - მე ესტორი ქვეყნის უკუღმართობას და ჩემს დაღუპვას აუცილებელს... „მე იმდენად შეგეწვევი სიკვდილს, აქამდე რომ ცოცხალი ვარ, მიკვირს“... „ვიხედები გარშემო, და ამ სარეცელიდან, ყველაფერი შორსაა, გარდა სასაფლაოსი“... „მელანდობა სიკვდილი, და სოფელი მამწვიდებს, ჩემი ტბილი ოცნების ლურჯი ნამოსახლარი“... „არყოფნის დამევე! შენსკენ მოვიწვევ, არყოფნის დამევე! შენ დამიფარე!“... „და თბილისის კუთხეში, სადმე ღამით მოგკვებია...“

„ - პოეტი მაინც ერთი ლექსია, ობლის ცრემლივით ცამდე მართალი“, - წერდა შესანიშნავი პოეტი და ჟურნალისტი ლამა გახარია.

ტერენტი გრანელის წიგნში მრავალადა სულისშემძვრელი სტრიქონები, მაგრამ მე მაინც ერთ ლექსს გამოვარჩევ - „მარადისობის ლაყვარლებს“... „სული გაფრინდა თეთრი მტრედივით, სხეული დარჩა ცოცხალ მიწაზე“...

„ ვფიქრობ: მოვა წამი, როცა არ ვიქნები ცოცხალი.

მე, მაინც მჯერა ჩემი უკვდავება.

მე პოეზიამ მაგრძობინა, რომ სადღაც შორს არსებობს უკვდავების ცისფერი მზარე, სადაც დაფრინავს ჩემი მწუხარე სული...“

ახდა პოეტის წინასწარმეტყველება.

პოეტის დაბადებიდან ასი წლის შემდეგ, მის სტრიქონებს იხსენებენ საქართველოშიც, ამერიკაშიც, ისრაელშიც; ვინ იცის, კიდევ სად და სად...

ეს უკვე უკვდავებაა!... ფერტილო - „მარადისობის ლაყვარლები“ ტერენტი გრანელის ლექსის მთავონებით შეგვქმნი.

ამიტომ ეს ტილო ტერენტი გრანელს ეკუთვნის...

გადავწყვიტე, „მარადისობის ლაყვარლები“ ტერენტი გრანელის სახლ-მუზეუმს ვუძღვნა საჩუქრად, წაღწევისაში, პოეტისადმი უსაზღვრო პატივისცემის ნიშნად...

ორშაბათი

გაზაფხულის პირია. აფუსფუსებულია დედა-ბუნება. დაკვირვებულ ტირიფზე შემომსხდა-რი ბელურები ჟივოვიკებენ.

ბალები ჟივილ-ხივილით მოსდები-ან მზორებს და გვირილებს კრეფენ. აღიღებული მდინარე ნაპირებს ეხ-ლება და მღვრიე ტალღებით უზარმა-ზარ ლოდებს მიაგორებს.

კედლიდან ხელიკი გამოძვრალა და მზეს ეფიცება. დროადრო მწვანე თავს წამოსწევს და ზანტად იყურება აქეთ-იქით.

სკებიდან გამოსული ფუტკრის ზუ-ზუნი აესებს სოფლის მიდამოს. ფუსფუსებს სოფელი, ირგვლივ სი-ცოცხლე ზეიმობს.

მარტო ბებერი კაკლის ძირში ფეხ-მოკეცილი ორი დედაბერი არ ღებუ-ლობს ამ საერთო ზეიმში მონაწილეო-ბას. ჩუმადა სხედან და წინდებსა ჰქსო-ვენ. თან ისე გაბუტულს ჩაულუნავთ თავი, გეგონება გაზაფხულზე იყვნენ შე-მომწყრალები და უნდა თვალთ ნახონ ის, რაც მათ გარშემო ხდება. მიწისაკენ თავებდახრილნი გამოთქვამენ ოხვრით გაზაფხულისა და სიცოცხლისადმი პრო-ტესტს, ჯერ ერთი ამოიხრებს, მერე მეორე, მერე ორივე ერთად.

ერთს ნინუა ჰქვია, მეორეს მართა. სხედან და მესამესაც მოელიან. მესამეს სოფიო ჰქვია. აჰა, ისიც მოდის ორღობეში.

ჯოხს დაპბეგნია და წელში მოხრი-ლი ისიც მიწას ჩაჰყურებს. მოდის და გზადაგზა ბუტბუტებს: იმ დალოცვილმა ღმერთმა, კაცი რო გაანინა, იმდენი რო-გორ არ იფიქრა, ეს რო დაბერდება და მუხლში ძალა გამოეღვება, ნუღარ ვაწ-ვალბე და დავასვენო. ი გულმკვდარი სიკვდილიც ამესავით არის, ლაზარინთ გარახტინასავით, აღის და ჩადის ორ-ღობეში, აღის და ჩადის, რაც კარგი და უკეთესი შეხვდება, იმას ეპოტინება, ერთს ჩვენსკე არ გამოიხადავს, ზედაც არ გვი-ყურებს, აქაოდა ბებრები არიანო. ააა, ტიალი, ტიალი, სუველას როგორ კარ-გი უნდა თავისთვისა, სიკვდილიც რო სარჩევში შავიდა!

სოფიომ ბუტბუტით ტალახიანი ფე-ხები კაკლის დაკოჟრილ ფესვებზე შე-იწმინდა და მართას და ნინუას მიუჯდა გვერდით.

მორიგეობით ოხრავენ. ჯერ ნინუა, მერე მართა, მერე სო-ფიო, მერე სამივე ერთად: ეეე, ოხ-ოხ-ოხ-ოო! შენამც დაიწვიები სიკვდილო კუპრის ალში, ჩვენი ესე დაიწვიების-თვინა, აგრიადარაა! - ამბობს ნინუა.

ეხლა მართა წამოიწვიებს სოფლის სამდურავს: - ხანდახან, რო დაფიქრდები, გამახ-სენდება ძველი დრო; ჩემი სიყმე და ჯვილობა, გამახსენდება ის ხალხი, ვის-თვისაც ჩემი წუთისოფელი გამიტარე-ბია, მივიხედ-მოვიხედავ, აღარავინ კი ცოცხალი აღარ არის იმ ხალხიდან თქვენ გარდა, მამივაკე ღმერთზე ბრაზი, ი სიკვდილთაილას რო დავავიწყდით, ღმერთს მაინც რაღა მოუვიდა, იმან მა-ინც რატო დავავიწყა-მეთქი; ამომიჯ-დება ყელში გული, შემეკერის სუნთქვა, ავხედავ ჭერსა, ი საბელიც ხო კარებს უკან მღვარ თულუხის ყელზე ახვევია, წავცანცარდები, თან ჭერს ჩავცქერ, თა-ნა იმ საბელს ვუყურებ, მაგრამ ე ტია-ლი სიბერე ისეთი რამ ყოფილა, იმისი ჯანი ვინ მომცა, საბელი ჭერში ჩამოვაბა - ამბობს მართა, ამოიხრებს და დედაბ-რებს გადახედავს, ამოწმებს, როგორი შთა-ბეჭდილება იქონია იმის სიტყვამ.

- ეეე? - ოხრავენ მსმენელები. - ეეე! - სიკვდილიც გულმავიწყი ყო-ფილა და ღმერთიცა! - ამთავრებს მართა. მერე კარგახანს ხმას არ იღებენ. მარ-ტო ოხრავენ მიწისაკენ თავდახრილნი. ამასობაში ჯღუნაი გამოივლის ორღობე-ში, დედაბრებთან შეჩერდება და ეტყვის: - გამარჯობათ დიდებულო! - ეეს, რაღა დროს ჩვენი გამარჯვებაა - ამოიხრებენ დედაბრები. - რათა დიდებულო, რათა, ხომ არავინ



გაწყენინათ? - გვაწყენინა, აბა მა რა არის. - ვინა?!

- ვინა და ი დალოცვილმა ღმერთმა. - ეეე, დიდებულო, ცოდვას ნუ ამბობთ, აბა ღმერთმა რა დაგიშავათ? - ის დაგვიშავა, შვილო, რომა, დავა-ვიწყდით და აბა რაღა დროს ჩვენი სიცოცხლეა - იძახის მართა.

- ღმერთსაც დავავიწყდით და სიკ-ვდილთაილსაცა - თქვა ნინუამ. - აგრემც დაიწვიება ჩვენი ცოდვითა, აგრემ! - დაამატა სოფიომ - რაღა დროს ჩვენი აქ ყოფნაა ჰა?!

- ღმერთს არაფერი აწყენინოთ, დი-დედებო, იმან უკეთესად იცის თქვენი ამბავი. - ეეე, შვილო, ძნელი ყოფილა სიბე-რე, ძნელი! - ამოიხრა მართამ და მერე ნინუამ და სოფიომაც მას მიჰბამეს. - გამაგრდით დიდებულო, გამაგრდით! - შეუძახა როხროხით ჯღუნამ და გზა გააგრძელა.

დედაბრებმა ერთი კი გააყოლეს ალ-მაცერად მზერა და მერე სამივემ ერ-თხმად ამოიხრა. ჯღუნაი სახლებშორის ჩაიკარგა. **სამშაბათი** დედაბრები კვირტებამოხითული კაკ-ლის ხის ძირას ჩამომსხდარან.

- აბა დღეს როგორ ხასიათზე ხართ, დიდებულო! - მათ წინ გაიჯვამა ჯღუნაი. - აბა როგორ ვიქნებით, შვილო, სიკ-ვდილისაგან დავიწყებულნი. - მაგრად უნდა იყვნეთ, მაგრად! - მტერი და ღუშმანი იყვეს ისე მაგ-რად, როგორც ჩვენა ვართ. - აბა, აბა, ღმერთს არაფერი აწყენინოთ. ჯღუნამ გზა გააგრძელა. ამით ისევ ალ-მაცერად გაყოლეს თვალნი და ამოიხრეს.

ოთხშაბათი დედაბრები შემწვანებული კაკლის ხის ქვეშ წინდებს ჰქსოვენ და ოხრავენ. ჯღუნა სახლიდან გამოვიდა, მათ მიუ-ახლოვდა და მიესალმა: - დილა მშვიდობისა დიდებულო! - მშვიდობა მოგცეს ღმერთმა. - აბა დღეს ხო კარგადა ხართ? - ეეე, ჩვენი მტერი იყოს ისე კარგად, როგორც ჩვენა ვართ. - აბა რა ყოფნაა, სიკვდილს დავავიწყდით. - სიცოცხლე რომ მოგებზრდება, იმა-ზე ცოდვა არა ყოფილა. - გამაგრდით, გამაგრდით! - შეუძახა ჯღუნამ და გზა განაგრძო. ამით მწყრალად გააყოლეს მზერა, მე-რე ამოიხრეს და ჩუმად განაგრძეს - გამაგრდით დიდებულო, გამაგრდით, ჯერ აღრეა თქვენი სიკვდილი, რა გული აიცი-რუეთ სიცოცხლეზე, ჰა?! - გასძახა გზად მიმავლმა ჯღუნამ.

- ჩვენ დროთაი რომ მოიყრები, მერე მიხვდები ჩემო ჯღუნავ - უთხრა მართამ. - აღარ გვიხარია სიცოცხლე, აღარა! - თქვა ნინუამ და ამოიხრა. ჯღუნა წავიდა. დედაბრებმა ამოიხრეს. **პარასკევი** დედაბრები კაკლის ძირს სხედან და ოხრავენ. შორიდან ჯღუნას ხმა მოისმა.

დედაბრებმა იქით გაიხედეს. სოფ-ლის ორღობეში ჯღუნა გამოჩნდა. ეტ-ყობა ნასვამია, სიმღერით მოდის. - ჩემი მზე და ჩემი ბუნებაა, სიყვარულზე მეტულბულებაა! - მღერის ჯღუნა და თან მღვრიე ნაკა-ღულში მოდის ჩექმების ჩქაფა-ჩქუფით.

დედაბრები ჯღუნას შესახვედრად ემ-ზადებიან: სიცოცხლეზე გაბუტულ სა-ხეებს კიდევ უფრო გაიმკაცრებენ, სერ-გო სახლისაკენ მიდის, მისი სახლი იქ-ვე, ღობის იქით არის. - გამარჯობათ დიდებულო! - მათ წინ გაიბოტიტა ჯღუნამ. იმით უფრო ჩაღუნეს თავები. ხმა არ გასცეს. - როგორა ხართ, დიდებულო, როგო-რა? - როხროხებს ჯღუნა.

- სიკვდილისაგან დავიწყებულები, შვილო! - დაიხივლა მართამ. - აბა რა ყოფნაა, სიცოცხლე აღარ გინდოდეს და მაინცა სიცოცხლობდე! - დაამატა სოფიომ. - ეეს - ამოიხრა ნინუამ. ჯღუნა ერთ ხანს გაჩუმადა. ამით უფ-რო ამოიხრეს.

ჯღუნა ადგილს მოსწვდა, დათვივით გადაეგლო ღობეს და სახლში შევარდა. დედაბრებმა ერთურთს გადახედეს. - აბა, აქა გვევიართ, დიდებულო! - სახლიდან თოფმომარჯვებული გამოვარ-და ჯღუნა, ღობეს გადმოეგლო და შეძ-რწუნებული დედაბრების წინ გაჩერდა. - აბა წამოდექით და ჩამწკრივდით კაკალთან!

დედაბრები კაკალთან ჩამწკრივდნენ. ხელეში წინდები და ჩხირები უკავიათ და შიშისაგან კანკალებენ. - აქა გვევიართ დიდებულო, დედას ვუტირებ სიკვდილსა. მაგას დავაჩაგ-ვრინებ თქვენ თავსა! ფეხზე შეაყენა ჩახმახი ჯღუნამ. დედაბრები დაფრთხნენ და ისეთი სის-წრაფით მოკურცხლეს, ისე ხტუნაობ-დნენ ღობეებზე, როგორც პატარა ბალ-ღები.

ჯღუნამ ჰაერში ისროლა და იმით უფრო მოკურცხლეს, ზოგი სად მიიმა-ლა, ზოგი სად. - ჩემი მზე და ჩემი ბუნებაა, სიყვარულზე მეტულბულებაა! - სიმღერ-სიმღერით წავიდა ჯღუნა სახლისკენ. **შაბათი** კაკლის ქვეშ მარტო ჯღუნა დგას. აქეთ-იქით იხედება და ელიძება.

ჯღუნამ გზა გააგრძელა და სახლებს შორის მიიმალა. **კვირა** კაკლის ქვეშ დედაბრები სხედან, ისევ წინდებსა ჰქსოვენ და თან ჯღუნას სახ-ლისკენ გაურბით მალულად მზერა. ჯღუნაი სახლიდან გამოვიდა, მათ წინ გაიბოტიტა და მიესალმა: - გამარჯობათ დიდებულო! - გაემარჯოს, შვილო, გაემარჯოს! - როგორა ხართ? - რა გვიჭირს, ცოცხლები ვართ, შე-ნამც მოიყრები ჩვენ დროთაი, ჩვენი მო-კითხვისთვინა.

- ხო არაფერი გადარდებთ? - არა შვილო, არა, სადარდებელი რა გვაქვს. - ეგრე, ეგრე, სანამ ჩემი შვილიშვილის ქორწილში განდაგანას არ იცეკვებთ, მა-ნამდე არ გაბედოთ სიკვდილზე ფიქრი. - ჰო, შვილო, ჯერ რა დროს ჩვენი სიკვდილია!

- აბა თქვენ იცით! - შეუძახა ჯღუნამ და ღიღინით წავიდა ორღობეში, მერე უცებ შემობრუნდა, ისევ წინ გაუჩერდა დედაბრებს და სიმღერა წამოიწყო: - ჩემი მზე და ჩემი ბუნებაა, სიყვარულზე მეტულბულებაა! - დედაბრები აჰყვნენ: - ჩემი მზე და ჩემი ბუნებაა, სიყვარულზე მეტულბულებაა! - ეს ქვეყანა რომ არ უყვარდეს ისე არვინ არ მეგულება! დედაბრები თანდათან უფრო გახა-ლისდნენ და სიმღერაც უფრო ლაღი გახდა.

ნიქოლოზი

უცნაურია დროის მსვლელობა. რაც ერთ დროს კანონად და დოგმად ითვლებოდა, რამდენიმე ხანში მთლიანად კარგავს თავის ძალას და სასაცილოც კია, თუმცა ყოველი მონაკვეთი ისტორიის თავის დროზე ამტკიცებს თავის სიმართლეს და ერთადერთობას, თანაც ცდილობს თვით-დამკვიდრებას.

ყაზბეგში, ერთ-ერთი ფილმის გადაღებ-სასა, გადაღებუ ვეუფის შემოქმედებით კო-ლექტივს ერთიმეორეში ჩხუბი მოუვდა. რეჟისორი ამტკიცებდა, რომ გადასაღები სცენის დროს ხევისბერს უნდა გამოე-ბრძანებინა თამარ მეფის ან რომელიმე ქართველი ერისკაცის სურათი. მხატვარი სხვა აზრისა იყო. მას საჭი-როდ მაჩნდა, რომ ამ შემთხვევაში ქრის-ტეს, წმინდა გიორგის ან რომელიმე მთის სალოცავის სატი უნდა გამოებრძანებინა ხევისბერს.

სცენარის ავტორი საბრძოლო დრო-მას მოითხოვდა (თუმცა მთლად ავტორი არ იყო, ავტორად ითვლებოდა). რომ ვერ შეთანხმდნენ, გაიკითხეს ხალ-ხში და იმით უკვე აღარაფერი იცოდნენ ძველი დროის შესახებ. ბოლოს ხალხმა ერთი ბებერი მოხვეე გაისინა, სახელად ასალა.

ასალა ას წელს გადაცილებული იყო. კარგა ხანი იყო, რაც ლოცვით ჩაყარდნის მზის სინათლე აღარ ენახა. თვალდაც აკლდა ასალას, სმნაც ლაღატობდა. - ასლავე! - ჩასძახა მუხომბლამ მოხე-ვე. - რაი? - ამოიჩივრებოდა ასალამ. - ძველი დრო გასსოვს? - აბაი, რად არ მესსომება?! - გაიკვირა ასალამ.

- აქეების ერთი რამი ანტერესებს ძრიალ, - კინოს ხალხზე მოუთითა მოხვეემ ასალას. - რაი? - იკითხა ასალამ. - თაოდ ვეტყვიან... ასალაი მოეწადა, ხელი მიიღო ყურთან. - სკითლევა, - თქვა მოხვეემ. - მოკვეთის დროს ხევისბერი რო დაარისხებდა, ის თუ გასსოვს? - ჩაჰყვირა რეჟისორმა ასალას.

- ჰაი, ჰაი, რო მასსოვს, - დაიჩივრებოდა ასალამ. - დარისხების დროს ეკლესიიდან რამე ხატს გამოაბრძანებდა სოლმე ხევისბერი? - ჩაჰკითხა რეჟისორმა. - ჰაი, ჰაი, რო ხატს! - თქვა ასალამ და პირუჯარი გადაიწერა. - მერე და ვინ იყო იმ ხატზე გამოსახული? - როგორ თუ ვინა? - გაიკვირა ასა-ლამ.

- თამარ მეფე თუ დავით აღმაშენებელი? - ეეე, შენ რას კარნახობ, თვითონ თქვას, - გაბრაზდა მხატვარი. - იტყვის, როგორ არ იტყვის, - თქვა იქ მყოფმა ასალგაზრდა მოხვეემ და ასალას ჩასძახა: - თქვი, ძავე, თქვი. - რაი თქოი? - დაავიწყდა ასალას. - ხატზე ვინ ეხატა? - როგორ თუ ვინა? - ისევ გაიკვირა ასალამ.

- ძავე, ვინ ეხატა, ვინაო? - ნიქოლოზი, - თქვა ასალამ. - ვინაა! - ასლა რეჟისორმა ჰკითხა. - ნიქოლოზი! - ისევ გაიმეორა ასალამ. მერე ღუმელი ჩამოვარდა. ასალა გაკვირვებით თვლითრებდა „ასლა ხალხს“, რომელთაც ძლივს ხედავდა. ისე კი, დიდი სურვილი ჰქონდა დაეხანა, რა ხალხი იყო, რომელთაც არ იცოდნენ, რომ ხატზე ნიქოლოზი ეხატა.

რომ ვერ გაარჩია მის გარშემო მყოფნი, ეტყობა, თავი სიზმარში ეგონა და ხელი ჩაიჭია. მერე კვლისაკენ გადაბრუნდა. ვერ გაიგებდა, ვის ან რას შეუქცია ზურგი.

ღირს მამა დავითს

ანტიოქიის უდაბნოში აღძრული ხმები, ვინ შეუწყვილა კავკასიის ველურ ექოებს, ღვარძლგამოცლილი თავთუხები ვინ შეჰკრა ძნებად და სამსხვერპლოზე აუტანა ზოდიაქოებს.

თანში რაღა სტრის ყველა ქართველს, ყველა თბილისელს? მთას შესევია ბილიკები კენტი და ლუწი, ამ აღმაფრენის სპირალებით ვის არ უკლია, ამ რძიან გზებით დავაბიჯებთ და არ კი ვუწყით, რომ ეს ბილიკი შენის ტერფით გაკვალულია.



ტანჯვათა ტიტანი (ვუძღვნი დოსტოევსკის) ლურჯად ლივლივებს ზეცა უზადო, ირკალებიან სტეპნი დონისა, გამიშვლებულა დიდი რუსეთი, როგორც მეძავი ბაბილონისა.

კაცობრიობის გადასარჩენად. მიდგან განდგომილთ დაატყდა წყევლად, სახეტიალო დრო მერმინდელი, მაგრამ სიკეთით ატარა ყველა მან ჭეშმარიტი ისრაიტიელი.

* * *

გული მიმიწევს მე სალოცავად, სად ღვთისმშობელი და დიდუბა, ნიკორას თვალმა გამხადა ავად, ნიკორას თვალი სევდის გუბა. თვალები იგი სარკეა სულის, ვით ტატინობების ნაზი ზმორება, იმისი ფერი, ფერი უფსკრულის სიკვდილის ლანდი და ამბორება. ო, იმ თვალეში იმისი შენდობა, ის ზეციური სიწმინდით გიმზერს იგი კუნძისკენ მიდის დანდობით, იგი დანისკენ გაგიშვერს კისერს და როს გუგებში ჩადგება ნისლი, ცხრა მთას, ცხრა უფსკრულს გადავუვლები, ოღონდ არ ვნახო ის მისი სისხლი, ოღონდ არ ვნახო მე ის ცრემლები. მე იმ თვალეში გამხადა ავად, თვალეში იგი სევდის გუბა, სასომიხდილი ვდგავარ პირშავად, სად ღვთისმშობელი და დიდუბა.

ვინ იცის

ელვა-ქარტეხილთა კლაკნილის მათრახით გახევა ღრუბლების უდრტვიველ ცხოვართა აკლებს ქურდულად წაგლეჯა უფლების ბედის უქცეველი გრაგნილის კითხვა და ცრემლებში ჩაზრჩობა სევდის ვერწამგვრელი აპრილი ნიათა მალვა და ანცობა სიალფე ავშარაშვების გლოვისას ჩამორეცხს არშიებს ვინ იცის დასთხარო ეშვები მოსისხლარ სატანის ნაშვირთ ქარდაქარ ქარდაქარ ქარდაქარ იქროლე თეთრკავმა მერნებით მიღმეთში ისე ვერ გადახვალ ჯვარცმულის წვით თუ არ ევნები.

ივერიის მნათობის ქეთევან წამებულისადმი


ახლოს ვართ, სულ ახლოს ედემთან, როს გული მკერდში არ ეტევა, და სისავისავან სრულქმნილი, იფრქვევა მეწამულ ღველფებად ახლოს ვართ, სულ ახლოს ედემთან. მზე ჩავა ლომისფერ ქედებთან, დასტოვებს ანთებულ ფერვალებს, შორეულ ოცნებად ედება დათაღხულ, დაბინდულ მწვერვალებს, წმინდანთა გულივით ანთია, წმინდანთა სისხლივით ელვარებს. სალამო იისფრად ბერდება, კაბადონს წარსტაცებს ჩირაღდნებს, ბაგეებს მოსკდებათ ვედრება, როდესაც ვარდისფრად ინათებს და მოდის ის სულსიკვეთება დედებს რომ მიჰქონდათ აკვნებთან, ეს გული იღუმალ აკვნება, შენ გინმობს ქართველთა აგნესავ, იბერთა სასწულქმედება, წმიდაო მნათობო ქეთევან. ნეტართა პარნასში რჩეულო, ანგელოსთ იერთი მდიმარე, სიწმინდე შენ მინანქრეულო, შენ ჩვენთა ცრემლების მდინარე.

დიდგორი

ვით მღვრიე ტალღები, შეიხნი, ხოჯები გამბირულ ცოფით და სატანურ ღვეებით აღიძვრენ, უძლოდათ მზერათა მზარავი არაბულ ტაივით მქროლავი არაბი. დუმანს გათვება ღვთის თორისანი მესისის ელვა და ედემის სოსანი და ბოცომკალივით მომდგარი საპარა მკლავზე დაიგრისა, მშვილდით წახარა. გულდავულ შემუსრა მტარვალთა კერაები გველს და ბასილისკოს დაასო ტერფები ბაღდადურ ღრიანკალს დასთხარა ჭანგები იდილოს მადლი და კურთხევა განგების! აქეთ იფალთოთი, იქეთ გელათითა, მაცხოვარ, მან შენი სახელი ადიდა აღასვლის კარიდან ასტყორცნა არწივი ზეცას დაუბრუნდა სერაფიმ-ბარძიმი.

იქ თავგანწირვა გაგიღებს კარებს

არსთა გამრიგემ არ გაიმეტოს ვინც სამყაროთა თვალის ჩინია, ადამიანო, შენდა იმედად დალადებს სიტყვა „ნუ გეშინია“. ზეცამ ძუძუდან არ მოგიკვთა, ყოველი არსი შენთვის ხმანობს, ვაგლახად სასო არ წარიკვეთო, ვინძლო სული არ დაიზიანო.



ფათერაკს მკერდით გადაუდექი, მოძმეთ იმედი არ წარუხოცო, ადამიანო, იყავ უდრეკი, იყავ უშიში, ვითა უხორცო. სტიქიონების ველურ თარეში სულის სიმტკიცე გმართებს მალულო, რადგან ვაჟაკურ გზების გარეშე არ არის ქვეყნად არც სიყვარული. როცა წინასწარ თქმული ახდება, როცა სამყარო ფაფარს აიშლის, განსაცდელს მშვიდად თუ არ დახვდები, როგორ იწოდო პიშო ქარიშხლის. ნაჭუჭის კაცად ნუ გადიქევი, თორემ დინება წაგლეკს, გაგრიყავს, სტიქიის რისხვას თუ გაექცევი, რადას დააკლებ ცხოვრების გრივალს. უტეხის რწმენით შენ არ წაწყდები, დააცხრობ ღელვას, დათრგუნავ ქარებს, სად თანავრძობა ვერას გახდება, იქ თავგანწირვა გაგიღებს კარებს.

* * *

იყავ უმწიკლო, ვითა ცხოვარი, სიწმინდის თვალი, ასპიტის ელდა, მხსნელად მივირქვით ჩვენ მაცხოვარი, დაგვიშოშმინებს მსოფლიო სევდას. განურჩევლობა დაჰკემე მცონარი, ბადაგის ხარბო, ძმარი მიერთვი, აღვდგეთ, აღვილოთ ჩვენ ჩვენი ჯვარი, უძიძიეთ ტანჯვის ვიწვნიოთ ტვირთი, დავდმოთ, დაეთრგუნოთ მომხვეჭელობა, მალამო წარვეცხოთ წარსულ იარებს და უზენაეს პირუთვნელობის გაბრწყინებული გზებით ვიაროთ. არცოდნა აღარ გვეპატიება იმის, თუ რაა გეზი ღმერთისკენ, ეს ურთიერთის არის ძიება, იგი გზა არის ურთიერთისკენ. ასე იკვრება მრავალი ერთით, მსგავსი რომლისაც არ გვეგულება, თუკი სამყაროს გულია ღმერთი, გზაა სიწმინდე და ერთგულება. და ამიტომაც დაგვმოდვროს, ვვედრით, უღირსთ გვაჩვენოს თვისი დიდება, თუკი სამყაროს აზრია ღმერთი, გზაა სიბრძნე და ჭეშმარიტება. და თუკი ვინმეს ეს დაჰხედვია, ერთი აქვს სიტყვა, საქმე და ცნება, რადგანაც ღმერთი შემოქმედა, გზა არის საქმეც და წმინდა ნება. მაშინ გაუვა ყავლი წამებას აღთქმულის მადლი როს არ აგვცდება, როს ჩვენს წიაღში ესე სამება,

მძლე სიყვარულით გაერთარსდება. შეგვადლებინე, მაღალო ღმერთო, მოყვასთა ჩვენთა მუხლი ვუყაროთ, მოძმე მკერდიდან არ მოგიკვეთო, ტრფიალი მისი არ განგვიქარვო. გთხოვთ, მარტვილობა გეპიციო ბრძმედად, გარდასახდენი არ განგვარიდო, ღირსად გვეო ძისა შენისა ჰვრეტად, ჩვენი ცხოვრების სამაგალითოდ. რამეთუ გეწადის დიდო გამჩენო, მოსახდენს ზურგი არ შევაქციოთ, სურვილი შენი, განზრახვა შენი, მიზნები შენი ჩვენად ვაქციოთ.

კვლავ მოლოდინში

კვლავ მოლოდინში დავგათენდება, კვლავ შემოანგრევს რიჟრაჟი სარკმელს, სული ლოცვებში მოითენება, მზურვალე ცრემლით დააღვლებს კანკელს. ოცნებას აშლის ზედაზნის ზეცა, მცხეთისკენ თვალის შენავარდება, მონასტერს კალთა რამ შეაკეცა, ან სული უფაღს რად არ ბარდება? დიდი ცარგვალის ღურჯ იმედებში სვეტიცხოველი დაგვინთებს ედემს, მარქვი, მონასტრის დახშულ კედლებში რატომ ვერ ვხედავ შაოსან დედებს? რატომ ვერ ვხედავ მიძქრალ სახეებს, მენელსაცხებლეს, ნიშის წინ დახრილს, კდემით წართქმული წმინდა სახელი რად არ მიშუშებს ტანჯვათა სახმელს? სული ლოცვებში მოითენება, მღუღარე ცრემლი ეცემა კანკელს, კვლავ მოლოდინში დავგათენდება, კვლავ შემოანგრევს რიჟრაჟი სარკმელს.

* * *

რად გინდა საწუთროა ამო დიდება, მპარავი წაიღებს, არ დაგერიდება. უსაგნო მიზნისთვის ხელი რად გაიღე, საწუთროს დარჩება, ქურდით წაიღებს. ასეა ღამაზის ღიმილი მაცილი, საწუთროს საცერში წყალთა გაცარილი. სული, დაიცა, სათი მიღებე, სული, დაიცა, სული მბორავო, შესდექ! ცხრა კართაგენი თუნდაც დაეცეს, უნდა ელოდო შემდეგს. სული, გასდიე სალი კლდის არწივს, ლაყვარდში შეება იცან, ვარსკვლავთა წალკოტს ოცნებით ასწვი და ეამბორე მიწას.

აუწყვეტია კლდითი პრომეთეს, დამცხრალა მთებში ზვავი, ადევნებისარ ცაში კომეტებს ზევსთან შეკრული ზავით. სჭვრეტ მეუფებას ოქროს ტახტიანს, მნათობთა ბადეს გაშლილს, განგებას შენთვის დაურახტია ცეცხლის მფრქვეველი რაში. პა, გარიჟრაჟმა ცეცხლი დაგინთო, აღდგომა კვირის დამდეგს, ხამს, სინანულის ზღვაში ჩაყვინთო, მოკვდი და მკვდრით აღსდექ! რა უკვდავების ქნარით გვიგალობ, ეს რა სამკვიდრო ვერგო, ბოროტებასთან შეურიგალო მარადისობის ნერგო. სად მისწრაფი, სული, დაიცა, სული მბორავო, შესდექ! წმინდა ლაყვარდიც უნდა გაიცრას, რომ მიემთხვიოს ედემს.

ქართული საგალობელი

არ ამოვიკრავთ პირს ვინაიდან წილად გვარგუნე ღმერთების ენა, გიგალობთ რადგან დასაბამიდან ყოველი არსი გიგალობს შენა. სიმღერის მადლი მოგვდგამს მას იქით, როგორც გულის ხმა დაუძლეველი, ყველა ქართველში შენი მუსიკის ანთია წმინდა საკურთხეველი. შემადლებინე მაღალო ღმერთო, მოყვასთა ჩემთა მუხლი ვუყარო, მოძმე მკერდიდან არ მომიკვეთო, ტრფიალი მისი არ განმიქარვო. მის გულსტკვივოს ვვრძობდე უსიტყვოდ, გაუადვილო წუთისოფელი, აი, ყველაზე ნაღდი მუსიკა, აი, ქართული საგალობელი. უნდა ევრო მისი გულისთვის, უნდა იწოდე მისი სახმელით, აჰა, მამულო, შენი გულისთქმა, შენი სიმღერა და მოძახილი.

ღვთისმშობლისადმი

ადამის მოდგმა დაობლდა თუ გველი გაწვა ცაზედა, ედემში ალვა ჰყვარდა აქ ნაცარს ვიყრი თავზედა. სოფლისა წარმავალობამ გამიასკეცა ჭრილობა, თუ მიხსნის, შენი წყალობა და შენი წილხვდომილობა შენგან, შენგან განიდიდა და განხლდა მიწა ძველი, შენ დაჰხადე სიკვდილითა სიკვდილისა დამორგუნველი. ანგელოსთ დასმა გადიდა უკვდავი სიტყვის მშობელი, მე ბაგით, მწიკველვანითა ვით გკადრო საგალობელი, ვნებანი ველარ აღვსოცე, ვებან, საავდროდ ვიავე, ნიჭი, ზეგარდმო ნაბოძი გაფფანტე, გაფანიავე, სული მომძაღლე თემნითა, გამოუთქმელო ენითა, ხრწნილებისაგან დამიცევე უხრწნილებითა მონითა, თუ რამ ვცოდე, მომიტევე, დამიშევე ცრემლთა ტბორები, ნუ სადა მე დამიტევე, ნუ სადა განმეშორები. სინანული განმიახლე სიწმინდეო შეუვალო, ტაძრად ღვთისად მიმანლე ღმერთისა სძალო დედუფალო. შენგან, შენგან განიდიდა და განახლდა ზეცა ძველი მკვდრით აღდგა სიკვდილითა სიკვდილისა დამორგუნველი. დაუსაბამო ნათლის ცისკარო, სწრაფშესმენითა მადლის მგებელო, შენდა ვლადებ ყოველ ცისმარე უბიწო, შეუგინებელო. შენგან დამესახოს მაღალი მიზანი, შენით დავუტევე გზანი ცოდვისანი, შენ თვალო სულიწმინდისა, ადამის მოდგმის გაისო, ცისკენ გამდებო ხიდისა, სერაბინთ უხესთავსო, წინაშე ძისა შენისა, მას დღესა განკითხვისასა, ნუგეშად გამოგვიჩნდი რომელი გვექმენი შუამდგომელი.

Разыскиваем Ирину Хазан, проживавшую в Калифорнии, муж - Пайкин. Эмигрировали из Тбилиси в 80-х годах. Пожалуйста звоните 718-441-2626

განცხადებები

იყიდება აგარაკი სოფელ კვესეტში, თბილისიდან 28კმ. ბეთანიის მონასტერთან ახლოს. ეზო 1600მ². სახლი 3-სართულიანი, თანამედროვე პროექტით. საერთო ფართობი 360მ². თუთიის სახურავით, ღურაღუმინის კარ-ფანჯრებით, შემინული, რკინის კარებითა და გისოსებით. სახლი გარედან და შიგნიდან გალესილია. ფასი: 35000\$
 ტელ: აშშ: (267)334-0582 ნანა
 საქართველოში: (32)36-61-87; (93)96-75-97 ნინო

სასწრაფოდ იყიდება ჩეხური პროექტის სამოთახიანი ბინა ნუცუბიძის პლატოზე, 84მ², ბინა სარემონტოა, მე-3 სართულზე, ორი აივნით, კუთხის მზიანი მხარე. ფასი 35.000\$
 ინფორმაციისთვის დარეკეთ:
 (732)657-9694 ან (561)670-9680 რუსიკო

იყიდება კომერციული ფართი თბილისში, ნუცუბიძის პლატოზე, გოგირდის წყლებით, 1000მ² მიწაზე 350მ² შენობით.
 ფასი შეთანხმებით.
 დაწვრილებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით:
 201-780-3803 იკითხეთ ნანა.

მილოცვები

დაბადების დღეს ვულოცავთ ჭეშმარიტ ქართველს, **ნოდარ ვაშაყიძეს**, ჯანმრთელობას, ბედნიერებას და უღვე სიხარულს ვუსურვებთ. **რედაქცია**

ჩემო იავენანათი გაზრდილო პატარა ამერიკელო, ჩემო ჯეიკ,
 მე და შენ თითქმის ერთად ვიზილეთ და გავვეცანით ამერიკას... უფრო მეტიც, ერთად შევისწავლეთ ინგლისური ენა. დაბადების დღიდან, შენს სასთუმალთან დამთენებია უკვე მეშვიდე წელია, ისე, რომ დაღლილობასაც ვერ ვგრძნობ. შენმა ქართველობამ, იავენანას სიყვარულმა და მოტივით ქართულმა გადამატანინა ცხოვრების უმძიმესი დღეები, დედის დაკარგვაც კი...
 გილოცავ ჩემო კარგო, გაიზარდე ჯანმრთელი და სასახელო ვაჟაკი. **მიყვარხარ და გკოცნი, შენი ნაზი.**



ქალგაბონ გიული ნერაძის
 დაბადების დღეს ვულოცავთ წერეთლების გვარის გამორჩეულ წარმომადგენელს, ჩვენი გაზეთის ერთგულ მკითხველს, წითელი თუ ლურჯი კალმის დიდოსტატს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, სიხარულსა და შემოქმედებით წარმატებებს.
გაზეთ „მამულის“ რედაქცია

ქალგაბონ ელისო ნიკოლაშვილს
 დაბადების დღეს ვულოცავთ მოქანდაკეს, მხატვარსა და პოეტს, ქართულ-ამერიკული კულტურულ ცენტრ „ამირანის“ ხელმძღვანელს, შემოქმედებით წარმატებებს და დასახული მიზნის განხორციელებას ვუსურვებთ.
გაზეთ „მამულის“ რედაქცია

მეგობრები თანაუგრძობენ ელდარ დავითიძეს სიმამრის **ბუჭული ბოჭორიშვილის** გარდაცვალების გამო.

სამძიძარი

აიბი, ლეილა, ღათო და ნუბი ბოჭორიშვილებს
 დიდი გულისტკივილით ვიზიარებ თქვენს მწუხარებას საყვარელი მეუღლისა და მამის **ბუჭული ბოჭორიშვილის** გარდაცვალების გამო.
სიძე ელდარ დავითიძე

გაზეთ „მამული“ ქართული სსუღია

გთავაზობთ ქართულ ფილმებს სახლში მიღებით


- | | |
|----------------------------------------------------|----------------------------------------------|
| <input type="checkbox"/> არაჩვეულებრივი გამოფანა | <input type="checkbox"/> აბოხარა |
| <input type="checkbox"/> ბელუარის ბაღაფრანა | <input type="checkbox"/> ბაში-არაქი |
| <input type="checkbox"/> სამოთხის ბერიტაბი | <input type="checkbox"/> ფოლა* |
| <input type="checkbox"/> ზოლიში, თქვენი | <input type="checkbox"/> ფანავანი |
| <input type="checkbox"/> ბალით სიკვდილი | <input type="checkbox"/> ჭრიჭინა |
| <input type="checkbox"/> ღვინო ბურაბიშვილი | <input type="checkbox"/> არსენა |
| <input type="checkbox"/> ღლა უკანასკნელი | <input type="checkbox"/> თხუელა |
| <input type="checkbox"/> ღლა პირველი | <input type="checkbox"/> კუპარაჩა |
| <input type="checkbox"/> ღათა თუთაშხია | <input type="checkbox"/> ლაზარე |
| <input type="checkbox"/> ბაბარი მუხრანევი | <input type="checkbox"/> ლაქა |
| <input type="checkbox"/> ღიღოსტატის მარჯვენა | <input type="checkbox"/> ალბომი |
| <input type="checkbox"/> ვერის უზენს მელმედი | <input type="checkbox"/> მამულაქი |
| <input type="checkbox"/> თეთრი ბაიბაღი | <input type="checkbox"/> მანანა |
| <input type="checkbox"/> კიდევი ერთი ქართ. ისტორია | <input type="checkbox"/> ბანაგინი |
| <input type="checkbox"/> კეთილი აღმთავარი | <input type="checkbox"/> ბარბაგა |
| <input type="checkbox"/> გზა მშვიდობისა ჯაყო | <input type="checkbox"/> ლოლიტა |
| <input type="checkbox"/> თოქნიები იხინიან | <input type="checkbox"/> მიმინო |
| <input type="checkbox"/> კოჭრის ტყის სიზმრები | <input type="checkbox"/> ლოლრა |
| <input type="checkbox"/> მერაული ასკიზაბი | <input type="checkbox"/> ნერგები |
| <input type="checkbox"/> მასივარში ვილას იჯლა | <input type="checkbox"/> ნინო |
| <input type="checkbox"/> მე, ბაბია, ილიკო | <input type="checkbox"/> სერენადა* |
| <input type="checkbox"/> ღლა ილარიონი | <input type="checkbox"/> სპირალი |
| <input type="checkbox"/> მარსხლები და ბელუარები | <input type="checkbox"/> ქაჯანა |
| <input type="checkbox"/> ოსნებების სასაფლაო | <input type="checkbox"/> ქვევრი* |
| <input type="checkbox"/> პირველი მარსხალი | <input type="checkbox"/> რეკორდი* |
| <input type="checkbox"/> კილიბრამოზა ევროპიდან | <input type="checkbox"/> შნო* |
| <input type="checkbox"/> იერუსალიმამდე | <input type="checkbox"/> შერაქილავი |
| <input type="checkbox"/> რაც ბინახავს ვილარ ნახავ | <input type="checkbox"/> ფიროსმანი |
| <input type="checkbox"/> რაჭა მამი სიხვარული | <input type="checkbox"/> მარინ-რამა |
| <input type="checkbox"/> როსა ახვანდა ნუში | <input type="checkbox"/> მონაენი |
| <input type="checkbox"/> სამანიშვილის დღინაცხალი | <input type="checkbox"/> პასკორტი |
| <input type="checkbox"/> სიხვარული ყველას უღლა | <input type="checkbox"/> მინი ეზო |
| <input type="checkbox"/> საბუღარალი ჭაბუკი | <input type="checkbox"/> მოლი ნახა |
| <input type="checkbox"/> საქართველოს | <input type="checkbox"/> ნიხი ფიქსისა |
| <input type="checkbox"/> მჭარაშლითუხუცანი | <input type="checkbox"/> მოქვეთილი |
| <input type="checkbox"/> ოთარაანთი ქვრივი | <input type="checkbox"/> ნატარის ხა |
| <input type="checkbox"/> პირველი სიხვარულის | <input type="checkbox"/> ნუსხა სკოლა |
| <input type="checkbox"/> შინი ისტორია | <input type="checkbox"/> მასი ხვითია |
| <input type="checkbox"/> ხვესურული ბალადა | <input type="checkbox"/> ხვეისფარი ბორა |
| <input type="checkbox"/> ნითელი პატაფონი | <input type="checkbox"/> ხარაბა და ბოგია |
| <input type="checkbox"/> მამი მამოზარი ნოღარი | <input type="checkbox"/> წერილი ნაქვას |
| <input type="checkbox"/> მარაღისოვის კანონი | <input type="checkbox"/> არსენას ლექსი |
| <input type="checkbox"/> ქართული სამხარაული | <input type="checkbox"/> სისქრის ზარები |
| <input type="checkbox"/> ქართული მულტფილმები 1,2 | <input type="checkbox"/> ღიღოსტატის ბიჭები |
| <input type="checkbox"/> „არტ-ნიდეი“ ქრებული | <input type="checkbox"/> სეკვა ზღაპარში |
| <input type="checkbox"/> აჭარა მიუზიკლ-კოლი | <input type="checkbox"/> რაკლული სული |
| <input type="checkbox"/> თეიმურაზ ნიქლაური | <input type="checkbox"/> უქინართა მჭა |
| <input type="checkbox"/> ღათო ხუჯაძე | <input type="checkbox"/> სისფარი მთავი |
| <input type="checkbox"/> იხარის იუზილი | <input type="checkbox"/> ქალღმის ნავი |
| <input type="checkbox"/> იხარია - ფიროსმანი | <input type="checkbox"/> ქათო და ქოტა |
| <input type="checkbox"/> იხორინა 2004 | <input type="checkbox"/> ღიღოსტატის ქორეაქი* |
| <input type="checkbox"/> იხორინა „ოქროს მამოღმობა“ | <input type="checkbox"/> სხვისი შვილები |
| <input type="checkbox"/> იხორინა 2005 | <input type="checkbox"/> მაია წყნეთელი |
| <input type="checkbox"/> ანსამბლი „ქალაქბარი“ | <input type="checkbox"/> აკაკის აქვანი |
| <input type="checkbox"/> ნანი ბრებვაძის იუზილი | <input type="checkbox"/> გლადიატორი* |
| <input type="checkbox"/> ნატო ბალაშვილი | <input type="checkbox"/> მჭა მამოღმობის |
| <input type="checkbox"/> მღარის ნინო ქათაბაძე | <input type="checkbox"/> ჯარისკაცის მამა |
| <input type="checkbox"/> ანსამბლი „რუსთავი“ | <input type="checkbox"/> კუჩხი ბელინარი |
| <input type="checkbox"/> ვახტანგ ტატიშვილის იუზილი | <input type="checkbox"/> გლახის ნამოზი |
| <input type="checkbox"/> ქართული ვიდეო-ქოქტილი | <input type="checkbox"/> კვლი ნათელი |
| <input type="checkbox"/> ქართული ქლიავი | <input type="checkbox"/> გიორგი სააკაძე |
| <input type="checkbox"/> ფრიღონ სულაბარია-60 | <input type="checkbox"/> უღიღოსტატის სასიძო |
| <input type="checkbox"/> ჯეგალ სეფიაშვილი | <input type="checkbox"/> მთვარის მოტახება |
| <input type="checkbox"/> საახალწლო ამაზი 2002 | <input type="checkbox"/> მხიარული რომანი |

ფილმის ღირებულებაა 10\$, ვარსკვლავით აღნიშნული მოკლემეტრაჟიანი ფილმის ღირებულება 5\$, საფოსტო მომსახურება ნებისმიერი რაოდენობის შეკვეთაზე 4\$, უნდა მონიშნოთ თქვენთვის სასურველი ფილმის უჯრედი, შეავსოთ ეს ანკეტა, ამოჭრათ, დაურთოთ ჩეკი ან მანი ორდერი NUKRI MUMLADZE-ს სახელზე და გამოგზავნოთ შემდეგ მისამართზე:

_____ (თქვენი სახელი და გვარი)
 _____ (სახლის ნომერი და ქუჩა, Apt N)
 _____ (ქალაქი, შტატი, Zip-კოდი)
 _____ (საკონტაქტო ტელეფონი)

GEORGIAN Studio
 614 Lawler PL.
 Phila, PA 19116

(267)
474-9273



თამადა

იუსტიციის

ადგილი, სადაც ნამდვილი თამადა თამადობენ!

- ჭეშმარიტად ქართული ატმოსფერო;
- გემრიელი ქართული კერძები;
- ქართული წმინდა მუსიკა;
- თქვენთვის მღერის ნუზარ ქველავაძე
- დაგაღებთ ღვინო, ჭაჭაშის ადგილებზე.

1724 Avenue Z, Brooklyn, NY 11235
718-769-2909

